

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

მ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტი

ახალი ქართული ლიტერატურის

საკითხები

III



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი

1972

„ახალი ქართული ლიტერატურის საკითხების“ მესამე წიგნში გაერთიანებული წერილები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის, სალიტერატურო კრიტიკისა და ჟურნალისტიკის ისტორიის ნაკლებმესწავლილ საკითხებს ეხება. კრებულში განხილულია ალ. ცაგარელის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა, წარმოდგენილია გზ. „ივერიის“ დაარსების ისტორია, ნაჩვენებია ჟურ. „სალიტერატურო ნაწილნი თფილისის უწყებათანის“ როლი ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში და სხვ.

კრებული გამიზნულია ლიტერატურის სპეციალისტებისა და ქართული მწერლობის ისტორიის პრობლემატიკით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

რედაქტორები: გ. აბაშიძე

გ. ასათიანი

შალვა გოჯალიშვილი

„ივერიის“ დაარსების ისტორიიდან (1877—1885)

გაზეთ „დროების“ დაარსებიდან ათი წლის შესრულებასთან დაკავშირებით, 1876 წლის 4 მარტიდან ახალი რედაქცია შედგა: სერგეი მესხის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის შემადგენლობით. მათ შორის დაიდო პირობა, რომლის თანახმად, ურთიერთვალდებულებათა გათვალისწინების საფუძველზე, ფუნქციები განაწილდა და გაზეთის გამოშვების წესები შემუშავდა¹. „დროების“ რედაქციის პირობას, რომელიც შვიდი მუხლისაგან შედგება, ხელი მოაწერეს სერგეი მესხმა, აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ და ნიკო ნიკოლაძემ.

გაზეთ „დროების“ რედაქციის ამ ახალი შემადგენლობის შესახებ სერგეი მესხი კმაყოფილებით წერდა: „ეს დღე შესანიშნავი იქნება ჩვენის გაზეთისათვის მითაც, რომ ამ ოთხის მარტიდამ 1876 წ. „დროებაში“ მიიღებენ განსაკუთრებით მონაწილეობას ქვემოხსენებულნი პირნი, რომელნიც კისრულობენ როგორც ლიტერატურულს, აგრეთვე მატერიალურს წარმატებას გაზეთისას: ნიკო ნიკოლაძე (ნ. სკანდელი), აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე.

ამათ გარდა ჩვენის გაზეთისათვის იშრომებენ ეხლანდელნი თანამშრომელნიცა“².

მიუხედავად ასეთი შეთანხმებისა, „დროების“ განახლებულ რედაქციას დიდხანს არ უარსებია და მალე დაიშალა. იმ დროს ნ. ნიკოლაძესა და ი. ჭავჭავაძეს შორის საბანკო საკითხების გარშემო ქარ-

¹ „დროების“ რედაქციის პირობა იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ს. მესხის ფონდში; შალვა გოჯალიშვილი, ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები (აღწერილობა), 1951, გვ. 22—24.

² გაზ. „დროება“, 1876, № 23, გვ. 1.

თულსა და რუსულ პრესაში მწვავე პოლემიკა გაიმართა. ამის გამო საერთო უთანხმოებამ იჩინა თავი და რამდენიმე თვის შემდეგ „დროების“ ახალი რედაქცია პირველად ი. ჭავჭავაძემ მიატოვა, ხოლო შემდეგ, ს. მესხთან უთანხმოების შედეგად, 1877 წელს ნ. ნიკოლაძეც გავიდა „დროებიდან“ და 1878 წელს დაიწყო თავისი საკუთარი გაზეთის „ობზორის“ გამოცემა.

ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ილია ჭავჭავაძემ დაიწყო ზრუნვა საკუთარი პერიოდული ორგანოს გამოცემისათვის. მხოლოდ საკუთარი ორგანოს დაარსება მისცემდა ილიას საშუალებას ზაქარია ფართო პოლემიკა საბანკო საკითხებზე და აგრეთვე განეხილა და გადაეწყვიტა თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ წამოყენებული საკუთრივ საკითხები.

„დროების“ გარშემო შემოკრებილ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სერგეი მესხის 1876 წლის 7 ივნისის წერილი კეკე მელიქიშვილ-მესხისადმი. ამ წერილში ს. მესხი სხვათა შორის, კეკეს სწერდა: — „აქ ახალი ქართული გაზეთის გამოცემას აპირებენ. აბა გამოიცან: ვინ? თუ ამ უკანასკნელ „დროების“ ნომრებს გულდასმით ჰკითხულობდი, თუ შორს-გამჭვრეტელიცა ხარ, როგორც ქალს შეეფერება, მაშინ შეიძლება გამოიცნო. მაგრამ არ გავწალე, პეტყვი: ახალ ქართულ გაზეთის გამოცემას, აპირებენ: ილია ჭავჭავაძე და... ბენსარიონ ლოლობერიძე! არ გაგიკვირდა? თავიდან გაიგონე.

ქუთაისისა და თფილისის ბანკის თაობაზე, ჩვენ, ესე იგი მე, ნიკოლაძეს და აკაკის, ერთის მხრითა, და ილ. ჭავჭავაძესა და საზოგადოთ ლოლობერიძეებს, მეორე მხრით, ცოტაოდენი კინკლაობა მოგვიციდა. ქუთაისში დაიწყო საქმე. ჩვენ ერთის მხრით ვიყავით, ცალკე პარტიას შევადგენდით და ლოლობერიძეები მეორეს. ბანკის ამორჩევის შემდეგ, როგორც გეცოდინება, „დროებაში“ ჩემი („მეკენის“) ანგარიში იყო დაბეჭდილი, რომელმაც, რასაკვირველია, ლოლობერიძეები გულზე გახეთქა, მოთმინებიდამ გამოიყვანა და გააბრაზა.

შემდეგ ნიკოლაძემ თფილისის ბანკის გამგეობის წინააღმდეგ გამოილაშქრა „თფილისის მოაზრებაში“. აქ ილია ჭავჭავაძე გაჯავრდა. ეს ორი გამოჯავრებული მხარეები შეკავშირდნენ ერთად, მოილაპარაკეს და რაღა ბევრი გავაგრძელო, გადაწყვიტეს, რომ ჩვენ ჩვენი ორგანო უნდა გავიჩინოთ, ჩვენი გაზეთი დავაარსოთ, რომ ასეთი საქმე შემდეგში არავინ გვიქნასო. ძალიან საინტერესო სხდომები იყო ამათი, განსაკუთრებით მეორე სხდომა ბეს. ლოლობერიძესთან. (ამ სხდომებში ჩვენ, რასაკვირველია, მოწვეული არ ვყოფილვართ; ყველაფერს

გვიმალავდნენ, მაგრამ ყველაფერი კი იმწამსვე შევიტყვეთ). ამ სნდო-
მაზე ყოფილან: ილ. ქავჭავაძე, ლოლობერიძე, ბ. ჭაფარიძე. გ. ყაზბე-
გი, გ. თუმანიშვილი, პ. უმიკაშვილი, პეტრე (შენი ძმა), სტ. ზარაფოვი,
ვლ. ჯანდიერი, ამის პატარა ძმა, ნიკო დადიანი (ქუთაისის დირექტო-
რი), ნ. ლოლობერიძე, იაკ. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, დ. ავალიშვილი,
ალ. ჩოლოყაშვილი და სხვ. სულ 18 კაცი, რომელთაგან ნახევარს არ
სცოდნია — თუ რისთვის ყოფილან შეკრებილნი. ბ. ლოლობერიძემ
წარმოსთქვა თურმე პირველი სიტყვა. „დროება“ დაეცაო, ყველას
ლანძღავსო, სულ კერძო ინტერესებს და პირადობას მისდევსო. სა-
ჭიროა ახალი გაზეთი გამოიცესო, რომელმანც ლიტერატურის დროშა
აღადგინოს, მაღლა დაიჭიროსო. ამას პეტრე უმიკაშვილმა (წარმოიდ-
გინე — ისიც კაცებში გაერია) დაჰკრა თურმე კვერი და სთქვა, რომ
ქუთაისში (?) „დროება“ სულ ყველას ეჯავრება, презирают, — არა-
ვინ არ უჭერებს იმასო, პატივი არა აქვს ქუთაისის საზოგადოებაშიო
და სხვ. გ. ყაზბეგმა სთქვა თურმე, რომ მე ძალიან მაკვირვებს პ. უმი-
კაშვილის სიტყვებით, იმაზე უფრო მომეტებულად მე ვაცნობ იმე-
რეთს და განსაკუთრებით გურიაში ხშირად დავიარები და ბევრისაგან
და ხშირად მინახავს და გამიგონია, რომ „დროებას“ დიდის მოუთ-
მენლობით მოელიან იქ მკითხველები და ძალიანაც უჭერებენ ყო-
ველ იმის ჰაზრსაო და სხვ. მაგრამ სანამ ახალ გაზეთის გამოცემაზე
დაიწყებდნენ ლაპარაკს, ის არ სჯობია, თუ რამე საშუალება გვაქვს,
ლიტერატურული ან მატერიალური, ისევე „დროების“ რედაქციას მო-
ვასმართო და ახლანდელზე კიდევ უკეთ წავიყვანოთო? ამ ჰაზრის
ყოფილა, სხვათა შორის ზარაფოვიც. კარგი, შეიძლებაო, უთქვამთ
ბ. ლოლობერიძეს და ილ. ქავჭავაძეს, მაგრამ იმ პირობით — თუ ახა-
ლი რედაქცია იქნება „დროებაშიო“. ამაზე დათანხმებულან და უყ-
რით კენჭი ახალი რედაქტორებისათვის. ამოსვლია ილ. ქავჭავაძეს —
15 თეთრი კენჭი (თვრამეტში), მე — 10, ბეს. ჭაფარიძეს — 10,
დ. ჩქოტუას — 10, ნიკ. ნიკოლაძეს — 6, აკაკის — 4, ბ. ლოლობერი-
ძეს — 2, ნ. და დ. — 2 და სხვ. ამოირჩიეს პირველი ოთხი და ამასთანა-
ვე გადაწყვიტეს, რომ შემდეგ სნდომაში სტ. მელიქიშვილი და სერ.
მესხი მოვიწვიოთო, ჩვენი გადაწყვეტილება გამოუცხადოთ და თუ
დათანხმდებიან ახალ რედაქციაზე, მაშინ გაზეთისათვის ვიშოვნით —
5000 მანეთს და ამას გარდა ყოველ წელიწადს 2000 მანეთამდე გარეშე
შემოსავალს გაუჩინოთ.

როგორ მოგწონს ეს ამბავი, კეკე! არა, ამათი ჰაზრი გესმის? ნიკო-
ლაძე და აკაკი გამოაგდე რედაქციიდან. იმათ მაგივრად დ. ჩქოტუა,
რომელიც ოფლის დაუღვრელად ორ სტრიქონს ვერ დასწერს და

ბ. ჯაფარიძე მიიღეო! 5000 მანეთი და კიდევ წლობით 2000-მდი — ეს ხომ ყინულზე დაწერილი ფულებია! ამათი ჰაზრი მხოლოდ ის არის, რომ ნიკოლაძესა და აკაკის პირი შეუქრან, ხმის ამოსაღები ალაგი რომ არა ჰქონდეს და ფულებს შემდეგ ვინ დასდევს! მაგრამ ეს თქვათ, შემოიტანეს ფულები. რა მდგომარეობაშია მაშინ გაზეთი? ბეს. ლოლობერიძესა და ილ. ჭავჭავაძეზე და ვერც ბანკებზე ხომ ხმის ამოღება არ შეეძლება გაზეთს? „დროება“ ხო ამათ ყურ-მოჭრილ ყმაღ, მონად უნდა გახდეს!

ამათ წინადადებაზე მე ხარხალი დავაყარე. ახლა ილია საგურამოს არის, ფეხი უღრძვია და ვერ მოდის. ბ. ლოლობერიძე მკვდარსა ჰგავს. შევებრალება რომ ნახო. გაიმარჯვა ქუთაისში, მაგრამ ვაი იმისთანა გამარჯვებას. არ იციან — რა ჰქნან ახლა. ძალიან მწყინს, რომ ბ. ჯაფარიძე ამ საქმეში გაეხვია. სასაცილოა ამათი მდგომარეობა: ახალი გაზეთის გამოცემა ამათ არ შეუძლიანთ, ჩემის ჰაზრით; ძველი გაზეთისათვის რედაქტორები ამოარჩიეს და — უპორთველო მინისტრებივით დარჩნენ. ილია ჭავჭავაძეს მოელიან ახლა, იმან უნდა ვადაწყვიტოს საქმე და გამოიხსნას ესენი ამ მდგომარეობიდან. რა სულელური მდგომარეობა იყო იქ დამსწრეების მდგომარეობა (ბ. ლოლობერიძისა და ი. ჭავჭავაძის გარდა), პეტრეს ჰკითხე და ის მოგწერს ოდესიდან. ამ ამბავს სხვა კული გამოება“.

როგორც ჩანს, ურთიერთ შორის დამოკიდებულება უფრო გამწვავებულა. აღნიშნული წერილის გაგზავნიდან სულ მალე, 8 დღოს შემდეგ, 1876 წლის 15-ივნისს ს. მუსხი ეკ. მელიქიშვილ-მესხიას სწერდა:

„დროების“ უკანასკნელ ნომრებიდან შეიტყობდი, რომ ბეს. ლოლობერიძისა და ილია ჭავჭავაძისთანა კაცებს ჩვენ სრულებით მოვ-შორდით. ილ. ჭავჭავაძის მოშორება, თუმცა იმასთან დაახლოებამ არაფერი მოგვიტანა, მაგრამ მაინც მეძნელებოდა. მაგრამ, რადგან პირველად თვითონ გამოგვიცხადა ომი, რადგან თვითონ შეუერთდა ბეს. ლოლობერიძეებს, ამის გამო „ჩვენ შუა ხომალდები დავწვით“ და ყველაფერი გათავდა. გამოსცენ ახლა თავიანთი გაზეთი, რომლითაც ასე გვემუქრებიან და ვნახოთ — რა გამოვა. უბედურება ეს არის, რომ ახლა გუშინ აკაკის სტატია მომივიდა ქუთაისიდან, რომელშიაც ის ნიკოლაძეს ლანძღავს! ჭერ ამათ არ მოვშორებივართ და ახლავ ჩვენ ერთმანეთში ვიწყებთ ჩხუბს! ამისთანა იქნება? სწორედ ჩვენი საქმე ისეა, როგორც მითოლოგიის სიტყვით, ძველი მინოტავრის, რომელმაც ჭერ ქვეყანა შესჭამა, მერე თავის შვილებიც და ბოლოს რომ აღარაეინ დარჩა, თავის თავის შეჭმა დაიწყო კულიდამ! დავრჩები ბოლოს ისევ მე, თუ მინოტავრივით მევე ჩემი თავი არ შევჭამე!“

ასე იყო თუ ისე, როგორაც არ უნდა წარმოვიდგინოთ საქმე, ი. ჭავჭავაძემ საეურნალო მოღვაწეობა, რომელიც 1863 წელს „საქართველოს მოამბის“ დახურვით შეწყვიტა, 1877 წლის დასაწყისიდან ისევ განაახლა. ვფიქრობთ, სწორედ აქედან იწყება ილია ჭავჭავაძის ხელახალი დიდი გატაცება, დაძაბული მუშაობა, რომელმაც განსაზღვრა მისი განუზომელი როლი და მნიშვნელობა ქართული პერიოდიკისა და პუბლიცისტიკის განვითარების ისტორიაში.

წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ, 1876 წლის 18 ივნისს ი. ჭავჭავაძემ თხოვნით მიმართა კავკასიის საცენზურო კომიტეტს, მიეცათ ნება 1877 წლის 1 იანვრიდან გამოეცა „ქართული საპოლემიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“.

კავკასიის საცენზურო კომიტეტმა საკითხის გადასაწყვეტად ილია ჭავჭავაძის თხოვნა, მომავალი გაზ. „ივერიის“ პროგრამა და მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა 1876 წლის 19 ივნისს მიმართეასთან (№ 712) ერთად გაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ-მმართველობის უფროსს³.

როგორც პირადი წერილებიდან ჩანს, „დროების“ რედაქტორი ს. მესხი ვერ არის გულდამშვიდებული. შეშფოთებულია, წუხს, თითქოს რაღაც საფრთხე ელის „დროებას“ მეორე ახალი ქართული გაზეთის დაბადებით. იგი შეუწინაღობელი ინტერესით ადევნებს თვალყურს ილია ჭავჭავაძის საქმიანობას „ივერიის“ გამოცემისათვის.

ისიც კარგად ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე ენერგიულად შეუდგა წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას. ცხადია, ამ საქმეში იგი თავის გარშემო შემოიკრებდა ყველა იმათ, ვინც თანაუგრძნობდა ახალი გაზეთის დაარსების საქმეში. ჩანს, თვით ს. მესხიც საქმის კურსში ყოფილა. თავის მომდევნო წერილში, 1876 წლის 28 ივნისს, იგი ეკ. მელიქიშვილ-მესხისას ატყობინებდა:

„ილია ჭავჭავაძემ შეიტანა თხოვნა ახალი ქართული გაზეთის გამოცემისა, რომელსაც სახელად „ივერია“ ერქმევა. დიდი გაზეთი იქნება „С. Пет. Ведом.“. — ოდენი და კვირაში 7 მანეთად ეღირება. სამაზედაც გვარიან დაწვრილებით „დროებაში“ წაიკითხავდი, სადაც გამოვსთქვი ჩემი ჰაზრი ახალი გაზეთის დაარსებაზე. ილ. ჭავჭავაძე და ბეს. ლოლობერიძე ერთად! — როგორ მოგწონს ეს? კაცები, რომელთაც ერთმანეთის დანახვა ეზარებოდათ, რომელნიც მუდამ ერთმანეთს აძაგებდნენ, შეერთდნენ, ჩვენ ანუ უკეთ ვსთქვათ, „დროების“ საბრძოლველად და დასალუპავად. მაგრამ აბა რას მოახერხებენ!

³ ა. ი. ვ. ი. ძე, ილია ჭავჭავაძე — დოკუმენტალური მასალები, საისტორიო მოამბე, თბილისი, 1947, № 3, გვ. 194—195.

სულ რომ მარტო დავრჩე, თავს ლაფი დამეხსმება (ამას დაკვეხნებით არ ვამბობ), თუ მე მარტო არ აუვიდე ამათ ლიტერატურულ და ჟურნალისტიკურ ძალას. ესენი კი ამბობენ, რომ ჩვენ „დროებას“ თავის დღეში არ გამოვებააყებითო, პოლემიკას არ დავიწყებთო, ჩვენ მხოლოდ ვეცდებით, პრინციპები, მტკიცე და შეუწყვეტელი პრინციპები დავადგინოთ, მხნეთ დავიჭიროთ მაღლა ლიტერატურის დროშა და პირადობას არ შევცხებითო!

...მომავალი წლიდამ და წელს სექტემბრიდამაც ჩვენ რიგიანად უნდა შევუდგეთ ჩვენ „დროებას“. ახლა მუდამ მუშა მარტო ვარ და უბედურება ის არის, ვერც მე ვმეუშაობ იმდენს, რამდენიც შემძლია; კონკურენციის არ მეშინია, ვიცი რომ მკითხველები მაინც მეყოლებიან და მაინცა და მაინც თავს არ ვაკლავ გაზეთს. მომავალი წლიდამ კი სულ სხვა იქნება, მაშინ კონკურენტი გვეყოლება, მეორე გაზეთი იქნება და ვინც უკეთეს გაზეთს გამოსცემს, უფრო მეტი მკითხველები იმას უყოლება. მაშ საჭირო იქნება, რომ მარჯვეთ ვიყვნეთ, დავფაქტურდეთ და რაც ძალა და ღონე გვექნება, ვეცადნეთ, რომ „დროება“ კარგათ წავიყვანოთ. აი ამ მხრით ამ ახალი გაზეთის გამოცემა პირდაპირ სარგებლობას მოუტანს „დროებას“ და თვით საზოგადოებას, რადგან მაშინ ორი გაზეთი იქნება, რომელნიც ერთმანეთზე უმჯობესობას ეცდებიან, ეცდებიან, რომ კარგათ წავიყვანონ თავიანთი საქმე და საზოგადოებას მოაწონონ, შეაყვარონ თავი“.

ს. მესხს, თუმცა სადღაც გულის სიღრმეში რაღაც შიში აქვს მეორე ქართული გაზეთის დაარსებისა, მაგრამ საბოლოოდ, როგორც ეს მოწინავე, სამშობლოსათვის თავშეწირულ, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეს შეშვენიის, სწორ, საღ აზრს ადგება, რომ „ახალი გაზეთის გამოცემა პირდაპირ სარგებლობას მოუტანს „დროებას“ და თვით საზოგადოებას“. და ბოლოს, მას სრულებითაც არ ეშინია მეორე გაზეთის „კონკურენციისა“, როგორც ამას თვითონ ამბობს.

მეფისნაცვლის მთავარმმართველობაში „ივერიის“ გამოცემის საკითხი დადებითად გადაწყდა. ილია ჭავჭავაძის თხოვნა დაკმაყოფილდა. 1876 წლის 17 სექტემბერს გაგზავნილი მიმართვით (№ 5093) მეფისნაცვლის მთავარმმართველობამ კავკასიის საცენზურო კომიტეტს აცნობა, რომ მეფისნაცვალის მიერ, წარმოდგენილი თხოვნისა და თანდართული პროგრამის მიხედვით, ილია ჭავჭავაძეს ნებართვა მიეცა 1877 წლის 1-ლ იანვრიდან თბილისში გამოსცეს სამეცნიერო-ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი ქართულ ენაზე „ივერიის“ სახელწოდებით⁴.

4 ა. ი. ი. ვ. ი. ძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 195; ამის შესახებ. იხ. დოკუმენტი —

ხელისუფალთა ეს გადაწყვეტილება ქართველი საზოგადოებისათვის იმ დღესვე გახდა ცნობილი. ს. მესხის გაზეთი „დროება“ თავის „დღიურში“ იტყობინებოდა: „ჩვენ გავიგონეთ, რომ კავკასიის უმაღლეს მთავრობას ნებართვა მიუცია ახალი ქართული გაზეთის გამოცემაზე. გაზეთს ერქმევა სახელად „ივერია“. იმის რედაქტორად გამოცხადებული იქნა თ. ი. გ. ჭავჭავაძე, გამოვა მომავალი წლის 1 იანვრიდან, კვირაში ერთხელ“⁵.

იმ დროს თბილისში არსებული რუსული ოფიციალური — გაზეთი „კავკაზი“, როგორც „დროება“ გვატყობინებს, თანაგრძნობით არ შეხვედრია „ივერიის“ გამოცემის ანბავს და დაცინვით მოუხსენიებია იგი. ამის შესახებ „დროება“ თავის დღიურში წერდა: „გაზ. „კავკაზის“ „დღიურში“ შემდეგი სტრიქონებია დაბეჭდილი: — „დღემდო არა ისმის-რა თ. ილია ჭავჭავაძის გაზეთზე „ივერიაზე“ ხელისპოწერის შესახებ. ნუთუ დაბადებამდე მიიცვალა ეს გაზეთი?“ — ამას „დროება“ თავის მხრით უკეთებს შენიშვნას, რითაც თითქოს ანუგეშებს კიდევ „გულშემატკივარ“ „კავკაზს“ და დასძენს: „ჩვენ შეგვიძლიან ვანუგეშოთ უ. „დღიურის“ რედაქტორი. „ივერია“, როგორც ამბობენ, პირველი მარტიდამ გამოვა. რაიცა შეეხება ხელისპოწერას, მართალია, ჯერ ეს გამოცხადებული არ არის, მაგრამ ჩვენ გვითხრეს, რომ კვიტანციები ფულის მიღებისა უკვე დაიბეჭდნენ და ამნაირად ფულს მისაღებად ახალი რედაქცია სრულებით მზათ არისო“⁶.

დასრულდა 1876 წელი. ილია ჭავჭავაძეს გაზეთ „ივერიის“ გამოცემა 1877 წლის 1-ლ იანვრიდან ჰქონდა ნებადართული, მაგრამ წლის დასაწყისში იგი მაინც არ ჩანდა. საზოგადოებაში ეჭვი დაიბადა მის გამოცემაზე. ამიტომაც იყო, რომ 12 იანვრის „დროებაში“ თ. ქორიძე თავის ფელეტონში: „ახალი იმედები და უიმედობა“, სხვათა შორის, იუმორისტული შეფარვით, აღნიშნავდა: „...იმედი მაქვს, რომ ვალე ჩვენი „ივერია“ გამოვა და უფ. მაჭახელაძეს კაი „მაჭახელას“ (დამბაჩას) მთარგმანს! იმედი მაქვს, რადგანაც გავიგე, რომ უფ. პ. უმიკაშვილი თავის რალაც დაუსრულებელ „ხვითოს“ გამოჩეკავს, ფეხს აადგმევინებს და ამდენ ტბილ მოლოდინს არ ჩაგვამწარებს! მაგრამ

Сведения, сообщенные Кавказским ценз. комитетом (д. 101/77)

Журнал «Иверия» выходит в г. Тифлисе. Разр. 17 сентября 1876 г. Изд. ред. кол. регистр., князь Илья Григорьевич Чавчавадзе.

Срок выхода — еженесячный.

Центральный государственный исторический архив в Ленинграде, ф. 776. оп. 12, д. 64, 1883—1906 г., л. 1.

⁵ გაზ. „დროება“, 17 სექტემბერი 1876, № 99, გვ. 2.

⁶ გაზ. „დროება“, 19 ნოემბერი 1876, № 125, გვ. 3.

ოოვე! თუ ეხლაკი არა, მეორე ახალ წლისათვისაც ხოკიკშიაც არა ჰყვანდეს, არა თუ ფეხადგმული!“7.

ამრიგად. დათქმული დროისათვის — 1877 წლის 1 იანვარს ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ საზოგადოებრივ ასპარეზზე არ გამოჩენილა. როგორც ჩანს, ამ დროისათვის მისი გამოცემა ვერ მოესწრო.

ქართული პრესის, საზოგადოებრივი ცხოვრების, მწერლობისა და აზროვნების განვითარების ისტორიაში 1877 წლის 3 მარტი ღირსშესანიშნავე თარიღია. ამ დღიდან თბილისში გამოსვლას იწყებს ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“.

ილია ჭავჭავაძის „ივერიას“ 1877 წლიდან ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან იგი ეზმალტრებოდა ერის ყოველგვარ საპირბოროტო საკითხს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ და ქართველ მკითხველს თავის სიტყვას აწვდიდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი მოძრაობის და ცხოვრების დიდი მესვეურის — ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით „ივერია“ 25 წლის განმავლობაში — 1877 წლის 3 მარტიდან — 1901 წლის 4 დეკემბრამდე გამოდიოდა, ხოლო მის შემდეგ მან ხუთი წელიდა იარსება და 1906 წლის 27 აგვისტოს საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა.

სამი ათეული წლის მანძილზე „ივერია“ იყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების, აზროვნებისა და მწერლობის სწორუპოვარი მართიანე. მასში აისახა ყველა ის, ცოტად თუ ბევრად ღირსშესანიშნავე მოვლენა, რასაც ადგილი ჰქონდა ხალხის კულტურულ-პოლიტიკურსა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში 1877 წლის 3 მარტიდან 1906 წლის მეორე ნახევრამდე.

ამასთან ერთად, აქვე თამამად უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ორგანო უკანასკნელ ხუთ წელიწადს, როდესაც მის მუშაობაში მისი დამაარსებელი აღარ მონაწილეობდა, თავისი არსებობის უკანასკნელ დღემდე — რუაქციის შავბნელ დრომდე, როდესაც მან არსებობა შეწყვიტა, ყოველთვის აგრძელებდა იმ დიდ და სახელოვან ტრადიციას, რომელსაც თავიდანვე დასაბამი მისცა მისმა დამაარსებელმა და სულისჩანდგმელმა ილია ჭავჭავაძემ.

ღიღი ილია იყო „ივერიის“ სული და გული, უებრო რედაქტორი და პუბლიცისტი. თავის დიდ მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად, „ივერია“ უნდოდა მშობლიური „ხალხის აღზრდისათვის“, საზოგადოებრივი ცხოვრების რიგი საკითხების „ახალი გაშუქებისათვის“, — რო-

ვორც ამის შესახებ აღნიშნავდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია ნიკო ნიკოლაძისადმი მიწერილ წერილში 1886 წლის აპრილის თარიღით.

ამრიგად, როგორც უკვე აღინიშნა, 1877 წლის 3 მარტს, — ახალი გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას, საქართველოს დედაქალაქ თბილისში გამოვიდა ილია ჭავჭავაძის მიერ ახლად დაარსებული ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე, 1877 წლის 3 მარტის „ივერიის“ პირველსავე ნომერში, მეთექვსმეტე გვერდზე დაბეჭდილი განცხადებით, საზოგადოებას აუწყებდა, რომ მთავრობის ორგანოების მიერ დამტკიცებული პროგრამით, ამა წლის მარტის თვიდან თბილისში გამოდის გაზეთი „ივერია“, რომელსაც თორმეტი განყოფილება ექნებაო⁸. ამასვე იტყობინებოდა ილია თავის განცხადებაში „სასოფლო გაზეთის“ საშუალებით⁹.

პრესაში გამოქვეყნებულ განცხადებებში დაბეჭდილი პროგრამის მიხედვით, „ივერიის“ შინაარსი განისაზღვრებოდა ძირითადად თორმეტ პუხლში დასახელებული მასალებით¹⁰.

—1. წინამძღოლი წერილები, რომლებშიაც გამოითქმება რედაქციის აზრი შესახებ საზოგადო ცხოვრების სხვადასხვაგვარ საგანთა.

2. საქართველო: განხილვა ყოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება ჩვენში მთავრობითსა წარმოებასა და საზოგადოების ცხოვრებასა.

3: რუსეთი: განხილვა ყოველის გვარის შესანიშნავის საგნისა, რაც კი შეეხება რუსეთის სახელმწიფოს წარმოებას და საზოგადოების ცხოვრებასა.

4. უცხოეთი: განხილვა ყოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება საზოგადო პოლიტიკას, უცხო ქვეყნების სახელმწიფო წარმოებასა და საზოგადოების ცხოვრებასა.

5. კორარესპონდენციები შესახებ ჩვენის ქვეყნისა, რუსეთისა და უცხო ქვეყნებისა.

6. სამეცნიერო განყოფილება: წერილები შესახებ ყოველის გვარის მეცნიერებისა.

7. ბელეტრისტიკა: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა ამგვარი.

⁸ გაზ. „ივერია“, 3 მარტი 1877, № 1, გვ. 16.

⁹ „სასოფლო გაზეთი“, 1877, № 4, გვ. 8.

¹⁰ Програма газеты на грузинском языке «Иверия». სტკ., ფონ. 480, საქმე 25, ფურც. 3. პირი, ხელით ნაწერი; ა. ი. ი. ი. ძე, ილია ჭავჭავაძე — დოკუმენტალური მასალები, საისტორიო მოამბე, 3, თბილისი, 1947, გვ. 194.

8. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

9. ფელეტონი.

10. სასამართლოს მატრიანე: სასამართლოების განაჩენის ბეჭდვა და მისი განხილვა.

11. სხვადასხვა გაზეთის ნაამბობნი.

12. კერძოთა პირთა გაცხადებანი და საჭირო ცნობათა სქემა“.

გაზეთზე ხელისმოწერის ფასი 1877 წლის მარტიდან მომავალი წლის იანვრამდის ყოფილა 6 მანეთი, როგორც თბილისელების, აგრეთვე თბილისის გარეთ მცხოვრებთათვისაც.

ხელმოწერა წარმოებდა თბილისში — „ივერიის“ რედაქციაში, რომელიც მდებარეობდა მთაწმინდის ქუჩაზე, შიოვეის სახლებს ზემოთ, № 5-ში, ხოლო ქუთაისში, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ პერიოდულობა

„ივერიის“ გამოცემის პერიოდულობა 1877 წლიდან — 1885 წლის ბოლომდე შემდეგნაირად განისაზღვრებოდა:

1877—1878 წლებში, როგორც ყოველკვირეული გაზეთი, გამოდიოდა ყოველ ხუთშაბათს, 16 გვერდის მოცულობით. 1877 წელს გამოვიდა № 1 (3 მარტიდან) — № 44 (29 დეკემბრამდე); 1878 წელს № 1 (5 იანვრიდან) — № 47 (30 ნოემბრამდე); სულ დაიბეჭდა გაზეთის 91 ნომერი.

1877 წლის დასასრულისა და 1878 წლის დასაწყისში „ივერიის“ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძე აცხადებდა; რომ მომავალ — 1878 წელს გაზეთი იმავე სახითა და იმავე პროგრამით გამოვა, როგორც აქამდეო და თანაც პროგრამასა და ხელმოწერის პირობებს აქვეყნებდა¹¹.

1878 წლის დასაწყისიდანვე ქართველმა საზოგადოებამ „ივერიის“ პირველი ნომერი 5 იანვარს მიიღო, ხოლო მისი უკანასკნელი — 47-ე ნომერი 30 ნოემბერს გამოვიდა. როგორც ვხედავთ, გაზეთი დეკემბრის თვეში აღარ გამოდიოდა. ამის შესახებ, რედაქცია, გაზეთის უკანასკნელ ნომერში მოთავსებული განცხადებით, თავის მკითხველებს ატყობინებდა, რომ „ივერია“ დეკემბერში აღარ გამოვა და ხელისმომწერლებს იმ ნომრების მაგივრად დაურიგდებათ იანვრის პირველი წიგნი უურნალისაო. ამასთან ერთად, რედაქცია მკითხველის

¹¹ გაზ. „ივერია“, 1877, №№ 39, 40, 43, გვ. 1; 1878, №№ 3, 4, გვ. 1; იხ. აგრეთვე „სასოფლო გაზეთი“, 1877, № 24, გვ. 8; 1878, № 3, გვ. 8.

წინაშე ბოდიშს იხდიდა, ცენზურის მიზეზით, გაზეთის 30 ნომბრის ნომრის (47) დაგვიანებით გამოსვლის გამო¹².

დასაწყისიდანვე, 1877—1878 წელს გაზეთი „ივერია“ 91 ნომრის გამოსვლით განისაზღვრებოდა.

როგორც ირკვევა, ილია ჭავჭავაძეს მუშაობის პროცესში, ჯერ ისევ ადრე, 1878 წლის მაისიდან განუსაზღვრავს, რომ გაზეთი, მომავალ 1879 წლიდან ყოველთვიურ ჟურნალად გადაეკეთებინა და ამისათვის მოსამზადებელ მუშაობასაც შესდგომია.

ილიას მიერ მიღებული ასეთი გადაწყვეტილება თავიდანვე ცნობილი გახდა საზოგადოებისათვის. ეს ამბავი პრესაშიც აღინიშნა და, როგორც ჩანს, მოწონება და მხარდაჭერაც ჰპოვა. გაზ. „დროება“ დიდი კმაყოფილებით შეხვედრია ყოველკვირიულ გაზ. „ივერიის“ ყოველთვიურ ჟურნალად გამოცემის განზრახვას. ამის შესახებ „დროება“ თავის დღიურში წერდა: „თფილისის მოამბეში“ იწერებიან, რომ „ივერიის“ გამომცემელს თ. ილია ჭავჭავაძეს განზრახვა აქვს, რომ მომავალი წლიდან ეს გაზეთი ჟურნალად გადააქციოსო და თვეში ერთხელ გამოსცეს წიგნათაო. სახელი ჟურნალისა იგივე დარჩება „ივერიაო“.

ჩვენ ძალიან მოგვწონს ეს ჰაზრი: ერთი წლისა და ნახევრის გამოცდილებამ, უეჭველია, დაარწმუნა „ივერიის“ გამომცემელი, რომ კვირის გაზეთს ჯერჯერობით ჩვენს საზოგადოებაში გასაყვალად და მნიშვნელობა არა აქვს. ჟურნალი კი დიდს, აუცილებელ საქიროებას შეადგენს და, თუ ის კარგათ. ცოცხლად იქნა გამოცემული, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გამომცემელი მატერიალურადაც არ წააგებს, რადგან მკითხველები ხეირიან ჟურნალს ჩვენში მუდამ ბლომათ ეყოლება“¹³.

ილია ჭავჭავაძემ თავისი გადაწყვეტილების განხორციელების მიზნით, 1878 წლის სექტემბერს ნებართვისათვის თხოვნით მიმართა კავკასიის საცენზურო კომიტეტს. კავკასიის მეფისნაცვალმა შესაძლებლად სცნო ი. ჭავჭავაძის აღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილება.

1878 წლის 24 ოქტომბერს მეფისნაცვლის მმართველობამ საცენზურო კომიტეტს აცნობა გაზეთ „ივერიის“ ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთების ნებართვის მიცემის შესახებ¹⁴. ამ მიღებული გადაწყვეტილების გამო, გაზეთი 1878 წლის უკანასკნელი ნომრების ფურც-

12 გაზ. „ივერია“, 30 ნომბერი 1878, № 47, გვ. 1; ამ ნომერს ცენზურის ვიზა აქვს: „1878 წლის 2 დეკემბერი“.

13 გაზ. „დროება“, 28 მაისი 1878, № 103, გვ. 2.

14 სცსა, ფონ. 480, საქმე 25, ფურც. 8; ა. იოვიძე, ილია ჭავჭავაძე — დოკუმენტალური მასალები, საისტორიო მოამბე, 3, 1947, გვ. 195.

ლებზე საზოგადოებრიობას აცნობებდა, რომ „მომავალ 1897 წ. იანვ-რიდან გაზ. „ივერიის“ მაგივრად გამოვა ტფილისში ჟურნ. „ივერია“¹⁵. ამასთან ერთად, იქვე აქვეყნებდა პროგრამასა და ხელის მოწერის პირობებს.

ამრიგად, ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“ 1879 წელს გამოდიოდა როგორც ყოველთვიური ჟურნალი¹⁶. ამ წელს გამოვიდა სულ ათი ნომერი. აქედან ორ-ორ ნომრად გაერთიანებული გამოვიდა 5—6, 7—8 და 9—10.

ამ წლის უკანასკნელ მეცხრე-მეათე ნომერს ცალკე დართული ჰქონდა ხელისმომწერთა მიმართ განმარტებითი ბარათი — „რედაქციისაგან“, რომელიც იტყობინებოდა: „ნომბრისა და დეკემბრის ნომრები „ივერიისა“ აღარ გამოვლენ. ამ წიგნების მაგივრად აწინდელ ხელის მომწერთ მიუვათ მომავლის წლის პირველი წიგნი. ამის გამო „ივერიის“ წლევანდელ ხელის მომწერთათვის ფასი „დროება“-„ივერიისა“ მომავალი წლისა იქნება ცამეტი მანეთის მაგივრად თორმეტი მანეთი“¹⁷.

1879 წლის ნომბერს ჟურნ. „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელმა ილია ჭავჭავაძემ, გაზ. „დროების“ რედაქტორმა სერგეი მესხმა და ამავე გაზეთის გამომცემელმა სტეფანე მელიქიშვილმა, ურთიერთ მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე, 1879 წლის ნომბრის პირველ ნახევარში გადაწყვიტეს, რომ ჟურნალი „ივერია“ და გაზეთი „დროება“ შეერთებინათ და 1880 წლიდან საერთო რედაქციით გამოეცათ.

ამ საერთო შეთანხმებით მიღებული გადაწყვეტილების განსახორციელებლად ილია ჭავჭავაძემ, სერგეი მესხმა და სტეფანე მელიქიშვილმა ნებართვისათვის 1879 წლის 15 ნომბერს განცხადებით მიმართეს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსს¹⁸.

იმავე წლის 27 ნომბერს მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსი საცენზურო კომიტეტს ატყობინებდა, რომ ილია ჭავჭავაძესა და სერგეი მესხს ნება დაერთოთ 1880 წლის 1 იანვრიდან ჟურნალ-„ივერიისა“ და გაზეთ „დროების“ საერთო რედაქციით გამოცემისა¹⁹.

ქართული პრესის განვითარებაში გამოწვეული ამ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ გაზ. „დროება“ 1879 წლის 16 ნომბერს

15 გაზ. „ივერია“, 1878, №№ 43, 43, 45, 47, გვ. 1; გაზ. „დროება“, 1878, № 225, გვ. 1.

16 ჟურნ. „ივერია“, 1879, № 1, გვ. 1; № 2, გვ. 192.

17 ჟურნ. „ივერია“, 1879, № 8—9, ცალკე ბარათი.

18 სესა, ფნ. 5, საქმე, 4764, ფურც. 2. დედანი, ხელით ნაწერი; ა. ი. ვ. ი. ძე, ილია ჭავჭავაძე — დოკუმენტალური მასალები, საისტორიო მოამბე, 3, 1947, გვ. 196.

19 იქვე, გვ. 197.

პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში — „მომავალ 1880 წელს „დროება“-„ივერიის“ გამოცემაზედ“²⁰, იტყობინებოდა:

„მომავალ 1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა და იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოდ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი „ივერია“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

გაზეთის შესაფერ სტატიებს შესახებ შინაურის მიმოხილვისა და პოლიტიკისა, მარტო „დროებაში“ მიეცემა ადგილი ხოლო უფრო ვრცელს სტატიებს რომელსამე განსაკუთრებულს საგანზედ, პოლიტიკისა და შინაურის საქმეების შესახებ, ექნებათ ადგილი ჟურნალს „ივერიაში“. ამის გამო მომავლის წლიდამ ჟურნალი „ივერია“ უფრო იმ გვარს წიგნებს დაემსგავსება, რომელთაც რუსები „სბორნიკს“ ეძახიან, ვიდრე დრო-გამოშვებით გამოცემასა; განსაკუთრებული ყურადღება რედაქციისა იქნება მიქცეული მასზედ, რომ „ივერია“ ადვილი საკითხავი, კარგი გასართობი და თან სასარგებლო წიგნიც იყოს, და ამისათვის უფრო ვრცელი ადგილი ეჭირება რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს როგორც თარგმნილებს, ისე პირდაპირ ჩვენს ენაზე დაწერილებს, და აგრეთვე ძველს ჩვენს მოთხრობებსაც, რომელნიც იმ სახის დაიბეჭდებიან, რომ მერე ცალ-ცალკე წიგნად შეიკრებოდეს.

ამ შეერთებულის შრომისა და ღონის წყალობით, „დროება“-„ივერიის“ რედაქციას იმედი აქვს, რომ შემდეგში თავის მოვალეობას მკითხველთა წინაშე უფრო უკეთ შეასრულებს, რადგან ამ საქმეში ჩვენთა უკეთესთა მწერალთა აღუთქვეს იმას თავისი შემწეობა და თანაგრძნობა“.

განცხადების ბოლოში დართული ცნობების მიხედვით ვგებულობთ გაზეთისა და ჟურნალის ხელმოწერის პირობებს. ხელმოწერა მიიღებოდა თბილისში, „დროების“ რედაქციაში, რომელიც მდებარეობდა სოლოლაკზე. ბადის („სადოვიაის“) ქუჩაზე, შადინოვის სახლში, № 33. ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შეეძლოთ გამოეგზავნათ მოთხოვნილება თბილისში, „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. ხელმოწერის ფასი იყო: „დროება“ და „ივერია“ ერთად წელიწადში 13 მან., 6 თვეს — 7 მან., 4 თვეს — 4 მან.

ცალკე „დროება“ ღირდა წელიწადში 9 მან., 6 თვეს — 5 მან.,

²⁰ „დროება“, 1879, № 237, გვ. 1.

4 თვეს — 3 მან. „ივერია“ წელიწადში — 6 მან., 6 თვეს — 4 მან., 4 თვეს — 2 მან.

ცალკე ნომერი „ღროებისა“ ღირდა 5 კაპ., „ივერიისა“ — 2 მანეთი. სხვა ვადებით ხელმოწერა არ მიიღებოდა. ხვედრი ფული ხელისმომწერლებს ჟურნალ-გაზეთის გამომწერისთანავე უნდა გაეგზავნათ, რედაქციაში.

განცხადებას ხელს აწერდნენ რედაქტორები „ღროება“-„ივერიისა“: თ. ილ. ჭავჭავაძე, სერ. მესხი. გამომცემელი „ღროებისა“ — სტ. მელიქიშვილი, გამომცემელი „ივერიისა“ — თ. ილ. ჭავჭავაძე.

იმ დროის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მნიშვნელოვანი მოვლენის — ორი მოწინავე ორგანოს რედაქციების შეერთების შესახებ, მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სერგეი მესხის წერილი — „ღროებისა“ და „ივერიის“ შეერთებაზე²¹.

ამ მოვლენით კმაყოფილი და გახარებული ს. მესხი 1879 წლის 16 ნოემბერის „ღროებაში“ წერდა: „დღევანდელს ნომერში მკითხველი ნახავს განცხადებას „ღროებისა“ და „ივერიის“ ერთად გამოცემაზედ მომავლის 1880 წლის 1 იანვრიდან.

არ ვიცი — სხვები, ჩვენი მკითხველი საზოგადოება როგორის თვალთ შეხედავს ამ გარემოებას, მოეწონება იმას, თუ არა; მაგრამ თვითონ ჩვენ კი ამ ორი ცალი ცალკე და დამოუკიდებელის გამოცემის შეერთება ერთსა და იმავე დროს სამწუხარო მოვლენათაც მიგვაჩნია და სასიამოვნოთაც.

სამწუხაროდ იმიტომ, რომ ამ ორი გამოცემის შეერთება ყოველ შემთხვევაში იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ არ გვყოლია ჯერ იმდენი მკითხველები, რომელთაც ორი გამოცემის კვება და რჩენა შეეძლოს; არ ყოფილა ჯერ ჩვენში ისეთი ხალისი კითხვისა, ისეთი თანაგრძნობა სამშობლო ლიტერატურისა, რომ ორ გამოცემას მაინც მოეხერხებინა, შესძლებიყო ცალ-ცალკე არსებობა.

...სასიამოვნოდ იმიტომ იგვაჩნია ჩვენ ეს „ღროებისა“ და „ივერიის“ შეერთება, რომ დღეის შემდეგ შეერთებულ რედაქციებს, შეერთებულ შრომასა და ღონისძიებას უფრო რიგიანად შეუძლიათ შეასრულონ მკითხველთა წინაშე თავისი ვალა. დღეის შემდეგ ჩვენ უფრო ადვილად შევიძლებთ ორივე გამოცემის უკეთ წაყვანასა და წარმატებას, რადგან ამ შეერთებით გვემატება როგორც ლიტერატურული ძალღონე, აგრეთვე მატერიალური საშუალება“.

როგორც ჩანს, ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონიათ მათ ერთმანეთში, სანამ ამ შეერთების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ.

²¹ ვახ. „ღროება“, 16 ნოემბერი 1879, ვ. 2—3

„...შეერთება ჩვენთვის ღონე და სარგებლობა იქნება — განაგრძობს ს. მესხი — და ცალ-ცალკე მოღვაწეობა არც თვითონ ჩვენ მოგვცემს ხელსა და არც საზოგადოებას დააკმაყოფილებს ჭეროვნად.

ჩვენ დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ არცერთი ისეთი დედააზრი არ გვაშორებს ჩვენ ერთს-მეორისაგან, რომ შეერთება, ერთად მოღვაწეობა და ერთად მუშაობა არ შეგვეძლოს სამშობლო ლიტერატურისათვის; დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ „დროების“ და „ივერიის“ მიმართულებას შორის არ არის ისეთი შესამჩნევი განსხვავება, რომ ამ ორ გამოცემას უშლიდეს ხელი-ხელში ჩავლებასა და ერთად სვლას საზოგადო მიზნის მისაღწევნელად და შესასრულებლად. დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ ეს ორი გამოცემანი არ შეადგენენ ისეთს განსხვავებულ, ცალ-ცალკე ბანაკებს, რომ ერთისა და იმავე საქმის ძმურად, თანხმობით წაყვანა არ შეეძლოს; დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ ჩვენ ორთავეს ყველაზე უფრო ხშირად პრინციპების დედა-აზრისა და მიმართულების განსხვავება კი არ გვაშორებს ერთმანეთს, არამედ თითქმის მხოლოდ ერთმანეთის გაუგებლობა...“

...დავინახეთ, დავრწმუნდით, და დავსძლიეთ ეს ჩვენი ერთმანეთის განმაშორებელი წვრილბალი დამაბრკოლებელი მიზეზნი, — და შევეერთდით.

... ამ შეერთებაში ჩვენ ვიპოვნეთ ძალა, რომელნიც ღონისძიებას მოგვცემს უფრო საფუძვლიანად, უფრო რიგიანად იმ საქმის წაყვანისას, იმ უღლის გაწევისას. რომელსაც ჩვენ ცალ-ცალკე ვეჭიდებოდით და... ნელის ნაბიჯით მიგვყავდა წინ...

...დაბრკოლება შემდეგშიაც მოგველის, ვარდით არ არის მოფენილი ჩვენი გზა. მაგრამ ჩვენ გვანუგეშებს ის იმედი, რომ ამ დაბრკოლებებს მაშინ უფრო მარჯვედ მოვსპობთ ან შევიმსუბუქებთ და ეკლნარსაც მაშინ უფრო ადვილად გავკაფავთ, როდესაც ჩვენ ერთად, ძმურად ვიმუშავეთ და ამ მუშაობაში მოგვიმართავენ ხელს ჩვენი ნაჰიერი და გამოჩენილი მუშაკ-მწერალნი და სხვა ყველანი, ვისაც კი ახლანდელი ჩვენი ქვეყნის დაზარალებული ბედისათვის გული შესტკივა“.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძემ, სერგეი მესხის „დროების“ რედაქციასთან შეერთებული ძალებით, 1880 წლიდან დაიწყო ჟურნალ „ივერიის“ გამოცემა სამ თვეში ერთხელ. წლის განმავლობაში გამოიცა ჟურნალის ოთხი ნომერი.

ამასთან ერთად, როგორც ვხედავთ, ჟურნალ „ივერიის“ რედაქტორ ილია ჭავჭავაძესთან ერთად, თანარედაქტორად (მეორე რედაქტორად) მუშაობდა სერგეი მესხი, ისევე, როგორც გაზეთ „დროების“ რედაქტორ სერგეი მესხთან ერთად თანარედაქტორად ილია ჭავჭავაძე იყო.

კანკლილი 1880 წლის ბოლოს ჟურნალ „ივერიის“ სამ თვეში ერთ-ხელ გამოცემამ მისი რედაქტორები — ილია ჭავჭავაძე და სერგეი მესხი ველარ დააკმაყოფილა. მუშაობის პერიოდში მიღებული გამოცდილებითა და შესაძლებლობის გათვალისწინების შედეგად, მათ გადაწყვიტეს მომავალ 1881 წლიდან ჟურნალი, სამთვიურის მაგიერ, ყოველთვიურად გამოეცათ იმავე პროგრამითა და სახით, როგორც ეს 1879 წელს იყო დამტკიცებული.

მიღებული გადაწყვეტილების სინამდვილეში განხორციელებისათვის საჭირო იყო კავკასიის საცენზურო კომიტეტის ხელახალი ნებართვა. ამ მიზნით, ილია ჭავჭავაძემ და სერგეი მესხმა 1880 წლის 12 ნოემბერს განცხადებით მიმართეს საცენზურო კომიტეტს და ნებართვა ითხოვეს. ამ თხოვნისა და საცენზურო კომიტეტის იმავე წლის 19 ნოემბრის დასკვნის საფუძველზე, კავკასიის მეფისნაცვლის თანხმობით, ილია ჭავჭავაძესა და სერგეი მესხს ნება დაერთოთ მომავალი — 1811 წლიდან ჟურნალი „ივერია“ ყოველთვიურად გამოეცათ²².

ამიერიდან ჟურნალი „ივერია“ თავისი არსებობის ბოლომდე — 1886 წლის დასაწყისამდე — ვიდრე იგი ყოველდღიურ გაზეთად გარდაიქმნებოდა, მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, ყოველთვიურად, სისტემატურად გამოდიოდა. ადგილი არ ჰქონდა ჟურნალის რომელიმე ნომრის ჩავარდნას, ზოგჯერ იყო შემთხვევები, როცა ორი ნომერი გაერთიანებულად იბეჭდებოდა; მიუხედავად ამისა, ყოველ წელიწადს ჟურნალს 12 ნომერი გამოიცა.

ილია ჭავჭავაძე ჟურნალ „ივერიას“, „დროების“ რედაქციასთან აერთიანებით, სერგეი მესხის თანარედაქტორობით ბეჭდავდა ორი წლის განმავლობაში — 1880—1881 წლებში.

როგორც ოფიციალური დოკუმენტური მასალებიდან²³, ისე ფაქტიური საქიანობის მაუწყებელი წყაროებიდან ჩანს, რომ 1881 წლის ნოემბრიდან ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „დროების“ თავისი სარედაქტორო (მეორე რედაქტორის) უფლება მთლიანად სერგეი მესხს გადასცა. ამ ხნიდან „დროების“ ერთადერთ რედაქტორად ისევ სერგეი მესხია, ხოლო შემდეგ თავის მხრივ, სერგეი მესხმაც ჟურნალ „ივერიის“ თავისი სარედაქტორო (მეორე რედაქტორის) მოვალეობისაგან 1881 წლის დასასრულს თავი გაითავისუფლა.

როგორც საცენზურო კომიტეტის მასალებიდან²⁴ ჩანს, ილია ჭავჭავაძემ ჟურნალ „ივერიის“ თანარედაქტორის თავისუფალ ადგილზე

²² სსსა, ფონ. 5, საქმე 4767, ფურც. 6, დღიანი; იხ. საისტორიო მოამბე, 3, 1917, გვ. 197—198.

²³ იქვე, გვ. 199, 215—216.

²⁴ იქვე.

1882 წლის იანვრიდან ივანე მაჩაბელი მოიწვია. ამრიგად, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ივანე მაჩაბელის თანარედაქტორობით, „ივერია“ იბეჭდებოდა 1883 წლის აპრილამდე; ხოლო იმავე წლის მაისიდან „ივერიის“ ერთადერთი რედაქტორ-გამომცემელი მხოლოდ ილია ჭავჭავაძეა.

ამრიგად, „ივერია“ გამოსვლის დღიდან — 1877 წლის 3 მარტიდან — 1878 წლის 30 ნოემბრამდე, ყოველკვირეული გაზეთია და გამოდიოდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორ-გამომცემლობით.

1879 წელს „ივერია“ ყოველთვიური ჟურნალია ილია ჭავჭავაძის რედაქტორ-გამომცემლობით.

1880 წელს „ივერია“ სამთვიური ჟურნალია ილია ჭავჭავაძისა და სერგეი მესხის რედაქტორობით. გამომცემელი ილია ჭავჭავაძეა.

1881 წლიდან — 1885 წლის ბოლომდე „ივერია“ ყოველთვიური ჟურნალია. გამომცემელი ილია ჭავჭავაძეა.

1881 წელს დაიბეჭდა „ივერიის“ 12 ნომერი ილია ჭავჭავაძისა და სერგეი მესხის რედაქტორობით.

1882 წლის დასაწყისიდან — 1883 წლის აპრილამდე (№ 4) „ივერია“ გამოდიოდა ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის რედაქტორობით.

ამის შემდეგ, 1883 წლის მაისიდან ივანე მაჩაბელი აღარ არის ილიასთან ერთად „ივერიის“ რედაქტორი. როგორც ჩანს, ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ამ დროიდან ივანე მაჩაბელი, სერგეი მესხის ავადმყოფობის გამო, „დროების“ რედაქტორად იწყებს მუშაობას.

1883 წლის „ივერიის“ მაის-ივნისის (№ 5—6) ნომრის რედაქტორობაზე ხელს აწერს მხოლოდ ილია ჭავჭავაძე. ჟურნალის იმავე ნომრის ბოლოში მოთავსებულ შენიშვნაში ნათქვამია: „რედაქცია ვალად პრაცხს გამოაცხადოს, რომ ამ ნომრიდამ დაწყებული ჟურნალის „ივერიის“ რედაქტორად იქნება მხოლოდ ი. ჭავჭავაძე“.

ამრიგად, 1883 წლის მაისიდან — 1885 წლის ბოლომდე, ჟურნალი „ივერია“ გამოდიოდა მხოლოდ ილია ჭავჭავაძის რედაქტორ-გამომცემლობით; ყოველ წელს ჟურნალის 12 ნომერი იბეჭდებოდა.

1879—1885 წლებში ჟურნალის სულ 74 ნომერი გამოვიდა. „ივერია“ იბეჭდებოდა: 1877 წლიდან — 1878 წლის 14 სექტემბრამდე (№ 36-მდე) ექვთიმე ხელაძის სტამბაში; 1878 წლის 22 სექტემბრიდან (№ 37-დან) — 1879 წლის ნოემბრამდე (№ 9—10-მდე) ამბარცუმ ენფიანჯიანცის სტამბაში; 1880 წლის (№ 1-დან) დასაწყისიდან — ბოლომდე (№ 4-მდე) სტეფანე მელიქიშვილის სტამბაში; 1881 წლის დასაწყისიდან — 1885 წლის ბოლომდე ექვთიმე ხელაძის სტამბაში.

როგორც ცნობილია, 1885 წლის სექტემბერს თბილისში ერთადერთი ყოველდღიური ქართული გაზეთი „დროება“ მეფის მთავრო-

ბამ დახურა. ამიერიდან ქართველ საზოგადოებას აღარ გააჩნდა ქართული ყოველდღიური გაზეთი. ამის გამო ილია ჭავჭავაძემ გადაწყვიტა, რომ ამავე წლის 1-ლ ნოემბრიდან აქურნალი „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გარდაექმნა. ცხადია ამ სურვილის განსახორციელებლად საჭირო იყო მთავრობის ზემდგომი ორგანოებისაგან სათანადო ნებართვის აღება.

„ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გამოცემის ნებართვისათვის, ილია ჭავჭავაძემ 1885 წლის 8 ოქტომბერს თხოვნით მიმართა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს:

Его сиятельству Господину главнокомандующему гражданской частью на Кавказе.

Редактора-издателя повременного грузинского издания «Иверия», коллежского регистратора князя Ильи Григорьевича Чавчавадзе

Прошение

С 1-го января 1877 года мне было разрешено издавать в Тифлисе, с одобрения предварительной цензуры, еженедельную газету под названием «Иверия». С 1-го января 1879 года, вследствие нового ходатайства моего, газета «Иверия» была преобразована в ежемесячное издание, при чем название и программа остались прежние. С того времени и по настоящее время «Иверия» издается в виде ежемесячного журнала. Ныне, желая изменить срок выхода его в свет и подписную цену, имею честь почтительнейше просить распоряжении вашего сиятельства об исходатайствовании мне разрешения: во 1-ых, на выпуск в свет означенного издания ежедневно с 1-го ноября 1885 года в формате одного печатного листа и во 2-ых, на увеличение подписной цены, вместо 7 рублей до 10 рублей в год. Программа газеты и прочие условия издания остаются прежние, с добавлением к существующей программе лишь отдела частных объявлений.

Князь Илья Григорьевич Чавчавадзе.
8-го октября 1885 года. Г. Тифлис²⁵.

²⁵ Центральный государственный исторический архив в Ленинграде, ф. 776, оп. 12, д. 64, 1883—1906 г.г., л. 4; დოკუმენტზე მინაწერი: О разрешении еженедельного выпуска газеты «Иверия» и об увеличении подписной платы. რადგან ილიას ეს თხოვნა დღემდე უცნობია, ამიტომ ვაჭვეუნებთ მის ტექსტს მთლიანად.

ილია ჭავჭავაძის ამ თხოვნის გამო მეფის რუსეთის ზემდგომ ბიუროკრატიულ ორგანოებს შორის ორი თვის განმავლობაში გაიმართა დაუსრულებელი მიმოწერა. საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობდნენ: კავკასიის სამოქალაქო ჩაწილის მთავარმართებელი, ბეკდეთ საქმეთა მთავარი სამმართველო, საცენზურო კომიტეტი და შინაგან საქმეთა სამინისტრო²⁶.

²⁶ იქვე, ფონდი 776, ანაწერი 12, საქმე 64; ფურც. 3, 5, 6, 7, 8; — იხ. აგრეთვე, ზემოთ დასახელებული „საისტორიო მოამბე“, 3, 1947, გვ. 221; აღნიშნულ მასალიდან ვაჭვევებთ სამ დოკუმენტს:

4 декабря г. Главноначальствующему гражданской частью на Кавказе.
1885.

№ 4251.

Вследствие отношения от 11 минувшего ноября за № 11046, Гл. упр. по д. печ. имеет честь уведомить ваше сиятельство, что г. Министр внутр. дел разрешает издателю редактору «Иверия» князю Илье Чавчавадзе выпускать это издание ежедневно, назначить подписную цену на них вместо 7 р. десять руб. за год и расширить программу отделом частных объявлений, о чем вместе с сим сообщено Кавказскому ценз. комитету и князю Чавчавадзе.

Нач. Феоктистов. Зав. делопр. чл. сов. Адикаевский.

Центральный государственный исторический архив в Ленинграде, ф. 776, оп. 12, д. 64, 1883—1906 г. л. 6.

შავი. ამ დოკუმენტის დედანი იხ. ა. იოვიძე, ილია ჭავჭავაძე, დოკუმენტალური მასალები, საისტორიო მოამბე, 3, 1947, გვ. 221.

4 декабря Кавказскому ценз. к-ту.

1885 г.

№ 4252.

Издателю редактору ежемесячного журнала на грузинском языке, под названием «Иверия», князю Илье Чавчавадзе разрешено выпускать это издание ежедневно, назначить подписную цену на него, вместо 7 р. десять руб. за год и расширить программу отделом «частные объявления».

Об этом сообщено Кавказскому ценз. к-ту к надлежащему сведению.

Нач. Феоктистов.

Завед. делопр. чл. сов. Адикаевский.

Центральный государственный исторический архив в Ленинграде, ф. 776, оп. 12, д. 64, 1883—1906 г., л. 7.

4 декабря

1885 г.

№ 4253.

Гл. упр. по д. п. сим объявляет издателю редактору выходящего в г. Тифлисе ежемесячного журнала на грузинском языке, под названием «Иверия» князю Илье Григорьевичу Чавчавадзе, что согласно его ходатайству, ему разрешено выпускать это издание ежедневно, назначить подписную цену на него, вместо 7 р. десять руб. за год и расширить программу

ილია ჭავჭავაძის თხოვნაზე მინაწერი რეზოლუციიდან ირკვევა, რომ სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს საცენზურო კომიტეტისაგან მოუთხოვია დასკვნა მათთვის საინტერესო კითხვაზე — ხომ არ იქნებოდა ეს ყოველდღიური „ივერია“ იგივე შენიღბული „დროება“, რომლის გამოცემაც რამდენიმე ხნის წინ აკრძალა. (Об этом спросить заключенные цензурного комитета. не будет ли это замаскированная «Дроэба».)

კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელმა თავის მხრივ „ივერიის“ ყოველდღიურად გამოცემის საკითხის გადასაწყვეტად 1885 წლის 11 ნოემბერს შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართა (№ 11046)²⁷.

отделом «частные объявления», о чем вместе с сим сообщено Кавказскому ценз. комитету.

Гербовый сбор уплачен. Нач. Феоктистов.

Завед. делопр. чл. сов. Адикаевский.

Центральный государственный исторический архив в Ленинграде, ф. 776, оп. 12, д. 64, 1883—1906 г., л. 8.

²⁷ ამ საკითხზე არსებული დოკუმენტები გამოქვეყნებელია; ვაჭვეყნებთ ორ დოკუმენტს:

Главначальствующий гражданскою частию на Кавказе.

Господину Министру внутренних дел

11 ноября 1885 г.

№ 11046.

в Тифлисе.

Препровождая при сем к вашему сиятельству, на зависящее распоряжение, прошение редактора издателя повременного грузинского издания «Иверия», коллежского регистратора князя Илья Чавчавадзе о разрешении ежедневного выпуска «Иверия» и об увеличении подписной платы, имею честь присовокупить, что с моей стороны не встречается препятствий к удовлетворению изложенного ходатайства князя Чавчавадзе.

Генерал-адъютант

За директора канцелярии вице-директор (подп. неразб.).

Центральный государственный исторический архив в Ленинграде, ф. 776, оп. 12, д. 64, 1883—1906 г., л. 3.

М.В.Д.

Главное управление по делам печати.

О разрешении князю Чавчавадзе увеличить подписную цену и срок выхода издания «Иверия».

30 ноября 1885 г.

№ 4177

Издатель-редактор, выходящего в г. Тифлисе, ежемесячного журнала, на грузинском языке, под названием «Иверия», князь Илья Чавчавадзе ходатайствует о разрешении ему выпускать это издание ежедневно, назначить под-

მინისტრმა შესაძლებლად დანახა საკითხი დადებითად გადაეწყვიტა და დადგენილებაც მიიღო. ამ დადგენილების შინაარსის შესახებ 4 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის უფროსი საპასუხო მიმართევებით (№ 4251, 4252, 4253) იტყობინებდა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს, კავკასიის საცენზურო კომიტეტს და ილია ჭავჭავაძეს.

მიმართებებში აღნიშნული იყო, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ილია ჭავჭავაძეს ნებას რთავს ყოველთვიური „ივერია“ გამოსცეს ყოველდღიურად, ამასთან ერთად, დააწესოს წელიწადში ხელმოწერის ფასი 7 მანეთის მაგიერ 10 მანეთი და გააფართოვოს კერძო განცხადებათა განყოფილების პროგრამა.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძეს მიეცა შესაძლებლობა, სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა, ყოველთვიური ჟურნალი „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გამოეცა, არა 1885 წლის 1 ნოემბრიდან, როგორც ეს დავდაპირველად აღნიშნულ თხოვნაში ჰქონდა გამოთქმული, არამედ 1886 წლის 1 იანვრიდან.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური ბრძოლის ბრწყინვალე დროშა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ თავისი გოლიათური მხრებით აზიდა და აღმართა მე-19 საუკუნის საქართველოს 60-იანი წლების კარიბჭეზე, 1877 წლის მარტოდან „ივერიამ“ აიტაცა და წლების მანძილზე ძირს არ დაუხრია, ამჟამად განაგრძობდა ტრიუმფალურ სვლას ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებისათვის.

მძაფრ იდეურ ბრძოლაში გამოწრთობილი ეს დროშა ჟურნალმა „ივერიამ“ მოიტანა 1885 წლის დასასრულამდე, 1886 წლის 1 იანვარს გადასცა ყოველდღიურ გაზეთ „ივერიას“ და გზა დაულოცა მის მიერ შექმნილი დიადი, ბრწყინვალე ტრადიციების გასაგრძელებლად.

писную цену на него, вместо 7 руб. — десять руб. за год и расширить программу отделом «Частные объявления».

Принимая во внимание, что к удовлетворению изложенного ходатайства со стороны главноначальствующего гражданской частью на Кавказе препятствий не встречается, Главное управление по делам печати полагало бы возможным удовлетворить настоящее ходатайство князя Чавчавадзе.

Такое заключение имею честь представить на благоусмотрение вашего сиятельства.

Начальник Главного управления по делам печати

(Подпись неразб.).

Утверждено г. Министр. по докладу 30 ноября.

Центральный государственный исторический архив в Ленинграде, ф. 776, оп. 129, д. 64, 1883—1906 г., л. 5.

შოთა ვაჟაშვიდი

ალექსანდრე ცაბარელი

(კრიტიკული მოღვაწეობა)

ალექსანდრე ცაგარელი ქართული მწერლობის ერთ-ერთი ამაგდარი კრიტიკოსი და დაულალავი მკვლევარია. იგი ახალგაზრდობიდანვე განიმსკვალა ჩვენი ლიტერატურის სიყვარულით. გასული საუკუნის სამოციან წლებში ალ. ცაგარელი უმთავრესად დაინტერესებულია თანამედროვე მწერალთა ლიტერატურით. 1866 და 1867 წლების „დროებაში“ ათავსებს ნარკვევებს სათაურით „ორიოდე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“. უფრო გვიან, მას შემდეგ რაც იგი საზღვარგარეთიდან ჩამოდის (1875 წ.), ალექსანდრე ცაგარელი მთელი მონდომებით იწყებს ძველი ქართული მწერლობის შესწავლას. ამ მიმართულებით მან ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართულ მწერლობას. იმოგზაურა რა საზღვარგარეთ არსებულ ქართული კულტურის საეანეებში, აღწერა ისინი და სამ ტომად გამოსცა მათი აღწერილობა. სტოკჰოლმის ენთოგრაფთა საერთაშორისო კონგრესზე მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთაგან პირველმა გააკეთა ვრცელი მოხსენება ქართული მწერლობის დიდ მნიშვნელობაზე. ამავე კონგრესზე გააცნო მან ევროპის საზოგადოებას გენიალური რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა პეტროგრადში ცნობილ ორიენტალისტთა შორის; მისი მეოხებით ბევრი კარგი საქმე გაკეთდა რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის სფეროში.

1870 წლის „დროებაში“ (№№ 2, 3, 4, 6, 7) გამოქვეყნდა ალექსანდრე ცაგარელის ვრცელი სტატიები სათაურით: „ჩვენი უბედური ნიჟინობა ამ საუკუნეში“, რითაც მან, ქართულ კრიტიკაში პირველმა სცადა XIX საუკუნის მწერლობის ცნობილ წარმომადგენელთა (ალ. ჭავჭავაძე, გ. ერისთავი, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე) შემოქმედების საფუძვლიან და ვრცელ გარჩევას. ამ სტატიების

მნიშვნელობაზე საგანგებოდ მიუთითებდა კიდევ გაზეთის რედაქცია („დროება“, 1870 წ. № 2).

ასი წლის წინ დაწერილ ამ სტატიაში ალექსანდრე ცაგარელმა ძირითადად მართებულად შეაფასა მისი თანამედროვე დიდი მწერლების ლიტერატურული მეკვიდრეობის მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში.

„დროებაში“ დაბეჭდილ კრიტიკულ წერილებს წამძღვარებული აქვს რუსთაველისა და ბარათაშვილის სტრიქონები:

„ვა, სოფელო, რაშიგანხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გვირისა!“.

„არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება...“

რედაქცია შენიშნავდა, რომ ეს სტატია მათ მოუვიდათ მიუხედავად იმისა, თავის თანამშრომლისაგან (ალექსანდრე ცაგარელისაგან—შ. ვ.) რედაქცია არ ეთანხმება ავტორს ზოგიერთი მწერლის შეფასებაში და ზოგ კერძო მოსაზრებაში, მაგრამ მაინც სიამოვნებით ბეჭდავს ამ წერილს, თუნდაც იმიტომაც, რომ ავტორი „პირველად შეეხება ძლიერ საინტერესო, მაგრამ ჯერ გაუხილველ საგნებსა“. შეიძლება ამ სტატიაში საფუძვლიანად ვერ შეაფასოს ზოგიერთი ჩვენი მწერლები და ლიტერატურის ნაწარმოებები, მაგრამ ის მაინც გაკეთდება, რომ აღიძვრება ინტერესი ამ საკითხზე და სხვები უკეთესს სიტყვას იტყვიანო.

მართლაც, ალექსანდრე ცაგარელის აღნიშნული სტატია პირველი და ნამდვილი კრიტიკული წერილია ქართული ლიტერატურის დიდ წარმომადგენლებზე (ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძე და სხვა). გამოიცა ის წიგნი, — აღნიშნავდა ალ. ცაგარელი, ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის“¹ ცალკე წიგნად პირველად დაბეჭდვის გამო, — რომელშიც ქართველი თავით-ფეხებამდინა სჩანს როგორც სარკეში. საუკუნეები რომ გავიდეს და ვისმეს სურდეს ქართველი და იმის ცხოვრება წარმოადგინოს, — მარტო წაიკითხავს ამ წიგნსა და საკმაოაო. ი. ჭავჭავაძე რომ გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე, განაგრძობს რეკენზენტი, საკმაოდ ლანძღეს და აქეს, მაგრამ არცერთმა არ იცოდა რიგიანად ან რისთვისა ფლავდნენ ტალახში ან რათა ღებდნენ თაყვანსა და გუნდრუქს რათ უკმევდნენ... ახლა სისხლმა დაიდულა, სიცხე გამოუნელდათ და გაუგებარი ქებაც და ძაგებაც მოსწყინდათ... თვითონ ჭავჭავაძეც კი ჩრდილს შეეფარა, იმის მიმყოლი გუნდი კი დარჩა პირდაღებულნი, ასე

¹ „კაცია ადამიანი“, მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა, გამოცემული მ. ბეთანიშვილისაგან. პეტერბურგი, სამეცნიერო აკადემიის სტამბა, 1869 წ.

ორწყალშე: — მართო წინამძღოლის წარმოთქმულ სიტყვებს კიდევ იმეორებენ. აფორიზმებათ მოჰყავთ საღმრთო წერილის სიტყვებათ და ამგვარად პოეტის ფართის ქვეშ ამოფარებულნი ეს ახალმოლიებულნი მწერლები, სოკოსავით წვიმის შემდეგ, უხვად აფრქვევენ ცხელ ცრემლსა, თავიანთ ვაგლას მოთხრობებში².

ა. ცაგარელი, ილიას დროის ყველა პოეტსა და მწერალს, თავის-თავსაც, „ილიას ფართს ქვეშ შეფარებულნი“, ილიას მიმდევართ „უწოდებს, რომლებიც მისმა მოძღვარმა (ი. ჭავჭავაძემ — შ. ვ.) „შუაგზაზე მიატოვა“, ისე რომ ვერ მოასწრეს „თავისი პოეზიის ხასიათის“ გამოჩენა“ და „რალაც გამოუჩვენებელ ლიტერატურულ მიმართულებაში“ შეტოპეს. ალ. ცაგარელის თქმით, ილია ჭავჭავაძე 60-იან წლებში მამაცურად მიუძღოდა წინ ამ ახალგაზრდა თაობას, მაგრამ „თავისი უკუდგომით დაამტკიცა ძველი, მაგრამ ყოველთვის ახალი კვშმარობა, რომ „პოეტი თავის ხალხის ნამდვილი შვილია“.

რეცენზენტის აზრით, როგორც ილ. ჭავჭავაძის, ისე მის მოწაფეთა ნაწარმოებებს „ბებიური გულჩვილობა და გულმტკიცუნელობა“ ეტყობა. „ამას ეტყვიან სენტიმენტალურ, ანუ ჩვენ ენაზედ, ასე ეთქვათ „ცინგლიანობით პოეზიას“, რომელიც ყოველ წუთში ქვითინებს“.

მაგრამ „ი. ჭავჭავაძის პოეზიას, მის კილოს, დანიშნულებას, ქართული ლიტერატურის ეხლანდელ მდგომარეობას ვერ გავიგებთ ისე, თუ თვალი არ გადავავლეთ ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობას ამ საუკუნეში, რომელიც ბევრით განირჩევა წინა საუკუნეების ლიტერატურისაგან“. აღსანიშნავია რომ რეცენზენტი, იბოლიტი ტენისა და ლესინგის შეხედულებებზე დაყრდნობით, მათი „ლიტერატურულ ესთეტიკურ თეორიის“ მომარჩევით ცდილობს დაადგინოს ლიტერატურის შეფასებისა და კრიტიკული განხილვის კრიტერიუმში. მისივე გაგებით, ტენი და ლესინგი „უმთავრეს აზრებში“ ერთმანეთის „თანახმანი არიან“. ლიტერატურის ამ ცნობილ თეორეტიკოსებზე დაყრდნობით: ა. ცაგარელი აყალიბებს ლიტერატურის სპეციფიკურ ნიშნებს, რომელთაც დღესაც არ დაუქარგავთ მნიშვნელობა.

„ლიტერატურა უნდა იყოს ნაციონალური: იმ ხალხის სულისა და გულის, აზრისა და გრძნობის, ჩვეულებისა და ადათის... გამომხატველი, რომელმაც ეს ლიტერატურა წარმოშობა... ლიტერატურაში უნდა ჩანდეს ნამდვილი სახე ხალხისა, რომელსაც ეკუთვნის. რამდენადაც თხზულება უფრო ნაციონალურია, იმდენად უფრო დიდი ღირსება აქვს“, როგორც ხელოვნების ნიმუშს.

² „ღრობა“, № 2, 1870 წ.

რეცენზენტის გაგებით, თუ ხელოვნების ნიმუში ნაციონალურია, იგი მაშინ „კოსმოპოლიტიურიცაა“, ანდა პირიქით. ჰომეროსი, დანტე, შექსპირი, გეტე (გოეთე) უდიდესი ნაციონალური პოეტებია, ვინაიდან მათ თხზულებებში გენიალურად გამოჩნდა ბერძენი, იტალიელი ინგლისელი და გერმანელი ხალხები. მაგრამ ისინი ამავე დროს დიდი კოსმოპოლიტებიც არიან, მათ ნაწარმოებში „პირველად მათი სამშობლო ხალხი და მამული ჩანს, ხოლო შემდეგ მთელი ქვეყანა“. „ნაციონალური თვისება არამც თუ არ უშლის კოსმოპოლიტურ თვისებასა, არამედ უიმიხოდ ეს შეუძლებელია“. ნაციონალური ლიტერატურის მეორე ნიშნად ა. ცაგარელს მიაჩნდა ლიტერატურული ნაწარმოებისა და ხალხური შემოქმედების კავშირი. მისი აზრით, „მწიგნობრული ანუ მწერლობითი პოეზია არის მიბაძვა და შევსება ბუნებით ანუ ზეპირ სიტყვაობითი პოეზიისა“. ყოველგვარი „ხელოვნებითი პოეზია, ლირიკა, ეპიკა და დრამა ნამდვილი ნაციონალური იქნება მაშინ, როდესაც საძირკვლად ხალხის ბუნებითი პოეზია ექნება და არ შეთხზავს პოეტი შესხმასა ბულბულების ენისაგან მომზადებულ საკმელზედ, რომელსაც ხალხი სიზმარშიც ვერ ნახავს“ და დრო არა აქვს, ფანტაზიებზე იოცნებოსო.

როგორც ჩანს, ახალგაზრდა კრიტიკოსი ალექსანდრე ცაგარელი, ლიტერატურას და ხელოვნებას პრაქტიკული დანიშნულების თვალსაზრისით აფასებდა, რაც ეპოქის მოთხოვნილებას, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ ვითარებას შეესაბამებოდა. ლიტერატურული ნიმუშების ასეთი შეფასება, მწერლობის ხალხურობის თვალსაზრისით განხილვა, სადაც ეროვნულ და სოციალურ პრობლემათიკათა გაერთიანებასთან გვაქვს საქმე, პროგრესული მოვლენა იყო ამ წლების ქართულ კრიტიკაში. ამით ალ. ცაგარელი ნხარს უმაგრებდა სამოციანი წლების სახელოვან თაობას და მათთან ერთად ხელს უწყობდა რეალისტური ლიტერატურისა და კრიტიკის დამკვიდრებას საქართველოში.

რაც შეეხება ნაწარმოების გარჩევას, აქაც ალ. ცაგარელს თავისი გეგმა აქვს. იგი პირველ რიგში ეხება თხზულების ლიტერატურულ ღირსებას, ენის სიმდიდრეს, გარეგანი ესთეტიკური ფორმის სისრულეს, გრძნობისა და აზრის სიღრმეს და ძალას. ქართულ ლიტერატურის პერიოდებად დაყოფის პირველ ცდას გვაძლევს თავის წერილებში ალ. ცაგარელი. იგი დაწვრილებით მსჯელობს მთავარი პერიოდების „ბელადებზე“ — „დროშის მატარებელ“ მწერლობაზე. ამ თვალსაზრისით მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიას ალ. ცაგარელი ყოფს სამ პერიოდად. პირველი — ალექსანდრე ჰავჭავაძე, ბესარიონ გაბაშვილი და

მისი მსგავსნი; მეორე — გიორგი ერისთავი, ზ. ანტონოვი და სხვა-
შესაძვე — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა.

ალექსანდრე ჭავჭავაძესა და მისი პერიოდის მწერლებს, ალექსან-
დრე ცაგარელი აკუთვნებს ანაკრონულ, ეროტიკულ ლიტერატუ-
რულ სკოლას. ამგვარი პოეზია—ღვინის, ქალის სიტურფის, ყვავილის
ბულბულისა და იადონის ქებათა-ქება აღმოსავლური მრტირია და
ბელათა იყვნენ ჩვენში ასეთი მწერლები. მაგალითისათვის იგი ასახე-
ლებს ბესარიონ გაბაშვილს. ამ პერიოდის ლექსების საგნები „სალხი-
ნო“, შესაქცევარი სიმღერები, ხობა ქალისა და სხვა, ოდნავადაც არ
გამოხატავდნენ იმ პერიოდის ხალხის ბედ-იღბალს. ამ ლექსების კილო
მწიგნობრულია, შედგენილი, შეთხზული და არა „ნამდვილი ხალხის“
სულისა და გულის გამომხატველი. ერთი სიტყვით — დაასკვნის ალ-
ცაგარელი, — ამ დროის პოეტების ნაწარმოებთა ლექსთაწყობა არ
არის ნაციონალური კილოთი დაწერილი, ქართული სული არ უდგას.
„უმეტესი ნაწილი ლექსებისა ფერმკთალი და სუსტი მიბაძვია სპარ-
სული ლექსებისა, როგორც ჰიმნდღერის კილოთი, აგრეთვე ლექსთწყო-
ბის შნოთი და საგნებითაც“.

ქართულ ლექსთწყობაში, — აღნიშნავს კრიტიკოსი, — გავრცე-
ლებული იყო რუსთაველური შაირი, „ჩაზრუნაული“ ანუ „პისტიკაუ-
რი“ და სასულიერო მწერლობაში ხმარობდნენ „რამბიკოსაც“. სხვაგვარ-
ი ლექსთწყობანი — „წყობილი“, „ბაიათი“, „მუხამბაზი“, „თეკლისი“,
„მუხთაზადი“ და „გაფი“ უფრო გვიან დამკვიდრებულა ქართულ ლექ-
სებში. მაგრამ ალ. ჭავჭავაძეს, ქართული „პოეზიის იმ დროის ელჩს“,
„ხელოვნების უმაღლეს სისრულეში“ მოუყვანია მწერლობა... და მწიგ-
ნობრული ენით „საკვირველი ძალით ხატავს აღმოსავლეთის კაცის
მგზნებარე გრძნობათა და ტრფიალების ძალასა“. უნდა აღინიშნოს
ისიც, — განაგრძობს კრიტიკოსი, — „ეს მუდამ „სიყვარულზედ“ და
„სიკეკლუცზე“ მომართული სიმები დასძახიან ყოველთვის უმაღლეს,
უმანკო, ქალწულოვან, ნაზ და კეთილშობილურ კილოზედ“. თავის
დღეში ალ. ჭავჭავაძის და იმ პერიოდის მწერალთა ლექსი „არ დაეშვე-
ბა ცინიზმამდე, იმ მდებალ კილომდე, სადაც პოეზია ანუ ნამდვილი ადა-
მიანური გრძნობა თავდება... ალ. ჭავჭავაძე, როგორც მაღალნიჭიერი
პოეტი შორს არი ამგვარ თაღლითობაზე — მკითხველების წატყუება-
ზე, თვალების აბმაზე. თავისი პოეზიის კილოში და მიმართულებაში,
ის ისეთივე ზნეობიანი, მაღალი და მამაცია, როგორც სხვა გამოჩენი-
ლი მოლექსენი სხვაგვარ პოეზიაში“.

მაგრამ ალ. ჭავჭავაძის ლექსთწყობა, პოეზიის კილო, როგორც
არა ხალხური — რეცენზენტს არ მიაჩნია ქართულ-ნაციონალური ლი-
ტერატურის ნიმუშად, თუმცა, — აღნიშნავს ალ. ცაგარელი, — თა-

ვისგვარად, როგორც მწიგნობრული მწერალი, საკვირველად არის დახელოვნებული. ლექსის ზომა — ძალიან კანონიერია, რითმა — კეთილზმოვანი, სიტყვები — საკვირველის ცოდნითა და ხელოვნებით არიან შერჩეულნი, შეწონილნი გრძნობის სხვადასხვა მდგომარეობათან. მისი ლექსები „საკვირველი ძალით ხატავენ ხან მგზნებარე გრძნობას და მხურვალე გულისთქმათა, ხან ვნებათა ღელვასა; ზოგჯერ ლექსი მოღუღუნებს ტკბილად, როგორც მიჯნურები... ხან გასაოცარი და გულის მიმტაცველი სიკეკლუციტ, სინაზით და სიტურფით, ხან ყვედრებისა, შენდობისა ან მავედრებლის და შებრალების კილოთი: ზოგჯერ მრისხანე, კერპი და შეუპოვარი შემეტუქსეველი მშვენიერი ქართული სიტყვებითა“.

ამ პერიოდის მეღექსეთა მთავარ საგნად ალ. ცაგარელს მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული მიაჩნია. მათი თხზულებანი რომ შეგვიკრიბოთ შეიძლება მეორე „ქალ-ვაჟიანი“ ან მეორე „ვარდ-ბულბულიანი“ დავარქვათო. კრიტიკოსის აზრით, ალ. ჭავჭავაძემ ყური მოიყრუა „მამულის ბედზე“ და სულყველაფერი „გრძნობას“ შესწირა. „მგრძნობელობა სჯობია ყოველ ციფ მოვლენილ ნიჭთაო, გონებასაც და ნებასაც ის ასულდგმულეზსაო“.

მაგრამ კრიტიკოსის თქმით, — „სიყვარულის ძალის“ გამოზატეაც „პოეტური ოსტატობის“ საგანია. ამიტომ, ალ. ცაგარელი მაღალ შეფასებას აძლევს ალექსანდრე ჭავჭავაძის ცალკეულ ლექსებს. მას განსაკუთრებით მოსწონს პოეტის, მართლაცდა უბადლო ლექსი „სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არის, რომ არ მონებდეს“ და სხვ. მაგრამ იგი მაინც არ იფიწყებს პოეტის მთავარ დანიშნულებას და ალ. ჭავჭავაძის პოეზიის მტკივნეულ ადგილზე ამახვილებს ყურადღებას. როგორც ჩანს, ალ. ცაგარელს მხედველობიდან გამორჩა ან შეიძლება მან არც კი იცოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის შესანიშნავი ლექსი „გოგჩის ტბა“, რომელიც პოეტის კრელოს შეფასების გასაღებს იძლევა. ამ ლექსის გაუთვალისწინებლად არ შეიძლებოდა და არ შეიძლება ლაპარაკი ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაზე. ალბათ ამის გამო მოეჩვენა ჩვენს სახელოვან წინაპარს ალ. ჭავჭავაძე „არაქართული ლექსის“ ოსტატად, თუმცა, არც ამ შემთხვევაშია კრიტიკოსი ბოლომდე დარწმუნებული და წინააღმდეგობაში ვარდება თავის თეორიულ მსჯელობებში. მაგალითად, ერთ ადგილას, როცა იგი ალ. ჭავჭავაძის ლექსების ოსტატობაზე ლაპარაკობს, აღნიშნავს: ლექსის ეს ადგილი „მშვენიერის ქართული სიტყვებით“ არიან შემკულნიო. განსაკუთრებით კრიტიკოსი აშუქებს ალ. ჭავჭავაძის ლექსების ერთი ნაწილის შორეულ ნათესაობას სპარსულ ლექსთან და არაფერს ამბობს პოეტის ლექსების ხალხურობაზე, ორიგინალურ ქართულობაზე. ასეთმა ცალმხრივმა მსჯელობამ

აღ. ცაგარელი მიიყვანა იმ ყალბ აზრამდე, თითქოს ალექსანდრე ქვე-
ქავაძეს და მისი დროის ქართველ პოეტებს არ ესმოდათ მამულის ვა-
ლი. მათი „სიმღერა“ თითქოს ისეთივე უადგილო იყო მაშინ, როგორც
„ქორწილში ტირილი და გლოვა“. ძალიან ძნელი დასაჯერია, — გა-
ნაგრძობს კრიტიკოსი, — რომ ხალხს, რომელსაც ბედმა უმუხთლა...
სამიჯნურო ლექსების სიმღერამ უშველოს რამე: ნამდვილ ჭირში კაცს
არა ემღერება რა, — მაგრამ ჭირის სიძნელის და სიმძიმის შესატყუ-
ბად კი ღრმა მგრძნობელი, მაღალნიჭიერი და შორს გამჭვრეტი კაცი
უნდა იყოს. კრიტიკოსის თქმით, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში
„ბედისა და ისტორიის საშინელი სამსჯავროს წინ წარსდგნენ მოუმზა-
დებელი, ქალწულებრივ კილოზე მკენესარე პოეტები“. „ახალი დრო
ზოვიდა, დროის გამოცვლას ახალი სიტყვა სჭირდებოდა“. ასეთ „გა-
ჭირვებულ ეპოქაში“ ხალხის მოვლა-პატრონობა და მისი მკურნალობა
სხვა დროის კაცმა, „ახალი დროის გასაოცარმა“, „საკვირველმა კაც-
მა“, ნიკოლოზ ბარათაშვილმა იკისრაო. „თითქოს ძნელია ქართველი
დაეუძახოთ ამ „რკინისა და ქვის“ კაცსა, ამ სევდის და გლოვის ნისლით
გარემოცულ ადამიანსა; თითონ ეამმა შობა ეს გულჩათუთული კა-
ციო“.

როგორც ვხედავთ, ილია ქვექვაძისა და აკაკი წერეთლის შემდეგ,
მართალი სიტყვა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების გენიალო-
ბაზე პირველმა აღ. ცაგარელმა თქვა თავის წერილებში. ქარ-
თულ კრიტიკულ აზროვნებაში ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა ნ. ბა-
რათაშვილის ნოვატორობაზე, როგორც ახალი ქართული ლიტერატურის
წვეწვრვალზე.

1870 წლის „დროებაში (№ 3) დაბეჭდილ აღ. ცაგარელის წე-
რილის გაგრძელებას, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებთა
გარჩევით იწყება, კვლავ ეზიგრაფად აქვს პოეტის უკვდავი სიტყ-
ვები:

„ღუმილი ფარავს ერთგულთა ძეთა“.

კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს ბარათაშვილის პიროვნებას
და მის პოეზიას. მას მიაჩნია, რომ ბარათაშვილი ერთადერთია ქარ-
თულ ლიტერატურაში, რომელსაც არ გააჩნდა არც წინამორბედები და
არც „მომდევრები“. ბარათაშვილმა „თავისთვის თვითონვე გასჭრა გზა
და იმის სიკვდილის შექმნა იმისი კვალი ისეთივე უვალი მინდორი
შეიქმნა, როგორც ადრე იყო“. ბარათაშვილი იგივეა ჩვენთვის, რაც
ბაირონი ინგლისელებისათვის.

ნ. ბარათაშვილის ლექსებს აღ. ცაგარელი „რკინისა და ფოლადის“
პოეზიის ნიმუშებს უწოდებდა. ამ ლექსების დამწერი არ შეიძლება

უბრალო მოკვდავი იყოს. ბარათაშვილი „ყველაზედ მაღლა დგას, ყველასაგან ერჩევა თავისი გრძნობით, ნიჭით და ხასიათით.—იალბუჯაყით მიუკარებელი, ცივი და მაღალი, შორს გამკვერეტი, ყველა მხარის მხედველი, მუდამ თავ და შუბლ დაბურული, მარად გარემოხვეული გულის მომწყვლელი სევდის ნისლითა, რომლის ტანჯვისა და „განწირული სულისკვეთების“ მოწამენი და თანამოზიარენი მარტო ეს ღრუბლები არიან. — ყველგან განდევნილი, ყველასაგან მოძულეებული და ნამძვირად ყველასაგან გაუგებარი, ჩივის „სულის თბლობაზედ“:

ერთხელ დაობლებული სული
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!
ძნელი არის მარტობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად აწაოეს მას დაქარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!..

ასეთ მდგომარეობაში მყოფი „სულით თბოლი“ პოეტი, — განაგრძობს კრიტიკოსი, — უდაბნოში ეძებს განსვენებას. „კაცთა სიცივით და ბედის ბრუნვით“ გაწამებულ პოეტს ეგონა „წმინდა ლამპარი“ „ციურის სხივით „ნეტარებით აღლესებდა გულს“, მაგრამ ამ ოცნებით და ფანტაზიით მოტყუებული ამბობს: „მაგრამ საწუთრო განა ვისმე დიდხანს ახარებს? გაქრა ტაძარი და უდაბნო ჩუმიად მდუმარებს“³.

ნ. ბარათაშვილმა პოეზია, ცაგარელის თქმით, — სამშობლოს სიყვარულის ღირსია. „ყველა მისი ღირსიკული ლექსები პირველად იმისივე სულისა და გულისღელვას წარმოგვიდგენენ და მერე ყველასას, ვინც იმას ჰგავს“. იმის უიმედობა სასოწარკვეთილობაზედ მიადწევს და ჯოჯობეთის ენით წყევლის „ბოროტ სკლს“, რომელიც წაიტყუებს პოეტს ერთგან ქალის სიყვარულში. მეორეგან სამშობლოს, მამულის სიყვარულში და ყოველთვის ეს ვნებათ მოძრაობა თავისი სისწრაფით და ალის სუსნით იფეთქებს, სხვასაც დასწავს და თვითონაც დაიწვება:

„წყუელნიც იყოს დღე იგი როს შენთ აღთქმათა
ბრმად ეუსხეერპლიდი, მივანდობდი ჩემთ გულის თქმათა“.

კრიტიკოსის გაგებით, სიცოცხლეში ინტერესდაქარგული პოეტი უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდა:

რა ვარ აწ სოფლად დაშთომილი უსაგნოდ, მარტო,
კუთით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მამვრალი.

³ „ღროება“, 1870, № 3.

⁴ იქვე.

„ნერნის“ ანალიზისას კრიტიკოსის მსჯელობაში ჰარშობს რომანტიკული მსოფლგაგების ტენდენცია. ნაკლებად იგრძნობა „მერანის“ რეალისტურ ხასიათში წვდომა. კრიტიკოსს ამ ლექსიდან მაგალითად მოყავს მხოლოდ ისეთი ადგილები, რომლებიც, მისი აზრით, პოეტის პესიმიზმზე მიუთითებენ: „რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა“, „ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა“, „ნუ დავიშარხო ჩემსა მამულში“ და სხვ. ასეთ პოეტურ სტრიქონებზე დაყრდნობით, ალ. ცაგარელი აკეთებს შემდეგ დასკვნას: „თავისმა დიდნიჭოვანმა ბუნებამ მისცა საშუალება გაეგო და ეგრძნო გულის თქმის და ვნებათა დღევის ძალაცა, აგრეთვე უმაღლესი, წმინდა კაცობრიული ლტოლვაც — წარმატების სურვილი, რომელიც წარმოადგინა თავის ხალხის სიყვარულის სახით, — ამოღ ეძებდა ან ერთი, ან მეორე ბუნების ხმა და მიდრეკილება დაეკმაყოფილებინა, ტყუილი ცდა იყო წყურვილი მოეკლა, გარემოებები ხელ-ფეხს უკრავდნენ. ამიტომ დამაშვრალი დარჩა „უსაგნოდ, მარტო“, უაზროთ, უიმედოთ და უმიზნოთ სიცოცხლეში. ამგვარ ადამიანებს ერთ წუთსაც არ შეუძლიათ დაიხმონ წმინდა ბუნების ლტოლვა და უსაგნოთ დარჩნენ სიცოცხლეში, ამიტომ პოეტს სიკვდილის მეტი აღარ დარჩა რა სასურველათ და მართლაც ასეთის გულგრილობით და ჩაგვრით მოიწვია ისა თავის „მერანში“⁵.

როგორც ვხედავთ, ალ. ცაგარელმა „მერანში“ ფინალურ სცენად მხოლოდ სიკვდილის ნიშანი დაინახა, რაც სავსებით ემიჯნება „მერანის“ მეტრძოლი ხასიათის რეალისტურ გაგებას.

მაგრამ ასეთი უკულმართი ცხოვრების გამოსახატავად, განაგრძობს კრიტიკოსი. ნ. ბარათაშვილმა არ მიმართა სატირისა და იუმორის ფორმას ისე, როგორც მის ბედში მყოფმა სხვა დიდმა ადამიანებმა, მაგალითად, პორაციუსმაო.

კრიტიკოსი მიუთითებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაზე გავლენა მოახდინა მისი საუკუნის მსოფლიო ისტორიულმა ამბებმა, საზოგადოებრივ აზრების „დუღილის“ პროცესებმა ევროპაში, როცა ადამიანმა უარყო ღმერთი—აბსოლუტი და ექვის ქვეშ დააყენა ყოფიერება. ამ — „დაუწყნარებლობის, მარად მოძრაობისა და მოქმედების მითი“, „სული იქნეულობისა და უარყოფისა“ გამოიხატა ბაირონის („ლუციფერი“ „ღონ-უჟანა“, „ჩაილდ ჰაროლდი“), გოეთეს („მეფისტოფელი“), პუშკინისა და ლერმონტოვის ქმნილებებში. კრიტიკოსის მტკიცებით, ნ. ბარათაშვილი უდავოდ იცნობდა ამ დიდი პოეტების თხზულებებს და მათი გავლენა ატყვია ყოველ მის პოეტურ სიტყვასო.

⁵ „ღრობა“, 1870, № 3.

ეს შესამჩნევია, აღნიშნავდა იგი, ლექსებში „სულო ბოროტო“ და „ჩემს მერანს“. მაგრამ „ევროპიდან გადმონაბერ უკმაყოფილების ვრძნობაზედ, ზედაც საკუთარი ბუნების მიმართულება დაერთო და ამ მიზეზებმა დაჰბადეს ეს, სავსე დარდით და ნაღვლით, მწარე მოთქმა და ჩივილი და თვით ბოლომდე გლოვის ზარით გარემოცული ადამიანი“.

აღ. ცაგარელის მართებული თქმით, „მარგალიტად წყობილი“ ლექსებით, „პოეზიის კილოთი“, გასაოცარი, დიდი პოეტური თვისებებით, ვერც ერთი პოეტი ვერ შეედრება ბარათაშვილს, გარდა რუსთაველისა. „ქართული ენა... ნ. ბარათაშვილის ლექსებისა დიდათ დახელოვნებული და შემუშავებული არის: — არც სულ ძველი, არც ახალი, არც მწიგნობრულ-ხუცური, არც ტეტაურ-სოფლური, ან ბაზრულ-ქალაქური, ...ლექსთ წყობა მშვენიერია... რითმა გასაკვირველის ხელოვნებით არის გამოთქმული. მარცვლების რიცხვი ლექსში მტკიცეთ არის დაცული, — არა ჰგავს იმ პოეტებს, რომლებიც აკეთებენ, ადგენენ, სთხზავენ და არ მოჩუხჩუხებენ წყაროსავით ჰირდაპირ გულის სიღრმიდან უწყვეტელი განმაცხოველებელი გრძნობა და პოეტური წარმოდგენა“. კრიტიკოსი ზაზს უსვამს ნ. ბარათაშვილის პოეზიის თემათა მრავალფეროვნებას: უბრალო ადამიანურ ყოფიდან დიდ ეროვნულ ტკივილებამდე, მაგრამ ყველგან მის პოეზიას თან სდევდა ფიქრი და მსოფლიო სევდა. იშვიათია მეორე ისეთი პოეტი, რომელსაც შეეძლო ისეთი მოულოდნელი გადასვლები თემიდან თემაზე, თანაც იგი ყველგან ინარჩუნებდა ლექსის ჯადოქარის დიდ ძალას. თითქოს დაუჭვრებელია „სულო ბოროტოს“ და „მერანის“ აეტროს, შეეძლო უბრალო ქალწულის საყურეს ჩრდილს ქვეშ ამოფარება და მასზე უნაზხაი ადამიანური ლექსის თქმა („თვალები“, „მადლი შენს გამჩენს ლამაზო...“, „ჩჩილი“ და სხვ.).

აღექსანდრე ცაგარელის თქმით. — ნ. ბარათაშვილისაგან ჩაგდებული მარცვალი ქართულ ნიადაგში არ მომკვდარა, „ბედი ქართლისამ“ დაბადა ნაციონალური ქართული პოეზია, მთელი ახალი ლიტერატურა, ქართული თეატრი, კომედიები ქართული ცხოვრებიდან და სხვა.

აღ. ცაგარელი ძირითადად სწორად და საფუძვლიანად განმარტავს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ეროვნულ თუ საკაცობრიო მნიშვნელობას. მაგრამ არ შეიძლება ყველაფერში დავეთანხმოთ მას, განსაკუთრებით იმაში, რომ ბარათაშვილს თავისი სიდიადე თითქოს გამოყოფდეს მშობელ ხალხისაგან და გასაკვირი იყოს ისეთი დიდი პოეტის „ქართველთა შორის დაბადება“. განა რუსთაველის ქვეყანა არ მოელოდა მსგავსი რანგის პოეზიის რაინდებს? ბარათაშვილის გამოჩენა ქართულ ლიტერატურაში, ისე როგორც მისი გზის გამგრძელებლებისა

—ილიას, აკაკის, ვაჟას და გალაქტიონისა — ბუნებრივი მოვლენაა. ბარათაშვილი თავისი პოეტური ქმნილებებით ქართული სულის ყველაზე უფრო სანუკვარ სიმებს შეეხო. მეცხრამეტე საუკუნის გარიჟრაჟზე მხოლოდ ბარათაშვილს ხვდა წილად ქართველი ხალხის დაუოკებელი ოცნებებისა და მისწრაფებათა პოეტური ამეტყველება, რისთვისაც ერის მოწინავე ადამიანები, შთაგონებულნი ხალხთა ეროვნული თავისუფლების იდეალებით, მზად იყვნენ ზეცაზე იერაშის მისატანად, ცხრაკლიტულში ჩამწყვდეულ გმირთა გმირის გამოსახსნელად, იაღბუზზე ნიჯაქვეული თავისუფლების მედროზე ამირანის ასაშვებად.

მართებულ საყვედურს გამოთქვამდა ალ. ცაგარელი იმ პირთა მიმართ, რომელთაც თავის დროზე არ იზრუნეს პოეტის ბიოგრაფიის შედგენაზე. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფია კიდევ იმიტომ უფრო „სანატრელია“, აღნიშნავდა სტატიის ავტორი, რომ თვითონ პოეტი „საკვირველი და გამოურკვეველია“. რამდენიც არ უნდა ვთქვათ ამ „საკვირველ არსებაზე“, კიდევ უფრო „ბევრი დაგვრჩა სათქმელი და შესატყობი“, ბიოგრაფია „უფრო ბევრს შესანიშნავს და საკვირველს გამოაჩენს“ ნიკოლოზ ბარათაშვილზეო.

ალექსანდრე ცაგარელს თვითონ „ბევრი რამ შეუტყვია ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან“. მართალია, იგი ამ კრიტიკულ წერილში ბიოგრაფიულ დეტალებს არ ეხება, მაგრამ მის მიერ ბარათაშვილის პიროვნებისა და პოეზიის მართებული გაანალიზება გვაფიქრებინებს, რომ მას ბევრი რამ გაგონილი ჰქონდა პოეტის ცხოვრებაზე. ეს ნათლად ჩანს ალ. ცაგარელის შემდეგი სიტყვებიდანაც: ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფია „საუბედუროთ არა გვაქვს და იქნება ბევრმა წყალმა ჩაიაროს მინამ ველირებით“. ნ. ბარათაშვილი „ყოფილა დიდაა ნიჭიერი კაცი, ბუნებისაგან ღრმა ჰქუაგონებით შემკული, რომელიც კაცს ყოველთვის ძალას ატანს დააკვირდეს თავის თავს და გარშემო საზოგადოებას, თავის სამშობლო მამულს და ხალხს; შეადაროს იმისი ავი თუ კარგი სხვა ხალხებისას, გამოჩხრიკოს შიზეზები“.

კრიტიკოსი დად გულისტკივილს გამოთქვამს ნიკოლოზ ბარათაშვილის დაკარგვის გამო. ბარათაშვილის სიკვდილით „ქართველმა ხალხმა დაპყარგა თავის საუკეთესო და მარადის დაუვიწყარი შვილი“. ბარათაშვილი და მისი მსგავსნი „ასე ცუდდებრალოდ“ „გარეპოებისაგან გაფუჭებული“ იღუპებიან ამ უბედურ დროშიო. ასეთი ადამიანები, აღნიშნავდა ალ. ცაგარელი, არიან „მარჩილი სოფლისა“ და მხოლოდ ასეთი გმირები „აზავებენ ჩვენს მწარე და ვაგლახ ცხოვრებასა“. ასე მთავრდება ასი წლის წინათ დაწერილი კრიტიკული გამოკვლევა დიდ ქართველ პოეტზე.

ქართული ლიტერატურის პერიოდებად დაყოფის ალ. ცაგარელი-სეული სქემით, გ. ერისთავი მეორე პერიოდის მწერლობას განეკუთვნება. ამ პერიოდის ლიტერატურის დროშის მატარებელი და ბელადიც გ. ერისთავია და ამიტომ „დროების“ ამ ნომერში დაბეჭდილი სტატია გიორგი ერისთავის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება.

კრიტიკოსის აზრით, გ. ერისთავი არ არის პირველი რანგის პოეტი და ლიტერატორი, როგორც რუსთაველი და ნ. ბარათაშვილი. მაგრამ მეორე რანგის მწერლებს შორის გ. ერისთავი პირველთაგანიაო. მისი პოეზიის, დრამატული შემოქმედების კილოს, მიმართულებას დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ ლიტერატურაში მის თანამედროვე მწერლებზე. ალ. ცაგარელის აზრით, გავლენის მხრივ გ. ერისთავს ის ადვილი აქვს ქართულ ლიტერატურაში, რაც პუშკინს რუსეთში. კრიტიკოსი აღნიშნავდა იმასაც, რომ გ. ერისთავის შემოქმედების ნიმუშებს, ხელოვნებისა და ესთეტიკური კანონების მიხედვით, არ აქვს სიძლიერე და სუსტნიც არიან. მაგრამ მისი „გაყრა“ ნამდვილი „ნაციონალური კომედიიაა“. ამით იგი „შესანიშნავი და უკვდავია ქართულ ლიტერატურაში“.

გ. ერისთავის მიმდევრად და ნიჭიერ მოღვაწედ ალ. ცაგარელმა დასახა ზურაბ ანტონოვი, რომელიც მართლაც იყო გ. ერისთავის კომედიების უბადლო შემსრულებელი და ფეხდაფეხ მიმდევარი თავის მოძღვრისა. ალ. ცაგარელი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ზ. ანტონოვის როგორც კომედიები, ისე ლექსები განიცდიდა მისი მასწავლებლის დიდ გავლენას. კრიტიკოსის აზრით, ამ ორმა მწერალმა საკვირველი სიცხადით გამოხატეს თავისი დროის დრამა წყლული, რაც ახალი ცხოვრების დამკვიდრების შედეგად ხდებოდა საზოგადოებაში; რომ მათ შეამჩნიეს ის დამახასიათებელი ნიშანთვისება საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებისა, როცა ისტორიის მიერ დასაღუპად განწირული თავადაზნაურობა ცხოვრების ძველი ფორმების დაცვით ცდილობს შეინარჩუნოს თავისი დიდება. მაგრამ არა ნაკლებ კომიკურია ახალი კლასის წარმომადგენელთა „პოლოსებ“-„კარაპეტების“ ბედი, რომლებსაც მიუხედავად სიმდიდრისა, ვერ მოუძებნიათ კუთვნილი ადგილი ცხოვრებაში და თავიანთი შვილების „გააზნაურებით“ ცდილობენ ხელისუფლების მაღალ საფეხურზე ასვლას. ალ. ცაგარელის მართებულ თქმით, ასეთი ყოფის აღწერით „წარმოსდგა ის სასაცილო და შესაბრალო, სატირული სიცოცხლით და სინამდვილით, სიცოცხლის ქეშმარიტებით სავსე კომედიები და სურათები, რომლებიც ჩვენი საზოგადოების იმ დროის ცხოვრებას წარმოგვიდგენენ და ეს წარსული დროის საზოგადოების ზნეობის სახეები საუკუნოდ დარჩნენ“ ორი მწერლის—გ. ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის მოღვაწეობითა და შრომით.

ამის შემდეგ ალ. ცაგარელი ჩამოთვლის მიზეზებს — თუ რატომ უჭირავს გ. ერისთავს „შესანიშნავი მაღალი ადგილი“ ქართულ ლიტერატურაში და „რითი დაავალა ამ პოეტმა ჩვენი ხალხი“:

ალ. ცაგარელის თქმით, გ. ერისთავისაგან „იწყებს ჩვენი ნაციონალური ლიტერატურა დასაბამსა“. მან შემოიტანა კომედიებისა და დრამების ენარი, რაც ახალი ნაბიჯი იყო ქართულ მწერლობაში ხალხის განათლებისათვის.

გიორგი ერისთავმა „საქართველოს კუქის — გორის საზოგადოების“ — ქართულ ენაზე დაყრდნობით, ქართულ მწერლობაში შემოიტანა „მშვენიერი ნამდვილი ქართული სალიტერატურო ენა“. თითქმის ერთნაირი გახდა „წიგნისა“ და „ლაპარაკის“ (ლიტერატურისა და ხალხის — შ. ვ.) ენა. თუმცა, აღნიშნავდა ალ. ცაგარელი, გ. ერისთავის ენა არ ჩამოსულა ქართლის დაბალ სამეტყველო „ტეტეების“ ენამდეო.

გიორგი ერისთავი არის ქართული თეატრის დამაარსებელი. მისგან არის დაარსებული პირველი ქართული თურნალი „ცისკარი“.

დიდი ნიჭის და მონდომების, დაუღალავი ენერჯის და უბაღლო შემოქმედებითი გაქანების კაცს შეეძლო ამდენი საქმის ასე მოკლე დროში მოგვარება. მისმა შთამომავალმა კი მის მიერ დაარსებული თეატრიც დაეკარგეთ და დღესაც ვერ გაგვიახლებიაო — წერდა ალ. ცაგარელი „დროებაში“ 1870 წ.

ალექსანდრე ცაგარელმა 1870 წელს „დროებაში“ დაბეჭდილ სტატიაში პირველმა ქართულ მწერლობაში კრიტიკულად განიხილა მისი დიდი თანამედროვეს, ჩვენი ერის სინდისის — ილია ჭავჭავაძის შემოქმედება. კრიტიკოსი მართებულად განიხილავდა ი. ჭავჭავაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ალ. ცაგარელის კრიტიკული ალლო შენიშნავდა ილია ჭავჭავაძეში ერის ბელადს, დიდ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, რომელსაც, მისი თქმით „უღლის გამწევი არ ჰყავდა“, რომ ილიამ გააგრძელოს ნ. ბარათაშვილის გზა, შექმნა ახალი ლიტერატურა და გზა გაუკაფა მომავალ მწერლობას.

კრიტიკოსმა სწორად გამოიცნო ახალგაზრდა ილიას სამშობლოს სიყვარულისათვის ანთებული გული, რომელიც თითქოს მარტო იყო და ტოლს ეძებდა თავისი აზრების გასაზიარებლად. ალ. ცაგარელს მოჰყავს ამ დებულების დამამტკიცებელი ციტატი 1861 წელს დაწერილ ილიას ცნობილ ლექსიდან.

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზე, ამდენ ხალხში კაცი არ არის,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გვეუზიარო!“

ილია ჭავჭავაძის პოეტური ნიჭის სიძლიერეზე, პირველად ალექსანდრე ცაგარელმა აუწყა ქართველ მკითხველს. მან პირველმა აღწერა, რომ „ი. ჭავჭავაძეები მართო იბადებთან“ და მან მართლაც ტოლი არა ყავს ჩვენს მწერლობაშიო.

ნიშანდობლივია, რომ ალ. ცაგარელი, ი. ჭავჭავაძის სწორედ იმ ლექსს („გაზაფხული“) აქებს, რომელიც „მამებმა“ 60-იან წლებში ილიას პოეზიის დასამცირებლად გამოიჭანეს. უთუოდ, ამ აზრის გასაბათილებლად ალ. ცაგარელი ვრცლად ჩერდება ი. ჭავჭავაძის ამ ლექსის სტრიქონებზე და მოყავს ადგილები:

ტყეს ესმება ფოთოლი,
აგერ მერცხალიც კვივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

აყვავებულა მღელო,
აყვავებულა მთები;
მაჟღელო, საყვარელო.
შენ როსლა აყვავდები!

ეს ლექსი, — აღნიშნავს ალ. ცაგარელი, — „თავის მარტივი გამოთქმით, გრძნობისა და ჰაზრის სიღრმით, თავისუფალ მომდინარეობით, ზმნისა და სახელი არსებობის სიმდიდრით, რომლებიც საგნებსა და იმათ მოქმედებას გამოხატავენ, აგრეთვე რითმის კეთილმოდინებითა — ნაპდვილი სახალხო ნაციონალური ლექსის მაგალითი არის და ამ უმაღლესი ღირსებით და თვისებით ეს ლექსი ღირსია ჰენინს კალმისა“. მიზი აზრით, ეს ლექსი არის „ნამდვილად სრული ხელოვნური ნიმუში ქვეშარტი პოეზიისა, სადაც გარეგანი სახე, ფორმა, შინაგან ღირსების ღრმა გრძნობასთან და ჰაზრთან შეწონილნი არიან“.

ალ. ცაგარელი ხაზს უსვამს ი. ჭავჭავაძის ნიჭის მრავალმხრიობას, რომ პოეტი მოვლენებს, საგანს დაჰყურებს ყოველმხრივ. კრიტიკოსის მითითებით, იგი დიდი გრძნობით წერდა ლექსებს მძინარე ქალზე, მთვარეზე, მაგრამ არ იფიქრებდა დიდად საკაცობრიო ჭეშანურ საგნებზე წერას — „მუშა“, „გუთნის დედა“, „ნანა“ და სხვანი.

ილიას პოეზიაში ალ. ცაგარელი გამოყოფს ორი კატეგორიის ლექსებს—პატრიოტულსა და „კოსმოპოლიტურს“ და აღნიშნავს, რომ ესენი არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ილია ჭავჭავაძე იმდენად მაღალნიჭიერ შემოქმედად მიაჩნდა ალ. ცაგარელს, რომ რა თემაზეც არ უნდა ეწერა მას და რა ხასიათის ლექსი არ უნდა შეეძინა, ისინი ყოველთვის კეთილმოზილური, მაღალპოეტურია და მასში ვერ აღმოაჩენ დაბალ, ცინიკური ხასიათის ტენდენციებათ.

აღ. ცაგარელი გაბედულად მიუთითებდა მის თანამედროვე მწერალთა ნაკლოვანებებზე. „თუ მიცვალებულთ შენდობის მეტი აღარა ვაწყობათ რა, ცოცხლებს კი უნდა ანგარიში მოვთხოვოთ თავიანთ მოქმედებაზე“. ამ მიმართებით იგი ცდილობდა თავისი აზრი გამოეთქვა ქართულა მწერლობის იმ წარმომადგენელთა შესახებ, რომლებიც სათავეში ედგნენ ეროვნულ ლიტერატურას. კრიტიკოსი გულისტკივილთ აღნიშნავს ი. ჭავჭავაძის „გასვლას“ მწერლობიდან (იგულისხმება ილიას დროებითი სამსახური დუშეთში და მისი მართლაც „პაუზა“ ჩვენს მწერლობაში 70-იან წლებში). ილიას რაზმი, — აღნიშნავს ალ. ცაგარელი, — რომლის ბელადი და მედროშე იგი იყო — უხელმძღვანელოდ დარჩა. მის ფრთებსშეფარებული პატარა მწერლები, უბედურად დავრჩითო.

ალ. ცაგარელმა მოგვცა ილიას ნაწარმოებთა კრიტიკაც. ალ. ცაგარელს ილიას სამწერლო შოლვაწეობაში ერთ-ერთ ნაკლად მიაჩნია: „ენისა და ლექს-წყობის შეუძლებლობა“, „ცოტა გრძნობის ქონება ზოგ ლექსში და ბევრი მსჯელობის ჩაჩრა“, ნაციონალური კილოს უქონლობა, პოეტის შეუფერებელი — „ხალხთან არშიყოფა, გაკიღვისა და ცრახვის შიში“.

მისი აზრით, ილიას ლექსების და შოთხრობების კილო და აზრი რუსული ენიდან ნათარგმნსა გავს. ილია განიცდიდა რუსული ენისა და კულტურის დიდ გავლენას და მართლაც ზოგან შეიძლება აქვს კიდევ რუსული ენის კილო და წინადადებათა წყობა, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ილია თვითონვე შენიშნავდა ამ ფაქტსაც და იმასაც აღნიშნავდა, რომ ეს ნასესხობა რუსულისა და სხვა ერების კულტურისა მექანიკური კი არ იყო, არამედ ორგანულად გადამუშავებული.

ალ. ცაგარელი უსაყვედურებდა ილია ჭავჭავაძეს „ფილოსოფიურ განსჯას“, „ქადაგებას“, რომ პოეტი ცდილობს თავის ნაწარმოებებში „რაც შეიძლება ბევრი ჰაზრი და კაცთმოყვარეობითი (ფილანტროპიული) გრძნობა ჩასტიოს“. როგორც ჩანს, ყოველივე ეს არ ეგუება ალ. ცაგარელს „ნაღვილი“ პოეზიის გაგებას ცნებას, რაც იპოლიტე ტენის მეთოდოლოგიური სტეჟიდან აქვს აღებული. კრიტიკოსის აზრით, „პირველი და უმთავრესი, განსაკუთრებითი სფერო პოეზიისა არის „გრძნობა“, ანუ უკეთ „მგრძნობელობა“ და პოეტი პირველად და უმეტესად გამოპოკვეველი ან აღმწერია რომელიმე საგნისა, ან მოქმედებისა და მოვლენებისა და მერე მაჯელი. თუ კი თავის დანიშნულება პოეზიამ კარგად აპარულა, ღრმად და მტკიცედ გამოსთქვა გრძნობა, მაშინ საკუთარი ცდა აღარ უნდა მწერალს“⁶. „საზოგადოდ ხელოვნების (პოეზიის,

⁶ „დროება“, 1870 წ. № 6.

მეზიკის, მხატვრობის, გამოქანდაკების, ან ჩუქურთმის) ვალი და დანიშნულებაა უმეტესად გრძნობა გამოხატოს... სელოვნება პირველად გრძნობასა და გულს ეტანება, მერე ტვინსა და თავსა“. ალ. ცაგარელი აქვე მსჯელობს მეცნიერებისა და ხელოვნების განსხვავებაზე. მისი აზრით, მხოლოდ ზუსტი, „მშრალი“ მეცნიერება (მათემატიკა, ასტრონომია, სტატისტიკა და სხვ.) მოითხოვს შჯელობას და აქ უპირველესად ქუთა-გონება მღშობს. მეცნიერება პირველად ტვინსა და თავზედ მოქმედებს, მერე, გულზედ, ხოლო ხელოვნება ჯერ გრძნობასა და გულს ეტანება, მერე კი ტვინსო. ასეთი მექანიკური დაყოფის შედეგად გრძნობის პოეტად მას გენიალური შექსპირი მიაჩნია, ხოლო მეორე რიგის ხელოვნად, როცა შეპოქმედი ქუთა-გონებას ატანს ძალასა და არა გრძნობას — იგი ლესინგს ასახელებს. „ლესინგის ჩვეულება იყო, — წერდა ალ. ცაგარელი, — როდესაც ძველი ან ახალი დროების პაზრი მოეწონებოდა, გამოახვევდა ამ აზრს პოეზიის სამოსელში (ხშირად დრამათ) და გაავრცელებდა ხალხში; მაგრამ ეს პოეტური სამოსელი თხელი გახლდათ ხოლმე, ყოველ სიტყვაში ავტორის სურვილი ჩანდა, რომ მკითხველები დააჯეროს თავის აზრზედ, ბადეში გასაბმელათ. რაღაც ტიკინების არიფანასა თაჰაშობდა, რომ უკეთესად მოეტყვილებინა. ერთი სიტყვით, კარგად ვერა მალავდა თავის სურვილს... როგორც ქეშმარიტ პოეტის ქმნილებას უნდა ჰქონდესო“. ამ დებულების დასამტკიცებლად იგი ასახელებს ლესინგის „ნათანელ ბრძენს“, სადაც მხოლოდ „ზნეობათი სწავლა“, „მსჯელობა“ და ფილოსოფიური აზრის ქადაგებაა ქრისტიანიზმზე და არა ნამდვილი პოეზიაო.

ლესინგის მსგავს ფილოსოფიური აზრისა და ქადაგების პოეტად კრიტიკოსს მიაჩნია ქართულ პოეზიაში ი. ჭავჭავაძე. „ასეთი პოეტური გრძნობის, მარტივი და უბრალო წარმოდგენის უქონლობისაგან მოხდება ხოლმე ისა, რომ ხშირად ი. ჭავჭავაძე იძულებულია თვითონვე ატაროს ხელით (როგორც კოკინაზედ მიყულებული ყმაწვილი) თავისი მოქმედი პირები და მუჟამ ჩასჩურჩულებდეს, რა უნდა თქვან, რომ ყმაწვილები ქუთით დიდებათ იჩვენენ და არ აცლის თავიანთი ბუნებით, პაზრისა და გრძნობის შესაფერად რას იტყოდნენ“. მისი აზრით, ასეთია ილიას „მუშა“. „გუთნის დედა“ და სხვ.

ყველაზე დიდი და შესანიშნავი, რაც კი ილ. ჭავჭავაძეს დაუწერია, — აღნიშნავს კრიტიკოსი, — არის „კაცია აღამიანი“. ამ პატარა თხზულებით პოეტმა შიგ ქართველის ცხოვრების გულში ჩაიხედა და გამოხატა ისე ცხადათ ის ფულურო, ფუყი და დამპალი გულმუცელი, რომელსაც თუ ცხოველი იმედის, სასოების და მხნეობის უკვდავი ცვარივით არ ეპყურა, სხვა საკურნებელი წამალი აღარა აქვს რა და უკა-

ნასკნელ განწირულებაშია, თუმცა პოეტი სასოწარკვეთილებას და იმედ მიხდილობას არასოდეს არ ეძლევაო.

ალ. ცაგარელის აზრით, ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანს“ ეტყობა გოგოლის კილო და მისი „მკვდარი სულების“ გავლენაო.

მწერალი თვითონ გონებით „ათამაშებს“ „კაცია ადამიანის“ მოქმედ პირებს და არა გრძნობითაო. მისი აზრით, — „ნაკლულოვანება ი. ჭავჭავაძის პოეზიისა არის ნაციონალური, ნამდვილი ქართული ხალხის ფერისა და კილოს უქონლობა, ანუ ცოტას ქონა“. ალ. ცაგარელის აზრით, — „ნამდვილი ჭეშმარიტი ნაციონალური კილო ყველა ჩვენს პოეტებსა და საზოგადოთ, ლიტერატურას აკლია“. — მაგრამ რაც აღწინდელ პოეტებს ეპატიება, იგი არ ეპატიებათ და შეენდობათ ჩვენი დროების პოეტებსო. ეხლა ყველამ ვიცათ, რომ ნამდვილი ლიტერატურა ნაციონალური უნდა იყოს, უამისოდ ლიტერატურა, ლიტერატურა არ არის. ალ. ცაგარელს მწერლის დიდ დამაჯერებელ მიაჩნია ხალხური პოეზიის ნიმუშების ორგანული გამოყენება, — მაგალითად მოყავს პომეროანის „ილიადა და ოდისეა“ და დანტეს „ღვთაებრივი კომედია“.

ალექსანდრე ცაგარელს არ მოსწონს ი. ჭავჭავაძის განდგომა 70-იან წლებში და გულისტკივილით აღნიშნავს — თათქარიძეობა გეჩევეია ქართველებს და თუ ცოტა რამეს მივაღწიეთ, საქმე დამთავრებული გვგონიაო.

ილიას სიტყვები, „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს“, ყალბად აქვს გაგებული ალ. ცაგარელს. მას ჰგონია, რომ სხვა ვარსკვლავის დევნა ილიას სხვა უცხო ძალებთან აახლოებდა. სჯობია ილიამ ყურადღება მიაქციოს ქართველი ხალხის წარსულ ცხოვრების სურათებს და ჩვენი ისტორია გააცოცხლოსო, — ამ კუთხით იგი მაღალ შეფასებას აძლევდა გ. რჩეულიშვილის ისტორიულ რომანს „თამარ ბატონიშვილს“.

ალ. ცაგარელი მოქმედების პროგრამას უსახავს თანამედროვე მწერლობას. „აქამდე ბატონყმობა და მისგან გამოწვეული ჩაგვრა იყო საგანი ხელოვნებისა, ახლა კი როცა ეს საგანი გადაწყდა, ჩვენმა მელექსეებმა ხალხის წარსულ დროს უნდა მივმართონ... ვინც წარსულით და აწყოთი კარგათ ისარგებლებს, ის აუცილებლად უმზადებს ბედნიერ მომავალს თავის ხალხსა“.

იგი ურჩევს ი. ჭავჭავაძეს არ დააგდოს ის დიდი საქმე, რომელიც მან წამოიწყო. არ უღალატოს თავის „მოძრაობას“ და „მოქმედებას“, რომელიც მანვე დააყენა ერის წინაშე და ვერ დაასრულაო.

ამავე სტატიიში იგი ეხება აკაკი წერეთლის „ნიკიერ, ადვილ სას-
მენელ“ ლექსებსაც, რომლებიც ახლო მისდევს ილ. ჭავჭავაძეს და ზო-
გიერთი ლექსის ღირსებით კიდევ ჯობნის ილიას ლექსებსო („სიმღე-
რა მკის დროს“, „მუშური“). მაგრამ იგი აკაკის ლექსებს მაინც უსაყვე-
დურებს აზრისა და გრძნობის სიღარიბეს. არ ეტყობა გულწრფელობა,
თითქოს ეთამაშება თავის ლექსს და მკითხველსაო. მის სატირულ
ლექსებში, თითქოს მელნის მაგივრად მღვრიე წყალი იყოს ნახმარი,
აპიტომ მისი ზოგიერთი სატირული ლექსი კაცს აცინებს და არ ატირებ-
სო — და სხვ.

ამ პერიოდის „დროებაში“ დაბეჭდილ ლექსთაგან იგი ღირსად ხდის
დაასახელოს ფ ა ზ ე ლ ი ა — მამია გუბრიელის „შოშია“. ამ ლექსის
ავტორი სიზარმაცეს არ უნდა მიეცეს და ახალი ნიმუშებით უნდა გა-
ამდიდროს ჩვენი მწერლობაო.

ალექსანდრე ცაგარელი თავისი დროის სახელმწიფო მემკ-
ნიერი და საზოგადო მოღვაწეა. იგი დაუზარებლად სწავლობდა ქარ-
თული მწერლობისა და მატერიალური კულტურის უძველეს ძეგლებს.
ამ მიზნით 1883 წელს იმოგზაურა პალესტინაში. აღწერა ათონისა
და ჰინას მთის მონასტრებში ჩვენ სახელოვან წინაპართა მიერ შემონა-
ხული უნიკალური ხელნაწერები. ბევრს მუშაობდა რუსთაველის მემკ-
ვიდროებაზე.

1873 წელს ა. ცაგარელი წერდა: „ქართული ლიტერატურის ისტო-
რიის მასალების დამუშავება ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ გა-
კეთდეს მეცნიერული ღირებულების მსგავსი მიმოხილვა ქართული
ლიტერატურისა, თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან ისტორიული მნიშვ-
ნელობის ძეგლები არ გარჩეულა კრიტიკულად, არ არის მითითებულნი
ავტორი, დრო, დაწერის ადგილი და სხვ.“⁷

მართლაც, ამ წლებში ქართული კულტურის მნიშვნელოვანი
ძეგლები გაბნეული იყო ეკლესია-მონასტრებში, კერძო პირების საგვა-
რეულო ბიბლიოთეკებში და სიგელ-გუჯართა შორის. ხოლო ამ საუნჯის
უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთის ქართულ სავანეებში ინახებოდა.
ამას ყველაფერს ესაჭიროებოდა აღწერა, დამუშავება, დაბეჭდვა. მეც-
რამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მკირერიცხოვან ქართველ ინტელი-
გენციას ხვდა წილად ამ მძიმე და მეტად საპატიო სამუშაოს შესრულე-
ბა. ალექსანდრე ცაგარელი ეწევა ნაყოფიერ მუშაობას ძველი ქართუ-
ლი ძეგლების შესწავლისათვის. ამ მიზნით 1883 წლის თებერვალში იგი
მიემგზავრება სინას უდაბნოში, საიდანაც გადადის პალესტინაში, ხოლო

⁷ А. Цагарели, О Грамматической литературе грузинского языка, СПб, 1873, стр. XI.

შენდეგ ათონში. ამ ქვეყნების ქართულ მონასტრებში დაცულ არაბულ, ჯერძნულ, სირიულ, სომხურ და სხვა ხელნაწერთა შორის აღ. ცაგარელი გადაციცებით დაეძებდა თავის წინაპართა ფერფლწაყრილ ქართულ მატრიანებს.

ქართული საზოგადოებრიობა დიდად იყო დაინტერესებული ალექსანდრე ცაგარელის საზღვარგარეთ მოგზაურობით და იქ დაცული ძველი ხელნაწერების ბედით. 1884 წლის 12 იანვრის გაზეთი „დროება“ ბუქდავს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ალექსანდრე ცაგარელმა მოხსენება გააკეთა პეტერბურგის „პალესტინის საზოგადოების“ სხდომაზე — სინასა და პალესტინაში მოგზაურობის შედეგად ჩატარებული მუშაობის შესახებო. მალე „დროება“ აქვეყნებს ამ მოხსენების მოკლე შინაარსსაც.

1884 წლის 8 მარტის „დროება“ იტყობინებოდა, რომ ჩვენი ქართველი მამულიშვილი ალექსანდრე ცაგარელი მალე გამოსცემს თავის მოგზაურობას ცალკე წიგნადო. როგორც ჩანს, აღ. ცაგარელი ბევრს მუშაობდა ამ წიგნზე. ქართველი საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენდა ამ შრომისადმი. 1886 წლის 18 იანვარს გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს პალესტინის საზოგადოების სხდომაზე წაკითხული მოხსენების ვრცელ შინაარსს: „უნდა მოვავნოთ პატივცემულ პროფესორს, — შენიშნავდა გაზეთი. — რომ ორი წელია მას აქეთ, რაც ის დაბრუნდა პალესტინიდან და თუ აქამომდე ვერ შეძლო დაებოლოვებინა თავისი შრომა, საზოგადო ინტერესი მოითხოვდა ნაწილ-ნაწილ მაინც გადმოეცა ჩვეი მწერლობისათვის შეძენილა უმთავრესი ფაქტები“. 1886 – 87 წლების „ივერიაში“ დაიბეჭდა ამ მოხსენების სრული თარგმანი, ხოლო 1888 წელს რუსულად გამოქვეყნდა აღნიშნული ნაშრომი. ამავე წლის 29 დეკემბერს „ივერია“ კვლავ აცნობებდა მკითხველებს, რომ რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოვიდა აღ. ცაგარელის შრომა: «Памятник грузинской старины в св. Земле и на Синае».

გარდა ამისა, აღ. ცაგარელმა საგანგებოდ შეისწავლა საქართველოში, რუსეთში და საზღვარგარეთის სხვა ადგილებში დაცული ძველი ქართულ მწერლობის ნიმუშები, დაამუშავა ისინი და გამოაქვეყნა რუსულ ენაზე წიგნები სამ ნაწილად, ასეთი საერთო სახელწოდებით: «Сведения о памятниках грузинской письменности», რომლის პირველი ნაწილი (თონის ივერიის მონასტრის ქართულ ძეგლთა კატალოგები) დაიბეჭდა 1886 წელს. მეორე ნაწილი «Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае» — 1888 წელს, ხოლო მესამე ნაწილი „სვედენიისა“ დაიბეჭდა 1895 წელს, რომელშიც სხვათა შორის შევიდა პალესტინის ქართულ ჯვრის მონასტერში დაცული ხელნაწერების აღწერილობაც.

ქართველი ხალხის მოწინავე შვილები, საქართველოში, რუსეთში, თუ საზღვარგარეთ მყოფნი, დიდი პატრიოტული შემართებით იბრძოდნენ ქართული უძველესი კულტურის პოპულარიზაციისათვის. გრძობდნენ რა თავის პოტენციურ ძალას, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა რუსეთსა და ევროპას გაეგო სიმართლე მრავალსაუკუნოვანი ქართული დამწერლობისა და კულტურის ღირსებაზე, ობიექტურად შეეფასებინათ დიდი კულტურული მემკვიდრეობის მქონე, უძველესი ტრადიციების მატარებელი ქართველი ერი. აი, რასაწერდა 1883 წლის „დროება“ (№ 220) ამის თაობაზე: „ეხლა ასეთი დროა, რომ კაცმა თუ თავის გამოჩენისათვის არ იზრუნა, თავის თავი უნდა დამარხულად ჩასთვალოს; თუ გვინდა, რომ ევროპამ ჩვენზედ სწეროს, ჯერ ჩვენ უნდა შეგვისწავლოს ან შევასწავლოთ ჩვენი თავი, რომ აწინდელის პროგრესის ასპარეზზედ პატარა ალაგი ჩვენც დაგვიტომონ. თორემ ჩვენზე განსაკუთრებით ჩრდილოეთისაკენ (რუსეთისაკენ — შ. ვ.) სრულებით არაფერი იციან. თბილისი სომხეთის სატახტო ქალაქი ჰგონიათ, ეჩმიაზინი თბილისის მახლობლად. ქართული სახელმძღვანელოები — სომხურ სახელმძღვანელოებათ ეჩვენებათ. ზოგი კათედრიდან თავხედათ სირეგვენს გვწამებს — ქართველებს მიწის მუშაობა თბილისის გერმანელ კოლონისტებმა ასწავლესო“.

მართლაც, 80-იანი წლები რუსეთის იმპერიაში ხასიათდებოდა კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებით. ალექსანდრე მესამის კარზე შექმნილი ულტრარეაქციული ჯგუფი გრაფინია უვაროვას ხელმძღვანელობით მსაგანგებო დავალებებს იძლეოდა ქართული ნაციონალური კულტურის ძეგლების მოსპობისა და ხალხთა გარუსებისათვის. ამ პერიოდს განეკუთვნება მცხეთის სვეტიცხოვლის ფრესკების ჩამოფხეკის და მისი თეთრად შეღებვის ბარბაროსული მოქმედება.

ალ. ცაგარელის შრომებმა, ძველი ქართული მწერლობის რუსულ ენაზე დაბეჭდვამ, დიდი გამოხმაურება კპოვა არა მარტო რუსეთში, არამედ მსოფლიოს მოწინავე მეცნიერთა წრეებში. სინას მთის ქართული ძეგლების აღწერილობის შესახებ ვრცელ რეცენზიას ვკითხულობთ ინგლისის აკადემიის ჟურნალში, რომელიც 1889 წელს გადმობეჭდა „ივერიაში“ (№ 129): ალ. ცაგარელი დამაჯერებლად აღწერს „საინტერესო ამბებს იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობაა საქართველოსა და პალესტინას შორის. ეს ამბავი იწყება იმ დროიდან, როდესაც პირველი ეკლესია ააშენეს ქართველებმა პალესტინაში... მეცნიერ პროფესორს ჩაუერთავს სრული კატალოგი ძვირფას ნაშთთა, რომელნიც კი მოიპოვებიან იერუსალიმის მონასტერში: რამდენიმე თავი „დაბადებისა“, ბერების ნაწერები, ცხოვრება წმინდა მამათა, ლოცვის წიგნები, რომელნიც დაწერილ არიან მეშვიდე საუკუნეში, ბევრი ამ ნაწერთაგანი დასურათე-

ბულიც არის საუცხოვოდ. ეს წიგნები შეუწირავთ ძველს მეფეებსა და დედოფლებს საქართველოსას. ისინი აშკარად ჰმოწმობენ, რომ ამ შესანიშნავს ხალხს ჰქონია ძველის-ძველ დროში საკუთარი ცივილიზაცია და. წინააღმდეგ თავის ბედის სიმწვავისა, გაუმაგრებია და შეუნახავს. იაფი. საკვირველის სისუფთავით დაუცავს თავისი ეროვნული ფერი, განსაკუთრებული თვისებანი ქართველის ჯიშისა“. დასასრულ სტატიის ავტორი მორჯილი შენიშნავს: „ჩვენ შეგვიძლია გამოვაცხადოთ იმედი, რომ პროფესორ ცაგარელის მეცადინეობა — უკეთესად გააცნოს თავისი ქვეყანა ევროპას, არ ჩაივლის უნაყოფოდ“.

აღ. ცაგარელი დიდ ყურადღებას აქცევდა „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე გამოცემას. ამის შესახებ 1889 წელს საგანგებოდ ყოფილა ლაპარაკი პეტერბურგის ორიენტალისტთა წრეში. გარდა ამისა ქართულ საზოგადოებას გრიგოლ დადიანის მეშვეობით წერილობით მიუპარტავს ვორონცოვისათვის, რომელსაც შუამდგომლობა აღუძრავს რუსეთის იმპერიის განათლების მინისტრ დენიალოვთან. განათლების სამინისტროს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაშთან დაკავშირებული საქირო. მასალების მოგროვება პროფესორ ცაგარელისათვის დაუვალებია. ქართველი მოღვაწე მეტად გაუხარებია ამ სასიამოვნო წამოწყებას. მოხსენებით ბარათში იგი აღწერს გენიალური შოთა რუსთაველის პოემის თარგმნის სირთულეს, „ვეფხისტყაოსნის“ საკაცობრიო მნიშვნელობას და მხოლოდ უნივერსალური კაცი მიაჩნია მის მთარგმნელად. ასეთ კაცად მას დაუსახელებია ილია ქავკაძე, რომელმაც, მისი თქმით, ერთნაირად კარგად იცოდა რუსულიც და ქართულიც, მას მიაჩნდა, რომ პოემა უნდა თარგმნილიყო თეთრ ლექსად. ნათარგმნი მასალის საბოლოო შესწორებას თვითონ კისრულობდა პრელონსკიტან ერთად.

სხვადასხვა მიზეზების გამო ეს კარგი წამოწყება ჩაიშალა.

აღექსანდრე ცაგარელმა „ვეფხისტყაოსანი“ პირადად გააცნო დასავლეთ ევროპის საზოგადოებას. ქართველთა შორის წერაკითხვის გაზავრცელებელმა საზოგადოებამ ა. ცაგარელს ორიენტალისტთა VIII კონგრესზე წარსადგენად გაატანა საგანგებოდ გამოცემული და დასურათებული „ვეფხისტყაოსანის“ ერთი ეგზემპლარი.

სტოკჰოლმში გამართულ კონგრესზე სიტყვით გამოვიდა ჩვენი სახელოვანი მამულიაშვილი, რომელმაც საზოგადოებას გააცნო ათონზე, სინასა და პალესტინაში შემონახული უნიკალური ქართული ხელნაწერების აღწერილობანი. მანვე კრებას წაუდგინა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი და საგანგებოდ შეჩერდა მასზე. კონგრესის „საპატიო თავმჯდომარედ, — წერდა ქუჩრნალი „თეატრი“ (1889 წ. 26. IX. № 19), — შვეციის და ნორვეგიის მეფე ოსკარ მეორე ბრძანდებოდა... პროფესორ აღექსანდრე ცაგარელის ხელით ჩვენმა „წერაკითხვის საზოგადოებამ“

გაუგზავნა მეცნიერთა კრების გვირგვინოსან თავმჯდომარეს მდიდრულად დაბეჭდილი სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“, რაც მათ ძლიერ მოსწონებიათ. ერთ იქაურ პროფესორს გაჰკვირვებოდა კიდევ, რომ თბილისში ასე კარგად დაუბეჭდიათო ეგ წიგნი. ა. ცაგარელს წიგნი მიუერთმევია ოსკარ მეფისათვის, მეფესაც ძლიერ მოსწონებია და მთელი ოცი წუთის განმავლობაში უსინჯავს. როცა დაუთვალა იერებია ამ წიგნის ბორენის მიერ ფრანგულად დაწერილი შინაარსი, მეფეს უბრძანებია: „საკვირველია, სოლოჰონის „ქება-ქებათასა“, ჰგავსო. მეფეს წიგნი თავის ბიბლიოთეკაში გაუგზავნია“.

აღ. ცაგარელის ცნობები პალესტინაში მოგზაურობის დროს შეკრებილი — არ იყო სრული. ამას განაპირობებდა მუშაობის ხასიათი. მონასტრის ხელმძღვანელთ გადაპალული ჰქონდათ ძვირფასეულობა და როგორც ირკვევა ყველაფერი არ უჩვენებიათ ა. ცაგარელისათვის. ამას ადასტურებს „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილი, რომელიც ათონიდან გამოუგზავნია იქაურ ქართველ მოღვაწე ბენედიქტეს. იგი წერდა: „ის უძველესი წიგნები, რომლებიც მოუვლელობისაგან გაფუჭებული არიან და ცალკე იყვნენ, არ უჩვენეს მას, არ უჩვენეს აგრეთვე სხ. დასხ. ზედწარწერილები, ოქრო ვერცხლის ნივთები და სხვანი, ჩემის თვალთ 1868 წელს ნახული“⁸.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში წარმოებულ დიდ მუშაობას უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ქართული კულტურის გამომხეურებისათვის მთელ ამ ეროვნულ ღონისძიებას ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე. სწორედ ამ წლებში დაიბეჭდა „ივერიაში“ ილიას ცნობილი წერილი „ათონის ქართულ საჯანის შესახებ“. ილია აღნიშნავდა, რომ „ჟამთა სიავის გამო 1706 წელს იერუსალიმის ქართული ეკლესიები ბერძნებს ნებაყოფილებით გადავბარეთ და პირობა მოგვცეს, შესაფერი ჟამის დროს დაგვიბრუნებდნენ ქართველი ხალხის ოფლით შექმნილ ტაძრებს. ახლა — განაგრძობს ილია 1886 წელს, — როცა საქართველო ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს მფარველობაშია და ქართველთ შეგვიძლია ჩვენი ეკლესია მონასტრების მოვლა-პატრონობა, ბერძნულმა ეკლესიამ უნდა დაგვიბრუნოს ჩვენი წმინდა საჯანუები“. ქართული კულტურისა და მწერლობის საკითხებზე მუშაობისას ახლო ურთიერთობა დამყარდა ი. ჭავჭავაძესა და აღ. ცაგარელს შორის. 1891 წელს, როცა პეტერბურგში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მოღვაწე დ. ჩუბინიშვილი, ილიამ საგანგებო დეპეშა გაუგზავნა აღ. ცაგარელს, რათა „ივერიის“ და „წერა-კითხვის გამავრცელებელი

⁸ „დროება“, 1883, 7 სექტემბერი.

საზოგადოების“ სახელით ღირსეულად შეემკოთ დ. ჩუბინიშვილის ცხედარი.

თავის მხრივ, ალ. ცაგარელი ილიას კვლავ დიდ მოღვაწედ, ერის ხელმძღვანელად აცხადებდა. ალ. ცაგარელის კალამს ეკუთვნის 1893 წელს გამოცემულ ბროკაუზის ენციკლოპედიაში წერილი ქართულ ლიტერატურაზე. აქ ილია დახასიათებულია როგორც დიდი მოაზროვნე, პირველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე საქართველოში.

ალ. ცაგარელმა დიდი როლი შეასრულა რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის განვითარებაშიც.

ეს პატარა წერილი ვერ იძლევა ჩვენი სახელოვანი წინაპარის ალ. ცაგარელის მოღვაწეობის მთლიან სურათს, მაგრამ ქართული ლიტერატურისმცოდნეობის მიერ ჯეროვნად შეუფასებელი მისი ღვაწლის შესახებ მცირედის თქმაც, გახსენება იქნება, რათა მასზე შემდგომში მონოგრაფიული შრომა დაიწეროს.

მანანა კაპაბადო

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია და ევროპული
რომანტიზმი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ
კრიტიკაში

საყოველთაოდ აღიარებულია დღეს, რომ ბარათაშვილის პოეზიით ქართულმა რომანტიზმმა მიაღწია ჩვენში ყველაზე მაღალ და სრულყოფილ მწვერვალს, რომ იგი, ბარათაშვილი, კლასიკური წარმომადგენელია რომანტიზმისა საქართველოში. ქართული პოეზია და ქართული რომანტიზმი იძენს საყოველთაო მნიშვნელობას და ეზიარება. ზოგადსაკაცობრიო დიდ იდეალებს ახალ ეპოქაში ბარათაშვილის შემწეობით. იგი ახალი ქართული ლიტერატურის ყველაზე დიდი ფიგურაა, რომელმაც განსაზღვრა ჩვენი ლიტერატურის განვითარება და ხასიათი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეებისა და მწერლების აზრით, საკვირველი მოვლენაა ბარათაშვილის პოეზიის, ამ დიდი რეზონანსის და ამაღლებული იდეალების მქონე პოეზიის წარმოშობა იმ დაცემულობისა და დაკნინების პერიოდში, რომელიც ბარათაშვილის ირგვლივ სუფევდა. კიტა აბაშიძე, რომელიც აღიარებს საერთოდ ლიტერატურის, და ქართულისა კერძოდ, კანონზომიერ განვითარებას, ამავე დროს წერს, ნიკოლოზ ბარათაშვილის მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში მაგალითია იმისა, რომ ბუნებაში ხდება უმიზეზო, აუხსნელი ფაქტები¹.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება მართლაც დიდ წარმატებებს აღწევს, იწყება ეროვნული მოძრაობის მკვეთრი აღორძინება, საქართველო იწყებს აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, იქმნება ორგანიზებული ეროვნული დაწესებულებები, არსდება ჟურნალ-გაზეთები, იბეჭდება წიგნები, იხსნება ახალი სკოლები, კლუბები, არსდება თეატრი, მოდიან ახალი მოღვაწეები, მწერლები, პოეტები, მთელი დასი

¹ კ. ა. ა. შ. ი. ძ. ე, ეტიუდები, ტ. I, 1962, გვ. 60.

აქტიური, განათლებული, ნიუიერი ახალგაზრდობისა და მათ აოცებთ თავიანთი დიდი წინაპარის მოვლინება იმ მძიმე დროს, თანაუგრძობენ მის მწარე ბედს და მისი პოეზია მისაბაძად და შთაგონების წყაროდ დაუსახავთ.

ნიკოლოზ ბარათაშვილს ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა უდავოდ მძიმე ვითარებაში მოუხდა. მაგრამ სწორედ საუკუნის პირველი ნახევარი იყო, რომელმაც იგი წარმოშვა, და მასთან ერთად ისეთი დიდი პოეტური სახელები, როგორც არის ალ. ჰავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ისეთი დიდი ეროვნული მოღვაწე, როგორც ს. დოდაშვილია, ისეთი წარმტაცი, პოეტური ქალთა სახეები, როგორცაა მაიკო ორბელიანი, ნინო და ეკატერინე ჰავჭავაძეები. შეიქმნა პოეზია, რომელიც თავისი მნიშვნელობით წინამორბედი იმისა, რაც შექმნეს საუკუნის მეორე ნახევარში, უკეთესა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში და აქტიური ეროვნული მოძრაობის ვითარებაში შემდგომმა დასებმა. ამ მოვლენის მიწერა შეუძლებელია მხოლოდ შემთხვევითობისათვის. სრულიადაც არა აქვს ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებას სტიქიური, შემთხვევითი ხასიათი.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ბარათაშვილის გვერდით მართლაც იყო მრავალი საინტერესო პიროვნება, პოეტი, მშვენიერ ქალთა საზოგადოება და სხვ., ვითარება, რაც პოეტის ირგვლივ სუფევდა, იყო უღიმღამო. უაღრესად მძიმე და დაბალი დონის, შედარებით მასთან, რაც დიდი პოეტის ტალანტის საასპარეზოდ იყო საჭირო.

არცერთ ქვეყანაში, სადაც რომანტიზმმა მოიკლა ფეხი და წარმოშვა ძლიერი ხმის პოეტები, არ იყო ისეთი დათრგუნული, უღიმღამო საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც საქართველოში იმ დროს. მაგრამ საქართველოში მაინც ჩამოყალიბდა ლიტერატურაში რომანტიკული მიმართულება და წარმოიშვა დიდი, საერთაშორისო ხმის პოეტი. ამ მოვლენას ეროვნული საფუძველი ჰქონდა, სწორედ ეროვნული საფუძველი იყო ჩვენში რომანტიზმის წარმოშობის მიზეზი. ქართული ეროვნული კულტურა, მისი ისტორია, ზეპირსიტყვიერება, ქართული ლიტერატურისა და მწერლობის ტრადიციები (არა აღმოსავლურ-სპარსული სტილი და მიმართულება ლიტერატურაში, არამედ სასულიერო-ფილოსოფიური პოეზია და გოდების თემისადმი ინტერესი) ქმნიდა შესანიშნავ წინაპირობას საქართველოში რომანტიზმის წარმოშობისათვის. ამიტომაც მიიღო ასე ორგანულად რომანტიზმი და საკუთარ, ეროვნულ საფუძვლებზე წარმოშვა დიდი, საერთაშორისო მნიშვნელობის პოეზია.

რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, არის ევროპული მოვლენა. საქართველო, მე-19 საუკუნეში რომანტიზმის იდეათა ზიარებით, გახდა ევროპული პროგრესული კულტურის მონაწილე,

იგი განდა მონაწილე იმ ახალი იდეალების და კაცობრიობის ახალი სულიერი სწრაფვის, რამაც მოიცილა იმ პერიოდში შაელი პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობა, ევროპულად ცივილიზებული საშუარო, მათ შორის, რუსეთი. მე-19 საუკუნეში საქართველოს ლიტერატურა და სულიერი კულტურა ევროპეიზმის ნიადაგზე მტკიცედ დგება და საბოლოოდ ემიჯნება აღმოსავლურ-სპარსულ ლიტერატურულ ტრადიციებს, რომელიც ამ ეპოქაში უკვე ნიადაგამოცლილ და ფაქტურად ფუნქციონალურად მოვლენად გადაიქცა.

ბარათაშვილის ევროპულ ლიტერატურასთან, ევროპულ რომანტიზმთან ურთიერთობაზე მიუთითებენ უკვე ბარათაშვილის პირველი კრიტიკოსები, თუმცა ისინი ჯერ კიდევ არ ხმარობენ ტერმინს „რომანტიზმი“. ისინი ლაპარაკობენ იმ საერთოზე, რაც ბარათაშვილს ახალი ევროპული პოეზიის წარმომადგენლებთან გააჩნია, კერძოდ, ლერმონტოვთან, ბაირონთან და სხვ., განიხილავენ იმ პერიოდის ევროპული პოეზიის ახალ მიმართულებას, ახასიათებენ მას და უდარებენ ბარათაშვილის პოეზიას.

უკვე 1859 წელს, როცა ბარათაშვილის სახელი მხოლოდ მეორე-ახსენეს ლიტერატურულ კრიტიკაში, იგი განაკუთვნეს ბაირონის სკოლის, ლერმონტოვისებურ პოეტთა რიცხვს. ეს კრიტიკოსი იყო ნიკოლოზ ბერძნიშვილი. გაზ. „კავკაზში“. წინა წლის „ცისკარის“ ნომრების ანალიზისას, იგი შეეხო ბარათაშვილის პოეზიას, განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა პოემას „ბედი ქართლისა“ და ბარათაშვილის შემოქმედების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად მიიჩნია იგი. «...Дарование его носило на себе печать того разочарования и недовольства, той безотрадной меланхолии, которая отличают поэзию Лермонтова и других последователей байроновской школы»².

„ჩვენს ლერმონტოვს“ უწოდებს კირილე ლორთქიფანიძე ბარათაშვილს 1862 წ. „ცისკარში“ გამოქვეყნებულ პოლემიკურ წერილში³, სადაც „ცისკარის“ მიმართულებას აკრიტიკებს.

ლერმონტოვის პოეზიასთან ნათესაობაზე მიუთითებს, აგრეთვე, ანტონ ფურცელაძე, 1864 წ. „ლიტერატურნი ლისტოკში“ გამოქვეყნე-

² პირველად ბარათაშვილის სახელი ლიტ. კრიტიკაში პოეტის სიყრმის მეგობარმა მ. თუმანიშვილმა მოიხსენია, 1852 წელს, გაზ. „კავკაზში“ (№ 10—11), ქართული თეატრის შექმნასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილში. ეს მოხსენიება გაცივრითი ხასიათისაა, მაგრამ იმ ერთადერთ ფრაზაშიც, რომელიც აქ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი, მისი პოეზია, რუსთაველის, გრ. ორბელიანისა და ალ. კავკაჟაძის პოეზიასთან ერთად, ახალი ქართული ლიტერატურის გეზის მიმდევარად მიჩნეული.

³ Н. Бердзенов, Грузинская литература, „Кавказ“, 1857, № 43.

⁴ თ ე რ გ დ ა ლ ე უ ლ ი, ორიოდ სიტყვა „ცისკარზე“, 1862, № 9, გვ. 52—59.

ბულ თავის წერილში, რომელიც ი. ქავჭავაძის „კაცია-აღამიანი-სადშია“ მიქლენაღი. ბარათაშვილით, — წერს იგი, — ცხოვრებას ლერმონტოვის, თავისი თანამედროვის მსგავსად უცქერისო. ხოლო სხვაგან ბარათაშვილს „ჩვენს ბაირონს“ უწოდებს⁶. „დროების“ ფურცლებზე 1867 წ., თავისივე მოთხრობის, „სამის თავგადასავლის“ რეცენზიაში იგი წერს — „სეიჰონის გვართ პირთა კარგად იციან თავი ბოლო, — როგორც იწინასწარმეტყველა თავისი ბოლო ჩვენი მ ბ ა ი რ ო ნ შ ა ნიკოლოზ ბარათაშვილია“.

ვრცელ პოლემიკურ წერილში „საწყალი კუდაბზიკა“⁷ — ნ. ნიკოლაძესთან პაექრობისას, ანტ. ფურცელაძე აღნიშნავს: „ახალი მიმართულება და აზრები“ ჩვენში ილია ქავჭავაძემ კი არა, ბარათაშვილმა და გრ. ორბელიანმა შემოიტანაო, განსაკუთრებით პირველმა, რომელიცო „ბედი ქართლისაში“ დასტირის თავის საშობლოს ბედს, „ლაპარაკობს და ჰქადაგებს იმგვარ აზრთა, რომელიც მაშინ თვით რუსის მწერლობაშიაც არ ისმოდა“, და მოჰყავს მსაჯულის პატრიოტული სიტყვები და მოსახრებანი მეფის წინაშე წარმოთქმული, როგორც თავისი თვალსაზრისის დასაბუთება, და შემდეგ წერს „მერანზე“: — „აგრეთვე რა იყო „მერანი“ ბარათაშვილისა, თუ არ ცხოველი ბრძოლა და ქადაგება ახალის აზრებისა და ახალის ცხოვრებისათვის“⁸.

1865 წლის „ცისკარის“ № 7-ში ქვეყნდება ღვიშელის ფსევდონიმით წერილი, „ჩვენი დროის მწერლები“. იგი დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიას აკრიტიკებს, შემდეგ ადარებს ძველსა და ახალ მწერლობას, „ჩუენი ბარათაშვილი გენიით ჩუენი რუსთაველის ძმააო“, ამბობს, მიმოიხილავს ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის ლექსებს და დაასკვნის, ესენი პუშკინსა და ლერმონტოვზე მალლა დგანანო: „ამ სამს პოეტებთაგანზედ კი ვიტყვი, რომ არა თუ ქართულ ლიტერატურაშიდ, რუსული ლიტერატურის პოეტებზედაც კი მალლა დგას გენიით. ვიტყვი თამამად: პუშკინიც და ლერმონტოვიც შორს მოიტოვა“⁹.

ამავე წლის „ცისკარის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა კიდევ ორი საინტერესო და მნიშვნელოვანი წერილი ბარათაშვილზე. ეს იყო ალექსან-

5 ანტ. ფურცელაძე, „Литературный листок“, 1854, № 3.

6 შოენიძე ზურაბ, შეუსრულებელი სურათი, „დროება“, 1867, № 35.

7 ანტ. ფურცელაძე, საწყალი კუდაბზიკა, „მნათობი“, № 10, 11, 12, გვ. 38—39.

8 უნდა აღინიშნოს, რომ ა. ფურცელაძემ, როცა იგი პირველად შეეხო ბარათაშვილის პოეზიას (1863 წ., „ცისკარი“, № 3), როგორც „საქართველოს მოამბის“ მკაცრი თავდამსხმელი, ბარათაშვილიც არ დაინდო, და ამ უურუნალში დაბეჭდილი მისი ლექსები „შემოღამება მთაწინდაზედ“ და „მალღი შენს გამჩენს...“, განსაკუთრებით პირველი, საკმაოდ სკეპტიკურად მოიხსენია.

9 „ცისკარი“, 1865, № 7, გვ. 81.

დრე ორბელიანის „ზოგიერთი შეშინევა“¹⁰, და მეორე, აკაკი წერეთლის „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“¹¹.

პეტერბურგში მყოფი 60-იანელი ქართველი სტუდენტები, შექმდე-
ში „თერგდალეულების“ სახელით ცნობილი, იყვნენ აღფრთოვანე-
ბულნი და შთაგონებულნი ბარათაშვილის პოეზიით. მათ ერთგვარად
„აღმოაჩინეს“ ბარათაშვილი, აღმოაჩინეს იმ აზრით, რომ მიანიჭეს ბა-
რათაშვილის პოეზიას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა, მი-
იღეს მისი იდეები და დაინახეს მის პოეზიაში დიდი შემოქმედებითი
კავშირი თავიანთ დროსთან.

ქართულ პრესაში ბარათაშვილის სახელი მეორედ მოიხსენია ილია
ჭავჭავაძემ¹². ეს მოხდა 1861 წელს „ცისკარის“¹³ ფურცლებზე, როცა
ილიამ რევაზ ერისთავისეული კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანი გა-
აკრიტიკა. ილია ჭავჭავაძე ამ წერილში არაერთგან იმოწმებს ბარათა-
შვილის ლექსებს, როგორც ქართული პოეტური ხელოვნების ნიმუშს,
მისაბაძსა და ამოსავალს.

1864 წელს პეტერბურგში კ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით გა-
მოდის ლიტერატურული აღმანახი „ჩანგური“. ახალგაზრდა ქართველ-
მა სტუდენტებმა აღმანახში შეიტანეს მათთვის უკვე დიდად საყვარე-
ლი, მისაბაძი პოეტის, ბარათაშვილის ლექსები. აკაკი წერეთლის წერი-
ლი „ჩანგურის“ შესახებ განსაკუთრებით საგულისხმოა იმით, რომ იგი
წარმოადგენს აზრს სამოციანელთა ახალგაზრდა, პროგრესული თაობი-
სა, რომელმაც იგრძნო ბარათაშვილის დიდი მნიშვნელობა და პოვა მო-
რალური დასაყრდენი ამ განსაკუთრებული, ახალი ხმის პოეტში. სა-
მოციანელებმა იგრძნეს, რომ ბარათაშვილია ის პოეტი, რომლის ხმას
მათთვის უნდა დიდი გზა ეჩვენებინა, გამხდარიყო ამოსავალი ახალი ქარ-
თული პოეზიისათვის.

აკაკი წერეთელი თავის წერილში მიუთითებს, რომ ბარათაშვილია
ის პოეტი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე თავისი ხმით, მისწრაფებებით
უნდა გვერდით ამოუყუენოთ. აკაკიმ დაინახა, რომ ილია ჭავჭავაძე და
მასთან მთელი მომავალი 60-იანი წლების ახალი მწერლობა, აზროვნება,
განახლებული ქართული სული იყო შემკვიდრე ნ. ბარათაშვილისა, რომ
ბარათაშვილთან ერთად ი. ჭავჭავაძე იყო ამ ახლის „პირველი“ მოცი-
ქული, რომ ახალ ეპოქაში სწორი და პროგრესული ხაზი იყო სწორედ

¹⁰ „ცისკარი“, 1965, № 8.

¹¹ „ცისკარი“, 1865, № 9.

¹² ქართულ პრესაში პირველად ლ. არღაზიანი მოიხსენიებს ბარათაშვილს,
(ერთობ გაკვრით), 1859 წ. „ცისკარის“ № 9-ში.

¹³ ი. ჭავჭავაძე, რამდენიმე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის
მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა, „ცისკარი“, 1861, № 4.

ბარათაშვილის ეროვნული და საკაცობრიო ნოვატორული პოეზიის განცდა. მის ტკივილებზე მალალი, პოეტური ხმით გამოპასუხება, რომ სწორედ ბარათაშვილის ხაზის გაგრძელება იდენტურად, იყო პროგრესული მოვლენა (და არა აუცილებლად გაზიარება მისი რომანტიკული მეთოდისა თავიდან ბოლომდე, თუმცა ამ უკანასკნელმაც დიდი გავლენა იქონია და თავისი კვალი დააჩინა 60-იანელთა და მთლიანად მე-19 საუკუნის პოეზიას), იყო ის, რაც მათი თანადროულობისათვის წინსვლას მოასწავებდა. 1

ალექსანდრე ცაგარელი იყო პირველი, ვინც ბარათაშვილის პოეზია ევროპულ რომანტიზმს საფუძვლიანი ანალიზით დაუკავშირა. ალ. ცაგარელს ეკუთვნის პირველი ვრცელი და სერიოზული წერილი ბარათაშვილზე, მისი პოეზიის ფართო ანალიზი და მსოფლიო ლიტერატურულ პროცესთან დაკავშირება¹⁴.

„ნიკოლოზ ბარათაშვილი დგას ჩვენს ლიტერატურაში ერთადერთა, განცალკევებულად; არც თვითონ მისდევდა ვინმესგან დაქნილ ბილიკსა და ვერც არავინ იმის შემდეგ იმისგან გაღებულ გზაზედ გაიარა; ის არ საჭიროებდა სხვებისაგან მიბაძვასა და იმას კი ვერავინ მიჰბაძა... ვილდაცმ თქვა, რომ ბარათაშვილი ჩვენი ბაირონი არისო; — ამ სიტყვებში მართლად ბევრი ჭეშმარიტება არის“¹⁵.

ალ. ცაგარელი ცდილობს გაარკვიოს გარემოებები, რამაც ბარათაშვილის პოეზიის წარმოშობა განსაზღვრა. პირველ პირობად ასახელებს მის ბუნებრივ ნიჭიერებას, შემდეგ განიხილავს ეპოქას, მე-19 საუკ. ევროპული პოეზიის ზოგად მიმართულებას, რასაც, მკვლევრის აზრით, ბარათაშვილის პოეზიის ხასიათი უნდა განეპირობებინა.

ალ. ცაგარელი ლაპარაკობს მე-18—19 საუკუნეებში ევროპის ლიტერატურაზე და საზოგადოებაში მომხდარ ძვრებზე, ახალ ლიტერატურულ სახეებზე, ბაირონისა და გოეთეს გმირების ხასიათებზე და მათ გავლენაზე მსოფლიო ლიტერატურის მიმდინარეობაზე. „ამგვარმა პოეზიის კილომა და მიმართულებამ, ყველა ცოტათ მანც განათლებულ ხალხებში თავისი მიმბაძველნი და მიმყოლნი წარმოშობა; რუსეთში ჯერ პუშკინი და მერმე ლერმონტოვი იყო, და, აი, შორს ამ უკმაყოფილების ტალღამ და გაბრაზებულმა თავის უძღურებისაგან გრძნობამ ჩვენშიაც მოახწია: ყველა სიტყვა ნ. ბარათაშვილისა ამტკიცებს, რომ ამანაც

14 ალ. ცაგარელი, ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში, „დროება“, 1870, №№ 2, 3, 4, 6, 7. (წერილი დაწერილია მიუნხენში 1869 წელს, ავტორის იგი გამოუგზავნია „დროების“ რედაქციისათვის).

15 გაზ. „დროება“, 1870, № 3.

კარგა ბლომად შესვა ამ ამღვრეული და ამამღვრელი ტალღის წყალი და იმის მწარე გემო იხშია; მეტადრე ლექსებში „სულო ბოროტო“ და „ჩემს მერანს“ ბევრი ალაგია, რომელიც თითქმის ნამდვილ იმ სიტყვებს შეხვდებით ლერმონტოვის „ეშმაკში“ (Демои) და „მწირში“ (ე. ი. მწირი, ბერი, „Мцыри“), აგრეთვე ბევრ ალაგას ბაარონის თხზულებებში, მეტადრე „ლიუციფერში“, რომელიც ამტკიცებს, რომ ბარათაშვილი იმათ თხზულებებს იცნობდა. ამ ევროპიდან გადმონაბერი უკმაყოფილების გრძნობაზედ, ზედაც საკუთარი ბუნების უკმაყოფილება დაერთო და ამ მიზეზებმა დაჰბადეს, ეს, სავსე დარდით და ნალველით, მწარე მოთქმა და ჩივილით თავით ბოლომდინ გლოვის ზარით გარემოცული ადამიანი“.

ალ. ცაგარელი ჩამოთვლის ბარათაშვილის ლექსთა მაღალ პოეტურ თვისებებს და ამბობს, ძნელი შესაღარებელია იგი ყველა დანარჩენ ქართველ პოეტებთან, შოთა რუსთაველის გარდაო, და მიიჩნია, რომ მისმა პოეზიამ, მისმა „ბედი ქართლისამ“ დაბადა ნაციონალურ-ქართული პოეზია, მთელი ახალი ქართული ლიტერატურა, ქართული თეატრი და ქართული კომედია.

ბარათაშვილის პოეზიის საინტერესო ანალიზი მოგვცა ნ. ნიკოლაძემ. ეს არის რეცენზია ბარათაშვილის 1875 წ. გამოცემულ კრებულზე.¹⁶ წერილი გამოირჩევა საკითხთა მრავალგვარობით, მოუხედავად მოცულობის სიმცირისა, პრობლემების საინტერესო გაშუქებით, მახვილ-გონიერი მიგნებებით.

ნიკოლაძის აზრით, ბარათაშვილი არის ქართული ლიტერატურის დიდი ნოვატორი. მისი პიეზია ლერმონტოვის პოეზიას მრავალ საკითხში ენათესავენ (ამას აღნიშნავს, მაგრამ ფართო ანალიზით არ ასაბუთებს). ბარათაშვილის ნოვატორობა იმაშია, რომ მან შეძლო თავისი შემოქმედებით მკვეთრად გამოიჩინა იმ პერიოდში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერ აღმოსავლურ-სპარსულ ლიტერატურულ ტრადიციებს. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ ბარათაშვილის წინამორბედი პოეტები უმღეროდნენ ღვინოსა და სიყვარულს, სიყვარულს ხორციელს და გრძნობადს... და იშვიათად თუ ვინმე შეეხებოდა სხვა საჭირბოროტო და დამაფიქრებელ საკითხებს, ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ გურამიშვილი წარმოადგენსო. ბარათაშვილმა ახალი საკითხები დააყენა ქართულ პოეზიაში და ახალი ინტერესები დაუსახა მასო. ამ მხრივ, ის სრულიად განსაკუთრებულია ჩვენი ლიტერატურაში, მისი ლექსის ფორმაც ახლებურია და სრულიად თავისებური და თავისი ფორმით ისეთივე შთაბეჭდილებას ახდენს მკითხ-

¹⁶ Н. Николадзе, Николай Бараташвили, „Тифлисский вестник“, 1876, № 17.

ველზე. როგორც ლერმონტოვის ლექსი რუს მკითხველზე: «Стих его, правда, не столь легкий и гибкий как бакхические куплеты Ал. Чавчавадзе, вносит в грузинскую литературу невиданную ей до тех пор энергию и звучность. Он скуп на слова и сжат в форме и общее впечатление. производимое им на читателя, вполне соответствует тому, какое получается в русской литературе при чтении стихов Лермонтова. Тут мы видим ту же силу стиха, ту же резкость красок, тот-же стальной звук тяжелого молота, вбивающего данный образ или данную мысль в голову читателя».

ბარათაშვილის ახალა კრებულის (1879 წლის გამოცემა) გამოხვლასთან დაკავშირებით გაზ. „ობზორში“ იბეჭდება რაფიელ ერისთავის რეცენზია¹⁷. რეცენზენტა საყვედურით მიმართავს ქართველ საზოგადოებრიობას და ამბობს, სამწუხაროა, რომ ისეთ ნიჭიერ პოეტს, როგორც ბარათაშვილია, რომელსაც თაყვანისმცემლები „ქართველ ლერმონტოვს, უწოდებენ“ («По справедливости величают грузинским Лермонтовым»). სათანადოდ ვერ ვიკვლევთ, ბიოგრაფიული მასალებიც კი საკმაოდ არ გავაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ იგი არც ისე დიდი ხნის წინ გარდაიცვალა. ამ უბრალო თქმაში საინტერესოა, რომ ბარათაშვილს მოიხსენიებენ, როგორც „ქართველ ლერმონტოვს“, აქედან კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ასეთი შედარება საკმაოდ დამკვიდრებული ყოფილა საზოგადოებრივ აზრში. რ. ერისთავი ამ წერილში არ მსჯელობს ვრცლად (თუმცა გაკვრით ახსენებს პუშკინასა და ლერმონტოვის პოეზიის გავლენას ბარათაშვილზე) ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზიათა ნათესაობაზე, მაგრამ აღიარებს მას როგორც ფაქტს:

«Н. Бараташвили, с первого же разу отказался следовать по пути современных ему писателей предшествовавших ему и преимущественно переполнявших свои стихотворения метафорами и гиперболами и подражавшими восточным поэтам, хотя он, в свою очередь, не чужд был подражанию как Пушкину так и Лермонтову, и долго не мог выдти из под влияния этих писателей». — ხოლო „ბედი ქართლასას“ დაწერით, თვლის რ. ერისთავი, ბარათაშვილი სრულიად თავისუფლდება ყოველგვარი გავლენისგან და საკუთარი, დამოუკიდებელი გზით მიდის.

ზირველი ბიოგრაფიული მასალა, რომელიც პოეტზე გამოქვეყნდა, იყო კონსტანტინე შამაცაშვილის ნარკვევი, რომელიც „დროებაში“ და-

¹⁷ გაზ. „Обзор“, 1880, № 393.

იბეჭდა 1881 წელს¹⁸. ამის შემდეგ ბარათაშვილის ბიოგრაფიისადმი ინტერესი თანდათან უფრო იზრდება.

კ. მამაცაშვილის მიერ შეკრებილი და გადმოცემული ცნობები იმდენად სანდოა, რომ თითქმის არც ერთი მათგანი შემდეგ არ შეცვლილა, გარდა დაბადების თარიღისა, და დღემდე მკვლევართათვის წარმოადგენს ყველაზე სანდო პირველწყაროს პოეტის ბიოგრაფიაზე მუშაობისას.

კ. მამაცაშვილი, თანამედროვე და მეგობარი ნიკოლოზ ბარათაშვილისა, იყო ამავე დროს ამხანაგი და თანამებრძოლი მეორე დიდი პოეტის, მ. ლერმონტოვის. კ. მამაცაშვილი ამ ორი პოეტის საინტერესო შედარებას იძლევა. — „თანამედროვე ნიკოლოზ ბარათაშვილისა რუსეთში იყო ლერმონტოვი. თითქმის ერთი ხნისა. იმათ აქვეთ მსგავსება პატრიოტულ აღტაცებულ გრძნობაში და ერთი ლტოლილება, რომ გამოეხატათ პოეზიაში თავიანთი აწმყო: მაგრამ მაშინ იმისთანა დრო იყო, რომ პატრიოტობა ორგულლობათ მაჩნდნათ. ჩემს ჰაზრით, პოეტა „ბედი ქართლისა“ თუ მაღლა არა დგა ლერმონტოვის ლექსებზე, არასდროს არ ჩამოუვარდება“.

ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისადმი ინტერესის ზრდით იყო გამოწვეული ისიც, რომ 1885 წელს გამოქვეყნდა ახალი ბიოგრაფიული ნარკვევი პოეტზე, ზაქარია ჭიჭინაძის (ზ. მთაწმინდელი) წიგნი, — „ნიკოლოზ ბარათაშვილი“.

ზ. ჭიჭინაძე ეყრდნობა გადმოცემებს ნ. ბარათაშვილზე, პოეტის ნაცნობებისა და ნათესაეებისაგან ნაამბობს, ეხება საზოგადოების იმ წრეს, სადაც ბარათაშვილს უხდებოდა ცხოვრება და ამ მხრივ მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის. თუმცა, კ. მამაცაშვილისაგან განსხვავებით. მისი ცნობები ყოველთვის არაა სანდო, ხშირად გულუბრყვილო და ტენდენციურობა.

ზ. ჭიჭინაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბარათაშვილის სოლომონ დოდაშვილთან, 32 წლის შეთქმულებთან და განსაკუთრებით საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელ ემიგრანტებთან ურთიერთობას. ამ საკითხს უფრო მკვეთრად და სპეციალურად იგი შეეხება 1893 წ. გამოქვეყნებულ შრომაში „სოლ. დოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი „ფარული საზოგადოების“ წინაშე“.

1889 წელს „ივერიაში“ ქვეყნდება მიხეილ ვეზირიშვილის ვრცელი წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილზე¹⁹. ეს არის ყველაზე ვრცელი და ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი ბარათაშვილის პოეზიაზე

¹⁸ გაზ. „დროება“, 1881, № 206.

¹⁹ მ. ვეზირიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია, „ივერია“, 1889, №№ 247, 249, 250, 251.

მე-19 საუკუნის დამლევამდე,—ი. ქავკავაძის, ი. მეუნარგიას, ვ. აბაშიძისა და ხოპლელის წერილების გამოქვეყნებამდე.

მ. ვეზირიშვილი ბარათაშვილს ახასიათებს როგორც განსაკუთრებული ხმის და დიდი ძალის პოეტს, რომელიც სრულიად განსხვავდება როგორც ჩვენი ძველი პოეზიის წარმომადგენელთაგან, აგრეთვე მის თანამედროვეთაგან, გრ. ორბელიანისა და ალ. ქავკავაძისაგან. ვეზირიშვილი შეეცადა გადმოეცა ბარათაშვილის პოეზიის ხასიათი, შინაგანი ძალა. იგი გვესაუბრება პოეტის ესთეტიკაზე, მის მსოფლმხედველობაზე, სიყვარულის განცდაზე, „მერანზე“, „ბედი ქართლისაზე“, ბუნების განცდაზე, და, ბოლოს ენაზე, მსოფლიო პოეტების გვერდით მიაკუთვნებს მას ადგილს და ადარებს ბაირონს, მსჯელობს იმ სიყვარულსა და სიძულვილზე კაცობრიობისადმი, რაც ორივე ამ პოეტს გააჩნდა.

ვეზირიშვილი ლაპარაკობს ბარათაშვილის სევდაზე და იმ დიდ სიყვარულზე კაცობრიობისადმი, რაც მას სევდასა და უკმაყოფილებასთან ერთად გააჩნდა. — „ასეთი თვისება მოღვაწეობისა ხვედრია თითქმის ყველა დიდბუნებოვანისა. მსოფლიო ლიტერატურაში ბევრია ამისთანა მაგალითი. ავიღოთ თუნდა ინგლისელი სახელოვანი პოეტი ბაირონი. ვინ არ იცის, რა სიძულვილითა და წყევლით იხსენიებს ბაირონი გაუტანელს ცხოვრებას, რა მკვანხე-მკვანხე სიტყვებით ამკობს კაცთა უაზრო და უსაგნო ცხოვრებას, მაგრამ ღრმად ჩაუფიქრდით იმის ნაწერებს, რა უძევთ საფუძვლად? საფუძველი დიდი და დიდი სიყვარულია კაცობრიობისა, ძლიერი გრძნობა კაცთა მოყვარეობისა, ასეა ბარათაშვილის საქმეც. თუმცა პოეტი მუდამ შემოგვჩვივის ცხოვრების უსაგნობას და ზოგჯერ სწყევლის კიდეც, მაგრამ ვინც ჩაუყვირდება საზოგადო თვისებას იმის პოეზიისას, უეჭველია, იმ უტყუარს აზრს დაადგება, რომ ყველა იმის ნამოქმედარს სარჩულად უღევს საზღვარდაუღებელი სიყვარული ქვეყნისა და მოქმესი“²⁰.

ბარათაშვილის სევდის, კაცობრიობისადმი დამოკიდებულების ასეთი განმარტება, მიგვაჩნია ამ გამოკვლევის ერთ-ერთ დიდ დამსახურებად. ასეთი გაგება რომანტიკოსების პესიმიზმისა და ე. წ. კაცთმოძულეობისა, იმ ახსნის საპირისპიროა, რასაც კრიტიკოსთა მეტი ნაწილი გეთავაზობს. ვეზირიშვილს კარგად შეუნიშნავს ის ფაქიზი და დიდი სიყვარული, რომელიც რომანტიკოსებთან ზშირად სამდურავისა და გლოვის იქით იმალება, და, რომელსაც, გარეგნულად, ზშირად ფარავს ზიზლი და აღშფოთება. ამგვარი „ზიზლი“ შედეგია არა ნამდვილი მძულვარებისა, არამედ პროტესტის, ვინაიდან, რომანტიკოსი, იმ უძლური აღამიანისათვის, რომელიც მას საოცარი სიყვარულით უყვარს,

20 „ივერია“, 1889, № 247.

და, რომელსაც, ბუნებით დაუდაპირველად მინიჭებული მშვენიერი სახე დაუკარგავს და არარაობად ქცეულა, მოითხოვს მეტს, მოითხოვს ღმერთისაგან და მოითხოვს კაცისაგან.

ვეზირიშვილი ეხება ბუნების რომანტიკულ განცდას ბარათაშვილის პოეზიაში, იგი ლაპარაკობს პოეტის დიდ სიყვარულზე ხელშეუხებ ბუნებრიობისადმი, აღარებს მას ბაირონისეულ ბუნების განცდას და ხედავს დიდ მსგავსებას. „აქ უნდა აღვნიშნოთ დიდი მსგავსება ჩვენს პოეტსა და ბაირონს შორის, ორივენი განვითარებითა და ძლიერის სულით გაცილებით მაღლა სდგანან თავის თანამედროებზედ; ორივენი ჰგრძნობენ სულიერს უკმარობას; ორივენი არიან სულით ობოლნი და ვერ ჰპოულობენ თანამოზიარეთ; მოტყუებულნი მუხთალ სოფლისაგან ორივენი მიესწრაფებიან უსულო ბუნებისაკენ და აქ ჰსურთ მოიპოვონ თავის დაკოდილ გულისათვის ძალამო. აქ ჩანს სხვათა შორის დიდ-სულიანება ზემოხსენებულ პოეტებისა, ისინი ვერ იწყნარებენ, ვერ იშენიებენ უფერულობას და სიცრუეს, შორდებიან ნამდვილ ცხოვრებას და მიჰპარათავენ ბუნებას, რათა აქ შეხვდნენ თვალ-და-თვალ პირველსახეს მშვენიერებისას. მოვიგონოთ ბაირონის „მანფრედის“ შესანიშნავი ადგილი, სადაც სასოწარკვეთილი და იმედშიზღილი მანფრედი მიესალმება ბუნების მშვენიერებას და იქ დროებით მაინც შეიქმნის თავის აღშფოთებულ სულის შევებას. ეს ბუნება იმდენად მძლავრია, რომ უდგამს სულს დაუძლურებულ მანფრედსა, იგი ისეთი მიძზიღველია, რომ აძლევს რაღაც ახალ იმედს მანფრედსა, იმ მანფრედს, რომელსაც სიცოცხლე უკვე შესძაგებია. მოვიგონოთ კიდევ ერთი ალაგი „ჩაილდ პაროლდისა“, სადაც პაროლდი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თვით პოეტი, მუდამ მოუსვენარი დარბის ტყეში, დარბის მინდვრად, ველად, ჩასძახის უფსკრულსა და კლდეებს, მიპყვირის მჩქეფარე მდინარეს და გაუზიარებს მათ თავის ადამიანურს წუხილს, რათა გაჰკურნონ და შეიბრალონ იგი.

არა ნაკლების ნიჭით განმარტავს ბუნების სიძლიერეს ნ. ბარათაშვილიც. მართალია, ჩვენი პოეტი ნაკლებს ლაპარაკობს და საქმე აქვს უფრო კაცის შინაგან ბუნებასთან. მაგრამ ამის მიუხედავად, იმ რამდენიმე ნაწყვეტშიაც, სადაც ეხება ბუნებას, გამოიჩინა თავისი ძალალო ნიჭი და დაასვა თავისი განუშორებელი ბეჭედი. წაიკითხეთ მისი ელეგია „შეპოლანება მთაწმინდაზედ“, „ფიქრი მტკვრის პირზედ“ და „ქართლის ბედი“, დაუვიწყარი „მორბის არაგვი, არაგვიანი“, წაიკითხეთ ესენი და დარწმუნდებით. რაოდენის ნიჭით არის დახატული ეს დიადი ბუნება, რაოდენი სიყვარული გამოიჩინა პოეტმა ამ უსულო ბუნებისა... ვეზირიშვილი არჩევს ლექსს „შემოღამება მთაწმინდაზედ“

და ამბობს, რომ ბარათაშვილით უდგამს სულს ამ უსულო ბუნების ყოველ ნაწილსა.

1892 წელს, ერთი წლით ადრე, ვიდრე ჩვენს სასიქადულო პოეტს სამშობლო მხარეში მიუჩენდნენ სამარეს, „ივერიაში“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის წერილი — „ნიკოლოზ ბარათაშვილი“²¹. ამ წერილით იწყება საზოგადოების განსაკუთრებული დაინტერესება ბარათაშვილის პიროვნებით, რაც გამოიხატა პოეტის 1893 წელს სამშობლოში გადმოსვენებით, მრავალრიცხოვანი წერილებისა და მოგონებების, პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ნაირგვარი მასალის გამოქვეყნებით ამ პერიოდის ქართულ პრესაში. ეს იყო დიდი ეროვნული მოძრაობა, რომელმაც საყოველთაო ხასიათი მიიღო საქართველოში. ეს იყო აღიარება და ახალი სიცოცხლე პოეტისა, და მისი აღიარება ნიშნავდა საქართველოს ეროვნული სიცოცხლის აღორძინებას. ამ მოძრაობის სულისჩამდგმელი და მოთავე ილია ჭავჭავაძე იყო.

თავის ცნობილ და განმჯობებულ წერილში ილიამ განუმარტა საზოგადოებას ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის დიდი, ზოგადსაკაცობრიო ხასიათი და მნიშვნელობა ქართველი ხალხის ეროვნული სიცოცხლისათვის. ილია ჭავჭავაძის ეს გამომხატულება პოეტზე იყო ხმა საქართველოს პირველი მწერლის და პირველი მოქალაქის. ამიტომ მისი სიტყვა და აზრი სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობით სარგებლობდა და საზოგადოებაზეც განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენდა.

ილია ჭავჭავაძე თავის წერილში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბარათაშვილის პოეზია, მისი ტკივილები, ფიქრები, მისი ლტოლვა და თავგანწირვა, არის ტკივილები და განცდები მთელი კაცობრიობისა, და მათ შორის ქართველისაც, რომ ფიქრები და სწრაფვა გამომხატული ბარათაშვილის პოეზიით, არის მსოფლიო ლიტერატურული მოვლენა: ბარათაშვილის შემოქმედების ყოველი მოტივის დახასიათებისას, სწორედ ამ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას. „მისნი გულისტქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კენესა კაცობრიობის კენესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერმიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა, მხედავს ცას და შეჰკენესის უღონობის სიმწვავეითა“. ლექსის „შემოღამება მთაწმინდაზედ“ გარჩევას ილია ამბობს: „ნუთუ აქ გამოთქმული სურვილი ძიებისა მთელის კაცობრიობის სურვილად არ უნდა ჩაითვალოს და უღონობა ამ სურვილის მიუწვდომლობისა მთელის კაცობრიობის უღონობად?“ და შემდეგ დასძენს — „განა შეტყობა იმისა,

21 „ივერია“, 1892, № 77.

თუ — რა არის ცაში, ან ცის იქით, — მუდმივი წყურვით შესატყობარი არ არის ერთობ ადამიანისათვის? განა ამის ვერმიხწყევის უღონობა ზოგად-კაცობრიული ჩივილი არ არის უძლურებისა? განა ამაებში ტრიალი გონებისა არ არის ზოგადკაცობრიობის გაუთავებელი ტრიალი იმ საიდუმლოების უძირო მორევში, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო, არც პო და არც არა?“.

ილია ბარათაშვილის ლექსებში ხედავს პოეტის სულის მოძრაობის ანაბეჭდს, განწყობილებათა და სურვილთა ცვალებადობას, შფოთვის, სულიერი სიმშვიდის ძიებას ხან რწმენაში, ხან სიყვარულში. მაგრამ, ამბობს ილია, ვერსად ვერ დაიდო მისმა სულმა მყუდრო სავანეო და ამიტომაც სასოწარკვეთილი „მერანის“ ლტოლვას მიეცაო, ვინაიდანო, საზღვარდაღებული აზრი კაცობრიობისა წინ უსაზღვრო სულისკვეთებას ვერ იტევს და სასოწარკვეთაში ვარდება, მას სურს ეს საზღვრები ბედისა გადალახოს და დაუსრულებელ სივრცეს მიენდოსო. ამ პროტესტს და ამ სურვილთა ზღვარდაუდებელ სარბოლას, გამოხატულს „მერანით“, ილია ადარებს ბაირონის ლიუციფერს, გოეთეს ფაუსტს. თუ პოეტის სხვადასხვა დროს დაწერილ ლექსებს გავიხსენებთ, წერს ილია, დავინახავთ, რომ იგი გაუბრბოდა იმ „ჭკუით ურწმუნობას“, იმ „გულის უნდობას“, იმ „გონებით და ცხოვრებით აღშფოთებას და გაფეთებას, — რომელიც შუბის წვერივით ვულს დაესობა ხოლმე აზრ-გამოღვიძებულს ადამიანს“. ვითომ არ იცის პოეტმა საით მიიწრაფვის. სად იპოვის განსასვენებელს, მაგრამ გვიქადაგებს, რომ საჭიროა ეზბნა თავგანწირვით და უშიშრად. მას სურდა ცის კედლის იქით მიეწვდინა გონების თვალი, რათა გაეგო და დაენახა იდუმალი აზრი არსებობისა, ეპოვა სულის სიმშვიდე, მაგრამ ამაოდ. და გაიჭრა უგზო-უკვლოდ, საქებრად საზღვარდაუღებელი ქენებიით. აქ ილია ჭავჭავაძე ლაპარაკობს მერანის უსაზღვრო, თავგანწირულ ქროლვანზე, განაზოგადებს მას, საკაცობრიო მარადიულ იდეებს და სურვილებს უკავშირებს, რაც ბარათაშვილის პერიოდის ევროპულ ლიტერატურაში რომანტიზმის გზით აისახებოდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ანალიზის დასასრულს, ილია ლაპარაკობს ბარათაშვილის ადგილზე მსოფლიო პოეზიაში და მის მნიშვნელობაზე საქართველოსათვის; რომ ბარათაშვილს, ისევე, როგორც საზოგადოდ გენიალურ მწერლებს, გამგრძელებელი ვერ მოეძებნა: „ამ სახით ნიკოლოზ ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთა-თქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკვლავ წყაროს ქართველიც დააწაფა. ამ მიპართულებას ჩვენის აზროვნებისას ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ არც ერთი მწერალი

აღარ ჰყოლია ჩვენში და, სწორედაც რომ ვთქვათ, ბაირონები, ლერ-მონტოვებიც მარტონი არიან და მემკვიდრეებს იშვიათად სტოვებენ, რადგანაც ტვირთი მათებრ კაცების მემკვიდრეობისა „არ არის სუბუქი“. — წერს ილია და ბარათაშვილი მიაჩნია ერთადერთ მწერლად, რომელიც ჩვენს აზრს და სურვილებს ზოგადაკობრიულ, მარადიულ სა-ქირბორტო კითხვების თანაზიარს ხდის. სწორედ ამაში ხედავს ილია ქვეკვაძე ბარათაშვილის პოეზიის მნიშვნელობას. ბარათაშვილიო, — „ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალგადაუწვდენელ სფეროში, საცა ზოგადაკობრიობის დაუსრულებელი საქირბო-როტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არა-რწმენისა, საცა ლალადებაა ყოველგვარი სულის კვებებისა და ვნებათა ღელვისა. ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი მნიშვნელობა, ჩვენის ფიქრით, ამაშია. ამიტომაც მართალი სთქვა, რომ მის მიერ გავლილი გზა ჩვენში ჭერ უვალი იყო, მან თვის შერანს გადაათელინა და ნაეალიც დააჩნევინა, ვინ იცის. რისთვის და საროლიო? ამის პასუხს ჩვენი აზრთა ზრდა შემდეგ როდისმე იტყვის“.

1893 წლის 25 აპრილს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი ჩამოსვენებულ იქნა თბილისში და დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში დასვენებული.

ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება მოხდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით, რომელსაც გამოუყვია სპეციალური კომიტეტი ამ საქმისათვის. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება განჯიდან მიუნდვიათ პოეტის ნათესავის, გიორგი ილიას ძე ორბელიანისა (ვაჟი იმ ილია ორბელიანის, რომლის ლექთაგან დატყვევება „მერანის“ დაწერის საბაბი გახდა) და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთათვის, — გიორგი იოსელიანისა და ალექსანდრე ჭყონიასათვის.

„კვალის“ 25 აპრილის ნომერში (№ 18) გამოქვეყნდა გიორგი იოსელიანის წერილი „ამბავი ბარათაშვილის ნაშთის გადმოტანისა განჯიდან“, ხოლო „ივერიის“ 28 აპრილის (№ 87) ნომერში ალექსანდრე ჭყონიას — „როგორ ვიპოვეთ ნეშტი მ. ბარათაშვილისა“. ეს წერილები მოიცავენ მრავალ საყურადღებო ფაქტიურ ცნ.ბას ბარათაშვილის საფლავის მოძებნისა და მისი ნეშტის გადმოსვენებასთან დაკავშირებით.

ამ პერიოდის „ივერიის“ და „კვალის“ ფურცლებზე ჩანს ის დიდი გულანტკეილი, მოკრძალება და ჭეშმარიტი თაყვანისცემა, რაც იმდროინდელ ქართველ საზოგადოებაში ბარათაშვილის მიმართ არსებობდა და, რაც ამ დღეებში ნამდვილ ეროვნულ ზეიმად გადაიქცა. პოეტის

სამარესთან აკაკი წერეთელი ამბობდა, — „დღევანდელი ჩვენი მიგებება გლოვა და ზარი კი არ არის, ლიტანიობაა და მზეშინა“²².

პოეტის სახელთან დაკავშირებით ამ პერიოდში ჩატარდა მრავალნაირი ღონისძიებები, მოეწყო საღამოები, სპექტაკლები, ბარათაშვილის ლექსების კითხვა, გამოქვეყნდა მრავალი წერილი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, გამოქვეყნდა ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსები, დასაფლავებისას წარმოთქმული სიტყვები და სხვ.

„კვალში“ პოეტის დასაფლავება ასეა აღწერილი: „დღე იყო ღრუბლიანი, დილით ცოტად წინწყლავდა. ქალაქიდან ხალხი მიემშურებოდა რკინის გზის სადგურზედ. დიდი, პატარა, ქალი და ჩვილი, ყველანი იქ მიისწრაფოდნენ გულის ძვებით. მოელოდნენ, თვალი მოეკრათ დიდებულის ქართველის ნაშთისათვის. გაისმა რკინის გზის სადგურზედ მწყობრი, გულის სიღრმემდის მისაწუდენი ტკბილი ხმა ქალების გალობისა: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“. ნიკოლოზ ბარათაშვილის ძვლებიც ამდგარიყო და მოდიოდა დიდებით თავის სამშობლოში. ერმა მუხლი მოუყარა თავის მომავლის სვე-ბედის წინასწარმეტყველსა. მას უშლიდნენ წინ მუხისა, დაფნია და პურის თაველებისაგან შემეკულ გვირგვინებს. ერი ჰგალობდა „წმინდაო ღმერთოს“ და ამ დიდებით გაჰყვა იგი დიდუბის ტაძრამდის“²³.

პოეტის სამარესთან სიტყვები წარმოუთქვამთ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, გიორგი წერეთელს, დიმიტრი ბაქრაძეს, ლევან ლოლუას და სხვ.

ამ პერიოდის ყველაზე დიდი და კაპიტალური ნაშრომი ბარათაშვილის სახელისადმი მიძღვნილი, იყო „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული იონა მეუნარგიას „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“²⁴, პირველი ნამდვილი და სისტემატური ბიოგრაფია პოეტისა, რომელსაც თან ერთვის ლირიკის ნაწილობრივი ანალიზი (როგორც ირკვევა, მეუნარგიას განზრახული ჰქონია, ბარათაშვილის შემოქმედების უფრო სრული განზილვა, ლირიკისა და პოემისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ დაუსრულებია).

ჩვენ ამჟამად ვერ შევჩერდებით პოეტის ბიოგრაფიის მეუნარგიასეულ გადმოცემაზე, აღვნიშნავთ მხოლოდ ბარათაშვილის ევროპულ რომანტიზმთან ღამოკიდებულების მეუნარგიასეულ კონცეფციას.

მეუნარგიას აზრით, როდესაც ბარათაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1835 წლის ახლო, ჩვენში ძველი მწერლობის გავლენა ძლიე-

²² „კვალი“, 1893, № 18.

²³ იქვე.

²⁴ „ივერია“, 1893, № 85—103.

რი იყო. იგი აწერს იმ განმანათლებლურ მოძრაობას, რომელიც საქართველოში მე-18 საუკუნეში გაიშალა ანტონ კათალიკოსის მეთაურობით, და, რომელიც ბარათაშვილის დროსაც ინარჩუნებდა გარკვეულ გავლენას, თუმცა, საქართველოში დამყარებულ ახალ პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად, მწერლობაშიაც ახალი ტენდენციები იკიდებდა ფეხს. ამ ახალი ტენდენციის ყველაზე დიდ წარმომადგენლად, მეუნარგიას, ბარათაშვილამდე, გრიგოლ ორბელიანი მიაჩნია. ახალ მწერლობაში, — „თავი და პირველი ადგილი უჭირავს გრიგოლ ორბელიანს, — წერს მეუნარგია, — ბარათაშვილი ორბელიანის პირველწოდებული მოწაფე იყო“.

მეუნარგიას აზრით, ბარათაშვილზე გავლენა მოახდინეს და მის წარმატებას ხელი შეუწყვეს შემდეგმა გარემოებებმა: „ქართული ენა დავითნ-სახარებისა და ვეფხისტყაოსნისა, რომელიც ბარათაშვილმა პატარობიდანვე ისწავლა; ახალი გარდამავალი დრო, რომელიც შობს და ასახარდობს ახალ აზრსა და კაცს, ალექსანდრე ჰევქვიავძისა და მისებრი პოეზია, რომელიც ერთი ნაბიჯი იყო წინ მწერლობაში, ...და, დასასრულ, და განსაკუთრებით, მწერლობა და ნათესაობა გრიგოლ ორბელიანისა, რომელიც იყო და არის მამამთავარი ახალი ლირიკული მოძრაობისა ქართულ მწერლობაში“.

მეუნარგია პოეტის კაეშანს, მის სულით ობლობას ბაირონის სევდას და მწუხარებას ადარებს, იმდენად ახლო ნათესაობას ხედავს ბაირონისა და ბარათაშვილის პოეზიათა შორის, რომ წერს, ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, „სულო ბოროტო“, „მერანი“) კარგად რომ თარგმნოს კაცმა და „ჩაიღო ჰაროლდში“ ან „ღონ-ქუანში“ ჩაურთოს, დიდებული პოეტის ქმნილებებს არა მგონია რაიმე დააკლდეს და მათი ერთობა დაირღვესო და დაუმატებს: „ისე მწარედ და სწორად არის გამოთქმული ამ ქმნილებებში კაცობრიობის საყვედური ბოროტი მხვედრის წინააღმდეგ, რომ ამ ლექსებს სიამოვნებით მოაწერდნენ ხელს ისეთი ბედის მომღურავი დიდი პოეტები, როგორიც იყვნენ: ლერმონტოვი, ბარბიე, ჰაინე“.

მეუნარგია პირველი შეეხო „მერანისა“ და მიცკევიჩის „ფარისის“ ურთიერთდამოკიდებულებას. იგი დაბეჭდვით ავითარებს აზრს „მერანის“ „ფარისიდან“ წარმომავლობაზე. მაგრამ ამავე დროს კარგად გრძნობს და აღნიშნავს მათ შორის დიდ იდეურ სხვაობას, ბარათაშვილის ლექსი ბევრად უფრო სრულყოფილ და ძლიერ ნაწარმოებად მიაჩნია.

მე-19 საუკუნის ბოლოს, იმ დროს, როცა ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვე აღიარებული იყო მსოფლიო მნიშვნელობის პოეტად, როცა მისი უკვდავება დიდი ეროვნული ზეიმით უკვე აღნიშნული იყო, როცა მასზე არსებობდა მრავალი გამოკვლევა, წერილები, ილია ჰევქვიავძის, აკაკი

წერეთლის, მეუნარგიასი, მამაცაშვილის, ალექსანდრე ცაგარლის, ვეზირიშვილის, და სხვათა და სხვათა, საუკუნის დასასრულს იბეჭდებოდა. კიდევ ორი მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი ბარათაშვილის პოეზიაზე. ეს არის სომხელის და კიტა აბაშიძის ვრცელი გამოკვლევები. პირველი მათგანი გამოქვეყნდა „კვალში“ 1896—97 წლებში²⁵, ხოლო მეორე უფრონა „მოამბეში“ 1898 წელს²⁶.

ამ ორ კრიტიკულ გამოკვლევას, ილია ქავჭავაძის, მეუნარგიას, ცაგარელის, ვეზირიშვილის გამოკვლევებთან ერთად, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბარათაშვილის პოეზიაზე კრიტიკული აზრის განვითარებაში.

სომხელი ბარათაშვილის პოეზიას ადარებს ევროპულ რომანტიკულ პოეზიას, განსაკუთრებით დიდ სიახლოვეს ხედავს ბაირონის პოეზიასთან და ბარათაშვილის პოეზიის ხასიათს განსაზღვრავს როგორც ბაირონიზმს.

ბარათაშვილის პოეზიის ამგვარი მიმართულება ავტორს სრულიად კანონზომიერად მიაჩნია, იმ ზოგადსაკაცობრიო მოვლენათა გამო, რასაც იმ პერიოდში აღდგლი ჰქონდა მთელი ცივილიზებული მსოფლიოს. ცხოვრებაში. საქართველოში მე-19 საუკუნის 30—40-იან წლებში გაჩეფებული სულიერი ატმოსფერო, პოლიტიკური ვითარება, ცვლილებები ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეროვნული მისწრაფებები და ინტერესები, ყოველივე ეს სომხელს მე-18 საუკუნის საზოგადოებრივი ძვრების მსგავს მოვლენად მიაჩნია და, ჩვენი კულტურის ისტორიასთან ერთად, შესანიშნავ წინაპირობად საქართველოში რომანტიზმის წარმოშობისათვის.

სომხელის აზრით, ბარათაშვილის პოეზიით დაიწყო „ახალი ხანა ქართულ ლიტერატურაში“, ბარათაშვილი იყო გამომხატველი იმ გრძნობათა და ტკივილთა, რასაც იმ პერიოდის საუკეთესო ახალგაზრდა მაჟულიშვილები განიცდიდნენ, ბარათაშვილმა მისცა ფორმა მათ განცდას და აზრს. მისი პოეზია ამიტომ იყო ასე ორგანული ჩვენი ლიტერატურისათვის, და არა უცხო ქვეყნიდან მოტანილი მიმბაძველობა.

სომხელი ფართოდ განიხილავს იმ ლიტერატურულ მიმართულებას, რომელსაც ბარათაშვილი ეკუთვნოდა, და ცნობილია რომანტიზმის სახელწოდებით. მე-19 საუკუნის მკვლევართა შორის პირველად იგი იხსენიებს რომანტიზმის ფართო ანალიზს, რომანტიზმის განსხვავებული სკოლების დახასიათებას, და ბარათაშვილს განსაზღვრულ ადგილს მიაკუთვნებს მათ შორის. სომხელის შემდეგ კიტა აბაშიძემ, ბარათა-

²⁵ „კვალი“, 1896, №№ 22, 23, 24, 1897, №№ 2, 3, 4, 7, 8, 9.

²⁶ „მოამბე“, 1898, № 6.

შვილის შემოქმედების გარჩევისას, მოგვცა კიდევ უფრო ფართო ანალიზი რომანტიკული მიმართულებისა და ბარათაშვილის გარკვეული ტიპის რომანტიკოსებთან შეპირისპირება. ხომლელი არჩევს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში რომანტიზმის განსხვავებულ ხასიათს, იგი ეყრდნობა ძირითადად ბრანდესის კლასიფიკაციას, ახასიათებს გერმანულ რომანტიზმს, ფრანგულს, ინგლისურ რომანტიზმში არჩევს ორ პერიოდს, ადრეულს და გვიანდელს, რომელიც ბაირონიზმის სახელწოდებითაა ცნობილი, პოლონეთში ასახელებს მიცკევიჩს, რუსეთში — პუშკინა და ლერმონტოვს. ქართულ სინამდვილეში ტიპიურ რომანტიკოსებად ხომლელს მიაჩნია გრიგოლ ორბელიანი და ვახტანგ ორბელიანი, ხოლო ბარათაშვილის პოეზია — ბაირონიზმის გამოხატულებად. საგულისხმოა, რომ ხომლელი (ბრანდესის მსგავსად) ხმარობს ტერმინებს „რომანტიზმი“ და „ბაირონიზმი“, ტერმინით „რომანტიზმი“ აღნიშნავს რომანტიზმის უფრო ადრეულ პერიოდს, ხოლო ბაირონის მიმართულებას რომანტიზმში, ბაირონიზმს უწოდებს.

ბარათაშვილის ბუნების განცდაში ხომლელი პოულობს ნათესაობას ევროპული რომანტიზმის დიდ წარმომადგენლებთან, აგრეთვე რუსოსთან, ხოლო სიყვარულის განცდაში მიუსესს ადარებს.

ხომლელი რამდენჯერმე უბრუნდება საკითხს ბარათაშვილის პოეზიის წარმომავლობის შესახებ. სადაა მისი დასაბანი, უცხოურ თუ ეროვნულ ცხოვრებაში. ამ დიდი საკითხის სათანადოდ გარკვევისათვის, საკუთარ თავს საკმაოდ მომზადებულად არ მიიჩნევს. ორ პოეტს კი თამამად ასახელებს ბარათაშვილის წინამორბედად, — რუსთაველს, რომელიცო თავისი დროის ესთეტიკის ფარგლებს გასცილდა და ერის სულიერ ცხოვრებაზე დადებითი გავლენა იქონია, და გუბარამიშვილს, რომელიც შეეხო თავისი დროის უბედურ ყოფას და „ჟამთა სიივეს“.

ევროპული ლიტერატურის შესანიშნავი მკოდნე, კიტა აბაშიძე, ქართული ლიტერატურის კვლევას მიუდგა ლიტერატურის განვითარების ევოლუციური მეთოდით. კიტა აბაშიძის ნაშრომი ბარათაშვილზე წარმოდგენს გარკვეული თეორიით და მეთოდით შეიარაღებული მაღალკვალიფიციური და ნიჭიერი კრიტიკოსის გამოკვლევას. ამიტომაც, ამ ნაშრომს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ბარათაშვილის შემოქმედების გაგებისათვის და მას შემდეგ, ვერც ერთი სერიოზული ნაშრომი ბარათაშვილზე, რაც დღემდე დაწერილა, გვერდს ვერ უვლის კიტა აბაშიძის მოსაზრებებს.

კ. აბაშიძე ბარათაშვილს ადარებს მსოფლიოს უდიდეს რომანტიკოსებს, მისი პოეზიის ხასიათი, მისი განცდები, მოტივები, მისი პირადი

მიდრეკილებები და თვისებები, კრიტიკოსს მიაჩნია ღირსად გვერდში ამოუყენოს რომანტიკული პოეზიის ვარსკვლავებს.

კიტა აბაშიძე შეეხება ბარათაშვილის მიერ ბუნების რომანტიკულ აღქმას, მის პანთეიზმს. ბარათაშვილმა განახორციელა და გაასულიერა ბუნება ისე, რომ მას კაცური თვისებები შესძინაო, ეს იყო ერთადერთი ურთიერთობა, რასაც ვერც ბედი შესცვლიდა და ვერც საზოგადოებამ. ბარათაშვილმა იმ სიმაღლემდე აიყვანა ქართული პოეზია, რომ ფილოსოფიას დაუკავშირაო.

კიტა აბაშიძე ლაპარაკობს ბარათაშვილზე, როგორც ჩვენში რომანტიზმის ყველაზე მკაფიო და დიდ წარმომადგენელზე: „ბარათაშვილი, მოგეხსენებათ, უმაღლესი წარმომადგენელია რომანტიზმისა — თუკი რომანტიზმი იყო გამომხატველი ადამიანის — პოეტის თვით უღრმესი, თვით უსაიდუმლოესისა და არსებობის გრძობებისა“, კიტა აბაშიძემ ბარათაშვილს უწოდა უ დ ი დ ე ს ი რ ო მ ა ნ ტ ი კ ო ს ი და უ ა ლ რ ე ს ი პ ე ს ი მ ი ს ტ ი, და მისი განწყობილებების სრულყოფილ გამოხატულებად „მერანი“ მიიჩნია.

კიტა აბაშიძე იზიარებს მეუნარგიას აზრს, რომ „მერანი“ სიუჟეტურად დავალებულია მიცკევიჩის „ფარისიდან“. მაგრამ, მისი აზრით, ამით „მერანის“ ღირსება სრულებითაც არ მცირდება, არჩევს ორივე ამ ლექსს, საერთოსა და განსხვავებაზე მიუთითებს და გამოთქვამს დებულებას, რომ ბარათაშვილმა ისარგებლა შემთხვევით, ისარგებლა მიცკევიჩის ლექსით, მაგრამ უფრო ღრმა ნიადაგზე დააყენა საგანი, საგნის არაებთან მზარეს შეეხებო, მარტივი შემთხვევა საზოგადო, ტიპურად გარდაქმნა.

კიტა აბაშიძე ბარათაშვილს დაბეჭდვით თუწოდებს გენიოსს, მაგრამ, წერს იგი, ბარათაშვილი მ ს ო ფ ლ ი ო გ ე ნ ი ო ს ი არ იყო, რადგან მსოფლიო ლიტერატურაში მას გავლენა არ მოუხდენია, ქართული ლიტერატურისათვის კი ნამდვილი გენიოსია, რადგან ჩვენი ლიტერატურა სრულიად ახალ გზაზე დააყენა, ახალი საუკუნო და მსოფლიო საგნები დაუყენა წინ“...

კ. აბაშიძე ეკამათება ილია ჭავჭავაძეს, რომელიც უარყოფს ბარათაშვილისათვის მისი თანამედროვე მწერლობის მნიშვნელობას. კრიტიკოსის აზრით, ალექსანდრე ჭავჭავაძის და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებას უსათუოდ ჰქონდა მნიშვნელობა ბარათაშვილის პაეტური ნიჟის ჩამოყალიბებაში, ხოლო თვით ილია ჭავჭავაძეა, კ. აბაშიძე ბარათაშვილის მიმდევართა შორის ასახელებს. პოემას „ბედი ქართლისა“ იგი მიიჩნევს რეალიზმის დასაწყისად ჩვენს ლიტერატურაში, ხოლო „სუმბულსა და მწირს“ სიმბოლიზმის სათავედ. ამგვარ სიმბოლიზმად

კ. აბაშიძე თვლის აკაკისა და ილიას მიერ სამშობლოს სატრფოს სახით წარმოადგენას.

დასასრულ, კიტა აბაშიძე ლაპარაკობს იმ დიდ ადგილზე მსოფლიო პოეზიაში, რაც თავისი შემოქმედების ღირსებათა გამო, ბარათაშვილს ეკუთვნის. კრიტიკოსი აყენებს მას ბაირონისა და შელის შუა, ერთი მხრივ ჰიუგოსა და ლერმონტოვის გვერდით, და მეორე მხრივ, ლამარტინისა და დე ვინის გვერდით. ეს ადგილი, კიტა აბაშიძის აზრით, მიუღწეა უნდა დაეკავებინა, მაგრაჰო, იგი არ არის ისე ღრუბული (ზოგიერთ მანკიერებათა გამო), და „ეს ადგილი უმწიკლო და ტანჯული ადამიანისა, ჩვენს დიდება ბარათაშვილს ეკუთვნის“, აცხადებს იგი.

ასეთია მოკლედ მე-19 საუკ. კართულ ლიტერატურულ კრიტიკაში აზრის განვითარება ბარათაშვილის ევროპულ რომანტიზმთან მიმართების შესახებ.

პირველი ლიტერატურული კრიტიკოსები, რომლებიც რამდენიმე ფრაზით ან სიტყვით მოიხსენიებენ ბარათაშვილს, აღარებენ მას დიდ რომანტიკოს პოეტებს. „ჩვენი ბაირონი“, „ჩვენი ლერმონტოვი, — ამგვარი მოხსენიება პოეტისა, გამოხატავდა იმ პერიოდის საზოგადოებაში სრულიად გარკვეულ და ჩამოყალიბებულ შეხედულებას ბარათაშვილზე, როგორც ბაირონისებური და ლერმონტოვისებური ხმის პოეტზე. რაც ნიშნავდა ბარათაშვილის რომანტიკოსად აღიარებას. თანდათან, ბარათაშვილის შემოქმედების უფრო ღრმა შესწავლასთან ერთად, უფრო და უფრო ფართოდ დგება საკითხი ევროპული ლიტერატურული მიმართულების, რომანტიზმის პრობლემებთან ბარათაშვილის პოეზიის დაკავშირების შესახებ. მე-19 საუკუნის თითქმის არც ერთი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი შრომა, მიძღვნილი ბარათაშვილის პოეზიის ანალიზისადმი, არ უვლის გვერდს ამ საკითხს. „ახალი მიმართულების“, „ახალი დროის“, ლერმონტოვისებურ და ბაირონისებურ პოეტად მიაჩნია ბარათაშვილი გასული საუკუნის მის კრიტიკოსებს, სულერთია, ახსენებენ თუ არა ტერმინს „რომანტიზმი“. პირველი სერიოზული წერილი ამ მხრივ, პროფ. ალ. ცაგარელს ეკუთვნის. საინტერესო მოსაზრებები ბარათაშვილის პოეზიის აღმოსავლურ-სპარსულ ლიტერატურულ ტრადიციებთან გათიშვისა და მისი ნოვატორული ხასიათის შესახებ წამოაყენა ჯერ ნ. ნიკოლაძემ 1876 წელს, ხოლო 1880 წელს რ. ერისთავმა. 90-იანი წლებიდან იწყება ბარათაშვილის კვლევაში დიდი აღშავლობა, ამ მხრივ განსაკუთრებული როლი შეასრულა ილია ჭავჭავაძის წერილმა. საუკუნის ბოლოს, ხომლეღისა და კიტა აბაშიძის ვრცელი გამოკვლევები იყო ახალი ეტაპი ბარათაშვილის პოეზიის ევროპულ რომანტიზმთან მიმართების გაანალიზებაში.

ალექსანდრე ჭავჭავაძის „მოკლე ისტორიული
ნარკვევის“ შესახებ

ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ ნიკოლოზ პირველის სახელზე დაწერილი მოხსენების („საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მისი მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“) აღმოჩენა და პუბლიკაცია დიდი მნიშვნელობის მქონეა პოეტის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გასათვალისწინებლად. ეს ნარკვევი პირველად ქართულად 1926 წელს დაიბეჭდა ჟურ. „ქართულ მწერლობაში“ (№ 4—5, და № 6—7). იქვე, ნარკვევის კომენტარებში, სარედაქციო შენიშვნაში ვკითხულობთ: „პირველად ამ წერილზედ არჩილ მიქაძემ მიგვითითა, ამ წერილს ა. ხახანაშვილიც იხსენიებს თავის სიტყვიერების ისტორიაში (ქართულში — 1913 წ. გვ. 21). ალ. ხახანაშვილი წერსო — ალ. ჭავჭავაძეს ეკუთვნის აქამდის დაუბეჭდავი მოკლე ისტორიული განხილვა საქართველოსი და მისი მდგომარეობისა 1801—1831 წ წ. მაგრამ სამწუხაროდ პატივცემული პროფესორი არ აღნიშნავს თუ სად ნახა ეს ხელნაწერი ან რომელ წიგნთსაცავში ინახება.

როცა პროფ. მ. ა. პოლიექტოვი რუსეთში მიემგზავრებოდა, ი. გრიშაშვილმა სთხოვა, რომ თავის ახალ მონოგრაფიისათვის („ალ. ჭავჭავაძე“) როგორმე მოენახა და მოეწოდებინა ალ. ჭავჭავაძის ეს ხელნაწერი. პატივცემულმა პროფესორმა გადაწერა და ჩამოიტანა.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეს მოთხრობა, როგორც კონტექსტიდან ჩანს, დაუწერია 1837—1838 წლებში. იგი მოწმობს, რომ ალ. ჭავჭავაძეს მშვენივრად სცოდნია საქართველოს ისტორია და მაშინდელი მისი წყაროები....

...დედანი ამ წერილისა ალ. ჭავჭავაძის ხელით დაწერილი ინახება ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში.

ი. გრიშაშვილმა ალ. ჭავჭავაძის ეს ნარკვევი დაურთო პოეტის თხზულებათა კრებულს, რომელიც 1940 წელს გამოსცა, კომენტარში

კი მოთხრობილია აღნიშნული დოკუმენტის თავგადასავალი (ახ. აღ. ჰავკავაძე, თხზულებანი, 1940 წ. გვ. 343).

მართალია, აღნიშნული დოკუმენტები უკვე დიდი ხანია გამოქვეყნებულია, მაგრამ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს თუ ა. ხახანაშვილის მიერ ამ ფაქტის აღნიშვნამდე (1913 წ.) ვინ იყო ის კაცი, რომელიც პირველად იხსენიებს და იმორწმებს ამ ნარკვევს.

1873 წლის ვაზეთ «Тифлисский вестник»-ში (№ 72, 73, 74, 76, 78, 79-ში) დაიბეჭდა წერილი სათაურით: «Безпорядки в Грузии в первое десятилетие русского владычества в Закавказье» (1802, 1804, 1811 гг.). აღნიშნული წერილის სქოლიოში (1873 წ. № 72) ავტორი ასეთ შენიშვნას აკეთებს:

«Предлагаемая статья составлена главным образом по материалам, собранным несколько лет назад в архиве Главного штаба в Тифлисе. Из числа документов архива считаем нужным упомянуть об одной рукописи под заглавием — «Краткий исторический очерк Грузии и ее положение с 1801—1831 г.» Рукопись эта, имеющая 40 страниц в половину листа, особенно много говорит о причинах беспорядков в Грузии в 1811 году. Как видно, известны дела канцелярии наместника. Составителем этой брошюры, кажется, был князь Александр Чавчавадзе, сын грузинского посла в Петербурге, воспитанник Пажского корпуса. Догадка наша основана на словах одного грузинского князя, лично знавшего Чавчавадзе, который в 1837 году подал кн. Чернышову какую-то записку о Грузии. Г. Дубровин, которому цитируемый нами документ известен из дел Петербургского архива, называет его запиской кн. Чавчавадзе, поданной Государю в 1836 году».

ამ წერილის ავტორი შედარებით ობიექტურად გადმოგვცემს 1802, 1804 და 1812 წლების მღელვარების შესახებ. მიმოხილვის დროს ძალიან ბევრს სარგებლობს და ხშირად იმორწმებს აღ. ჰავკავაძის ნარკვევს. იქიდან საკმაოდ დიდი ადგილები მოაქვს და თვით აჯანყებულთა მიერ წამოყენებული მოთხოვნებიც კი უცვლელადაა აქვს მოტანილი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილი საკმაოდ დიდია (იგი იბეჭდებოდა გაზეთის ექვს ნომერში), არც დასაწყისში და არც წერილის დასასრულს ავტორი არსადაა ნაჩვენები.

ქართული ისტორიული წყაროები ისე კარგადაა წარმოდგენილი ამ ნაშრომში და ჩვენი იმ დროის ცხოვრების ისეთი კარგი ცოდნა ჩანს, რომ იფიქრებ, ქართველი კაცის დაწერილი უნდა იყოსო (რუსულ წერილში გვხვდება ქართული გამოთქმებიც, ქართული ასოებით), მაგრამ

აბა შოვესმინოთ ალ. ფრონელს (ყიფშიძეს), რომელმაც დაწვრილებით ავეიწერა 1804 და 1812 წლის ამბოხებანი.

ავტორი (ალ. ფრონელი) წიგნში „ამბოხება კახეთისა 1812 — წელს“ (1907 წ. გვ. 19) წერს: „ფრიად საყურადღებოა გავიგოთ და შევიტყოთ თუ რა თვალით უყურებს ასის წლის წინათ მოპარპაშე მოხელეთა ნავარდობას დღევანდელი ოფიციალური ისტორიკოსი ბ-ნი ნ. ს. ანოსოვი, იმდენად საგულსხმოა ანოსოვის ნათქვამი, რომ ვერა ვბედავთ მცირედი რამ ცვლილება შევიტანოთ და საესებით გაღმოვიღებთ მის აზრსა და მსჯელობას“.

ამის შემდეგ მოტანილია ალექსანდრე ჰავჭავაძის ნარკვევის ის აღგილი, სადაც იგი კახეთის 1811—12 წლების უკიდურეს გაქირვებასა და არაადამიანურ ჩაგვრას ეხება. აქვე ალ. ფრონელი მიუთითებს, რომ ალ. ჰავჭავაძის სიტყვები ნ. ს. ანოსოვისა აქვს გამოყენებული და ჩვენ ეს სიტყვები უცვლელად ამოვიღეთ. ამ შემთხვევაში წყაროდ ალ. ყიფშიძე ჩვენ მიერ დასახელებულ 1873 წლის გაზ. «Тифлисский вестник»-ს კი არ მიუთითებს, არამედ, ნ. ს. ანოსოვის მიერ შედგენილ წიგნს «Утверждение русского владычества на Кавказе» (том II, 1902 г., ст. 349—51), სადაც მე-19 საუკუნის სხვა მოვლენებთან ერთად ლაპარაკია ზემოაღნიშნული ამბოხების შესახებაც. დასახელებული ტომის შემდგენელია კაპიტანი ნიკოლოზ სტეფანეს ძე ანოსოვი, კავკასიის ცალკე კორპუსის სამხედრო ისტორიულ განყოფილებაში მომუშავე. ამრიგად, 1873 წელს «Тифлисский вестник»-ში დაბეჭდილი უავტორო წერილი 1902 წელს ანოსოვის მიერ შედგენილ წიგნში თითქმის მთლიანად არის შეტანილი, შეტანილი ისე, როგორც გაზეთში იყო დაბეჭდილი. ალექსანდრე ჰავჭავაძის ნარკვევი ისევეა დამოწმებული წიგნში, როგორც გაზეთში იყო. ამრიგად ის, რაც ნ. ს. ანოსოვმა 1873 წელს დათარა და თავისი ავტორობა არ გაამხილა გამოქვეყნებულ წერილში, 1902 წელს წიგნის შედგენის დროს გამომქდავნდა, ამ წიგნის საშუალებით გაირკვა 1873 წელს «Тифлисский вестник»-ში დაბეჭდილი უავტორო წერილის დამწერის ვინაობა, — ე. ი. ანოსოვისა. ალ. ფრონელისათვის როგორც ჩანს არ იყო ცნობილი 1873 წელს გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის არსებობა და ამიტომაც იგი მხოლოდ 1902 წელს ანოსოვის მიერ შედგენილ წიგნს იმოწმებს. ამრიგად, ფრონელისათვის ალ. ჰავჭავაძის ნარკვევის არსებობა სწორედ ნ. ს. ანოსოვის 1902 წელს გამოცემული წიგნიდან გახდა ცნობილი, ხოლო ნ. ს. ანოსოვამდე ალ. ჰავჭავაძის დასახელებული ნარკვევი გამოყენებული აქვს ღუბროვინს 1871 წელს, წიგნში «Георгий XII последний царь Грузии и присоединение к России».

მაშასადამე, ალ. ჰავჭავაძის მიერ 1837 წელს მეფის სახელზე დაწერილი მოხსენების არსებობის შესახებ პირველ ცნობას გვაწვდის

ნ. ღებროვინი, ხოლო ნ. ს. ანოსოვი 1873 წელს. შემდეგ ალ. ფრონელი 1907 წელს და ამის შემდეგ ალ. ხახანაშვილი 1913 წელს. კარდა ამისა აღსანიშნავია ზოგიერთი სხვა გარემოებაც: მ. ა. პოლიექტოვის მიერ აღმოჩენილი ხელნაწერი ნაწილობრივ ავტოგრაფია. ნ. ს. ანოსოვის მიერ მითითებული ხელნაწერი ასლია, გადაწერილი და არც ბელმოწერა აქვს, ორმოცნახევარი გვერდია. ამრიგად, კარდა ლენინკრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდისა, ალ. ქავკავაძის აღნიშნული ნაკრევის ასლი საქართველოშიც ყოფილა, მაგრამ იგი ჯერ მიკვლეული არ არის. აღსანიშნავია, რომ როგორც პროფ. მ. პოლიექტოვი აღნიშნავს („ქართული მწერლობა“, 1926 წ. № 6—7), ნაკრევის დედანი დაკარგულიაო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ალ. ქავკავაძის ამ მოხსენების დაწერის თუ მეფის სახელზე გაგზავნის თარიღად ასახელებენ 1836, 1837 და 1838 წელს. ჩვენ ხელთ არსებული სხვა წყაროებით დასტურდება, რომ ეს საჩივარი გადაცემულია 1837 წელს და ამ წერილის დაწერაც და გადაცემა, ერთი შეხედულებით, 1837 წელს რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის საქართველოში ჩამოსვლასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ არის სხვა მოსაზრებაც, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

1837 წელს დიდი მზადება იყო როგორც საქართველოში, ისე მთელ კავკასიაში მეფის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. ყველა თავისებურად ემზადებოდა, ყველას თავის საჩივარი და თხოვნა ჰქონდა. მაგ. თეკლე ბატონიშვილი თავისი შვილების დაბრუნებას სთხოვდა მეფეს სამშობლოში, ზოგი ჩინის მომატებას, ზოგი პენსიას და ა. შ. თხოვნათა მთელი კოლექციაა შემონახული არქივში. ალ. ქავკავაძემ კი საქართველოს სახელით მოახსენა ქართველი ერის ისტორიული ბედისა და აწმყოს შესახებ. კავკასიის მთავარმართებლობა მართალია ღებულობდა მეფის სახელზე შესულ თხოვნებს, მაგრამ თავის მხრივ დიდ თავდაჯერებას იკვირდა. დაიწყო მკაცრი რეპრესიები ექვემდებარებულზე, მემამობეებზე და საერთოდ მათთვის არაკეთილსამსურველ პირებზე.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, არასდროს იმდენი დაპატიმრება და ციხბირში გადასახლება არ მომხდარა, რაც 1837 წელს. ყოველივე ეს კეთდებოდა მეფის უშიშროებისათვის, და შემთხვევითი არ იყოს ისიც, რომ სწორედ 1837 წლის აგვისტოში, ფულით მოსყიდულმა აღაპიანებმა არსენა ოძელაშვილი დალატით დაიპირეს და ხელისუფალთ ჩააბარეს. სამხედრო ისტორიკოსის, კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის სამხედრო ისტორიული განყოფილების კაპიტანი ნ. ს. ანოსოვის მანიშნება, რომ აღნიშნული მოხსენების ავტორობის შესახებ ერთი ქართველი თავადისაგან გავიგეო — იმას უნდა გულისხმობ-

დეს, რომ ამ საჩივრის დაწერის დროს ალ. ჭავჭავაძე მარტო არ უნდა ყოფილიყო, ეს ქართველი თავადაზნაურების საერთო საჩივარი იყო, მაგრამ პოლიტიკური თუ დიპლომატიური მოსაზრებით მოხსენება ალ. ჭავჭავაძეს დააკისრეს, რომელმაც პირნათლად და შეიძლება ითქვას საუკეთესოდ შეასრულა ეს დავალება.

ნ. ს. ანოსოვი როდესაც ალ. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნულ ნარკვევს იმორწმებს, ხან ხელნაწერს ახსენებს და ხან ბროშურას, ე. ი. ამ ნარკვევს ბროშურასაც უწოდებს, რაც ნიშნავს, რომ იგი (ხელნაწერი) დაბეჭდილი სახითაც ყოფილა. ასევე, როგორც პროფ. მ. პოლიექტოვი მიუთითებს, ისტორიკოს ნ. პ. პავლოვ-სილვეინსკის თავის წიგნში — „გამოჩენილი რუსი ისტორიკოსების ლექსიკონი“ ალ. ჭავჭავაძის დასახელებული ნარკვევი მითითებულნი აქვს როგორც ბროშურა, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა მ. პოლიექტოვს შიანია, რომ არავითარი ბროშურა არ არსებობდა და ეს გაუგებრობაზე უნდა იყოს დაწყარებული. მიუხედავად ამ კატეგორიული განცხადებისა, არსებობს კიდევ ექვი, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეს ნარკვევი ცალკე ბროშურადაც შეიძლება ყოფილიყო დაბეჭდილი. მცირე ტირაჟით, გარკვეული მაღალი წრეებისათვის და არა საერთო საყოველთაოდ საკითხავად. ერთ პიროვნებას შეიძლება მოუვრდეს შეცდომა, მაგრამ როდესაც ორი სხვადასხვა ავტორი სრულიად დამოუკიდებლად ერთსა და იმავეს იმეორებს, აქ უფრო შეიძლება სინამდვილესთან გვეკონდეს საქმე და არა გაუგებრობასთან, ადვილი შესაძლებელია, ალ. ჭავჭავაძის დასახელებული ნარკვევი იყო დაბეჭდილი ცალკე ბროშურად, მაგრამ დაიჯარვა — ისე როგორც ბევრი სხვა რამ.

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ იბადება კიდევ ერთი კითხვა: როგორც ალ. ჭავჭავაძის ნარკვევიდან ჩანს, იქ აღწერილი ამბები მოდის 1831 წლამდე. ხელნაწერს კი ათარიღებენ 1836—1837 წლით. ნ. ს. ანოსოვის მიერ გამოქვეყნებულ ხელნაწერს არც ავტორი უწერია და არც თარიღი, ხოლო იმ ხელნაწერს, რომელიც მ. პოლიექტოვმა გამოიყენა, გადმოწერა და გამოაქვეყნა, სათაურის ზემოთ (ამაზე მიუთითებს მ. პოლიექტოვი) თვით ა. ჭავჭავაძის: ხელთ აწერია «Знак совершенного уважения и душевной преданности от князя Чавчавадзе. 2-июля 1837 г. С. Петербург».

ეს მიძღვნა ეკუთვნის სენატორს. გენერალ ადიუტანტს თავად დ. ა. ერისთავს. მარტო ამ წარწერით არ შეიძლება ნარკვევის დაწერის თარიღის დადგენა. გარდა ამისა ეს წარწერა ჩუთითებს იმაზე, რომ ალ. ჭავჭავაძე შეეცდებოდა თავისი ნარკვევი დაებეჭდა, რათა ამ სახით სხვებისთვისაც მიეძღვნა თავისი ნაშრომი.

ახლა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა, რომ ალ. ჭავჭა-

ვაქემ 1836 თუ 1837 წელს დაწერილ ნარკვევში მიმოიხილა თითქმის მთელი ჩვენი ისტორია, დაწვრილებით შეჩერდა საქართველოს რუსეთთან შეერთების დროინდელ ამბებზე — და ერთი სიტყვაც არა თქვა 1832 წლის შეთქმულებაზე და მის შემდეგდროინდელ ვითარებაზე?

ეს საკითხი დღემდე არ დასმულა და ცხადია, არც პასუხია გაცემული. სწორი და ამომწურავი პასუხისათვის საჭიროა დამატებითი მასალები. მასალების გარეშე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება.

დასმულ კითხვებზე ჩვენი მოსაზრება ასეთია: ალ. ჭავჭავაძის მოხსენების შინაარსი, მასში აღწუსებული დროის მონაცემით — 1801—1831 წლები — გვაფიქრებინებს ვთქვათ, რომ ეს ნარკვევი დაწერილია 1831 წლამდე, ეს არის ერთგვარი მოხსენებითი ბარათიც და საჩივარიც — საჩივარი პირველ ყოვლისა მათ მიმართ. ვინც მეფესა და ხალხს შუა იდგა და იმპერატორს არასწორ ინფორმაციას აწვდიდა, ამხინჯებდა, ახხვაფერებდა სინამდვილეში მომხდარ ამბებს. ეს იყო არა ერთი ჭგუფია. ერთი წოდების საჩივარი, არამედ ერთს საჩივარი და სატკივარიც, ეს საჩივარი დაწერილია 1832 წლის შეთქმულების მზადების პერიოდში და ამიტომ არაფერია ნათქვამი ამ შეთქმულების შესახებ. ქართველ თავადაზნაურობას ერთი ხელის მოსმით სურდა დაკარგული დამოუკიდებლობისა და პრივილეგიების დაბრუნება, ალ. ჭავჭავაძე როგორც საკმაოდ გაპობრძმედილი პირი უფრო შორს იყურებოდა და ამიტომაც, რომ შეთქმულთა მასალებში ალ. ჭავჭავაძის რაიმე უშუალო კავშირი 1832 წლის შეთქმულებასთან არ ჩანს. შეთქმულება თავის გზით მიდიოდა, ხოლო ალ. ჭავჭავაძეს თავისი გეგმები ჰქონდა — და ეს გეგმები ამ ნარკვევშია ჩამოყალიბებული. ალ. ჭავჭავაძე მომხრე და დამცველია რესეთის მფარველობისა, მაგრამ არა ისე, როგორც ამას რუსის ადგილობრივი მოხელეები ახორციელებდნენ, არამედ საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ტრაქტატის მიხედვით.

როგორც ჩანს, ალ. ჭავჭავაძე დიდხანს მუშაობდა ამ ნარკვევის დაწერაზე, ამზადებდა და ველარ მოასწრო — მოუსწრო 1832 წლის შეთქმულებამ და ეს ძველი დარღები მან 1836—37 წელს გაამყლავნა.

„საქართველოს მონათესავე“ იდეური მრწამსი

XIX საუკუნის ქართული ინტელიგენციის ახალი მოწინავე თაობის — თერგდალეულების პირველი გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე დაკავშირებულია ი. კერესელიძის ჟურნალთან „ციცქარი“. მაგრამ თერგდალეულთა მიერ ახალი იდეური პროგრამის არსებითი ჩამოყალიბება, ქართული შწერლობისა და ჟურნალისტიკის ახალი გეზის საბოლოო დადგენა მთელი სიცხადითა და სიფართოვით ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ გამოჩნდა. ჟურნალის გამოცემის წელი — 1863 — უდიდესი თარიღია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ, დაძაბულ და კრიტიკულ მომენტში დაიბადა. ამ მომენტის მიმართ ქართული ინტელიგენციის უაღრესად სწორი ისტორიული პასუხის გამოხატულებაა „საქართველოს მოამბე“.

1856—57 წლებიდან საგრძნობლად ირყევა რუსეთის ცარიზმისა და ბატონყმობის ბურჯები; ყირიმის ომის მარცხმა 1857 წელს საბოლოოდ აიძულა იმპერატორი ალექსანდრე II ბატონყმობა „ზევიდან“ გაეუქმებინა, ვიდრე ამას გლეხობა „ქვევიდან“ მოახდენდა. ოფიციალურმა მზადებამ ბატონყმობის „ზევიდან“ გაუქმებისათვის მთელი ბეჭდური სიტყვის ყურადღების ცენტრში გლეხთა საკითხი მოაქცია და მკვიდრი იდეოლოგიური დაპირისპირებანიც წარმოშვა. ერთ პოლუსზე აღმოჩნდა ლიბერალურ-მონარქიული, ხოლო მეორეზე — რევოლუციური დემოკრატიის პრესა. აწინააღმდეგებდა, განსაკუთრებით 1861 წლის ფორმით გლეხური, ხოლო შინაარსით გემამულური რეფორმის შემდეგ, დაიწყო რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის „რაზნო-ჩინული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული“ (ლენინი) ეტაპი. რუსი რევოლუციონერი დემოკრატები 1859—61 წლებში ცდილობენ გლეხების ანტიემემულური აჯანყებანი მთავრობის წინააღმდეგაც წარმართონ; რევოლუციის გამარჯვებისათვის საჭიროა, აგრეთვე, „რევოლუციური მასობრივი მოქმედების უნარი, ამასთან ეს მოქმედება საკმაოდ.

ქლიერი უნდა იყოს, რომ გასტენოს (ან 'მეარყოს) ძველი მთავრობა. რომელიც არასოდეს, კრიზისების ეპოქაშიც კი, არ „წაიქცევა“, თუ არ „წააქციეს“¹.

1861 წლის 9 თებერვლის საგლეხო რეფორმას მოჰყვა რევოლუციურ-პროპაგანდისტული მუშაობის გაფართოება სტუდენტობაში, მოსწავლეებში, მოწინავე ოფიცერთა შორის.

1861 წლის ბოლოს აღმოცენდა მსხვილი რევოლუციური საზოგადოება „მიწა და თავისუფლება“, რომელიც ცარიზმის დამხობას ისახავდა მიზნად.

მოწინავე რუსულ პრესაში ფართოდ მკვიდრდება საერთაშორისო პოლიტიკური და შინაური მიმოხილვები, ლიტერატურულ-პუბლიცისტური ფელეტონი, პერიოდიკაში მკვეთრად ვლინდება მკაცრი კლასობრივი განლაგებაც. პრესის დიდი ნაწილი ოფიციალურად ლიბერალურ-მონარქიულ ბანაკს ეკუთვნოდა, მაგრამ თვალსაჩინო იყო რევოლუციური დემოკრატიის პრესა: „სოვრემენიკი“, „რუსკოე სლოვო“, „ისკრა“, საზღვარგარეთული „კოლოკოლი“ და „პოლიარნია ზევსდა“.

ამ დროს მოწინავე ინტელიგენციაში საქართველოში უაღრესად პოპულარულია „სოვრემენიკი“ და სხვა რუსული მოწინავე ორგანოები. ხშირდება საიდუმლო შეკრებები, ყალიბდება სხვადასხვა წრეები და ა. შ. ჟურნალ „ცისკარში“ ჩნდება რევოლუციური თუ დემოკრატიული სულისკვეთების ნაწარმოებთა ნაკადი; ანტიბატონყმურ ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, რ. ერისთავის ლექსი „მთხვენლა მსაჯულისადმი“, ი. კერესელიძის „სალაყბო ფურცლები“; სრულიად ახალი სულისკვეთებისაა ილია ჭავჭავაძის „ორიოდე სიტყვა...“, „პასუხი“ და სხვ.

პირველი რევოლუციური სიტუაცია 1864—67 წლებამდეც გრძელდება საქართველოში. ამ მხრივ საყურადღებოა ი. ჭავჭავაძის „ქრტიკული შენიშვნები საგლეხო რეფორმის პროექტზე“, რომელიც თავისებური გაფრთხილებაც არის მთავრობისა, რომ თუ გლეხებს არ დააკმაყოფილებთ, „საშიშია“... შეიძლება „საშინელი არეულობა გამოვიწვიოთ“, „გლეხებიც საექვეა დათანხმდნენ შფოთისა და მღელვარების გარეშე“, „ატყდება საშინელი დავიღარაბა“. „თუ არ გვინდა საშინელი შფოთი და მღელვარება გამოვიწვიოთ“, რაც „საშიშია მთავრობისათვისაც“²... და სხვ.

საქართველოში რევოლუციურად განწყობილი ქართველი ინტელიგენციის ანტიცარისტულ-ანტიბატონყმური საგანგაშო ხმის აპოგევას

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, 1951, გვ. 248—249.

2 პ. რატონი. ი. ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა, 1963, გვ. 100, 104, 110, 112, 115, 117.

წარმოადგენს 1863 წელს „საქართველოს მოამბის“ მოღვაწეობა. ეს ჟურნალი ითვალისწინებს „სოკრემენიკის“ გამოცდილებას. მაგრამ ამჟამად ისიც, რომ იგი პირდაპირი მემკვიდრეა ქართული მწერლობის სოციალ-ეთიკური და დემოკრატიული ტრადიციებისა. კერძოდ, პირადად ი. ჭავჭავაძის და ზოგი სხვა თერგდალეულის პუბლიცისტიკა და საერთო მრწამსი თავისებურად ესიტყვება დოდაშვილის პროგრესულ მისწრაფებებს. „საქართველოს მოამბე“ წარმოადგენს შორეული თუ უშუალო წარსულის მოწინავე იდეების გაშლასა და გაფართოებას, ახალი ისტორიული ვითარებისათვის „მორაგების“ თავისებურ გამოხატულებას, ახალი ეროვნულ-სოციალური იდეალების, ახალი ლიტერატურული გზების ძიებასა და დასახვას.

პირველი რევოლუციური სიტუაციის წლები (1859—61). ისე როგორც 50-იანი წლების მთელი მეორე ნახევარი რუსულ პრესაში ცხარე იდეოლოგიური პოლემიკის წლებიც არის.

იმ დროის რუსეთის ლიბერალურ-რეაქციული პრესის რეზონანსიც შეიძინებდა „ცისკრის“ „შიგნიდამ გარეთ ფეხგამოუდგმელ“ ლიბერალურ-კონსერვატული ბანაკის წარმომადგენლებში (ბ. ჯორჯაძე, ალ. ორბელიანი, ალ. სულხანიშვილი), ძველ ბატონყმობას მამაშვილობადად სახავენ; ქადაგებენ ქრისტიანულ-რელიგიურ მორალს (ბ. ჯორჯაძე) და ამჟამად ანტიგანმანათლებლურ აზრებს (ალ. სულხანიშვილი). ასეთი ნაწერები ძირითადად რუსეთის პირველი რევოლუციური სიტუაციის წლებშია (1859—61) გამოქვეყნებული ჟურნალ „ცისკარში“³. მაგრამ არ იქნება ჯწორი მტკიცება, თითქმის „ძირითადი ხაზი“, რომელსაც „ცისკარი“ ატარებდა, იყო დაცვა ძველი ფეოდალური წყობილებისა⁴. შეუძლებელია „ძველი ფეოდალური წყობილების“ დამცველი ვუწოდოთ ჟურნალს, რომელმაც ბატონყმობის — საზოგადოდ პატრიარქალურ-ფეოდალური იდილიის მხილება პირველმა დაიწყო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ჟურნალის წყალობით საზოგადოდ ასპარეზზე გამოვიდა ქართველ რევოლუციონერ-დემოკრატთა ავანგარდი. უაღრესად საგულისხმოა, რომ ამ ჟურნალს „ჩვენი ცხოვრების ახალი ხანის დაწყება“ უწოდა „ივერიამ“⁵.

„ცისკრის“ ძირითადი ხაზი იყო ფეოდალური წყობის დაგმობა. ამ ჟურნალის ხელმძღვანელი ბირთვი (ი. კერესელიძე, ა. ფურცელაძე, დ. ბაქრაძე, რ. ერისთავი, დ. ქონქაძე, ი. მამაცაშვილი და სხვა), რომელსაც ი. კერესელიძე მეთაურობდა, „რეაქციულ თავადაზნაურობასა

3 ვ. გაგოიძე, „საქართველოს მოამბე“, 1956, გვ. 37, 42, 43, 45, 47.

4 იქვე, გვ. 36.

5 „ივერია“, 1893, № 4.

და მეფის ხელისუფლებასთან ბრძოლით ხელს უწყობდა აზროვნების გამოცოცხლებას, პროგრესული ელემენტების შემჭიდროებას და რეალიზმის დამკვიდრებას⁶.

1832 წლის შეთქმულების მხილების შემდეგ რუსეთის მთავრობა ყოველგვარ საზოგადოებრივ ინიციატივას ექვის თვალით უყურებდა. თავის დროზე ოფიციალურ ორგანოდ მიჩნეული „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ ქართულმა ინტელიგენციამ პატრიოტული მიზნებისათვის გამოიყენა. დაახლოებით ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე „ცისკრის“ სახით: ჟურნ. „ცისკარი“ მთავარ მიზნად ისახავს ქართული საქმის, ენისა და მწერლობის დაცვას, განათლების გავრცელებას, ბატონყმობის მოსპობას, მეფის მთავრობის ბიუროკრატიული რეჟიმის გამოაშკარავენას, მშრომელი ხალხის ჭირვარამის გაზიარებას, ხალხისთვის ხელშეწყობასა და დახმარებას.

1857 წელს გამოსვლას იწყებს გერცენის „კოლოკოლი“. 1857 წლის ბოლოს დობროლუბოვი „სოვრემენიკის“ თანამშრომელია, ხოლო 1858 წლის დამდეგიდან ჩერნიშევსკ-ნეკრასოვთან ერთად ამ ჟურნალის თანარედაქტორი ხდება; „სოვრემენიკი“ რადიკალურად იცვლის შინაარსსა და მიმართულებას: ლიტერატურულიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანოდ იქცევა, ცენტრისათვის შენიღბულ წერილებში ლიტერატურულ და საზღვარგარეთის საკითხებზე გლახობა რევოლუციის მთავარ ძალად ცხადდება; ჟურნალი ააშკარავენს ბატონყმობის პოლიტიკურ არსს, მემამულეთა მკიდრო კავშირს თვითმპყრობელობასთან, ბატონყმობის „ზევიდან“ კემშარიტი გაუქმების შეუძლებლობას, სახალხო რევოლუციის გარდუვალობას, რომელიც თვით ცარიზმსაც დალევდა. ჟურნალში წარმოებს მატერიალიზმისა და ათეიზმის პროპაგანდა, იდეალისტური ფილოსოფიის კრიტიკა, ლიბერალიზმის როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგიის მხილება.

„სოვრემენიკის“ ძირითადი მასალა განაპირობებდა ამ ორგანოს მთავარ საზოგადოებრივ პროფილს, რის გამოც მუდამ მოსაგონებლად დარჩა „სახელოვანი „სოვრემენიკი“ (ი. ჰავკუაძე).

1859—61 წლებში ეს ჟურნალი საკმაოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოშიც: თბილისში 44—45 ცალი, ქუთაისში 2—7, თელავში — 5—3, მეფის წყაროში — 9—7... რუსი რევოლუციონერი დემოკრატების მოძღვრებას ეცნობოდნენ არა მარტო პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ქართველი მოწინავე სტუდენტები, არამედ აქ. საქართველოში მყოფნიც, იგივე „ცისკარელებიც“. შემთხვევითი როდია, რომ „ცისკრის“ კონაერეატული მწერლები ააღგაზრდა

⁶ ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, საქართველოს მოამბე, 1963, გვ. 8.

ი. ჭავჭავაძეს ბელინსკისებურ „ზაფრიანობას“, „ბელინსკობას“ ან „ბელინსკის ტომებით დაიარაღებულობას“ უკეთებენ⁷; საქმის ახლოს ცოდნითაა დაწერილი შემდეგი: „ბელინსკი უპირველესი კრიტიკოსი იყო რუსეთში!“ ზ. ჭიჭინაძის ცნობით, დ. ჭონჭაძე „კითხულობდა ბელინსკის ნაწერებსაც, რაც მაშინ სემინარიის სამკითხველოშიც მოიპოვებოდა“⁸.

ქართველი რევოლუციონერი დემოკრატების მიერ „საქართველოს მოამბის“ დაარსება მნიშვნელოვნად განაპირობა ეპოქის რევოლუციურ-დემოკრატიულმა და უტოპისტურ-სოციალისტურმა აზროვნებამ, მათ შორის ჩვენმა აღრინდელმა განმანათლებლებმა: თეიმურაზ, დავით, ფარნაოზ, იოანე ბაგრატიონებმა, განსაკუთრებით კი XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის სახელოვანმა წარმომადგენლებმა.

პრაქტიკულად კი „ცისკარმა“ შეამზადა თერგდალეულთა ეურნალის „საქართველოს მოამბის“ დაბადება; 1857—61—62 წლების ეურნალ „ცისკრის“ მონაპოვარია „მდაბიური წერის“ შემოღება, სოციალურ-ეროვნული უსამართლობის და სხვა მანკიერების მხილება, „ცისკარმა“ ქართველ მკითხველებს ფართოდ მიაწოდა ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელთა მრავალი ნაწერი. მაგრამ ამასთანავე „ცისკარში“ უამრავი უაღრესად დაბალი ხარისხის მასალაც იბეჭდებოდა. პოზიცია არ იყო ყოველთვის მტკიცე და თანამიმდევრული. ყოველივე ამის გამო ფერხდებოდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის წინსვლა, სალიტერატურო ენას განახლება, რეალიზმის პრინციპების გაბატონება მწერლობაში. ბუნებრივია, თუ ყოველივე ამის გამო განსაკუთრებით „სტუდენტობაში“. ე. ი. უმთავრესად პეტერბურგში უმაღლეს განათლებამიღებულ მოწინავე ქართველ ახალგაზრდობაში „ცისკარზე“ მკაცრი კრიტიკული აზრი შემუშავდა. ახალი თაობის აზრს გამოთქვამდა ი. ჭავჭავაძე 1859 წელს გროტესკულად პირად წერილში: „ჩვენი ცისკარი ჯოჯოხეთის კარია და არა ცისაო“. „ლიტერატურის წარმომადგენელი ჩვენში მართო „ცისკარია“ აშკადად. ნუთუ მართლა, რაც „ცისკარში“ იწერება საქართველოს ხალხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა?.. ნუთუ მართლა ეგრე დაეცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჰგრძნობს? მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბლაჯნის, აღარ ბლაჯნოს, რადგანაც იგინი თავის ბლაჯნით ამდაბლებენ

7 „ცისკარი“, 1861, № 6.

8 ზ. ჭიჭინაძე, დ. ჭონჭაძის გარდაცვალებიდან, გაზ. „ახალი აზრი“, 1913, № 4.

ჩვენს ენასა“, — წერდა ილია 1861 წელს „ცისკარშივე“ თავის წერა-ღებში „პასუხი“, რომელიც „ცისკარის“ კონსერვატული „ძალადმწერლების“ წინააღმდეგ იყო მიმართული და, არანაკლებ, თვით ჟურნალის მეთაური მოწინავე ჯგუფის უხერხელოების, განსაქიჩებლადაც. ახალი თაობის სასულიერო ემზადებოდა ი. ჭავჭავაძე „ცისკარის“ უმწიფობის საჩვენებლად 1862 წელსაც, რაც ცნობილია ესკიზით — „ცისკარი“ 1857—1862 წლამდინა“: „ჩვენც უშიშრად და დაუნდობლად შეუდგებით „ცისკარის“ განხილვას. ჩვენ არ დავიშურებთ მის ძაგებას, რაც საძაგებელია, მის ქებას, — რაც საქებია. მტრულად მოვეციდებით, „ცისკარს“, რომ თუ გასწორება უნდა, გასწორდეს და მოყვრულად გაპოადგეს სახალხო საქმეს, რომელიც უტვირთვია“⁹.

თერგდალეულები ახალი ვითარებით ნაკარნახევ მოთხოვნებს უყენებდნენ „ცისკარს“. ამ ორგანოს არ ძალუძდა ახალი მოძრაობისთვის ფუნის აწყობა. აუცილებელი იყო ახალი ძალა, რომელიც დამდგარი ცხოვრების „გუბეს“ გაარღვევდა და ქართულ რევოლუციურ-დემოკრატიულ აზრს შედარებით ფართო სარბიელს მისცემდა სამოქმედოდ.

1861 წელს „ცისკარში“ დაბეჭდილი ი. ჭავჭავაძის სტატიები „ორიოდე სიტყვა“... და „პასუხი“ თერგდალეულთა მაგისტრალური გზის მაჩვენებელი გამოსვლა იყო.

1861 წლის პოლემიკამ ჟურნ. „ცისკარის“ ფურცლებზე გამოამყდა ახალი ქართველ მწერალ-პუბლიცისტთა ორი დაპირისპირებული ბანაკი: ერთი მხრივ, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიით აღჭურვილი ახალი თაობა — თერგდალეულები ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, და, მეორე მხრივ, ფეოდალურ-პატრიარქალური იდეოლოგიის მადიდებელი „შინიღამ გარეთ ფეხგამოუდგმელი“ კონსერვატული თაობა.

ახალ თაობას შორის შეიძლება ცალკე გამოიყოფოდა ერთი მცირე ჯგუფი (ა. ფურცელაძე, ი. კერესელიძე და სხვ.), რომელნიც რუსული ნიჰილიზმის გავლენითა და პოზიციების საბოლოო დაუდგენლობის გამო ამეღვანებდა კლასიკოსთა და დიდ ავტორიტეტთა დაუფასებლობას, ზედმეტ „ლიბერალობას“ და სხვ. ი. ჭავჭავაძემ მათი პოზიცია იმთავითვე დაგმო მხატვრულ-პუბლიცისტურ ფელეტონში „სხარტულა“ (I), ხოლო მოგვიანებით ამ მოვლენას უწოდა „უარმყოფელობა ჩვენში“. ამ „უარმყოფელობის“ სწრაფი მარცხი ჩვენში დიდად განაპირობა „საქართველოს მოამბე“. მაგრამ „უარმყოფელთა“ სახით თუ რაოდენ სახიფათო ძალას თუ „მიმდინარეობას“ დაუპირისპირა „საქართველოს მოამბე“, ეს ჩანს ი. ჭავჭავაძის შემდეგ სიტყვებში: „მამებისადმი“ სიძულვილის გამო, სამოციან წლებში „პისარევის უარყოფა დიდ მო-

⁹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1941, გვ. 623.

დად შემოვიდა ბრძანათვის. ვისაც ადვილად, მოუმზადებლად კუსავით ფესის გამოყოფა უნდოდა ქვეყანაზედ, ეგ მოდა უნდა მიეღო. ამისათვის ორიოდე ფრაზა იყო საჭირო. ერთი ის რომ პოეზია და ერთობ ხელოვნება რა კვიანი კაცის საქმეა, ერთი წყვილი წაღა შექსპირს მირჩევნიაო; მეორე — ავტორიტეტები არა მწანსო; მესამე — ისტორია ზღაპარიაო; და მეოთხე — ქვეყანაზედ მარტო გლეხკაცია აღაპიანი და თავადი და აზნაური კი არაო. აი სწორედ ამგვარ ლიბერალიზაში ჩაცვიფლენ ჩვენებურის ყმაწვილკაცობის ბევრი წილი“¹⁰.

„უარყოფილობის“ სრული და სწრაფი მარცხი მნიშვნელოვნად განაპირობა „საქართველოს მოამბემ“. ამაშიც მდგომარეობს თერგდალეულთა ამ ორგანოს დიდი როლი. ის ფაქტიც, რომ ზოგ თერგდალეულთა შორის არ გავრცელდა და არ განეითარდა „უარყოფილობის“ ზოგი ცდუნება, ბევრის მხრივ არის „საქართველოს მოამბის“ დამსახურება, რომელიც მოწინავე იდეებისათვის იბრძოდა. ამის გამო ი. ჭავჭავაძე წერდა: „თუცა „მაშების და შვილების“ ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმაწვილკაცობა და იმ ბრმად აყოლილებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც გაღმობიანეს, მაგრამ ჩვენის ყმაწვილკაცობის სასახელოდ ისაც უნდა ვთქვათ, რომ მათგანმა თითო-ორთლამ გამოინაპირა, და თავისი შეცდომა მალე იცნო, გამოვიდა ცალკე გუნდად, დადგა ცნობრების მოედანზედ. მას აქეთია ჩვენშიაც ყმაწვილკაცობა ორ ბანაკად გაიყო: ერთში მოექცნენ ისინი, ვინც რუსეთის უარყოფელის მიმართულებიდან ოთხ ზემოხსენებულ ფრაზებს გარდა არ გამოეტანათ რა, მეორეში — ახალი გუნდის მომხრენი. პირველმა დაიხვიეს ხელზედ რუსეთის „მამაშვილობა“, ენაზედ დაიყარეს ზემოთ მოყვანილი ორი ფრაზა და დღეს აქამომდე აწიოწოს იძახიან და იოლად მიდიან. მეორეები კი დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს... ის „სხვა რამე“ იყო — ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა. იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიჰმართა. მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრა მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“ და ბოლოს „ივერია“ სულ მაგ მიმართულების ბუქსა და ნალარასა სცემდნენ“¹¹.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რუსეთისაგან განსხვავებულ, საქართველოში, როგორც ეროვნული პრობლემის ქვეყანაში, XIX საუკუნის სამოციან წლებში, ეროვნული მეობის დაცვის საკითხებში, ზოგი თვი-

¹⁰ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1952, გვ. 63.

¹¹ ი. ჭავჭავაძე, გვ. 64.

ლიბერალურ-კონსერვატული ბანაკის წარმომადგენელიც კი პრინციპულ საკითხებში გულწრფელად თანაუგრძნობს თერგდალეულთა თაობას, თუნდაც იგივე ალ. ორბელიანი, ბ. ჯორჯაძე და სხვ., რომ აღარაფერი ვთქვათ „ციცკრელ“ თუ საერთოდ „მტკვარდალეულ“ ლიბერალებზე.

„საქართველოს მოამბის“ იდეური ნათესაობა „სოვრემენიკთან“, „კოლოკოლთან“ და სხვა რუსულ დემოკრატიულ ორგანოებთან მდგომარეობს იმაში, რომ ქართული ორგანოც ყველა საზოგადოებრივი საკითხის მიმართ უკომპრომისო პროგრესულ პოზიციას იკავებს, იყენებს ახალ რევოლუციურ მოძღვრება-მიპნინაჲობებს. მაგრამ „სოვრემენის“ და სხვა რუსული მოწინავე ორგანოებისაგან განსხვავებით, „საქართველოს მოამბე“ ახალ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძღვრებას, ახალ „თეორიებს“ ფართოდ და საგანგებოდ იყენებს არა მარტო სოციალური, არამედ ეროვნული საკითხისათვის; „საქართველოს მოამბე“ თავის პროგრესულ იდეურ მოძღვრებას უშუალოდ ერის „დაცემული ვინაობის აღდგენის“ ამოცანას უკავშირებს, რაც ამ ქართულ ორგანოს თავისებურ სახეს ანიჭებს. ეს ამოცანა შესაძლებლობას აძლევს „საქართველოს მოამბეს“, უმტკივნეულოდ დაუკავშირდეს ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ს. დოდაშვილის თაობას და კავშირი დაამყაროს „ციცკრის“ მოწინავე მიდრეკილებებსა და ავტორებთან.

ერთი მხრივ, „სოვრემენიკის“ და, მეორე მხრივ, „საქართველოს მოამბის“ სპეციფიკას თავისებურად ასურათებს და განმარტავს ის ფაქტი, რომ „კოლოკოლის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა 1865 წელს ნ. ნიკოლაძის ასეთი მოსაზრება ეროვნულ, კერძოდ, საქართველოს საკითხზე. „ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნებოდა საქართველოს ეროვნული მისწრაფება გვერდზე გადადებულებიყო“; ნ. ნიკოლაძე ცდილობს ეს აზრი გაამართლოს იმის შიშით, რომ ეროვნული იდეალისათვის ბრძოლა საქართველოს მიიყვანს იმ „სასაკლაოზე“, „სადაც ამას წინათ ტყავი გააქვრეს პოლონეთს“¹². ასეთი თვალსაზრისი ეროვნული საკითხის თაობაზე გამოთქმული „კოლოკოლის“ ფურცლებზე შეუძლებელია „საქართველოს მოამბეში“ ან თერგდალეულთა სხვანაირად გამოთქმულიყო რომელიმე ნამდვილი სამოციანელის მიერ; ამ საკითხში „საქართველოს მოამბეს“ და მის ავტორებს მაშინვე მტკიცე პოზიცია ეკავათ და არ გაუზიარებიათ „კოლოკოლის“ წერილის ავტორის ნ. ნიკოლაძის ერთგვარი ეროვნული ნიპილიზმის აზრი და „ეროვნული მისწრაფებებისათვის ბრძოლა“ გვერდზე არ გადაუღ-

12 ნ. ნიკოლაძე, რჩული ნაწერები, სიმ. ხუნდაძის რედაქტორობით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, ტ. 1, გვ. 176.

ვით. „საქართველოს მოამბის“ გეზი და სიახლე ის იყო, რომ იქადაგა საქართველოს როგორც სოციალური, ასევე ეროვნული ბრძოლის დაკავშირება რუსეთის გამათავისუფლებელ მოძრაობასთან; ეს იდეა „საქართველოს მოამბემ“, თერგდალეულებმა ბოლომდე დაიცვეს.

ერის „დაცემული ვინაობის აღდგენის“ ამოცანა თერგდალეულებისა და „ცისკრის“ თანამშრომელთა შორის კონტაქტის და თანამშრომლობის საშუალებას იძლეოდა. მაგრამ ამ ეროვნული ამოცანისათვის ახალი, პროგრესული გზით სვლა, რევოლუციური მიზნისათვის თანამიმდევრული სამსახური თერგდალეულებს შეეძლოთ და არა „ცისკრელებს“ — „ცისკარს“.

ერის „დაცემული ვინაობის აღდგენისათვის“ საერთო ბრძოლამ შესაძლებელი გახადა „ცისკრელთა“ და თერგდალეულთა თანამშრომლობა, მაგრამ ამ უკანასკნელთა რევოლუციურმა თეორიამ, მკვეთრმა დემოკრატიზმმა წარმოშვა შეუირიგებელი პოლემიკა და აუცილებელი გახადა თერგდალეულთა ცალკე ორგანოს — „საქართველოს მოამბის“ დაარსება.

რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში, განსაკუთრებით საქართველოში, როგორც მდიდარი ეროვნული წარსულისა და მკაცრი კოლონიური ჩაგვრის ქვეყანაში წარმოქმნილი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ძირითადად მშრომელ გლეხობას ეყრდნობა, მაგრამ რუსეთისაგან მნიშვნელოვანი განსხვავებით ხასიათდება; თერგდალეულები ბატონყმობის მოსაზრების ამოცანას ოდნევადაც არ ივიწყებენ, მაგრამ ქართველი ერის გაქრობის საშიშროების აცილების, ცარიზმის ანტიეროვნული მოწოდების მოგერიებისა და ანტიცარიტული ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობისათვის მეტი ძალისა და გაქანების მიცემის მიზნით სხვა წოდებანიც, კერძოდ, თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის პროგრესული ძალებიც არიან მოხმობილი.

თერგდალეულთა და „საქართველოს მოამბის“ სულის ჩამდგმელს ი. ჭავჭავაძეს პირველ რიგში, ყველგან და ყველადღერში, ყოველთვის „ეროვნული სატივიარი“ აწუხებს. ეს მომენტი მეტად მნიშვნელოვანია „საქართველოს მოამბის“ დახასიათებისას. ი. ჭავჭავაძე წერს: „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“; თერგდალეულები „აღზრდილი და განაწავლული იყო რუსულ მწერლობა-მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიაც, ისიც რუსულის შემწეობით... ნასწავლმა თაობამ, გარდა იმისა, მოჰფინა რამდენადაც შეძლო ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო ნათელი აზრები,

ხელა მიჰყო საკუთარს ვითარებას... ჩვენს ცხოვრებას... მას აქეთ თან-
დათან ძლიერდება საკუთარის წარსულის და აწმყოს შესწავლა¹³.

არ უნდა გავაიგივოთ და ცალკე უნდა განვასხვაოთ ქართველ სა-
მოციანელებზე რუსული პროგრესული მოძღვრების გაცნობის კეთილ-
მყოფელი ფაქტორი და ქართველი სამოციანელების მიერ ამ მოძღვრე-
ბის გამოყენების ფორმა და მიზანი. „თვითეული ჩიგნგანი რუსულის
ლიტერატურით გაზრდილა... მის გამონარკვევესუდ აუგია თავისი რწმე-
ნა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქ-
მისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოუჩინეია... ჩვენდა საბედ-
ნიეროდ. ვიტყვი... ბრმად, ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურას
აუცილებელს ზენოქმედებას... ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევის
და ნერე ასე ან შეუთვისებიათ, ან უარუყვიათ“¹⁴.

ჩვენს ქვეყანაში ეროვნული პრობლემის სიმწვავეით აიხსნება, რომ
თერგდალეულნი — „საქართველოს მოამბე“ თავისებურად აშუქებს
სოციალ-კლასობრივ საკითხებსაც. თერგდალეულები ყმა გლეხებს ზოგ-
ჯერ იარაღისკენაც მოუწოდებენ, რითაც ქართველ თავადაზნაურობას
აფრთხილებენ გონს მოეგონ. შემთხვევით არ მიპართავს ი. ჭავჭავაძე
ხალხის გენიას ჟურნალის საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამ-
ბეზედ“ და „კაცია ადამიანის“ ეპიგრაფად მოაქვს: „მოყვარეს პირში
უძრახე, მტერს პირს უკანაო“. ილია წერს („საქართველოს მოამბე-
ზედ“): „სალხი მაღალი თუ დაბალი ყველა მოყვასია ჩენი; ...ჩვენ
ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან სა-
ზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ანგლიელი“. ამდენად
პროგრესულია თერგდალეულთა პატრიოტიზმიც: „სამშობლო ქვეყ-
ნის სიყვარული უნდა გამოდიოდეს კაცობრიობის სიყვარულიდგან ის-
რე, როგორაც ნაწილი მრთელისაგან... თუ ასრე არა, პატრიოტობა
(მამულის მოყვარება) იქნება, ის რომ უყვარდეს თავისი მხოლოდ იმი-
სათვის, რომა თავისია და ეჯავრებოდეს ყველაფერი სხვისა, და ვინ
იცის რანაირად უხარბიან და მოსწონს თავისი უმსგავსობა და სახიჩ-
რობა“. — კვითხულობთ „საქართველოს მოამბის“ ესოდენ განმაუ-
რებულ კრიტიკულ-ფელეტონურ ნარკვევში „სფირიდონის და თადე-
ოზის ბაასი“. თვით ყველაზე ანტიბატონყმური მოთხრობის „გლახის
ნაწებობის“ შესავალი ნაწილივე მკითხველს მოუწოდებს და ჩააგო-
ნებს, რომ უკეთესი იქნებოდა კაცის კელა არ ყოფილიყო ამ ქვეყ-
ნად და საზოგადოდ, ამასვე მოუწოდებს მთელი ეს მოთხრობა, სწო-
რედ იმიტომ, რომ კაცის მკვლელია ამ მოთხრობის მთავარი გმირი,

13 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 11, 1941. გვ. 91. 178.

14 იქვე, გვ. 607—608.

ყმა-გლეხი, რომელიც დაჩაგრა მებატონემ და აიძულა იგი მინი სიზბ-
ლი დაეღვარა. მაგრამ ჩაგრულიც და მჩაგვრელიც ამავე დროს ხომ
ქართველებიც არიან?! აქ ხომ ჰუმანური თვისებებით აღქურვილად
დახასიათებულია თვით მებატონეთა ძველი თაობა, იმავე ზნეღაცე-
მული ახალგაზრდა მებატონის დათიკოს მამა; მათელ მოთხოვნას
კაცთმოყვარეობის ჰუმანისტურ-ეთიკური იდეა წარაშთავს და არა
კლასობრივი სიძულელილისა: „კაცს რაჟი ღეთის მადლი ჩაესახება
გულში, მღიღარია თუ ღარბი, მინც მადლის გზაზედ წავა“. მატრო
ეს გამონათქვამიც კმარა ამ მოთხოვნის დედა-აზრის ამოსაქითხად; ბა-
ტონყმობა უნდა იმისპოს, რადგან „ბატონყმობის შუა სიყვარულის
ხიდი არ გაიდება“¹⁵. ყოველივე ეს ისტორიული ვითარებითაა ნაკარ-
ნანსევი. საქართველოში საქირთა ეროვნულ და სოციალურ პროგრამათა და ბრძოლის ნეთოდების კოორდინირება, მათი ურთიერთდა-
კავშირება, — ასეთია თერგდალეულთა სახელმძღვანელო დევიზი.

სოციალურ საკითხზე გამოთქმული თვალსაზრისი იქნება ეს, თუ
სხვა „საქართველოს მოამბის“ მხატვრული თუ კრიტიკული ნაწერები
ბევრის მხრივ არის განპირობებული ეროვნულ საკითხზე — სამშობ-
ლოს მდგომარეობაზე ფიქრით, მაშინაც კი, როცა ეს უკანასკნელი
თვალნათლივ არ ჩანს.

ქართველი ერის ისტორიული ცხოვრების ტრაგიკულ მხარედ არის
დასახული ბატონყმობა „კაკო ყაჩაღშიც“, რომლის პირველი თავები
„საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნდა. ბატონყმობა „მწუხრის ზე-
წარია“. მწერალს აფიქრებდა ლუარსაბ თათქარიძე, იმიტომ რომ იგი
ქართველი ხალხის ცხოვრების გუბეს მიეკუთვნება, რომელიც უნდა
„ჩამოვირეცხოთ... მოვიშოროთ“. მაგრამ სოციალურ საკითხზე დაფიქ-
რებისას დავიწყებული არ არის ერთგვარი ერთიანი ეროვნული ფრონ-
ტის—ეროვნული კონსოლიდაციის იდეის ქადაგება კოლონიალური
ჩაგვრის გამო. იმავე „კაცია-ადამიანში“, რომელიც მიწასთან ასწორებს
ბატონყმობის ინსტიტუტს, როდია დავიწყებული ქართველთა ერთო-
ბის ქადაგება: „— დიდი და პატარაობა სად არ არის? — სთქვა ლუარ-
საბმა, აი, თუნდ თითებზედ დაიხედე... — განა არ დამიხედნია... დიდიც
არის, პატარაც, მაგრამ... ერთმანეთს არ უშლიან, — სთქვა ცბიერმა
დათომ“. თათქარიძეობისთანა „სასაცილო ამბავი უფრო ხშირად უნ-
და გატირებდეს შენა... თუ არა და იცინე... და მომიგონე ჳორი... —
რომ მე ვითომც ქართველებს ვლაღატობ, რადგანაც იმის სასაცილო

¹⁵ „საქართველოს მოამბეში“, როგორც ცნობილია, ხსენებული მოთხოვნის პირ-
ველი ხუთი თავი დაიბეჭდა.

აშბავს გიამბობ და არა ვმალავ ზოგიერთ გულმოკლე პატრიოტივით... საუბედუროდ, თქვენში, მკითხველო, ძნელად იპოვნება იმისთანა კაცი. რომ მართალს სიტყვას გონება გაუსწოროს, ვიცი ეს და მიიწვ კიდევ პირში, როგორც მოყვარე გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი გაზრდილან... თუ იმათ დასცინებ მითამ შენის თავისთვის დაგაციინია, თუ დასტირებ — ეგ კაი ნიშანია: სჩანს სწუხხარ, რომ ამისთანანი ვართ, სჩანს, შენის თავის „გასწორების განზრახვამ ფრთა აიბა“.

პროლოგ-ეპილოგი, რა თქმა უნდა, „კაცია ადამიანის“ ორგანული ნაწილია, რომელაც ბატონყმობის ინსტიტუტის ლიკვიდაციის გარდუვალობასაც უსვამს ხაზს და ამ აზრით, ეროვნული სხეულის გაჯანსაღებისაკენ მოწოდებაც არის.

„გასწორების“ იდეა ი. ჭავჭავაძესთან და საერთოდ თერგდალეულებთან უნდა გავიგოთ, როგორც კლასობრივი ჩაგვრის ლიკვიდაციის თავისებური მონდუსი საქართველოსათვის, რაც უნდა მიღწეულიყო, ერთი მხრივ, ყოველგვარი სოციალური ბოროტების სამარცხვინო მხარეების სასტიკი მხილების გზით („კაცია ადამიანი?!“ „საქართველოს მოამბეზედ“, „გუთნის დედა“, „მუშა“...), მეორე მხრივ, მხეცი მჩაგვრელების მიმართ ძალისა და იარაღის გამოყენების გზით („კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნამბობი“, „ალ. გავაცო“, „ჩრდილოეთ ამერიკის შტატები და იქაური ტყვეობა“, „კრიტიკული შენიშვნები“). ყოველივე ეს ნიშნავს „შრომის სუფევის“, „მოამბელთა“ პუბლიცისტური ტერმინით, „კომუნური დაწყობილების“ მოპოვებას.

თერგდალეულთა „ერთიანი ერის“ იდეას პროგრესულობას ანიჭებს ის, რომ იგი, თავისი არსით ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ იყო მიმართული და თავისი დროისათვის დიდი როლიც შეასრულა.

ამ გაგებით „გასწორების“ იდეა ი. ჭავჭავაძის, თერგდალეულების თუ „საქართველოს მოამბის“ რადიკალიზმს ჩრდილს როდი აყენებს: ცარისტული რუსეთი საქართველოს ჩანთქმით ემუქრებოდა: „გასწორების“, „შრომის სუფევის“ თუ „მთლიანი ერის“ თერგდალეულთა იდეამ დადებითი როლი შეასრულა ქართველი ხალხის კონსოლიდაციის საქმეში. თუ ისტორიული თვალსაზრისით შევხედავთ თერგდალეულების, „საქართველოს მოამბის“ „ერის საერთო ინტერესების“, „ერთიანი“ თუ „მთლიანი ერის“ „თეორიას“, რომელსაც სამოციან წლებში ჯერ კიდევ არ მიუღია ისეთი ჩამოყალიბებული სისტემის სახე, როგორც 70—80-იან წლებში, მაშინ აშკარა გააღება სიმცდარე იმ კრიტიკისა. რომელსაც ბევრი მკვლევარი უმართებულოდ მიჰართავს მის წინააღმდეგ. „საქართველოს მოამბის“ — თვით ი. ჭავჭავაძის „ერის საერთო ინტერესების“, „ერთიანი ერის“ „თეორიის“

ერე სოციოლოგისტური კრიტიკის თაობაზე იგივე შეიძლება ითქვას, რაც თავის დროზე ი. ჭავჭავაძემ ნიპილისტ „უარსყოფელუბის“ მისამართით თქვა: „ეპ, თქვენ რა იცითო?.. თქვენ ძველს მოძღვრებას მისდევთ და მე ახალსაო. გამოდის მეორე და იძახის: შექსპირი რა კაცია, ერთხელ ერთს ვილაცა სულელს წამოურახუნებია — დიდი მწერალიაო, და თქვენც არა-ნაკლებ სულელებს, გჯერათო. რა მწერალია, რომ იმოდენი რაღაცეები დაუწერია და აბა თუ ერთგან ნახსენები ჰქონდეს რანციჲნი ხოროც-იო“¹⁶.

მაღალ და დაბალ წოდებათა შეგნების თანდათან თუ რევოლუციის გზით გარდაქმნის, სრული სოციალური თანასწორობისა და თავისებური უკლასო „სოციალისტური“ საქართველოს იდეას ქადაგებენ თერგდალეულნი. ეს მეტ-ნაკლებად ჩანს: „კაცია ადამიანში“, „გლახის ნამამობში“, „კაკო ყაჩაღში“, „საქართველოს მოამბეზედ“, 1863 წლამდე შექმნილ „აჩრდილის“ პირველ და მეორე ვარიანტში და საერთოდ „საქართველოს მოამბის“ მთელ პუბლიცისტიკაში.

რუსი რევოლუციონერი დემოკრატებისაგან განსხვავებით, თერგდალეულებისათვის მთავარი იყო არა სოციალური, არამედ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა რუსეთის გამათავისუფლებელ მოძრაობასთან კონტაქტში, რაც ისტორიულად გამართლებული იყო. ამ ბრძოლამ დაიცვა და გადაარჩინა ქართველი ხალხი.

საქართველოში წოდებათა შორის მეტ-ნაკლები, თუნდაც დროებითი ზავის ქადაგებით, თერგდალეულები ცდილობენ ქართველი ხალხი მოამზადონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციისათვის, — გააძლიერონ ეროვნული ბრძოლა, რომ ბრძოლის ამ სახეობის სიმწვავეთ შეიტანონ თავიანთი წვლილი რუსეთის ყველა ხალხის გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

გავიხსენოთ ნ. ნიკოლაძის აზრი თერგდალეულთა როგორც ეროვნული თავისუფლების, ისე რუსეთთან კონტაქტის იდეის ისტორიულ მნიშვნელობაზე: „ქართველი ხალხი დღითიდღე უფრო და უფრო მეტად იმსჭვალება თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით. მცირეოდენადაც არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ რუსეთის მთავრობას საქართველოში ამჟამად (ე. ი. სამოციანი წლების პირველ ნახევარში — ა. კ.) შეგობრები და კეთილის მსურველი არა ჰყავს გარდა დიდი მთავრის ერთი მუჰა კლევერტებისა და ბობოლა მოხელეებისა“¹⁷.

16 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1941, გვ. 186.

17 ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 173.

მიუხედავად ამისა, ნიკო ნიკოლაძე ასკენიდა: „რაკი საქართვე-
ლო თავის სვე-ბედს თუნდაც თანამედროვე რუსეთს დაუკავშირებს, იგი
უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას,
ვიღრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (ალარა-
დერს ვამბობთ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ აღა-
რაღერი ვთქვათ ოსმალეთსა ან სპარსეთზე, რომლებსაც საქართველო-
ში არცერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის“¹⁸.

ეროვნული დამოუკიდებლობისათვის რუს ხალხთან კონტაქტში
ბრძოლის ასპექტში უნდა განვიხილოთ „საქართველოს მოამბის“ თუ
თერგდალეულთა მოღვაწეობა. ამ პრიზმში წარმოგვიდგება ი. ჭავჭავა-
ძის თვით ყველაზე „საჩოთირო“ „მგზავრის წერილები“, რომელიც
1861 წელს, ე. ი. „საქართველოს მოამბის“ დაარსებამდე დაწერილი
ჩანს, მაგრამ ცენზურის მიზეზით 1871 წლამდე ვერ დაიბეჭდა, და
მეტ-ნაკლებად „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული ი. ჭავჭავა-
ძის თუ სხვათა მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწერები. საგულისხმოა,
რომ ცენზურას გაეპარა „აჩრდილის“ სწორედ საქართველოს დიადი
წარსულისა და ეროვნული თავისუფლების მადიდებელი თავები (XXIV,
XXVI, XXVII), კერძოდ, სტრიქონები: „დედავ ღვთისაო!.. ეს ქვეყანა
შენი ზედრია... შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა“
(XXVI); „წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება... ოოდისდა ვნა-
ხავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა თვისთა ღიდების ნაშთსა ზედა კვლავცა
აღმღგარსა... ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?“
(XXIV).

- პატრიოტიზმის და ეროვნული თავისუფლების ტრიბუნიდან გაის-
მის „საქართველოს მოამბეში“ „პოეტის“, „იანიჩარის“ „მას აქეთ რაკი
შენდამის“, „ალ. გავაცის“, პ. ნაკაშიძის „სამგზავრო წერილების“ ქარ-
თველი ერის გამომთფხიზლებელი საგანგაშო ხმები.

„საქართველოს მოამბის“ ეროვნული კრედოს, ერის „დაცემული
ვინაობის აღდგენის“ თვალსაზრისს გამოხატავს ჯერ კიდევ 1861 წელს
დაწერილი ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“: „— აწინა?.. ერობა სა-
და არნ? რუსობბაჰი ვარნ. აწინა ყველაი გაცუღდის...“

— მაშ, უწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო?

— რაიდ არა?

— რით იყო უკეთესი?

— აღრიდა ავად თუ კარგად ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს,
მით იყვის უკედ. აღრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვა-

¹⁸ ი ქ ვ ე, გვ. 175.

ყაბღის, ქალაი ქალაბღის... აშინა არა არს კაცნი... ვრი დავაწიწნილ, გალახულ არს“...

რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპი საქართველოში პირველყოვლისა თერგდალეულთა პირველსავე ნაწერებში, თვით „საქართველოს მოამბეში“ გამოვლინდა.

„საქართველოს მოამბის“ დახასიათებისას საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველოში მაშინვე დაირჩა ხმა: ყმაწვილკაცობის — ახალი თაობის ყურნალმა „სოვრემენიკის კაბა ჩაიცვაო“. თანამედროვეთა ამ აზრს ზ. კიკინაძე ასე გადმოგვცემს: „საქართველოს მოამბე“ პირდაპირ „სოვრემენიკს“ მოგვაგონებს“¹⁹. ეს მხოლოდ იმას მოწმობს, როდენ მკიდროა „საქართველოს მოამბის“ კავშირი რუსეთის ყველაზე მოწინავე ორგანოებთან. მართლაც, „საქართველოს მოამბეში“ „სოვრემენიკის“ მსგავსად თავის მთავარ მიზნად ხალხთან დაახლოების ამოცანა დაისახა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჭობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“ („საქართველოს მოამბე-ზედ“, № 1).

როგორც ი. ჭავჭავაძე ამბობდა, თერგდალეულებს ბრმად არაფერი შეუთვისებიათ, მექანიკურად არაფერი გადმოუღიათ, პირიქით, ჩვენი ქვეყნის თავისებური ისტორიული ვითარებისათვის მიუხადაგებიათ. შეუმჩნეველი არ უნდა დაგვრჩეს „საქართველოს მოამბის“, თერგდალეულთა ორიგინალობა. ვფიქრობთ, სიზუსტე აქლია თავისთავად საინტერესო მსჯელობას თერგდალეულთა ნააზრევის რუსული სამოციანელების უბრალო ასლად მიჩნევის შესახებ: მაგ., არჩილ ჯორჯაძე თერგდალეულობას „რუსული ახალი აზრების“, „დოგმატურ ათვისებად“ მიიჩნევდა: „ვიკითხოთ ეხლა, — წერდა იგი, — აქვს თუ არა ჩვენებურ შესამოცე წლებს განსაკუთრებული ფიზიონომია? მოვისურვებთ თუ არა პასუხის გაცემას... რუსეთისკენ უნდა ვიბრუნოთ თვალები... ჩვენში არავითარი თეორიული ტრადიციები არ არსებობდა. ამიტომ ახალი აზრების შეთვისებაც დოგმატური უნდა ყოფილიყო... აქ ჩვენ ვერავითარ ორიგინალობას ვერ ვხედავთ“²⁰.

ცხადია, დღეს საეჭვო აღარაა, რომ ასეთი აზრი, თერგდალეულობის აღმოცენებაში XIX საუკუნის 20—30-იანი წლების ბრწყინვალე პროგრესული თაობის (ი. ბაგრატიონი, ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი, ნ. ბარათაშვილი...) უკვდავი სოციალურ-ეთიკური და პატრიოტიზმის ტრადიციების შეუფასებლობით აიხსნება.

19 ზ. კიკინაძე, ილია ჭავჭავაძე, 1897, გვ. 31.

20 ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წ. I, 1911, გვ. 28.

ა. ჯორჯაძის მსგავსი თვალსაზრისი თერგდალეულთა ორიგინალობის საკითხზე გამოთქმული აქვს მ. ზანდუკელს: „ჩვენი სამოციანი წლების მოძრაობა არ არის ორიგინალური, იგი ჩვენი კულტურის და ისტორიული ცხოვრების დამოუყვებელ ნიადაგზე არ არის აღმოცენებული... ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს და მწერლობას იდეათა და მისწრაფებათა თესლი, მეთოდის მათი ცხოვრებაში დათესვისა და გატარებისა რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებიდან და ლიტერატურიდან გაღმობაქეთ“²¹.

რა თქმა, უნდა, უფრო სამართლიანია აზრი, რომ „ი. ჭავჭავაძემ ბელნსკისა და ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობიდან აითვისა უკეთესი მხარეები, ყველაზე რაციონალური და პროგრესული მომენტები, მაგრამ აითვისა არა პირდაპირ, არამედ შემოქმედებითად, კრიტიკულად“²².

არ არის გამორიცხული ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მოძღვრების მნიშვნელოვანი გავლენის კვალი რუსეთის 40—50—60-იანი წლების მოწინავე ფილოსოფიური აზროვნების განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე... ის კი აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძეს და სხვა თერგდალეულებს კარგად აქვთ შეთვისებული ს. დოდაშვილის ფილოსოფიურ-ესთეტიკური და ეროვნულ-სოციალური შეხედულებანი. მეტად მნიშვნელოვანია ანალოგია ჭეშმარიტად „პირველი ქართველი თერგდალეულის“ ს. დოდაშვილისა და ჩვენი სამოციანი წლების თერგდალეულების ფილოსოფიურ-ესთეტიკურ, კრიტიკულ-ლიტერატურულ და ეროვნულ-საზოგადოებრივ, დემოკრატიულ შეხედულებათა შორის. „საქართველოს მოაპსისა“ და თერგდალეულთა მრწამსის დახასიათებისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ „სოლომონ დოდაშვილი, როგორც პირველი განმანათლებელთაგანი საქართველოში, საფუძველს უყრის და ნიადაგს უშნადებს თერგდალეულების — 60-იანი წლების ქართული განმანათლებლების იდეურ მოძრაობას. თერგდალეულებმა ბევრი რამ მიიღეს მემკვიდრეობით ს. დოდაშვილისაგან“²³. გარდა ამისა, ნ. ბარათაშვილის, ი. ბაგრატიონის, ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, გ. ერისთავის როლი თერგდალეულთა ჩამოყალიბებაში უთუოდ დიდია. ამ საკითხს ნათელს ფენს თუნდაც ვაზ., „დროების“ 10 წლისთავზე ი. ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვის ძირითადი აზრი: „სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეზლოს, თუმცა იმ დროშაზე, რომელზედაც უფ. ს. მესხმა ნოიხსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავის მიმართუ-

21 მ. ზანდუკელი, თერგდალეულები და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში. 1928, გვ. 43.

22 მ. დუდუჩავა, ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა, 1960, გვ. 297.

23 თ. კუკავა, ს. დოდაშვილი და მისი მსოფლმხედველობა, 1955, გვ. 85—86.

ლება ზედ წააწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულის სოლომონ დოდაევისაგან²⁴.

ყოველივე ზემოთქმული და თუნდაც მხოლოდ ილიას სიტყვები ნათელყოფს რაოდენი შეცდომაა თერგდალეულთა ორიგინალობისა და ნოვატორობის დაუნახელობა და ამის გამო იმის განცხადება, რომ „საქართველოს გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეთა იდეები... ძირითადად ემთხვევა მათი რუსი მასწავლებლების იდეებს, — დეკაბრისტების, გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლუბოვის იდეებს“²⁵.

თერგდალეულთა და „საქართველოს მოამბის“ ორიგინალობისა და ეროვნული თავისებურების ერთგვარი სეკტიკური შეფასებანი განაპირობა იმ განსაკუთრებულმა პატივისცემამაც რუსი რევოლუციური დემოკრატებისადმი, რაც თვით თერგდალეულებმა გამოიჩინეს „ცისკართან“ და უმთავრესად კი კონსერვატულ თაობასთან პოლემიკაში ტაქტიკური სვლების გაკეთებისას, რასაც უთუოდ მნიშვნელობა ჰქონდა ახალი თაობის გამარჯვების საქმეში.

არ შეიძლება სასხვათაშორისოდ მივიჩნიოთ ს. დოდაშვილის და მისი ყურნალის — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ დემოკრატიული მიღრეკილებების მნიშვნელობა თერგდალეულთა — „საქართველოს მოამბის“ საზოგადოებრივ-ლიტერატურული მიმართულებისა და პროფილის ჩამოყალიბებაში; ასევე უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1832 წლის შეთქმულების პროგრესულ იდეებს.

XIX საუკუნის 20—30-იანი წლების ჩვენი მოწინავე მწერლებისა და პოეტების ნაწერებსა და მოღვაწეობას გადაამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციურ-დემოკრატიული თაობის — „საქართველოს მოამბის“ ახალი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მიმართულების დაფუძნებისათვის. ამას მოწმობს პირველი ნომერივე, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ახალი ეპოქის დაწყების დიდი მესიტყვის ნ. ბარათაშვილის ლექსით „შემოღამება მთაწიმიანდაზედ“ იხსნება, როგორც „ქართლის ბედის“ ახალი კუთხით შემობრუნების მქადაგებელი: „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“. „საქართველოს მოამბის“ ეროვნულ-პატრიოტული ნაწერები „ბედი ქართლისას“ ავტორის ეროვნული თავისუფლების კონცეფციით არის შთაგონებული.

24 გაზ. „დროება“, 1876, № 74.

25 პ. რ ა ტ ი ა ნ ი, ილია ქავკაძე, 1965, გვ. 446.

საზოგადოდ, თერგდალეულნი სოციალურ საკითხს ყოველთვის სასაბუცალო მნიშვნელობას ანიჭებენ და ამ მხრივ საერთო მათსა და რუს რევოლუციონერ დემოკრატებს შორის დიდია. მაგრამ კოლონიალური ქვეყნის შვილები ყურადღებას ამახვილებენ ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე; პირველ ყოვლისა, ეს არის „საქართველოს მოამბის“ ღირსება და მისი თავისებურება.

საგულისხმოა, რომ თერგდალეულნი ეროვნულ საკითხს რუსეთის საერთო სოციალურ ვითარებას უკავშირებენ ყოველთვის. შემთხვევითი როლია, რომ ასლად შემოერთებული აჭარის ზოგმა მკვიდრმა, როცა კვლავ ოსმალეთისაკენ იბრუნა პირი და იქ გაქცევა ამჯობინა, ამის გამო ი. ჭავჭავაძე 1879 წლის თებერვლის „მინაურ მიმოხილვაში“ წერს: „ხალხი რათ უნდა მიიზიდებოდეს ოსმალეთში... გაგონილა!.. საკვირველი ამბავია!.. ნუთუ, რაც უნდა იყოს, რუსეთის ხელში ყოფნა არ უნდა ერჩივნოს, ვიდრე ოსმალეთის ხელში?“²⁶.

არის კიდევ მრავალი საკითხი, რომლითაც „საქართველოს მოამბე“ განახვავდება „სოვრემენიკისაგან“. ეს თავისებურება ქართული ჟურნალისა აიხსნება იმ ფაქტით, რომ, მაჩქისის სიტყვებით რომ ვთქვათ, XIX საუკუნის სამოციანი წლების „საქართველო რუსეთის პოლონეთია კავკასიაში“²⁷. ეს გულისხმობს რევოლუციური განწყობილებების სიმძაფრეს, ეროვნული პრობლემის სიმწვავეს საქართველოში. ასეთი თავისებური ისტორიული ვითარებით აიხსნება, რომ „საქართველოს მოამბეს“ ხშირად ახასიათებს „სოვრემენიკზე“ უფრო ძლიერი ნაციონალურ-რევოლუციური შემართება, ეროვნული და სოციალური საკითხების პარალელური გაშლა და ურთიერთდაკავშირება. ამდენად უთუოდ საკამათოა მოსაზრება, რომ თითქოს „სამოციანი წლებისათვის ეროვნულმა საკითხმა თუმცა მნიშვნელოვანი ადგილი შეინარჩუნა, მაგრამ ცენტრალური ადგილი მაინც სოციალურმა საკითხმა დაიკავა“²⁸.

ეს საკითხი უნდა შემოწმდეს თერგდალეულთა — „საქართველოს მოამბის“ ძირითადი ნაწერების მიხედვით, ხოლო როცა ამ წყაროს მივზარავეთ, საწინააღმდეგო დასკვნამდე მივდივართ.

საზოგადოდ, XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ცარიზმის პირობებში იყო არა მხოლოდ ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა, არამედ ქართული მწერლობის, მეცნიერების და კულტურის სფეროებში ახალი პროგრესული საწყისების დანერგვისათვის ბრძოლაც, რაც ჯერ კიდევ

26 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1952, ტ. III, გვ. 22.

27 К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, 1958, т. 11, стр. 699.

28 ვ. გაგოიძე, ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, 1962, გვ. 11.

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დანდევში დაიწყო და საუკუნის მეორე ნახევარში თერგდალეულთა მრავალმხრივი ეროვნულ-პატრიოტული ნოლვაწილობით დაგვირგვინდა; თერგდალეულთა, „საქართველოს მოამბის“ ბრძოლა იყო მაჰმადიანური სამყაროს მოწოლით შერყეული და იავარქმნილი დიადი ეროვნული კულტურის ტრადიციების ახალ ვითარებაში აღდგენისა და დამკვიდრებისათვის გაშლილი შეუპოვარი ბრძოლა, რაც საქართველოს კვლავ მსოფლიო კულტურისა და ეროვნული ცხოვრების დიდ გზაზე გამოსვლას ისახავდა მთავარ მიზნად. უკვე კაპიტალისტური განვითარების ორბიტაში მოხვედრით სამშობლოს ისტორიულმა ვითარებამ 1832 წლის შეთქმულების წინ ჩვენ სახელოვან პოეტებს, მწერლებს, კერძოდ, ს. დოდაშვილს, ნ. ბართაშვილს კარგად დაანახა ქართლის ბედის ახალი გზა.

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. თავისი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მახვილით სახელოვანი წინაპარია „საქართველოს მოამბისა“, — იკვლევს საქართველოს მაშინდელ და წარსულ ყოფასა და კულტურას, რუსეთის გზით მსოფლიოსათვის მისაწვდომს ხდის მას და თან შემოაქვს საქართველოში დასავლეთ ევროპის კულტურის პროგრესული ტრადიციები.

„არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვჰმუშაობ, — წერდა ს. დოდაშვილი ი. ხელაშვილს, — არამედ სიყვარული-სათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნოს ივერია სამელო-ბითა წერილთა სარწმუნოთა“²⁹.

ს. დოდაშვილი საქართველოს წარსულის ნიჰილისტ-ფალსიფიკატორთა დაუნდობელი მტერია. ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულმა იდეებმა ს. დოდაშვილი 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ყველაზე პროგრესულ მონაწილედ აქცია.

თერგდალეულებმა, „საქართველოს მოამბემ“ ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის იდეა ერთიან იდეოლოგიურ პროგრამად და ქართული ხალხის ბრძოლისა და არსებობის დიად დროშად აქციეს.

„საქართველოს მოამბის“ და, საერთოდ, თერგდალეულთა მოღვაწეობის შეფასებისას ერთ-ერთი საგულისხმო საკითხია მათი პოზიცია ხალხის, დაბალი კლასების, განსაკუთრებით კი გლეხობის მიმართ. ამ საკითხის გამო ვ. გაგოიძე დადებითად იმოწმებს პ. გუგუშვილს³⁰, რომელსაც მიაჩნია: რაკი, „თერგდალეულებს სურდათ დახმარება გაეწიათ ხალხისათვის“, თითქოს ეს ნიშნავდეს, რომ „თერგდალეულები ხალ-

29 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ს. ხუციშვილის შესავალი წერილით და შენიშვნებით, გვ. 75.

30 ვ. გაგოიძე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, 1962. გვ. 12.

ხოსნების უშუალო წინამსრობლები არიან ჩვენს სინამდვილეში და 60-იანი წლების პუბლიკაციისტიკაშიც ხშირად გამოსკვივის ხალხოსნური იდეები³¹. მართლაც ხალხისადმი სამსახურის მოწოდება ხშირად გაისმის თერგდალეულთა ნაწერებში, მაგრამ ეს მათთან ხალხოსნობის იდეები არ არის. სხვა საკითხია ნ. ნიკოლაძის, ა. ფურცელაძის... თერგდალეულობა-ხალხოსნობის საკითხი. მაგრამ გავიხსენოთ მხოლოდ ნ. ნიკოლაძის ერთი აზრი, ა. ფურცელაძის საწინააღმდეგოდ გამოთქმული: „ი. ჰავკავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი და მე ზოგიერთ კითხვებზე... სხვადასხვა აზრისა ვართ, მაგრამ საზოგადო მიზანი... ერთი და იგივე გვაქვს და უნდა გვქონდეს. ამ საზოგადო მიზანს ჩვენ ყველანი, ჩვენი ძალისა და ცოდნის მიხედვით, ერთგულად ვემსახურებით“, — წერდა ნ. ნიკოლაძე 1872 წელს ჟურნალ „კრებულში“³².

თერგდალეულები, „საქართველოს მოამბე“ შესანიშნავად ითვალისწინებენ და ალღოს უღებენ ნაციონალურ-რევოლუციურ ძვრებს დასავლეთ ევროპასა და რუსეთში, 1863 წლის პოლონეთის ანტიცარისტული აჯანყების გაკვეთილებს, ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომის ამბებს, იტალიის განმათავისუფლებლ მოძრაობას, ქართველი გლეხობის ანტიფეოდალურ-ანტითვითმპყრობელურ დულილსა და მღელვარებას ი. ჰავკავაძესა და მის თანამებრძოლებს სურდათ გარბალდის მოხალისე რაზმელები გამხდარიყვნენ, პ. ნაკაშიძე საგანგებოდ მიავლინეს აჯანყებულ პოლონეთში. ამ ხანებში ამ მიზნითაც მიდის დასავლეთ ევროპაში ნ. ნიკოლაძე, რომლის მაგალითს გაჰყვა შემდეგში ს. მესხი და ბევრი სხვა თერგდალეული. პეტერბურგში ყოფნის დროს და შემდეგ თერგდალეულნი სწავლობენ თავისი და სხვა ქვეყნების ისტორიას, თანადროულობას, მეცნიერებისა და ლიტერატურის მიღწევებს და კრიტიკულ-შემოქმედებითად იყენებენ თავისი ქვეყნის ცხოვრებასა და შემოქმედებით პრაქტიკაში.

სრულად ახალი „ლეგალური“ ხასიათის საზოგადოებრივ-სახალხო მოღვაწეობის ბრწყინვალე ნიმუშად იქცა თერგდალეულთა, „საქართველოს მოამბის“ საქმენი; ჟურნალი თავის ფურცლებზე არ აკაჰანებს არცერთი ანტიხალხური კალმოსნის ნახელავს. რევოლუციური ჟურნალის ფართო ხასიათის ეროვნულ-სოციალურ ჩანაფიქრებს ზოგჯერ თვით „ციცკრის“ ესა თუ ის მოწინავე დემოკრატი მწერალიც კი ვერ უღებდა ალღოს; გასაგებია, თუ „საქართველოს მოამბე“ ქართული ხალხის სულიერ ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპის დადგო-

31 პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, 1941, გვ. 317.

32 ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, ტ. 3. 1963, გვ. 63.

მას—თავისებურ რევოლუციას მოასწავებდა, ეს ეურნალი დამსახურებულად დგას იმ დროის დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მოწინავე ეურნალების დონეზე. იდეური რადიკალიზმით საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში ჩაწვდომითა და შესაფერად გამომხატურებით. ეურნალი დიდებულად იყენებს საუკეთესო ეურნალისტურ-პუბლიცისტურ და ლიტერატურულ ტრადიციებს. მართალია, მძიმე ცენზურული პირობები „საქართველოს მოამბეს“ მცირედ როდი უშლიდა ხელს.

„საქართველოს მოამბე“ მთელი მაშინდელი რუსეთის იმპერიაში ერთადერთი პერიოდული ორგანოა, რომელსაც მტკიცედ უპყრია ხელთ რევოლუციური დემოკრატიის სახელოვანი დროშა, რომელიც რეაქციის სუსხის გამო ის-ის იყო ხელიდან უვარდებოდა თვით „სოვრემენის“: ჩერნიშევსკი პეტრე-პავლეს ციხის ბნელ კაზემატებშია, დობროლუბოვი ადრე დაიღუპა, ნეკრასოვი ვერ უშკლავდება შავი რეაქციის ცენზურის თავდასხმებს, საზღვარგარეთული „კოლოკოლიც“ მერყეობას იწყებს.

„საქართველოს მოამბე“ იქცა ახალი ეპოქას ეურნალისტიკის, საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის უდიდეს მოვლენად. „ვის არ ახსოვს ეს წელიწადი (1863),—წერს ნ. ნიკოლაძე—როცა ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა — როცა ჩვენი ცხოვრება თავის უწინდელს კალაპოტს ცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა... როცა ატყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობისა, ე. ი. ახალი ცხოვრების და ძველი კაცობის; ე. ი. ძველ წესსა და სჯულს შუა?... რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს“³³.

„საქართველოს მოამბემ“ დაჰკმო ძველი ბატონყმური დამოკიდებულება, გრძნობით შეხედა მან თავის მწერლობაში გლეხის დაჩაგრულ ბედს და ესევე გრძნობა გადაიტანა საწმობლოზედაც“³⁴.

1863 წელს „საქართველოს მოამბის“ მოღვაწეობის მაგალითის წყალობით, „ცისკარიც“ უმჯობესდება; მაგრამ თვით „საქართველოს მოამბის“ მიმართულება შეუდარებლად მოფიქრებული და ღრმაა; მას განსაკუთრებული წვლილი შეაქვს ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლების, ერის „დაცემული ვინაობის აღდგენის“, ქართულ მწერლობაში რეალიზმის საბოლოო გამარჯვების, მისი თეორიული და შემოქმედებითი საფუძვლების დამკვიდრებისა და განმტკიცების დიდ ისტორიულ საქმეში. ყოველივე ზემოთქმული საქ-

33 ნ. ნიკოლაძე, იქვე, გვ. 59—60.

34 იქვე.

მაო საფუძველს იძლევა ვთქვათ, რომ: „ი. ქავკავაძე 1861 წლის დამდევს პეტერბურგიდან წამოვიდა არა ავადმყოფობის ან სხვა რაიმე პირადი მოთხოვნების გამო, არამედ იმისათვის, რომ ხელი შეეწყო საქართველოს და მთელ კავკასიაში სახალხო აჯანყების მომზადებისა და წარმართვისათვის, რომლის მიზანი ბარონეპური წყობილების მოსპობა და რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლება იყო“³⁵.

სწორედ საყოველთაო სახალხო აჯანყების მოწოდების ხმა გაისმის ჯერ კიდევ „ქართვლას დედის“ 1860 წლის ვარიანტში:

ხალხი აზვირთდა, ხალხი ფიქრობს, ხალხი მოქმედობს,
კასპის ზღვიდამა შავზღვიდამინა ერთ ფიქრსა ფიქრობს:
ეკ ფიქრი არის მთელ კავკასის თავისუფლება...

...სიცოცხლესა დღეს სჯობია სიკვდილი,
დღეს გამოჩნდეს ქართველისა მხნე შვილი...

ამასვე ღაღადებს 1861 წელს დაწერილი ილიას „მგზავრის წერილები“: „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“...

საყოველთაო აჯანყების სული ამოძრავებს „საქართველოს მოამბებს“ — ყველა მის თანამშრომელს და, საზოგადოდ, სამოციანი წლების მთელ ქართველ ახალთაობას.

მაგრამ თერგდალეულები ქართველ ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებენ არა მარტო სამოციანი წლებში, არამედ ყოველი რევოლუციური სიტუაციის წლებში, 80-იან და 905-იან წლებშიც.

ამრიგად, თერგდალეულთა მოღვაწეობას შარავანდედს ფენს „საქართველოს მოამბის“ მიერ ეროვნული და სოციალური თავისუფლებისა და ინტერნაციონალიზმის იდეების ქადაგება, რაც ქართველი ხალხის შეგნების ამაღლებისაკენ იყო მიმართული და არც ერთ მომენტში არ გულისხმობდა რუსი ხალხისაგან ქართველი ხალხის იზოლირებას.

„საქართველოს მოამბეში“, როგორც თერგდალეულთა რევოლუციურ-დემოკრატიული პროპაგანდის პირველ ორგანოში, რამდენადაც ცენზურის მოტყუება ხერხდება, მეტ-ნაკლებად ყოველთვის ყურადღება გამახვილებულია ეროვნულ-სოციალური მონობის მოსპობისა და მხილებისაკენ. აქ ეროვნულ-სოციალური საკითხების დასმა ხშირად რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან ანალოგიაზეც გვანიშნებს, მაგრამ ქართული ეროვნული პრობლემატიკა ყოველთვის სახეზეა თვით სოციალურ საკითხებზე დაწერილ თხზულებებშიც კი.

³⁵ ვ. რ ა ტ ი ა ნ ი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, 1962, გვ. 131—132.

რაც შეეხება ეროვნულ-ანტიკოლონიალური ბრძოლის ასპექტში საკითხის დაყენებას, იგი არ წარმოადგენდა რუს სამოციანელთა მუდმივ და მთავარ საკითხს, იგი ძირითადად ქართულ და მეტ-ნაკლებად სხვა დაპყრობილ ხალხთა რევოლუციური დემოკრატიების საკუთრებაა. თერგდალეულთა ეროვნულ-სოციალური, ფილოსოფიურ-ესთეტიკური, მხატვრულ-პუბლიცისტური მრწამსი და მწერლური სახე მთელი სისრულით პირველად „საქართველოს მოამბეში“ წარმოჩნდა. „ეს უურნალი გახდა 60-იანი წლების მოწინავე იდეების ცენტრი“²⁶.

თანამედროვეთა სიტყვები რომ გავიმეოროთ, „საქართველოს მოამბე“ იყო „პირველი ევროპული უურნალი ჩვენში“, რომელმაც აშკარა გახადა რევოლუციურ-დემოკრატიული პრესის განსაკუთრებული დანიშნულება ქვეყნის საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების განვითარებაში.

„საქართველოს მოამბემ“ ცენტურის არტახების მიუხედავად, დააყენა თანადროულობის ყველაზე მტკივნეული ეროვნულ-სოციალური პრობლემები: კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის მოსპობის, „შრომის სუფევის“ და დემოკრატიული წყობილების „კომუნური დაწყობილების“ დამყარების, ჰემანისტურ-დემოკრატიული მწერლობის, ხალხისათვის მისაწვდომი ენის დამკვიდრების და სხვ. საკითხები. „საქართველოს მოამბისათვის“ ნიშანდობლივია სიახლის იშვიათი ალღო, ყოველივე წარმავალისა და დრომოკმულისადმი სრული შეურიგებლობა.

თერგდალეულთა — „საქართველოს მოამბის“ ბრძოლა ქართული სინამდვილის და ლიტერატურის განახლებისათვის, ახალი ისტორიული ვითარების გაცნობიერებისათვის კარგად ჩანს უურნალის ეპიგრაფშიც: მარკოზის სახარებიდან, „ხოლო ლელვისაგან ისწავლეთ იგავი ესე, რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩვიან და გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს გაზაფხული“ (თავი 13, მუხლი 23).

უურნალ „ცისკარში“ მხოლოდ ნაწილობრივ აისახა ის აზრები და ის მრწამსი, რომელიც სრულყოფილად გამოვლინდა „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე. ი. ჭავჭავაძის თაობის ამ ორგანომ მთელი პრინციპულობით დააყენა ქართლის ბედის ძველი გზების უვარგისობისა და ახალი ორიენტაციების ძიების აუცილებლობის პრობლემები; ეს პრობლემები „საქართველოს მოამბემ“ დაუქვემდებარა ეპოქის უახლეს პროგრესულ მოძღვრებას და ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ბრძოლა რუსეთის სოციალურ რევოლუციას დაუკავშირა.

შალვა რაბინი

ქურონალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“

(ნარკვევი)

1832 წლის 1 იანვარს ს. დოდაშვილის რედაქტორობით გამოვიდა ქურონალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ პირველი ნომერი, როგორც დამატება გაზეთისა „ტფილისის უწყებანი“. ეს იყო პირველი პერიოდული გამოცემა ქართულ ენაზე, რომელსაც ქართული სული ედგა და რომელმაც უმთავრეს მიზნად მშობლიური კულტურისა და ლიტერატურის სამსახური მიიჩნია.

„სალიტერატურონი ნაწილნის...“ პირველი ნომრის გამოსვლის დღე ქართული ეროვნული ქურონალისტიკის დაბადების დღეა და იმის განვითარების ისტორიაც აქედან უნდა დავიწყოთ.

რა თქმა უნდა, თუ მოვლენების მხოლოდ ფორმალურ მხარეს გავუწევთ ანგარიშს, მაშინ ქართულ პერიოდიკას უფრო ადრეც ჩაეყარა საფუძველი: 1819 წლის 8 მარტს გამოვიდა პირველი გაზეთი ქართულ ენაზე — „საქართველოს გაზეთი“. 1820 წლის მეორე ნახევრიდან მას ეწოდა „ქართული გაზეთი“, ე. ი. უბრალოდ, დაზუსტდა გაზეთის რუსული სახელწოდების — «Грузинская газета-ს» ქართული შესატყვისი.

„საქართველოს გაზეთის“ გამოცემა შეწყდა 1821 წლის ბოლოს. ამის შემდეგ ქართულ ენაზე კარგა ხანს არ გამოსულა არავითარი პერიოდული გამოცემა. მხოლოდ 1828 წელს მოხერხდა ახალი გაზეთის „ტფილისის უწყებანის“ გამოცემა. ეს გაზეთიც არსებითად «Тифлисские Ведомости-ს» ქართული თარგმანი იყო. მისი გამოცემა შეწყდა 1832 წელს, თუმცა რეგულარულად არც მანამდე გამოდიოდა. «Тифлисские Ведомости-ს» მთავარი რედაქტორი პ. სანკოვსკი ქართულ გამოცემას ს. დოდაშვილის დახმარებით ხელმძღვანელობდა. ასე რომ, არც „ქართული გაზეთი“ და არც „ტფილისის უწყებანი“ დამოუკიდებელი გამოცემები არ ყოფილა.

თავისთავად კი „ტფილისის უწყებანი“ შედარებით ფართო პროგრამით გამოდიოდა და შინაარსითაც უფრო საინტერესო იყო, ვიდრე „ქართული გაზეთი“, მაგრამ როგორც ერთი, ისე მეორე, შესაბამისი რუსული გაზეთების ქართულ თარგმანს წარმოადგენდა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ უშნიშვნელო განსხვავებას, რომელსაც იძლევა განსაკუთრებით „ტფილისის უწყებანი“, თავის დედანთან შედარებით!). ამ პერიოდულმა გამოცემებმა, სრულიად გასაგები ისტორიული ვითარების გამო, ვერ მოახერხეს ეროვნულ ნიადაგზე დადგომა. გასული საუკუნის 20-იანი წლების ქართველი ხალხის დრამატიზმით აღსავსე ცხოვრება მათი ყურადღების გარეშე დარჩა. მიუხედავად ამისა, ჟურნალ „სალიტერატურონი ნაწილის“ წინამორბედებმა უთუოდ მნიშვნელოვანი ამოცანა შეასრულეს — მოამზადეს ნიადაგი ნამდვილად ეროვნული ჟურნალისტიკის ჩაახახვისა და განვითარებისათვის. მოსამზადებელი პერიოდის დასრულების პირველი მაუწყებელი შეიქნა ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“.

ვინც 1832 წლის შეთქმულების მასალებს იცნობს და ყურადღებით გასცნობია ჟურნალის ირგვლივ არსებულ დოკუმენტებს, მისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ შეთქმულების მეთაურებს სურდათ „სალიტერატურონი ნაწილი“... იმათივით თავიანთ იდეურ იარაღად ექციათ და კულისებში დატრიალებული ვნებათაღელვისათვის ფართო ასპარეზი მიეცათ.

პირველი ქართული ჟურნალის სრული და საფუძვლიანი შესწავლა მჭიდრო კავშირში იმ ეროვნული და პოლიტიკური ვნებებით და მუხტულ ხანასთან, რომელშიც ის იშვა, დღეისათვის გადაუდებელი ამოცანაა. ქართველმა მკითხველმა უნდა იცოდეს; თუ რას წარმოადგენდა პირველი ქართული ჟურნალი, როგორი იყო მისი მიზანსწრაფვა, იმ ეპოქის სული, რომელიც ჟურნალს თავის ფურცლებზე უნდა აღებეჭდა. ან ვინ იყვნენ ის აღამიანები, რომლებიც ბურჯებად შეუდგნენ პირველ ქართულ ჟურნალს¹. ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ცხადია, ერთ პატარა ნარკვევში შეუძლებელია. ამიტომ ამჟამად ჩვენ მხოლოდ კონკრეტულ, კერძოდ, ჟურნალის დაარსებისა და სარედაქციო-ტექნიკურ საკითხებზე მსჯელობით დავკმაყოფილდებით.

1 1832 წლის შეთქმულების ხასიათზე ჩვენ ადრე დამკვიდრებული შეხედულებისაგან პრინციპულად განსხვავებული თვალსაზრისი გვაქვს, რომელიც გადმოვეციით კიდევ ნარკვევში „ნიკოლოზ ბარათაშვილი და 1832 წლის შეთქმულება“, იხ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, საიუბილეო კრებული, 1968 წელი, გვ. 153.

2 „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანის“ შესწავლის საქმეში თავისა წვლილი შეიტანეს პროფ. პ. გუგუშვილმა, ს. ხუციშვილმა, განსვენებულმა ნ. ტატიშვილმა, პეკლევარამ მ. გოცაძემ და სხვ. მაგრამ ჯერ ერთი, მათი უდავოდ საყუ-

ჟურნალ „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“-ს
დაარსება და სარედაქციო-ტექნიკური მუშაობის საკითხები

დაარსება. 1830 წლის მეორე ნახევარში ხელის მომწერთა უკმარობის გამო არსებობა შეწყვიტა ერთადერთმა ქართულმა გაზეთმა „ტფილისის უწყებანმა“. ეს იყო მეტად სავალალო ფაქტი³, ლოგიკური შედეგი ისტორიული ძნელბედობისა. ეამთა სიავემ ისე გატეხა, ისე დააბეჩავა ქართველი ხალხი, რომ გასული საუკუნის 20—30-იან წლებში ერთი გაზეთის შენახვაც ვერ შეძლო. ქართულ გაზეთს მკითხველი არ ჰყავდა! ამის უმთავრესი მიზეზი (სხვა მიზეზებზე აღარაფერს ვამბობთ) ის გახლდათ, რომ ერის ძირითადი, მაცოცხლებელი ნაწილი—მშრომელი ხალხი წერა-კითხვის უცოდინარი, გაუნათლებელი იყო, გაბატონებულ ზედა ფენას კი, როგორც იტყვიან, მაჰის სული გაეშვა და მამინაცვლის მზეს იფიცებდა.

რეალურ ძალად რჩებოდა მოწინავე ინტელიგენციის მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც მიუხედავად მწარე სინამდვილისა, იარაღს არ ჰყრიდა.

ს. დოდაშვილი და სხვა ქართველი პატრიოტები დღენიდაც ფიქრობდნენ, მსჯელობდნენ, ზრუნავდნენ, გაზეთის განახლებაზე. ქართულ ენაზე პერიოდული გამოცემის უქონლობა განსაკუთრებული სიმწვავეთ იგრძნობოდა 1832 წლის შეთქმულების მზადების პერიოდში. ამით აიხსნება, რომ 30-იანი წლების დასაწყისში შეთქმულებმა აქტიურად მოჰკიდეს ხელი გაზეთის განახლებისა და ჟურნალის დაარსების საქმეს. ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობას გვაწვდის ს. დოდაშვილი⁴: «В конце 1830 года, или в начале прошлого 1831 года князь Александр Орбеллианов и Елизбар Эристов первые пришли ко мне вечером. «Мы желаем, — сказали они, — иметь с тобою дружбу». Весьма рад, — отвечал я, хотя и прежде я был с ними по-шапоч-

რადღებო შრომების გამოქვეყნებიდან საკმაოდ დიდი დრო ვავიდა, ამ დროის განმავლობაში კი ბევრი რამ შეიცვალა, ზოგი თვალსაზრისი მოძველდა ან უუკუგდებელი იქნა (რად ღირს თუნდაც 1832 წლის შეთქმულების ხასიათის პრინციპულად ახლებური გაშუქება!) მეორეც, ეს მკვლევარებიც მეტწილად ცალკეულ საკითხებს შეეხნენ ან მცირე შენიშვნებით დაკმაყოფილდნენ, ხოლო ჟურნალის მთლიანი შესწავლა, მისი მიმართების გარკვევა 1832 წლის შეთქმულებასთან, მომავლის საქმედ რჩება.

³ განა სავალალო არ იყო, რომ ერთადერთ ქართულ გაზეთს 1829 წელს — 40-მდე ხელის მომწერი ჰყავდა, მომდევნო წელს კი ეს ციფრი საგრძნობლად შემცირდა.

⁴ დოკუმენტი დაწერილია რუსულ ენაზე და ჩვენც ასევე მოგვყავს.

ნომუ ზნაკომ. სპრაშნვალნი: «ჲემ ვი ზანიმასტე, ჲიტასტე ლი გა-
ზეტყ?» ი ათვეჩალ: «ზანიმასტე პერევიდომ ზაკონოვ, კონ ბუდუტ ვესტ-
მა პოლესნი დია ნაშეგო ოტეჩესტვა»... «ჲოთ ვი გაზეტაჲ პიშუტ?» — სპრ-
აშნვალნი ონი. — ვოტ ჲიტაიტე. — ი სკაზალ... «ჲოთ ჲე ვი ნე იძალტე
ნა გრუზინსკომ იაზყკე?» — ონი გოვორილი. «დია კოგო იდავად, —
ათვეჩალ ი, — გრუზინყ ნე ბუდუტ ჲიტად». «კაკ ნე ბუდუტ ჲიტად,
მი ვამ ნაიდემ პოდპისჲნიკოვ», — ონი გოვორყ. კნი. ელიზბარ ორის-
ტოვ ობეჩალ: «ი ოდინ იზ გორი სტო ჲელოვეკ ნაიდუ, ა კნი. ალესანდრ
ორბელიანოვ სკაზალ: «ი ადეს ნაიდუ პიათნადყატ, პოსტარჲოუსე ი ბეს-
შე». — «ი თოგდა სტანუ იდავად». — ათვეჩალ იმ... ოტო ბილო ვ დომე გე-
ნერალყი კომაროვსკოი. დრუგოი რაზ ტაკჲე პრიდოილი კო მი ნე
სკაზალნი: «პოიდემ პროგულივასყ». ი სოგლასილს... პესემ გოესერილი
ო რაზნყ პოლიტისესკიჲ დელაჲ — ჲოთ ვი გაზეტაჲ ჲიტალნი. ნაკონც
სპრაშნვალ: «სოგლასენ გაზეტყ იდავად?» ი ათვეჩალ: — კოგდა პოდ-
პისჲნიკოვ ნაიდეტე, თოგდა ი ნაჩნუ იდავად. «ივოლტე, სოლყო
უოდნო, პოდპისჲნიკი ბუდუტ»⁵.

1833 წლის 10 მარტს ს. დოდაშვილი წერდა: «ვ კონცე 1830 გოდა ვ
დეკაბრე მესაყე კნიაზ ელიზბარ ორისტოვ ობყავილ მი სლედუოყე:
«ი ნაიდუ ტებე პოდპისჲნიკოვ, ა ტყ ნაჩნი იდავად გაზეტყ ილი ჲურ-
ნალ»⁶.

როგორც ვხედავთ, შეთქმულების მეთაურები დაბეჯითებით
სთხოვენ ს. დოდაშვილს, რომ გამოსცეს გაზეთი ან ჟურნალი. ამ დო-
კუმენტებიდან ისიც აშკარაა, რომ მათ სწორედ ს. დოდაშვილი მიაჩ-
ნდათ ისეთ პიროვნებად, რომელსაც ხელეწიფებოდა ამ დიდი ეროვ-
ნული საქმის თავკაცობა. ს. დოდაშვილი თავის მხრივ არაფერს არ
იშურებდა, რათა ფეხზე დაეყენებია ქართული ჟურნალ-გაზეთებისა
და წიგნების გამოცემის საქმე. მით უმეტეს გაორკეცებული ენერგიით
ამოქმედდებოდა ს. დოდაშვილი, თუ კი შეთქმულების მესვეურები
შემწევობას აღუთქვამდნენ, მაგრამ შემწევობის აღთქმა ერთია, რეალუ-
რი ვითარების ფხიზელი შეფასება — მეორე. მწარე გამოცდილებამ
ს. დოდაშვილი დაარწმუნა, რომ ხელისმომწერთა საქირო რაოდენო-
ბით შოვნა, თითქმის გადაუჭრელი ამოცანა იყო. თვითონ ალ. ორ-
ბელიანისა და ელიზბარ ერისთავისთვისაც მალე ნათელი შეიქმნა
ს. დოდაშვილის სკეპტიციზმის საბუთიანობა: მიუხედავად ენერგიუ-
ლი ცდისა, მათ 1831 წელს ოციორდე ხელისმომწერიც ვერ მოაგროვეს.

⁵ ს. დოდაშვილი, ობზ., 1961 წ. გვ. 344—345.

⁶ იქვე, გვ. 351.

«В том 1831 году они не нашли даже до 20 подписчиков», წერდა ს. დოდაშვილი⁷.

ასეთ ვათარებაში გასაგებია, რომ გაზეთის გამოცემის საკითხი კვლავ გადაიდო. მაგრამ ენთუზიასტები არ ცხრებოდნენ. ისინი შეუპოვრად მიიწვედნენ მიზნისაკენ. მაგრამ, ჩვენი აზრით, 1831 წლის დასაწყისიდან მათმა სწრაფვამ ერთგვარად გეზი იცვალა. რაკი გაზეთის განახლება არ მოხერხდა, როგორც ჩანს, ეურნალის გამოცემა განიზრახეს. ეს ნაბიჯი მოტივირებული უნდა ყოფილიყო შემდეგი გარემოებით: ჯერ ერთი, ეურნალი უფრო ესადაგებოდა შეთქმულთა ჩანაფიქრს, ეურნალი უფრო ხელმარჯვედ, მეტი სისრულითა და სიღრმით შესსლებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდას. მეორეც, დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ თავიდანვე მოფიქრებული იყო ლიტერატურული ეურნალის გამოცემა, ეურნალისა, რომელიც უშუალოდ ხელს შეუწყობდა მშობლიური მწერლობის განვითარებას. ქართველ შემოქმედთა ქმნილებების პუბლიკაცია, გამოცემულთა ვარაუდით, მეტ მკითხველს და მამასადამე, მეტ ხელისმომწერს მოიზიდავდა.

ელიზბარ ერისთავი დაქინებით თხოვდა ს. დოდაშვილს დაეწყო ეურნალის გამოცემა. «Я найду тебе подписчиков, а ты выступи позволение у начальства издавать журнал»⁸. — უთქვამს ელიზბარ ერისთავს ს. დოდაშვილისათვის 1830 წლის ბოლოს თუ 1831 წლის დასაწყისში.

ეურნალის გამოცემით დაინტერესებულა დიდი პოეტი და თავის დროისათვის ფრიად გავლენიანი ალექსანდრე ჭავჭავაძე. ალ. ჭავჭავაძის ყურადღებამ ერთბაშად გააცოცხლა მდგომარეობა, ახალი ენერგია შთაბერა ეროვნული ეურნალისტიკის განვითარების ბედით დაინტერესებულ მამულიშვილებს.

აღფრთოვანებული ს. დოდაშვილი წერდა: «Генерал-майор кн. Чавчавадзе также обещал содействовать»⁹.

მხელი წარმოსადგენი არ არის, რომ წარჩინებულ თანამემამულეთა მხარდაჭერით ფრთამესხმული ს. დოდაშვილი თავის მხრივ მიქეფარე მოღვაწეობას გააჩაღებდა. მართლაც, ს. დოდაშვილის პირადი ბარათებიდან, აგრეთვე სხვა დოკუმენტებიდან, ცხადია, რომ იგი არა მარტო თბილისის საზოგადოებაში ეძებდა ხელის მომწერლებს, არამედ ქუთაისში, კერძოდ, პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებსაც სთხოვდა

⁷ საჯამომძიებლო კომისიის საქმე, VI, გვ. 976.

⁸ იქვე.

⁹ იქვე.

შემწეობას ამ დიდი ეროვნული წამოწყების წარმატებისათვის.

იონა ხელაშვილისადმი 1831 წლის 15 იანვარს გაგზავნილ პარათში ს. დოდაშვილი თხოვს თავის მოძღვარს, რომ ქართული ეურნალი გამოაწერინოს ბატონიშვილებს, აგრეთვე ყველა დაინტერესებულ ქართველს¹⁰.

საინტერესო ცნობას გვაწვდის აგრეთვე მღვდელი ეფრემ ალექსიშვილი. „უფალმა დოდაევმა, — წერდა იგი 1833 წლის იანვარში საგამომძიებლო კომისიის კითხველაზე გაცემულ პასუხებში, — თავის მოსაწონებლად იცის მოგონებები და სხვისი სახელით თქმა, როგორც 1831-სა წელში მოინდომა ქართული ლიტერატურისა და გაზეთების ბეჭდვა. მაშინ მითხრა ღირექტორმა და ლენერალმა ჭავჭავაძემ გთხოვეს ლიტერატურისა და განეთის ბეჭდვას ვაპირებთ შენც მოაწერე და შეიძლება სხვათაც მოაწერინოთ. მე კიდევ მოვაწერე და ფულიც მაშინვე მივე და ვპკონებ სხვაც უშოვე ხელის მომწერი, მაგრამ არ აღსრულდა. ფულიც ტყუილად დაიკარგა. იმ დროს ვპკითხე ჭავჭავაძესთან დაღიხარ. მან მითხრა ღლე და ღაჴე, რაც მოცლილი ღრო მაქვს, სულ იმასთან ვატარებო, მას უკან შევიტყვევ არცერთის თხოვნა არ ყოფილიყო, თვით მოეგონა, არც ჭავჭავაძისა და არც ღირექტორისა“¹¹.

უწიგნურობა და აშკარად გამონატული ღვარძლიანი ტონი, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, დამაჯერებლობას მატებს მღვდელი ეფრემის ჩვენებას. ციტირებულ დოკუმენტში რამდენიმე მომენტი იქცევეს ყურადღებას. ჭერ ერთი, როგორც ვხედავთ, ისევ და ისევ ს. დოდაშვილი თავგამოდებით ეძიებს ხელის მომწერლებს. მეორე, აქედანაც დასტურდება, რომ ჩვენში 1831 წელს ენერგიული მუშაობა გაუშლიათ პერიოდული ორგანოს დაარსებისათვის.

და ბოლოს, ნათელია, რომ საქმე იმთავითვე პრაქტიკულ ნიადაგზე დაუყენებით, დაინტერესებულ პირებს მაშინვე ახლევინებდნენ სათანადო თანხას. ეს ფაქტი კი იმის მაჩვენებელია, რომ ს. დოდაშვილს ჩანაფიქრი რეალობად სწორედ 1831 წელს სურდა ექცია.

ჩვენ არ ვიცით აკრებილი ფული ისევ მეპატრონეებს დაუბრუნდა თუ მართლა დაიკარგა (რაც ძნელად სარწმუნოა), მაგრამ უტყუარი ფაქტია, რომ მიუხედავად დიდი ენთუზიაზმისა და შრომა-გარჯისა, შეთქმულებმა ვერ მოახერხეს, რომ 1831 წელს ქართული გაზეთი ან ეურნალი გამოეცათ.

ამასობაში შეთქმულება ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა. შესაბამისად იზრდებოდა პერიოდული ორგანოს დაარსების აპკიროება. ამით

10 ს. დოდაშვილი, თხზ., 1961 წ., გვ. 303.

11 გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, გვ. 295.

აღსწევა, რომ წარუმატებლობამ არა თუ ვერ ჩაყლა ბეჭდვითი ორგანოს გამოცემის იდეა, არამედ დაარწმუნა ქართული აზრის თავკაცები უფრო მოქნილად, გაბედულად და შემტევი სულისკვეთებით ეწარმოებიათ ბრძოლა დასახული მიზნის აღსრულებისათვის. ბოლოს და ბოლოს, 1831 წლის დამლევს ოფიციალური განცხადებით საზოგადოებას ეუწყა, რომ მომავალ წლიდან გამოვიდოდა ეურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“.

აქ აღარას ვამბობთ უკვე არაერთგზის უარყოფილ ცნობებზე, რომელთა მიხედვით „სალიტერატურონი ნაწილნი“... თითქოს 1830 წელს იბეჭდებოდა¹². მით უმეტეს იგი არ გამოდიოდა 1828—1829 წლებში. ცხადია, ამ განცხადების ავტორებს საკუთარი თვალთ არ უნახავთ ს. დოდაშვილის ეურნალი, თორემ თავფურცელზე იოლად ამოიკითხავდნენ: „№ 1, იანვრის 1-სა, 1832 წელს, სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“.

ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა. ეურნალის სახელწოდების წარმომავლობის დადგენა რაიმე სიძნელეს არ შეიცავს. ოღონდ წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც ხეშოთ ითქვა, ს. დოდაშვილსა და მის თანამოაზრეებს დამოუკიდებელი ეურნალის გამოცემა სურდათ (ეს რომ განსჯორციელებულიყო, მაშინ ექვს გარეშეა, ეურნალის სახელწოდებაც სხვაგვარი იქნებოდა). მაგრამ იმჟამინდელმა ობიექტურმა ვითარებამ მათი სურვილი უნიადაგო ოცნებად აქცია. ამიტომ ისინი იძულებული შეიქმნენ ეურნალი გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურულ დამატებად წარმოედგინათ. ეს აქტი მხოლოდ „ფორმალური“ მხარე არ იყო, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს¹³. როცა ხელისუფლებამ ქართული ეურნალი ქართულ ოფიციალურ „მიაბა“, თავის საქმე გააკეთა — ეურნალს ხელ-ფეხი შეუკრა და დამოუკიდებელი მოქმედებისათვის გასაქანი არ მისცა. ამ გარემოებამ ქართული ეურნალის ისედაც შეზღუდული უფლებები, კიდევ უფრო შეზღუდა.

ამრიგად, ოფიციალური ხელისუფლების სურვილის თანახმად, ქართული ეურნალი ქართული გაზეთის „ტფილისის უწყებანის“ ნაწილად, მის ლიტერატურულ დამატებად გამოვიდა. ეურნალის სახელწოდებაც ამ შინაარსის შესაბამისად ჩამოყალიბდა: „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“.

პ რ ო გ რ ა მ ა. პირველ ქართულ ეურნალს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სარედაქციო პროგრამა არ გამოუქვეყნებია. ეს ზუნებრივიცაა. „სალიტერატურონი ნაწილნი“... იყო არა დამოუკიდებელი პერიოდუ-

¹² „ივერია“, 1887 წ., № 227.

¹³ იხ. მაგ. მ. გ ო ც ა ძ ე, ქართული ეურნალისტიკის ისტორია, 1954, გვ. 175.

ლი გამოცემა, არაქედ გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურული ნაწილი, დამატება და, ცხადია, მას ცალკე საგანგებო პროგრამის შემუშავებისა¹⁴ და გამოქვეყნების უფლებას არავენ მისცემდა. თუმცა იურიდიული მხარე მოგვარებულიც რომ ყოფილიყო, იმ უკიდურესი დესპოტიზმის ხანაში ყურნალის შესვეურები გულწინააღმდეგ მიმართული იქნებოდა ქართველ მკითხველს. მაშ, რაღა ფასი ექნებოდა ზოგად ფრანგულს ყურნალის იდეურა მიმართულების დასახასიათებლად! მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ყურნალს არ ჩამოუყალიბებია არავითარი სახელმძღვანელო პრინციპები, არ განუსაზღვრავს მოქმედების კონკრეტული ხასიათი, სხვადასხვა მასალის ურთიერთშეჯერების საფუძველზე მინც ხერხდება საკმაოდ სისრულით ვაჩვენოთ, თუ რა ამოძრავებდათ ქართველ შეთქმულებს, როდესაც საკუთარი პერიოდული ორგანოს შექმნაზე ოცნებობდნენ, საით მიისწრაფოდნენ ისინი და რა სულისკვეთებით იყო განსმკვალული პირველი ქართული ყურნალი—„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. ყურნალის ბოლო, მე-5 ნომერში ხელმოუწერლად დაიბეჭდა ს. დოდაშვილის „განცხადება“, სადაც სხვა საჭირობორტო საკითხებზე მსჯელობისას, ავტორი გაცვრით აღნიშნავს, რომ ქართული ყურნალი დაარსდა „შესწავნელად განათლებისა, განვრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩვენისა და მიახლოებისათვის განგრძობილთა მცხოვრებთა ევროპისა“.

ყურნალს უნდა გაეღვიძებინა ქართველთა შორის „სურვილი და საყვარული ბუნებითისა ენისა და სიტყვიერებისა“¹⁵.

ამ ფრთხილი და ზოგადი განცხადებიდანაც კი ნათელია, რომ ს. დოდაშვილმა და მისმა თანამოაზრებებმა პირველი ქართული ყურნალი ეროვნული საქმის სამსახურში ჩააყენეს და ამით ჩვენი ყურნალისტიკის მომავალი იმთავითვე მკვიდრ ნიადაგზე დააფუძნეს. ეს ზოგადად უფრო ახლოს თუ გავსინჯავთ ს. დოდაშვილის ციტირებულ განცხადებას, აღმოჩნდება, რომ ამ ორიოდ სტრიქონში რამდენიმე კარდინალური მომენტია წინ წამოწეული.

ს. დოდაშვილის აზრით, ქართულ პერიოდულ გამოცემას უპირველეს ყოვლისა ქართველთა გონების გაძლიერებასა და გაწვრთნაზე უნდა ეზრუნა, ხელი შეეწყოს მშობლიური ენის განვითარება-გამშვენიერებისათვის, ეროვნული ლიტერატურისა და კულტურის აღორძინებისათვის. როგორც ჩანს, ჩაფიქრებული იყო ისიც, რომ ქართული კულტურისა და ლიტერატურის საგანძური ევროპისათვისაც ხელმისაწვდომი გაეხადათ, ხოლო თავის მხრივ ქართველი მკითხველი ევროპული

¹⁴ ე. „სალიტერატურო ნაწილნი“,... 1832 წ., № 5.

კულტურისა და ლიტერატურისათვის ეზიარებინათ. ეს იყო გრანდიოზული გეგმა, რომლის ხორცშესხმა პირველ ჟურნალს არ დასცალდა, მაგრამ ცდა, განზრახვა და სურვილი ხომ იყო. ესეც ქართული აზრის წარმატებად უნდა ჩაითვალოს ნიკოლოზ I შავბნელ ხანაში.

როგორც ვნახეთ, ქართული ჟურნალი თითქოს უწყინარი განმანათლებლის როლში უნდა გამოსულიყო. მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ჟურნალის თავკაცებს, რომლებიც იმავე დროს 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორებიც იყვნენ, უფრო თამამი მიზნები ამოძრავებდათ. ისინი ბრძოლისაკენ მიისწრაფოდნენ და ეს განწყობილება არ შეიძლებოდა ჟურნალშიც არ გადაეტანათ. ყოველ შემთხვევაში, ჟურნალის გამოსვლას წინ უსწრებდა აშკარად გამოხატული შემტევი სულისკვეთება. ეს სათანადო საბუთებითაც დასტურდება.

1833 წლის 8 მარტს ს. დოდაშვილი საგამომძიებლო კომისიას უჩვენებდა: «...В 1831 году пришли ко мне князь Александр Орбелианов и Елизабар Эрстов и просили писать побудительные речи для напечатания в газетах и другие сочинения, кои могли действовать на умы читателей, на мой ответ нельзя шутить с таким делом, князь Елизабар Эрстов отвечал: «Когда с кинжалом придем к тебе и тогда откажешься, твое дело писать».

მოტანილი ამონაწერიდან ნათელია ელიზბარ ერისთავისა და ალექსანდრე ორბელიანის პოზიცია, ხოლო საოცრად უსუსურად გამოიყურება ს. დოდაშვილის თავის მართლების პოლიტიკა. „სიტყვა-მოწოდებისა“ და ლექსის „მაისი“ (რომლებიც სწორად 1831 წელს დაიწერა) ავტორი ს. დოდაშვილი წარმოუდგენელია შეკამათებოდა ე. ერისთავს (თუ რა თქმა უნდა, ეს შეკამათება „მეტი სიფრთხილით“ არ იყო ნაკარნახევი). მათი პოზიციები ამ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა.

ს. დოდაშვილი სხვადასხვა ვარიაციებით ბევრჯერ გადმოსცემს ალ. ორბელიანსა და ე. ერისთავთან საუბრის შინაარსს. ასე, 1833 წლის 10 მარტს იგი წერდა: «Александр Орбелианов и Елизабар Эрстов пришли ко мне и просили, чтобы я писал побудительные речи и другие вольные сочинения». ან: «Оба они (ერისთავი და ალ. ორბელიანი — შ. რ.) просили писать в газетах такие сочинения и речи, чтобы могли действовать на умы читателей». საყურადღებოა, რომ ბრალდებული ელ. ერისთავი კომისიის წინაშე ადასტურებს ს. დოდაშვილის ჩვენების სისწორეს: «Показание Соломона Додаева — აღნიშნავს ელ. ერისთავი — справедливо, я ему советовал издавать газеты с намерением приготовить умы к возмущению».

საბუთების გამრავლებას აზრი არა აქვს. ისედაც ნათელია შეთქმულთა დამოკიდებულება მომავალ ჟურნალთან. ზემოხსენებულ საუბრებში გამჟღავნებულია მთავარი ტენდენცია, რომელსაც უნდა მისადაგებოდა ჟურნალის პრაქტიკული მოღვაწეობა. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორებს ქართული-ჟურნალი აქტიურ მებრძოლ ორგანოდ უნდა ექციათ. მათი რწმენით, ჟურნალი მოვალე იყო თავისუფლების სულით გაელენილი ნაწარმოებების ბექდვით ქართველთა გონება გაელვიძებია და მოემზადებია იგი ამბოხებისათვის.

ეროვნული თავისუფლება — აი, უმთავრესი მიზანი, რომელსაც უნდა დაქვემდებარებოდა ჟურნალის მთელი საქმიანობა. ს. დოდაშვილს რომ აზრის თავისუფალი გამოთქმის უფლება ჰქონოდა, ჟურნალის პროგრამას უთუოდ ამ ძირითად პრინციპებზე ააგებდა.

ქართველი მამულიშვილების უმთავრესი მისწრაფება არც იმდროინდელი ხელისუფლებისათვის ყოფილა დაფარული. მთავარმართებელი ბარონი როზენი წერდა: «Соломон Дошдзев... по предложению злоумышленников приступил к изданию газеты на грузинском языке, с целью помещать вольные сочинения для приготовления умов к восстанию; но статей подобного рода не было однако же в оной помещено»¹⁵.

ბარონი როზენი სწორედ გადმოგვცემს ისტორიულ ვითარებას თუმცა მისი დასკვნის უკანასკნელი ფრაზა აშკარად ყალბია. მთავარმართებლის მადებრებს წარმოუდგენელია ჟურნალში მოქცეული დენტის სუნი არ ეყნოსათ, მაგრამ რას იზავ, როზენს ეპატიება. ის ხომ ცხოველური შიშით დაჰკანკალებდა საკუთარ სკამს! — ამით აიხსნება, რომ როზენი ყოველნაირად ცდილობს ნაღმის გაუწებელყოფას და უმადლესი ხელისუფლებისა და განსაკუთრებით საზოგადოების თვალში ქართველთა 1832 წლის შეთქმულებას ორიოდ თაქარიანი თავადიშვილის ყმაწვილურ ცდუნებად სახავს. ციტირებული ჩანაწერის ბოლო ფრაზაც წინასწარ შემუშავებული კონცეფციითაა ნაკარნახევი.

თუ ჟურნალ „სალიტერატურონი ნაწილნი-ს“ ფურცლებზე დასტამბულ მასალებს გავაანალიზებთ, თვალნათლივ დავრწმუნდებით, რომ ჟურნალი ცდილობდა სწორი გზით ევლო და რეალობად ექცია მის სელმძღვანელთა ჩანაფიქრი.

ამის საბუთად ისიც კმარა, რომ მასში დაიბეჭდა გ. ერისთავის პატრიოტული პოემის „ოსური მოთხრობის“ პირველი ნაწილი (ჟურნალს

¹⁵ Акты, т. VIII, гл. 4:5

პოემის მომდევნო ნაწილების დაბეჭდვის უფლება ცენზურამ არ მისცა. აქვე გააიჟკეუნდა პარველად ალ. ორბელიანის „მთოვარე“, დ. მაჩაბლის „თოვლი“ და სხვა.

„სალიტერატურონი ნაწილის“ იდეური მრწაჰსის გასარკვევად მრავლისმეტყველია ასეთი ფაქტიც: ს. დოდაშვილის დაპატიმრებასთანვე მისი ბანის გაჩხრეკის დროს სხვა დოკუმენტებთან ერთად დეკაბრისტ რილევის „ნალივაიკოს აღსარების“ რუსული და ქართული ტექსტებიც იპოვეს.

კარგადაა ცნობილი, რომ რილევის ლექსი «Исповедь Наливайко», სადაც ავტორი ხოტბას ასხამს უკრაინელი ხალხის სახელოვან შვილს ნალივაიკოს, თურქი დამპყრობლებისა და პოლონელი პანების წინააღმდეგ შეუდრეკელ მებრძოლს, დიდი პოპულარობით სარგებლობდა უკრაინისა და რუსეთის მოწინავე ადამიანთა შორის. ეს ს. დოდაშვილსაც კარგად სცოდნია: «Перевод «Исповеди Наливайки» сочинения Рылевса известен всякому русскому», — წერდა იგი.

ძნელი დასადგენი არ არის, რომ რილევის მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსი ს. დოდაშვილის საყვარელი ნაწარმოები ყოფილა, მას კარგად იცნობდა ქართველ შეთქმულთა უმრავლესობა, მეტიც, ზოგიერთ მათგანს ლექსი ზეპირადაც კი სცოდნია.

ელ. ერისთავი უჩვენებს, რომ 1831 წელს გრ. ორბელიანთან ერთ-ერთი შეკრების დროს ვახტანგ ორბელიანმა გრ. ორბელიანს იქვე ხელდახელ უქარნახა „ნალივაიკოს აღსარება“ და როდესაც მას რამდენიმე ტაეპი დაავიწყდა, მე შეევახსენეო. დაახლოებით ამავე აზრს გადმოსცემს გრ. ორბელიანიც: «Однажды, — წერს იგი, — были у меня гости, коих не упомяну теперь, кроме Елизбара Эрнстова. Разговаривали о стихотворцах и приводили наизусть лучшие из сочинений. Между прочим, кто-то из них сказал стихи из Наливайки (ხაზი ჩვენია—შ.რ.). Стихи сии тут же я спсал, но не упомяну, кто мне их диктовал, Елизбар или другой».

გრ. ორბელიანის მიერ გადმოკეთებული „ნალივაიკოს აღსარება“ რომ მოისმინეს, შეთქმულები თურჱე აღტაცებას ვერ მალავდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ¹⁶.

გასაგებია, რომ შეთქმულები ამ თარგმანის გავრცელებასაც შეეცდებოდნენ. მაგრამ იმჭერად ზეპირი გზით, რადგან 1831 წელს ლექსის გამოქვეყნების უფლება კიდევ რომ მიეცა ცენზურას, ვერ გამოაქვეყნებდნენ ქართულ ენაზე პერიოდული ორგანოს უქონლობის გამო, მაგრამ, როცა კი შეთქმულებმა ჟურნალი გაიჩინეს, გადაწყვიტეს გრ. ორ-

¹⁶ გ. გ. ო. ხ. ა. ლ. ი. შ. ვ. ო. ლ. ი., 1832 წლის შეთქმულება, 1935, გვ. 481.

ბელიანის თარგმანის დაბეჭდვა. ეს სრულიად აშკარაა თუ გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას: ჯერ ერთი, ცენზურის თვალის ასახვევად განმარტებული სათაური მოუშლიათ და მის ნაცვლად დაუწერიათ „გივი ამილახვრის აღსარება“, მეორეც, ლექსს ხელს აწერს არა ავტორი კ. რილევინი ან გადმომკეთებელი გრ. ორბელიანი, არამედ „ბესიკი“ და ბოლოს, ამ ოპერაციის შემდეგ რუსული და ქართული ტექსტიც ელ. ერისთავს ს. დოდაშვილისთვის მიუტანია. ს. დოდაშვილი უჩვენებს: «Стихи, переведенные кн. Григорием Орбелиановым вместе с русскими принес ко мне кн. Елизбар Эристов и оставил у меня посмотреть», მაგრამ იქვე დასძენს: «Но не просил он их печататы!». ამას კი ნამდვილად ვერ დავუჯერებთ ჩვენს დიდებულ მამულიშვილს. თუ არა დასაბეჭდად, მაშ რისთვის მიუტანა ელ. ერისთავმა ქართული ჟურნალის რედაქტორს ზემოხსენებული ნაწარმოების რუსული და ქართული ტექსტები!

თუ ს. დოდაშვილს მხოლოდ უნდა „გადახედა“, განა თვით გრ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, გ. ერისთავი და სხვ. ნაკლებ „გადახედავდნენ“ გრ. ორბელიანის თარგმანს?! ან თუ ელ. ერისთავს მარტოოდენ თარგმნის ღირსების შემოწმება აინტერესებდა და არა მისი დაბეჭდვა, რატომ ითავა შუაშავლობა? განა გრ. ორბელიანი კი ვერ აჩვენებდა მის მიერ გადმოკეთებულ ნაწარმოებს ს. დოდაშვილს?! მაგრამ ვინც ელ. ერისთავს, როგორც შეთქმულს, იცნობს, მისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ელ. ერისთავი უბრალო მზრუნველის როლში ვერ გამოვიდოდა. ს. დოდაშვილთან კ. რილევინის ლექსი ელ. ერისთავმა აშკარად დასაბეჭდად მიიტანა. ხოლო მაინცდამაინც ელ. ერისთავს იმიტომ მიანდეს ამ საქმის მოგვარება, რომ ჯერ ერთი, ის იყო მეტად შეპტევი ხასიათის კაცი და თავისას უეჭველად გაიტანდა, მეორეც საკმაოდ ახლოს იყო ს. დოდაშვილთან და შეეძლო გულახდილად ესაუბრა შეთქმულებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

კ. რილევინის „ნალივაიკოს აღსარების“ გრ. ორბელიანისეული თარგმანი ს. დოდაშვილის ჟურნალში არ დაბეჭდილა, მაგრამ ამაში ბრალო ედება იმდროინდელ ობიექტურ ვითარებას და არა ს. დოდაშვილს.

დაბოლოს, თუ ყოველივე ზემოთქმულს მთლიანობაში გავიზიარებთ, იოლად გავშიფრავთ ჟურნალ „სალიტერატორონის ნაწილნი ტფილისის უწყებთანის“ სამოქმედო პროგრამის არსს. მართალია, ჟურნალს მკითხველისათვის საგანგებოდ ჩამოყალიბებული პროგრამა არ წარუდგენია, მაგრამ ჩვენთვის სრულიად ნათელია მისი მიმართულება და ის მიზანი, რომელსაც იგი დრო და ჟამის კვალობაზე პირნათლად ემსახურებოდა.

ს. დოდაშვილის ჟურნალს თავის უწმინდეს მოვალეობად ქართული ლიტერატურისა და კულტურის უანგარო სამსახური მიაჩნდა, ვაგრამ ეს მხოლოდ პროგრამის ერთი მხარე იყო. ეროვნული თვითშეგნების ნერვის შერბევა, ქართველთა გონების გაღვიძება და მომზადება ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად — აი, პირველი ქართული ჟურნალის უმთავრესი მიზანი. დიდად საყურადღებოა, რომ გასული საუკუნის 30-იანი წლების მოწინავე ქართულ საზოგადოებრიობასაც დაახლოებით ასე შეუტყვნია ჟურნალის მოღვაწეობის არსი. 1838 წლის 28 დეკემბერს პლ. იოსელიანი მ. ბროსეს თბილისიდან პეტერბურგში წერდა: „...გაზეთს 1832 წელს აბეჭდინებდა ს. დოდაევი და უბედურს აჰას მოუხდა ცოდვა, რომ თ უ რ მ ე ს ა ა მ ბ ო ხ ო თ ე რ ი ს ა ყ ო ფ ი ლ ა (ხაზი ჩვენია — შ. რ.) და ექვს თვეზე აკრძალეს“¹⁷.

რ ე დ ა ქ ო რ ი. სპეციალურ ლიტერატურაში ნათელყოფილია, რომ ჟურნალ „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებანი-ს“ რედაქტორ-გამომცემელი ს. დოდაშვილი იყო. თუმცა ეს ცნებები ერთგვარ დაზუსტებას კვლავაც შიოთხოვენ. რედაქტორ-გამომცემლის ტრადიციული შინაარსი უფრო ფართოა, ვიდრე ს. დოდაშვილის ოფიციალური ფუნქცია ამ ჟურნალის მიმართ. მკითხველი შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს ს. დოდაშვილის განცხადებებმა, სადაც იგი თავის თავს ჟურნალ-გაზეთის გამომცემელს უწოდებს. ჯერ კიდევ 1828 წლის 6 ივლისს იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში ს. დოდაშვილი აცნობებდა თავის მოძღვარს: „დროსა მისვლისა ჩემისასა ტფილისსა და მინიშნა ლუბერნატორმან კომიტეტსა“¹⁸ შინა გამოსაცემად ვედომოსტებისა ანუ გაზეთებისა...“¹⁹.

იმავე წლის 4 აგვისტოს ს. დოდაშვილი კვლავ აუწყებს იონა ხელაშვილს: „სამხედრო ლუბერნატორმან და მზრუნველმან კომიტეტისაგან მარწმუნა საკუთრად მე გაზეთებისა და ჟურნალებისა გამოცემა“²⁰

17 ს. დოდაშვილი, თბზ., 1961, გვ. 431.

18 თბილისში გაზეთის („ტიფლისიკი ვედომოსტი“, „ტფილისის უწყებანი“) გამოსვლასთან დაკავშირებით 1828 წელს შეიქმნა სპეციალური კომიტეტი — „ტიფლისიკი ვედომოსტის“ საგამომცემლო კომიტეტი“, რომელსაც უნდა ეზრუნა გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. ეს კომიტეტი 1828 წლის 2 მარტიდან 1833 წლის ბოლომდე არსებობდა. კომიტეტის შემადგენლობაში ს. დოდაშვილი 1828 წლის ივლისში შეიყვანეს. სწორედ ამ მომენტზეა საუბარი ციტირებულ წერილში.

19 ს. დოდაშვილი, თბზ., 1861, გვ. 284.

20 იქვე, გვ. 286.

„ლუბერნატორმან... მარწმუნა“, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ს. დოდაშვილს დამოუკიდებელი შოქმედების რწმუნებანი მიენიჭა. „მარწმუნა“ აქ მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ როდესაც კომიტეტის²¹ წევრებს შორის ფუნქციები განაწილდა, ს. დოდაშვილს, ქართული ენის კარგ მცოდნეს და დიდად განსწავლულ ადამიანს, ქართული გაზეთისათვის ზრუნვა დაევალა. მას უნდა მოეგვარებინა ქართული გაზეთის გამომცემასა და არსებობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. მხოლოდ ამ აზრით ითვლება იგი ქართული ჟურნალ-გაზეთების გამომცემლად, ამ აზრით უწოდებს იგი თავის თავს გამომცემელს²².

ს. დოდაშვილს არ გააჩნდა არც სახსრები, არც საკუთარი სტამბა და არც უფლება, რომ ნამდვილი, დამოუკიდებელი გამომცემელი ყოფილიყო.

დაახლოებით ასე დგას რედაქტორობის საკითხიც. ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი“... გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურული დამატება იყო და არა დამოუკიდებელი პერიოდული ორგანო. გასაგებია, რომ მას ცალკე დამოუკიდებელი რედაქტორი არ ეყოლებოდა. ს. დოდაშვილი, როგორც გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორი, ამ გაზეთის ლიტერატურულ დამატებასაც ხელმძღვანელობდა, მაგრამ იყო კი ს. დოდაშვილი „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორი, ამ სიტყვის აღიარებული შინაარსით? არა, არ ყოფილა. მართალია, 1829 წლის 20 თებერვლიდან დაწესდა „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორის თანამდებობა და ეს თანამდებობა ს. დოდაშვილს ჩააბარეს, მაგრამ წერტილი აქ არ ისმის. იმ ოფიციალურ საბუთში, რომელიც ხშირად მოპყავთ ხოლმე, წერია: «Непременный редактор имеет право избреть себе, по своему усмотрению, товарища по русскому изданию и редакторов для издания «Тифлисских ведомостей» на грузинском и фарснском языках»²³. რა ირკვევა ამ დოკუმენტიდან? ის, რომ თბილისში გამოსულ გამოცემებს შორის მთავარი იყო რუსული გამოცემა, ხოლო მისი ხელმძღვანელი — მთავარი პირი, რომელიც თავისი შეხედულები-სამებრ ირჩევდა ქართული და სპარსული გაზეთების რედაქტორებს. გასაგებია, რომ ეს უკანასკნელნი მთავარ რედაქტორზე იყვნენ მთლიანად

21 რა სამუშაო უნდა შეესრულებია „საგამომცემლო კომიტეტს“, ნაჩვენებია მ. გოცაძის წიგნში — „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, 1954, გვ. 102. აქვე ვრცლადაა ლაპარაკი ს. დოდაშვილის საქმიანობაზე ამ კომიტეტში.

22 „გამომცემელი ვალად ჰრაცხს“ (მადლობის განცხადება), „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, 1832 წ. № 2, გვ. 38.

23 ს. ჭანაშიას სახ. თბ. სახლ. მუზეუმში, გ. თუმანიშვილის ფონდი. ხელნაწერი 246-ა, ფ. I.

დამოკიდებულნი. ამიტომ ისინი რედაქტორებად კი არა, უკეთეს შემთხვევაში, თანარედაქტორებად თუ ჩათვლებიან. მართლაც, მთავარი პირი, ვინც საერთო რედაქტორობას უწევდა როგორც რუსულ, ისე ქართულ და სპარსულ გაზეთებს, იყო ცნობილი ჟურნალისტი პ. სანკოვსკი (1801—1832), რომელიც 1829 წლის თებერვლიდან ხუთი წლის ვადით კერძო გამომცემლად ითვლებოდა (სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ქართული გაზეთის რედაქტორის თანამდებობის დაწესებაც)²⁴.

პ. სანკოვსკი ქართული გამოცემის ხელმძღვანელობას ს. დოდაშვილის მეშვეობით ახორციელებდა. რომ ს. დოდაშვილი, როგორც ქართული გაზეთის რედაქტორი ა. სანკოვსკიზე იყო მთლიანად დამოკიდებული. კარგად ჩანს იმ ცნობილი საუბრიდანაც, რომელიც დ. ყიფიანს მოჰყავს თავის „მემუარებში“²⁵.

ერთ-ერთი საუბრის დროს, რომელსაც დ. ყიფიანიც დასწრებია, ელ. ერისთავს სიცილით ს. დოდაშვილისათვის უკითხავს: „როგორ გაბედვით შენ დაგებე ქდა შენს ჟურნალში ისეთი სტატიები, რომლისთვისაც სხვა ჟურნალისტს პასუხისგებაში მისცემდნენ.“

დოდაშვილი — რა?

ელიზბ. — აი მაგალითად ბატონი სენატორის ბიძაჩემის ლექსები. ისინი რომ ახსნა-განმარტო, იცი რომ...

დოდ. — არაფერია. სანკოვსკიმ განიხილა, მე რა მესაქმება...“

ს. დოდაშვილის ეს განცხადება ბევრმა მკვლევარებმა ისე გაიგოთ თითქოს პ. სანკოვსკი ცენზორი ყოფილიყოს. მაგრამ ასეთი ვარაუდი, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. თავის დროზე სამართლიანად მიუთითა მკვლევარმა მ. გოცაძემ²⁶, რომ პ. სანკოვსკი არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ცენზორი ყოფილიყო. მაშ, რას გულისხმობდა ს. დოდაშვილი, როცა მთელ პასუხისმგებლობას სანკოვსკის წყალობით იხსნიდა? ვინ იყო სანკოვსკი? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პ. სანკოვსკი „ტიფლისკი ვედომოსტის“ საგამომცემლო კომიტეტის პირველი ხმა და გაზეთ „ტიფლისკოე ვედომოსტის“ მთავარი რედაქტორი იყო. გასაგებია, რომ ს. დოდაშვილი ყველა მასალას წინასწარ აცნობდა მთავარ რედაქტორს. ამიტომ პასუხისმგებლობაც ამ უკანასკნელს ეკისრებოდა.

ეს გარემოებაც იმაზე მიუთითებს, რომ ს. დოდაშვილი, რა თქმა უნდა, არ იყო დამოუკიდებელი რედაქტორი. ზუსტად თუ ვიტყვი, ის პ. სანკოვსკის თანარედაქტორი იყო და მას ემორჩილებოდა.

²⁴ დაწვრილებით იხ. მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1954, გვ. 97.

²⁵ დ. ყიფიანი, მემუარები, 1930, გვ. 140.

²⁶ მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1954, გვ. 118.

ამრიგად, ს. დოდაშვილი არ ყოფილა ქართული ჟურნალისა და გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი, ამ ტერმინთა ტრადიციული შინაარსით. თუ მას ჩვენ მაინც რედაქტორ-გამომცემელს ვეწოდებთ, მხოლოდ იმ აზრით, რომელზედაც ეს-ეს არის ვისაუბრეთ.

ასეთია საკითხის ოფიციალური მხარე, ფაქტიურად კი ს. დოდაშვილი იყო „ტფილისის უწყებანის“ სული და გული; მასი დამაარსებელი და მაცოცხლებელი, ეს დიდებული მამულიშვილი პირველი ქართული ჟურნალისათვის, ისე როგორც გაზეთ „ტფილისის უწყებანისათვის“, უფრო მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი რედაქტორი, ამ ცნების თუნდაც ტრადიციული შინაარსით.

რ ე დ ა ქ ც ი ა. ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან არ ჩანს, რომ პირველი ქართული ჟურნალის მუშაობას დამოუკიდებელი სარედაქციო კოლეგია წარმართავდა. ასეთი რამ არც არის მოსალოდნელი. თუ ქართულ პერიოდულ გამოცემებს დამოუკიდებელი რედაქტორი არ აღირსეს, გასაგებია, რომ რაიმე ოფიციალური სარედაქციო კოლეგიის არსებობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ ეს არც იმაზე ნიშნავს, რომ ს. დოდაშვილი მარტო იღვა ბრძოლის ველზე, მარტო კრებდა და არ ჩევდა ჟურნალში დასაბეჭდ მასალას. მას მუდამ მხარში ედგნენ ქართული კულტურის, ქართული ბეკდვითი სიტყვის ბედით დაინტერესებული ადამიანები: ალ. ჭავჭავაძე, ალ. ორბელიანი, ვახ. ორბელიანი, დ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ს. რაზმაძე, ულ. ერისთავი, დ. ყიფიანი, გ. ავთანდილაშვილი, ვრ. ორბელიანი და სხვ.

სწორედ ეს ჯგუფი მოქმედებდა, ფიქრობდა, მსჯელობდა, ეძიებდა. ამ ჯგუფის წარმომადგენლები შეადგენდნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარ სარედაქციო კოლეგიას. ისინი, როგორც ჩანს, საგანგებო შეკრებებზე არა მარტო უკვე დაბეჭდილ თხზულებებს აფასებდნენ, არამედ წინასწარ განიხილავდნენ გამოსაქვეყნებელი მასალის იდეურ-მხატვრულ ღირებულებას. ამასთან დაკავშირებით, ფრიად საყურადღებო ცნობას გვაწვდის გ. ერისთავი²⁷.

ერთხელ გ. ერისთავი მისულა ვახ. ორბელიანთან, აქ მას დახვედრიან ზ. ავთანდილაშვილი და დ. ყიფიანი. ვახ. ორბელიანმა, აღნიშნავს გ. ერისთავი, სიცილით მითხრა: გიორგი, შენ წაგიკითხავს ი. მამაცაშვილის „მამულის სიყვარული“. მე ვუპასუხე: არა, ვახტანგმა მე იგი გადმომცა. დავიწყე კითხვა, ისინი მისმენდნენ. ავთანდილაშვილმა თქვა, ყველაფერი ეს კარამზინიდან არის თარგმნილიო. მერე მე

²⁷ ამ ცნობის შინაარსს გადმოსცემს მკვლევარი მ. გოცაძე, წიგნში „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, 1954 წ. გვ. 207, ჩვენ ციტირებას ვახდენთ მითითებული წიგნიდან.

კითხვას თავი დავანებე, ვინაიდან შევნიშნე, რომ ი. მამაცაშვილს ზოგი რამ ჩემი ბიძის ვარლამის თხზულებიდანაც ამოეწერა. ი. მამაცაშვილის რვეული მაგიდაზე დავაგდე და ვთქვი, მამაცაშვილისაგან ამას არ ველოდი-მეთქი, აქ მისი არაფერია, ყოველ შემთხვევაში მას შეეწერა, თუ კარამზინიდან რა გადმოიღო და ვარლამიდან რა. ვახ. ორბელიანიმა აღნიშნა: დაე დაბეჭდოს. იქვე რაფაზე დავინახე ვარლამის თხზულება. იგი ავიღე და ამხანაგებს ვუჩვენებდი იმ ადგილებს, რომელნიც იქიდან ი. მამაცაშვილს ამოეწერა. ავთანდილაშვილმა განაცხადა, საუ არის მამაცაშვილის საკუთარი აზრი, კარამზინიდან ესა და ეს ამოუწერია, ზოლო დანარჩენი კი ვარლამიდანო. ვახ. ორბელიანიმა ისევ გაიჟეორა: დაე დაბეჭდოს. მე ვუპასუხე: ამხანაგი რატომ უნდა შევარცხვინოთ. გამოვედი რა ვახ. ორბელიანიდან წავედი სახლში და მეორე დღეს ი. მამაცაშვილს ბარათი მივწერე. ამასთან იმავე დღეს შევიარე მამაცაშვილთან და მას ყველაფერი ვუამბე. გაბრაზებულმა მამაცაშვილმა თქვა: გაუგზავნეთ სოლ. დოდაშვილს, დაბეჭდოს, თქვენ კი გამაკრიტიკეთო. მე მას ვუმტკიცებდი, რომ იგი კრიტიკას ვერ გაუძლებდა.

ბოლოს და ბოლოს ი. მამაცაშვილმა თავისი ნაწარმოების სისუსტე თვითონ აღიარა და მითხრა, რომ ჩემი თხზულება უკან დამიბრუნეთო.

ამ ცნობიდან ამჟამად, რომ ქურნალში დასაბეჭდ მასალებს წინასწარ არჩევდა არა მხოლოდ რედაქტორი, არამედ მასთან დაახლოებული ენთუზიასტები, რომელთა მუშაობა რედაქციის მუშაობის თავისებურ ჩანასახს წარმოადგენს.

„სალიტერატურონი ნაწილნი...“ ყველა განათლებული მამულიშვილის ფიქრისა და ზრუნვის საგანი იყო. „ჩვენ ყველანი ცუდილობდით რაიმე შეგვეთხზა ან გვეთარგმნა და დაგვებეჭდა ქურნალში“, — წერდა გ. ერისთავი 1833 წლის 16 აპრილს. მაგრამ რამდენიმე კაცის თავდადებას საქმეს ვერ უშველა, თუმცა ამაზე ქვემოთ.

პ ე რ ი ო დ უ ლ ო ბ ა. როგორც ს. დოდაშვილას ერთი პირადი ბარათიდან ჩანს, თავიდან ნავარაუდევად ყოფილა, რომ ქართული ქურნალი გამოეცათ თვეში ერთხელ, „წელიწადში თორმეტი წიგნი“²⁸. მაგრამ შემდეგ ეს აზრი შეუცვლიათ და უკვე 1831 წლის დამლევს საზოგადოებას ეუწყა, რომ მომავალი წლიდან გამოვიდოდა ქურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი“ თვეში ორჯერ, პირველ და თხუთმეტ რიცხვებში. დაპირებებს თანახმად ქურნალის პირველი ნომერი მკითხველმა 1832 წლის პირველ იანვარს ჰიიღო, მეორე ნომერი კი თხუთ-

28 ს. დოდაშვილი, თხზ., 1961, გვ. 303.

მეტის ნაცვლად 20 იანვარს გამოვიდა. მესამე ნომერს გამოცემის ვრ-
ზა 5 თებერვალს მიეცა, მეოთხეს 10 თებერვალს²⁹ და უკანასკნელ
მესულთე ნომერს — 15 მაოტს.

ჟურნალის გამოცემის დაპირებული ვადების აღრევა გამოწვეული
ყოფილა წმინდა ტექნიკური მიზეზებით. ამასთან დაკავშირებით, ჟურნალ-
ლის მე-2 ნომერში დაიბეჭდა ს. დოდაშვილის საგანგებო „განცხადება“:

„განცხადებასა შინა წარსულსა წელს გამოცემისათვის „სალიტერ-
რატურო ნაწილთა ტფილისის უწყებათასა“ აწინდელსა 1832-სა წელსა
თქმულ იყო, რომელ გამოვა პირველს და ხუთმეტს რიცხვებს შინა.
გარნა რადგანაც იწყო გამოცემამან გაზეთებისა მან რუსულსა და თათ-
რულსა ენებსაცა ზედა, ამისათვის სტამბასა შინა იქმნა დაბრკოლე-
ბა. ქართულსა ენასა ზედა ყოველთვის გამოვა იგი ხუთსა და ოცსა
რიცხვებსა შინა“. მაგრამ როგორც ვნახეთ, არც 5 და 20 რიცხვები
აღმოჩნდნენ რეალურნი. სანკოვსკის სტამბა, მართალია, 1831—32
წლებში რიგიანად მუშაობდა, მაგრამ ძალზე გადატვირთული იყო და
ბუნებრივია, ყველა დაკვეთას დროზე ვერ ასრულებდა.

1832 წლის 15 მარტს გამოვიდა ჟურნალ „სალიტერატურონი ნა-
წილნი-ს“ უკანასკნელი მე-5 ნომერი.

სამეცნიერო ლიტერატურაში³⁰ გამოკვეთულია, რომ პირველი
ქართული ჟურნალის გამოცემა შეწყდა 1832 წლის მარტში, გამოვიდა
სულ ხუთი ნომერი, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი კვლავაც ფიქრობა,
რომ „სალიტერატურონი ნაწილნი“ გამოვიდა არა ხუთი, არამედ ექვსი
ნომერი.

ზ. ჭიჭინაძის აზრით, ჟურნალის მხოლოდ ოთხი ნომერი გამო-
ვიდა³¹.

ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის ავტორს მიაჩნდა, რომ
ჟურნალის გამოცემა 1832 წლის შეთქმულების აღმოჩენის (ე. ი. 9 დე-
კემბრის) შემდეგ შეწყდა³². ინგილო ჯანაშვილის ცნობათ, ს. დოდა-
შვილს ჟურნალის ექვსი ნომერი გამოუცია³³. ამ აზრთა სხვაობას ერთ-
გვარი ბიძგი მისცა უთუოდ პლატონ იოსელიანის განცხადებამ—ჟურ-
ნალის „ექვსი ნომერი დაიბეჭდა“³⁴. უფრო აღრე პლ. იოსელიანი

²⁹ როგორც ჩანს, ჟურნალის ნომრები წინასწარ იყო მომზადებული.

³⁰ იხ. ს. ხუციშვილი და ნ. ტატიშვილი, ბიბლიოგრაფიის მოამბე. 1940, გვ. 69, № 1, პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, 1941 წ. გვ. 80, მ. გო-
ცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1954, გვ. 175—177. და სხვ.

³¹ ზ. ჭიჭინაძე, ქართული გაზეთის ასი წლის ისტორია, გვ. 24.

³² გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, 1947, გვ. 3.

³³ გაზ. „დროება“, 1875 წ., № 54.

³⁴ П. Иоселиани, Путевые записки по кахетии, 1746 г. ст. 36.

ბროსეს სწერდა: „სალიტ. ნაწ. ტფ. უწყებათანი“ ვეცდები ვიშოვნო, მიმასწავლეს ადგილ-ადგილ და ვარ მათსა მოძიებაში... გაზეთსა 1832 წელს ბეჭდვინებდა ს. დოდაევი და... ექვს თვეზე (ხაზი ჩვენია— შ. რ.) აკრძალეს“³⁵.

ან ეს ორი ცნობა ურთიერთგამომრიცხველია, ან. პლ. იოსელიანს ძალზედ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ს. დოდაშვილსა ჟურნალზე და არც ერთი ნომერი მას არ უნახავს. თუ ჟურნალის ექვსი ნომერი გამოვიდა (პირველი ცნობით), ხოლო გამოცემა მეექვსე თვეზე შეწყდა (მეორე ცნობით), მაშინ თვეში ერთი ნომერი დაბეჭდილა. მაგრამ პლ. იოსელიანს რომ დაბეჭდილი ჟურნალის ნომრები ხელთ ჰქონოდა, იოლად გაარკვევდა, რომ „სალიტერატურონი ნაწილნი“ თვეში ერთი კი არა, ორი ნომერი გამოდიოდა. თუ კი დაეუშვებთ, რომ მან ზუსტად იცოდა თვეში რამდენი ნომერიც გამოდიოდა, მაშინ უნდა ეთქვა თორმეტი ნომერი დაიბეჭდაო, რაკილა ჟურნალი „ექვს თვეზედ აკრძალეს“. ერთი სიტყვით, პლ. იოსელიანის ცნობები ნდობას ვერ იმსახურებენ. როგორც ჩანს, პლ. იოსელიანი და ზოგი სხვაც³⁶ შეცდომაში შეიყვანა შემდეგმა ფაქტმა: გაზეთს „ტფილისის უწყებანს“ აპრილში კვლავ შერჩა წარწერა: „ტფილისის უწყებანი...“ გამოდის სამშაბათობით, ხოლო „სალიტერატურონი ნაწილნი“ თვეში ორჯერ“. საქმე იმაშია, რომ ჟურნალი საკუთარი უღონობის გამო დაიხურა და არა ხელისუფლების განკარგულებით. ჟურნალი რომ ხელისუფლებას დაეხურა, გაზეთი დაუყოვნებლივ მოხსნიდა განცხადების ტექსტს, მაგრამ, როგორც ვთქვით, ჟურნალმა უკვე მარტში თავისთავად შეწყვიტა არსებობა, განცხადების ტექსტი კი უნებლიედ შერჩა გაზეთს აპრილშიც. ან იქნებ განგებ არ მოშალეს იგი იმ იმედით, რომ ჟურნალი კვლავ გოცხლდებოდა?!

ასეა თუ ისე, დღეს ექვს არ იწვევს, რომ „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებანი-ს“ მხოლოდ ხუთი ნომერი დაიბეჭდა³⁷.

ტი რ ა ე ი, ფ ა ს ი და გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. სავალალო ფაქტია, რომ მე-19 საუკუნეში ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ძალზედ ცოტა მკითხ-

35 ს. ყუბანეიშვილის პუბლიკაცია — „პლატონ იოსელიანის წერილები აკად. მარი ბროკესადმი“, ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები I, 1941.

36 მაგ. ს. ხუნდაძე ფიქრობდა, თითქოს ჩვენამდე მოაღწია ჟურნალის მხოლოდ ხუთმა ნომერმა. შესაძლოა, სხვა ნომრებიც გამოვიდა, მაგრამ ჭერ არ არის მიკვლეული — იხ. დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, 1930, გვ. 172. შემდეგში მან დააწესტა ეს შეხედულება: „ტფილისის უწყებანის“ დამატება ჟურნალის სახით გამოვიდა მხოლოდ 5 წიგნაკი — იხ. ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, 1939, გვ. 53.

37 პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, 1941, გვ. 94, მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1954, გვ. 176—177.

ველი ჰყავდა. რედაქტორ-გამომცემლები სულ მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ როგორმე ხელის მომწერთა რიცხვი გაეზარდათ და გაზეთის თუ ჟურნალის გამოცემის საქმე მკვიდრ ნიადაგზე დაეყენებინათ. ისარჩებოდა უზარმაზარი ენერჯია, დრო და ნერვები, მაგრამ ქართული ჟურნალ-გაზეთები მაინც არს ვაივაჯლანით ვრცელდებოდა. მე-19 საუკუნის ბოლოსაც კი „ხელის მომწერი სინათლით საძებარი იყო“, გადმოგვცემს ერთი ძველი მოღვაწე. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო ამ მხრივ ამავე საუკუნის 20-იან წლებში. სამწუხაროა და სასაცილოც იმავე დროს, რომ 1831 წელს, როცა გაზეთ „ტფილისის უწყებანზე“ ხელის მოწერა გროვდებოდა, 20-მდე ხელისმომწერიც ვერ უშოვიათ, რაღა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ჟურნალის გამოცემა ურთულესი საქმე იყო. ეს შშვენივრად ესმოდათ პირველი ქართული ჟურნალის თავკაცებსაც.

მათ მწარე გამოცდილებით იცოდნენ, რომ ხელის მომწერთა საჭირო რაოდენობით მიზიდვა დაუძლეველი ამოცანა იყო, მაგრამ ქართული ჟურნალის გამოცემა აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და მომენტის ხელიდან გაშვება არააგზნით არ შეიძლებოდა. ამით აიხსნება, რომ ს. დოდაშვილმა და მისმა მეგობრებმა ყველაფერი იღონეს, რათა პირველი ქართული ჟურნალისათვის მყარი ეკონომიური ბაზა შეექმნათ.

დიდ ეროვნულ მოღვაწეს ს. დოდაშვილს გულს უკლავდა ის გარემოება, რომ მის მრავალპირნახულ და მოქანცულ სამშობლოს ყველაფრის ხალისი დაჰკარგოდა. ვისთვის გამოეცემა გაზეთი, სულ ერთია ქართველები მაინც არ წაიკითხავენო³⁸, უთქვამს ს. დოდაშვილს ალ. ორბელიანისა და ელ. ერისთავისათვის. მაგრამ თანამოსაუბრეებს ეს სკეპტიციზმი ერთგვარად იმით გაურუნლებიათ, რომ დაპირებიან, ოღონდაც შენ გაზეთი გამოეცი და რამდენიც გნებავს ხელის მომწერს გიშოვნითო. ელ. ერისთავს ალუთქვამს, მარტო მე გორში ას ხელის მომწერს ვიშოვნით, ხოლო ალ. ორბელიანს დაუმატებია: მე აქ მოვნახავ თხუთმეტს, შესაძლოა, მეტ ხელმომწერსო³⁹.

ენტუნიასტებს სიტყვა საქმედ უქცევიათ. მათ უპირველეს ყოვლისა ენერჯიული მუშაობა გაუჩაღებიათ თბილისში. მღვდელი ეფრემ ალექსიშვილი 1833 წლის 18 იანვარს საგამომძიებლო კომისიას უჩვენებდა: „უფალმა დოდაშვილმა... 1831-სა წელში მოინდომა ქართული ლიტერატურისა და გაზეთების ბეჭდვა. მაშინ მითხრა ღირექტორმა და ღენერალმა ჰავეჭავაძემ მთხოვეს ლიტერატურისა და გაზეთების ბეჭდ-

³⁸ ს. დოდაშვილი, თხზ., 1961, გვ. 345.

³⁹ იქვე.

ვას ვაპირებთ. შენც მოაწერე და შეიძლება სხვათაც მოაწერინოთო. მე კიდეც მოვაწერე და ფულიც მაშინვე მივე და ვკვანებ სხვაც უმოკვე ხელის მომწერი, მაგრამ არ აღსრულდა“⁴⁰.

როგორც ვხედავთ, ს. დოდაშვილს ალ. ჭავჭავაძის ავტორიტეტიც კი გამოუყენებია. მას პირდაპირ მიუმართავს მღვდელი ეფრემისათვის. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი ასევე პირდაპირ მიმართავდა არაერთ ახლობელს თუ მეგობარს, ქართული ეურნალისტიკის, ლიტერატურისა და განათლების ბედით დაინტერესებულ მამულიშვილს.

ს. დოდაშვილს ფილადელფოს კიკნაძის მეშვეობით კავშირი დაუწყებია თელავთან და ცდილა იქაც გავერცელებია ქართული ეურნალ-გაზეთები⁴¹.

ს. დოდაშვილი, ცხადია, დიდ იმედებს ამყარებდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებზე, განსაკუთრებით კი ბატონიშვილებზე.

1831 წლის 15 იანვარს ს. დოდაშვილი ბერ იონა ხელაშვილს ატყობინებდა: „გამოიცემა ყოველ თვესა ეურნალი ქართული. გთხოვ ხელი მოაწერინოთ ბატონიშვილებს და ბატონის რძლებს მიღებისათვის ეურნალთა“.

იმევე წერილში ს. დოდაშვილი თხოვდა თავის მოძღვარს — იქნებ ეკადო, ხელის მომწერი სხვაც იშოვოო. „ესახებ რომ ოცს ხელის მომწერს იშოვით მანდ ეურნალის მისაღებად“⁴².

ს. დოდაშვილს ოქროპირ ბატონიშვილისათვის მოსკოვში გაუზახვანია საგანგებო ბარათი, რომელშიც თხოვდა, რომ მას და მოსკოვში მცხოვრებ სხვა ქართველებსაც ხელი მოეწერათ ქართულ გაზეთსა და ეურნალზე.

ს. დოდაშვილს ანალოგიური თხოვნით მიუმართავს თავის ძმის — სტეფანესათვის, რომელიც იმხანად პეტერბურგში ცხოვრობდა და მუშაობდა. ს. დოდაშვილს მხარში ედგნენ ალ. ორბელიანი, ელ. ერისთავი და სხვები. ბუნებრივია, ისინი გორსა და საქართველოს სხვა კუთხეებში ცდილობდნენ გამოეძებნათ ხელის მომწერნი. ზემოთ ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ალ. ორბელიანი და ელ. ერისთავი ასზე მეტი ხელისმომწერის მოგროვებას ვარაუდობდნენ. ეს ციფრი მათ, როგორც ჩანს, სულ მალე გაზარდეს და აღუაქქეს ს. დოდაშვილს «Что непременно они найдут более 300 подписчиков»⁴³.

დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეურნალის გავრცელებისათვის იზრუნებდნენ სხვა შეთქმულებიც, ჩვენი ლიტერატურისა და

40 მ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, 1935, გვ. 295.

41 ს. დოდაშვილი, თხზ., 1961, გვ. 345.

42 იქვე, გვ. 303.

43 მ. გოცაძე, ქართული ეურნალისტიკის ისტორია, 1954, გვ. 180.

კულტურის გამოჩენილი ადამიანები: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ოზბელიანი, გ. ერისთავი, ს. რაზმაძე და სხვები. იმხანად არსებული წესის თანახმად, ქართული ჟურნალ-გაზეთების გასაავრცელებლად გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებდა თბილისის საგამომცემლო კომიტეტი.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით ნათელია, რომ პირველი ქართული ჟურნალის მეთაურებს ხელის მომწერთა მიზიდვისათვის მრავალმხრივი და ენერგიული მუშაობა ჩაუტარებიათ, მაგრამ თუ კონკრეტულად რა შედეგები მოჰყვა ამ მუშაობას, რამდენი ხელის მოწერა შეგროვდა ან რამდენ ეგზემპლარად უნდა დაბეჭდილიყო ჟურნალი და სხვ. მხოლოდ მიახლოებით შეიძლება დადგინდეს. ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ მკვლევარ მ. გოცაძეს ალ. ოზბელიანისა და ელ. ერისთავის დანაპირები 300-ზე მეტ ხელის მომწერს ვიშოვითო, ერთგვარად რეალურ ციფრად ზიარჩნია: „უნდა ითქვას, რომ იმ დროს 300 ხელის მომწერი მცირე როდი იყო“⁴⁴,—დასძენს იგი.

რა თქმა უნდა, ასეთი ვარაუდი უსაფუძვლოა. პირველ ქართულ ჟურნალს რომ 300-მდე ხელის მომწერი ყოლოდა, მისი რედაქტორი ბედნიერად ჩათვლიდა თავს, ხოლო ჟურნალს ისე მალე სიცოცხლე არ მოესწრაფებოდა. 300 ხელის მომწერი 80-იან წლებშიც კი სანატრელი იყო⁴⁵ (ი. გოგებაშვილი).

ექვს გარეშეა, რომ მოსამზადებელ მუშაობას სასურველი შედეგი არ მოჰყვა. ხელის მომწერთა რაოდენობა ძალზე მცირე უნდა ყოფილიყო და თუ ჟურნალი მაინც გამოვიდა, ეს უკვე ორიოდე მამულიშვილის პირადი გამბედაობით აიხსნება. ჟურნალის მესვეურებმა გამოცემის მძიმე ხარჯები თავის თავზე აიღეს იმ ვარაუდით, რომ ჟურნალის არსებობის ფაქტმა იქნებ მკითხველს ხელის მოწერა გააბედინოსო. მაგრამ არც ამ ხერხმა გასჭრა. 1832 წლის თებერვალს (ე. ი. მე-2 ნომრის გამოსვლისთანავე) ს. დოდაშვილი ფილადელფოს კინაქეს წერდა: „სხვათადაცა ჰსთხოვე და კიდევ ეცადენით, რათა ხელი მოაწერონ. მე ფრიად დამევალებთ ამისათვის, რომ ცოტანი არიან ხელის მომწერნი და ხარჯი მრავალი უნდა. თუ დადგეს დაბეჭდვა მთავრობისგან, ქართველთათვის სირცხვილია.

როგორ არ უნდა ვისურვოთ ენის გამდიდრებისათვის მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის ესრეთი სასარგებლო საქმე. გთხოვთ ეცადნეთ ათიოდ მსურველი იშოვოთ. თუ მეტს იშოვით უფრო უკეთესი. ნურვინ დაჰზოგავს რვა მანეთს“⁴⁶. უფრო აღრე

44 მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1954, გვ. 181.

45 „საისტორიო მოამბე“, 1951, № 5, გვ. 136.

46 ს. დოდაშვილი, თხზ., 1961, გვ. 311.

ეურნალის მე-2 ნომერში ს. დოდაშვილი აქვეყნებს საგანგებო „განცხადებას“, სადაც ნათქვამია: „უკეთეს საზოგადოებამან მოაქცია კეთილმოდრეკილებითი ყურადღება სასარგებლოსა ამას გამოცემასა ზედა და ისურვა ხელის მოწერა, მაშინ მიუცილებლად განგრძობდებოდა გამოცემა და აღსრულებდა ყოველი აღთქმული. ხოლო წინააღმდეგობასა შემთხვევასა შინა იგი დადგება და მათ, რომელთაცა მოუწერიათ ხელი ნისალებად გაზეთებისა და სალიტერატურო ნაწილთა, დადებულის წელაწადში რვა მანეთი დამხვედრისამებრ მიექცევათ ფული“.

მაშ, ეურნალი ჩასახვისთანავე უნდა ჩამკვდარიყო, ცდამ შედეგი არ გამოიღო. მოლოდინი არ გამართლდა. საზოგადოებამ „არ ისურვა“ და არ გამოიწერა ეურნალი. ბოლო მე-5 ნომერში ს. დოდაშვილი კვლავ მოუთითებს, რომ გამომცემლები „აქამომდე მოელოდნენ ხელის მომწერთა, გარნა ფრიად ცოტანი აღმოჩნდნენ მსურველნი მისნი და მოყვარული განათლებისანი“. ამას მოსდევს ხეწნა-მუღარა—შეეწიეთ ქართულ გაზეთსა და ეურნალს, ნუ დაუშვებთ მის დახურვასო, მაგრამ რედაქტორის ხმა დაჩაჩხმა მალაღებლისა. ეურნალმა შეწყვიტა არსებობა.

ჩვენი ვარაუდით, ეურნალის 70-80 მეტი ხელის მომწერი არ უნდა ჰყოლოდა. თუ ეს ასეა, მაშინ ეურნალი არავითარ შემთხვევაში 100 ეგზემპლარზე მეტი არ დაიბეჭდებოდა.

ეურნალი „სალიტერატურონი ნაწილი“... დამოუკიდებელი გამოცემა არ ყოფილა. იგი გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურული დანატება იყო. ამიტომ ეურნალის ფასი ცალკე არ იყო გამოცხადებულა. მკითხველს ხელი უნდა მოეწერა როგორც გაზეთზე, ისე ეურნალზე. ორივეს ფასი კი ასეთი იყო: ამიერკავკასიის მცხოვრებთათვის „ტფილისის უწყებანის“ წლიური ფასი „სალიტერატურონი ნაწილისთან“ ერთად იყო 8 მანეთი ვერცხლით. რუსეთში გადაგზავნისას 40 მანეთი ასიგნაციით, ნახევარი წლით კი იმავე პირობებში — 5 მანეთი ვერცხლით, 25 ასიგნაციით.

საკუთრივ ეურნალის ფასი ზუსტად ნახევარი უნდა ყოფილიყო, ე. ი. 4 მანეთი ვერცხლით ადგილობრივ მცხოვრებთათვის, 20 მანეთი ასიგნაციით რუსეთში გადაგზავნისათვის. თვითონ ს. დოდაშვილი წერდა იოანე სულაშვილს: „გამოვა ეურნალი, რომლის ფასი მთელი წლისა ას ოცი რუბლი ასიგნაცია, წარმოგზავნითა“⁴⁷.

ხელის მოწერა შეიძლებოდა საგამომცემლო კომიტეტში. კომიტეტი ხელის მომწერს უგზავნიდა სპეციალურ ფურცელს, სადაც აღინიშნებოდა ხელის მომწერის გვარი, სახელი, მისამართი, რა რაოდენო-

47 ს. დოდაშვილი, თხზ., 1961, გვ. 303.

ბით იწერდნენ გაზეთს და რამდენი ხანით, რამდენს იხდიდნენ ასიგნაციით თუ ვერცხლით.

ს ტ ა მ ბ ა. „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი.“
პ. სანკოვსკის სტამბაში იბეჭდებოდა. ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ მინც გადმოვცეთ ამ სტამბის ისტორია, გავეცნოთ მის მასშტაბებს⁴⁸.

1828 წელს პრაქტიკულად დაისვა საკითხი თბილისში რუსული და შისი შეატყვისი ქართული გაზეთის გამოცემის შესახებ. ბუნებრივია, გაზეთის გამოცემა სათანადო სტამბის გამართვასაც გულისხმობდა. ხელისუფლება შეეცადა, რომ საჭირო სტამბა თბილისში არსებული სტამბების ბაზაზე შეექმნა. იმხანად კი თბილისში სამი სტამბა იყო. ერთი ეკუთვნოდა ამიერკავკასიის ჯარების შტაბს. ეს შედარებით რიგიანი სტამბა იყო. აქ სხვადასხვა ენაზე დაწერილი ტექსტების ბეჭდვაც შეიძლებოდა.

მეორე სტამბა თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებობდა. ამ სტამბაში იდგა ერეკლე II-ის დროინდელი მასტამბო იარაღები. 1828 წლისათვის ეს სტამბა უმოქმედო იყო. მესამე სტამბა სომეხთა სასულიერო სემინარიასთან არსებობდა და სომეხ მოსახლეობას ემსახურებოდა.

განზრახვისამებრ, პირველი ორი სტამბა შეუერთებით და გაუწყვიით ისე, რომ ცალ-ცალკე დაზგებზე დაბეჭდილიყო რუსული და ქართული ტექსტები. ამავე დროს ხელისუფლებას სტამბის იარაღები მოსკოვიდან გამოუწერია. ნავარაუდები იყო, რომ, როცა მოსკოვიდან შეკვეთილი იარაღები მოვიდოდა, ძველ იარაღებს იმავე სტამბებს დაურიგებდნენ, საიდანაც იანინ წამოიღეს. ამ გზით შეიქმნა „ტფილისაჲ ვედომოსტის“ საგამომცემლო კომიტეტის“ სტამბა. პირველ რიგში რუსული ტექსტის საბეჭდი დაზგა აიწყო, შემდეგ კი ქართული. ქართული დაზგა გამართა თბილისელმა სომეხმა არარატოვმა, მანვე გააწყო შემდეგ სპარსული ტექსტის მბეჭდავი დაზგაც. ეს არარატოვი გახდა სტამბის ზედამხედველი და საკმაოდ დიდხანს დარჩა ამ თანამდებობაზე. ს. დოდაშვილს, როგორც ჩანს, სურდა, რომ ქართული ტექსტის საბეჭდი დაზგა ქართველ კაცს — გიორგი პაიჭაძეს გაეწყო და იგი ყოფილიყო სტამბის ზედამხედველიც.

გ. პაიჭაძე სასტამბო საქმის ჩინებული მცოდნე ყოფილა. იგი იმხანად პეტერბურგში ცხოვრობდა და ანლო ურთიერთობა ჰქონდა

⁴⁸ ამ საკითხს ვრცლად ეხება მ. გოცაძე წიგნში — „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“. იხ. 131 თავი — „ტფილისის უწყებანის“ სტამბა. გვ. 106.

ს. დოდაშვილთან⁴⁹. 1828 წლის 4 აგვისტოს იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში ს. დოდაშვილი სწერდა: „დიდად ვჰსწუხვარ, რომ გიორგი ჰაიჭაძე აქ არ იმყოფებოდა. ამ შემთხვევაში ტიპოლრაფიისათვის, რომელიც კომიტეტსა შინა საქირო იყო, ერთი სომეხი (იგულისხმება არარატოვი — შ. რ.) განაწესეს და მისკა ოცდაათი თუშანი თეთრი ფული ლუბერნატორმან“⁵⁰.

არსებული შესაძლებლობის კონცენტრაციის შედეგად რიგიანი სტამბა გაიმართა. ამ სტამბის გამართვის ხარჯები მთავრობამ გაიღო. მთავრობის ხაზინიდან იღებდნენ ჯამაგირს სტამბის თანამშრომლებიც. მაგრამ 1829 წლიდან მდგომარეობა ერთგვარად შეიცვალა. საგანგებო მოლაპარაკების შემდეგ არსებული სტამბა, აგრეთვე ის მოწყობილობა, რომელიც მოსკოვიდან უნდა მიეღოთ, ხუთი წლის ვადით (1829 თებერვლიდან 1834 წლის იანვრამდე) გადაეცა პ. სანკოვსკის «в полное хозяйство»⁵¹. ამიერიდან სტამბის უკეთ მოწყობაზე სანკოვსკის უნდა ეფიქრა. აგრეთვე ზოგიერთი თანამშრომლისათვის მასვე უნდა მიეცა ხელფასი გამომცემლობის შემოსავლიდან.

პ. სანკოვსკი, რომელიც ადრეც აქტიურად მოქმედებდა, ახალი ენერგიით შეუდგა საქმეს. 1829 წელს სტამბა მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 1830 წელს აღმასრულებელ ექსპედიციასთან უნდა გახსნილიყო ახალი სტამბა, აჰავე უწყების საქიროებისათვის. სტამბაში უნდა დადგმულიყო ოთხი დაგზა — რუსული, ქარაუღი, სომხური და თათრული ტექსტებისათვის. მაგრამ ასეთი სტამბის გახსნა დიდ ხარჯებს მოითხოვდა. ამიტომ მთავრობამ ჰიამოვნებით მიიღო სანკოვსკის წინადადება — მისი სტამბისათვის დამატებით მიეცათ ერთი დაზგა, სათანადო თანამშრომლებით.

ამ ღონისძიების შედეგად სანკოვსკის სტამბა საკმაოდ მოღონიერდა. აქ შეიძლებოდა ყურანალ-გაზეთებისა და წიგნების ბეჭდვა, ამასთან რუსულ, ქართულ, სომხურ, თათრულ, სპარსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. ასეთი ძლიერი სტამბა იმ დროს ამიერკავკასიაში მეორე არ ყოფილა.

აღნიშნულმა სტამბამ კარგა ხანს იარსება, მაგრამ 1832 წლიდან (პ. სანკოვსკის გარდაცვალების შემდეგ) თანდათან მოიშალა და ბოლოს შეწყვიტა კიდევ არსებობა.

1832 წელს სტამბა მოთავსებული იყო მარიამ აბესალომოვის სახლში. სანკოვსკის გარდაცვალების შემდეგ სტამბა უპატრონოდ დარჩა,

49 ს. დოდაშვილი, თბ., 1961, გვ. 260.

50 იქვე, გვ. 286.

ბინის ქირა აღარავინ გადაიხდა, რის გამოც სახლის პატრონმა არაერთხელ იჩივლა, თანამშრომლები მიმოიფანტნენ. სტამბა დადუმდა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა სტამბა აღწერეს და გამოიტანეს აბესალომოვის სახლიდან. ამასობაში გავიდა ხუთი წელიც მას შემდეგ, რაც სტამბა სანკოვსკის ჰქონდა გადაცემული კერძო მფლობელობაში, ამიტომ მთელი მოწყობილობა ისევ მთავრობამ დაიბრუნა.

თბილისში სტამბის გამართვის ამ გრძელ და რთულ ისტორიაში აქტიურად მონაწილეობდა ს. დოდაშვილი. როგორც საგამომცემლო კომიტეტის წევრს და ქართული გაზეთის რედაქტორს, მას ოფიციალურად ევალებოდა ქართული ტექსტის საბეჭდი დაზვის გამართვაზე ეზრუნა. როდესაც სანკოვსკის სტამბაში იმდენად გაიმართა დაზვა, რომ შეიძლებოდა დაბეჭდილიყო ქართული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, აღტაცებულმა ს. დოდაშვილმა მისწერა იონა ხელაშვილს: „სტამბა გავმართე დიდ ფრიად კარგა ქართული აპარატითა. ღრამიტიკა იბეჭდება და ამასთან იწყების... ლექსიკონიცა თქვენი, ეგრეთვე გამოიცემა ყოვლისა თთვესა ჟურნალი ქართული“⁵¹.

ტექნიკური გაფორმება. „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ პირველი ჟურნალი იყო ქართულ ენაზე. გამოვიდა ხუთი ნომერი. ზომით ყველა ნომერი თანატოლია და თითოეულში 24 გვერდია. პაგინაცია საერთოა, გაბმითი, იწყება პირველი ნომრიდან და გრძელდება შემდეგ ნომერში.

ჟურნალი გაფორმებული იყო სადად, პირველი გვერდის ზედა მარცხენა კუთხეში დასმული იყო ნომერი, მარჯვნივ კი გამოსვლის რიცხვი, ოდნავ დაბლა, ტეხილ ხაზებს შორის ეწერა გამოცემის წელი. „სალიტერატურონი ნაწილნი“ წარწერილია სწორი, საშუალო ზომის, ხოლო „ტფილისის უწყებათანი“ მოზრდილი ჩახვეული ასოებით. ყოველი ნომრის ბოლო გვერდზე, სულ დაბლა, ხაზს ქვემოთ მითითებული იყო ცენზურის ვიზა. ჟურნალის ანაწყობის ზომა 11×15,5 smt-ია. ტექსტი გაზეთის მსგავსად იწყება პირველსავე გვერდზე ტიტულის შემდეგ.

ჟურნალში მოთავსებული მასალები დაყოფილია განყოფილებებად: სიტყვიერება — პროზა, პოეზია (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი), ლიტერატურის ისტორია, კრიტიკა, ქართული ისტორია, აღმოსავლეთის ლიტერატურა, განცხადებანი, ანექდოტები „ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულობა“.

⁵¹ ზოგმა მკვლევარმა ს. დოდაშვილის ეს განცხადება ისე გაიგო, თითქოს მას საკუთარი სტამბა გაეშართოს. ჩვენი ფიქრით, ამ აზრის მცდარობა საბუთიანადაა გარკვეული სპეციალურ ლიტერატურაში, ამიტომ აქ ამ საკითხზე სიტყვას აღარ ვაგრძელებთ.

ქურნალი კარგად არის აკინძული, არ არის დაკარგული ცალკეულ სტრუქტურებს და სიტყვებს. სქოლიოში ახსნილია ტექსტის ყველა სიტყვა და დასაბუთება, რომელიც კი იმდროინდელი მკითხველისათვის შესაძლოა გაუგებარი ყოფილიყო. ქურნალში დაბეჭდილ მასალებს ეტყობა რედაქტორის ხელი. ამჟამად, რომ ს. დოდაშვილი ყველა მასალას გულმოდგინედ კითხულობდა, ასწორებდა, ათვლიერებდა აგრეთვე ანაბეჭდვასაც. ამით აიხსნება, რომ კორექტურული შეცდომები აქა-იქ არის დაშვებული და მკითხველს კიბოების ხალისს არ უქარავას.

ც ე ნ ზ უ რ ა, დ ა ხ უ რ ვ ი ს მ ი ზ ე ზ ი. ცენზურა არასოდეს არ ყოფილა ისე ჯოჯოხეთური, როგორც ჯალათი ნიკოლოზ I ეპოქაში. 1828 წელს ძალაში შევიდა ახალი საცენზურო წესდება, რომელიც ნაცვლად წინანდელი წესდების 47 მუხლისა 230 მუხლს შეიცავდა და რომელიც იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა კუთხულს ითვალისწინებდა. საკმარისია ითქვას, რომ ახალი საცენზურო წესდება შეიქმნა განათლების მინისტრის — განათლებისა და ჰოვარესის დაუძინებელი მტრის შიშკოვისა და უკიდურესი რეაქციონერის, მესამე განყოფილების მეთაურის გრაფ ბენკენდორფის უშუალო მონაწილეობით, რომინათელი გახდეს ამ წესდების ხასიათი.

იგიუიტების სემინარიის კურსდამთავრებული, გაქნილი, მამუზლარა, ბოროტების თესლი და დესპოტი ბენკენდორფი რეგულარულად ესწრებოდა კომიტეტის სხდომებს, სადაც ახალი წესდება განიხილებოდა. მესამე განყოფილების შეფი მარტო კონტროლით არ კმაყოფილდებოდა. იგი აქტიურად ერეოდა წესდების გადამმუშავებელი კომიტეტის მუშაობაში. წესდებაში მისი კარნახით შეიტანეს, მაგალითად, ორი ასეთი მუხლი: 1. ყველა დრამატული ნაწარმოები, რომელიც დასადგმელად მზადდებოდა, ცენზურაში უნდა გაეტარებია მხოლოდ მესამე განყოფილებას, 2. ამერიიდან გამომცემლობათა პატრონებს ევალებოდათ, რომ მესამე განყოფილებაში წარედგინათ თითო ეგზემპლარი ყველა იმ გაზეთის, ქურნალისა თუ აღმანახის, რომელიც მის გამომცემლობაში დაბეჭდებოდა. ხოლო რას ნიშნავდნ მე-3 განყოფილებაში მოხვედრა, დღეს ეს ყველსათვის ნათელია. როგორც ნ. ენგელგარდტი შენიშნავს, ახალი წესდება «*дѣла строже даже «папской»*».

ცენზორი მოვალე იყო შეუვალად დაეცვა მეფის ტახტი და ქრისტიანული სარწმუნოება. შავი დღე დაადგებოდა ცენზორს, თუ მხედველობიდან გამოჩნებოდა თუნდაც ოდნავ გადაკრული ნათქვამი, ორაზროვანი სიტყვა და სხვ.

იკრძალებოდა და იდევნებოდა ყველა ნაბეჭდი, რომელიც ოფი-

ცოაღურ აზრს რაიმე მხრით ეწინააღმდეგებოდა. დაუშვებელი იყო მსჯელობა რუსეთის სახელმწიფო სისტემის გადახალისებაზე და სხვ.

ახალი საცენზურო წესდება სულს უხუთავდა მწერლობას. შიშის აჩრდილი მუდამ თვალწინ უტრიალებდა შემოქმედს და კალამი უკანკალებდა, სიტყვა პირზე აშრებოდა. ასე იყო იმპერიის სატახტო ქალაქებში. ასე იყო მთელ რუსეთში, და იოლი წარმოსადგენია, რა დღეში იქნებოდა იმპერიის განაპირა გუბერნიების, განსაკუთრებით „ტუზმეცების“ მწერლობა; ლეგალური პრესა.

ახალი საცენზურო წესდება 1828 წლის 23 აპრილიდან ძალაში შევიდა თბილისშიც. იმხანად ამიერკავკასიაში საცენზურო კომიტეტი არ შექმნილა. საქართველოში ამ დროს ცენზურა ემორჩილებოდა გენერალ-გუბერნატორის მპართელობას. 1828—1832 წლებში, ჩვენთვის საინტერესო დროის მონაკვეთში, საქართველოში ცენზურა მთლიანად სამხედრო გუბერნატორის ხელში იყო, ხოლო თბილისში მისი არყოფნის შემთხვევაში, ცენზორობა ევალებოდა სამოქალაქო გუბერნატორს. როდესაც ქართული თუ რუსული გაზეთი დასაბეჭდად მომზადდებოდა, საგამომცემლო კომიტეტის რომელიმე წევრი ვალდებული იყო წარედგინა გუბერნატორთან ცენზურისათვის.

ნიკოლოზ I ცენზორებად ყველაზე ერთგულ და უსულგულო ადამიანებს ნიშნავდა, ცენზურა მკაცრი და აუტანელი იყო, მაგრამ კიდევ უფრო საშინელი შეიქმნა იგი მას შემდეგ, რაც საცენზურო საქმეს ხელი მოჰკიდა მე-3 განყოფილებამ. ზემოთ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ უანდარბთა შეფის ბენკენდორფის წინადადებით საცენზურო წესდებაში შეიტანეს საგანგებო მუხლი, რომლის ძალითაც მე-3 განყოფილება იმპერიის უმაღლეს ცენზორად იქცა. რუსეთის იმპერიაში დაბეჭდილი ყველა გაზეთის, ეჟურნალის, წიგნის თუ ალმანახის თითო ეგზემპლარი დაუყოვნებლივ უნდა გადაგზავნილიყო მე-3 განყოფილებაში, სადაც დაბეჭდილ მასალას ერთხელ კიდევ გულდასმით შემამოწმებდნენ და თუ კი ოდნავ საეჭვოს შენიშნავდნენ, იმპერატორისა და მისი ერთგულის ლაქიის ბენკენდორფის პირდაპირი რისხვა არ აცდებოდა ავტორს, გამომცემელს და ცენზორს.

მე-3 განყოფილების ბრძანება დაუყოვნებლივ მიიღეს თბილისშიც: «Учинить немедленно с вашей стороны распоряжение, дабы содержатели находящихся во вверенной Вам губернии типографии, как казенных, так и частных, обязаны были подписками о непрременном представлении в III-е отделение собственной его императорского величества канцелярии по одному экземпляру всех печатных в оных типографиях газет, журналов и альманахов»⁵².

⁵² შ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1954, გვ. 123.

კოლონიური რეჟიმის შესაბამისად, საქართველოში მეფის ცენზურა კიდევ უფრო ტლანჭი და უდიერი იყო. პოლონეთის აჯანყებით დამფრთხალმა ნიკოლოზ I იმპერიაში შემავალ პატარა ერებს მარწყულები ახალი ენერგიით მოუქცია. მძინვარებდა ცენზურა. ქართველ მწერალს დამოუკიდებელი ფიქრის უფლებაც კი წაართვეს.

ასეთ მძიმე პირობებში მოუხდა არსებობა პირველ ქართულ ჟურნალს. ჟურნალი, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდისათვის იყო გამიზნული, ხელფეხშეკრული აღმოჩნდა. ცენზორი საგულდაგულოდ სინჯავდა ჟურნალში დასაბეჭდი მასალის თითოეულ სტრიქონს და შეუბრალებლად უსვამდა წითელ ხაზს თუ რამ საექვოდ მოეჩვენებოდა. ამის ნიმუშად გამოდგება გ. ერისთავის პოემის „ოსური მოთხრობის“ ის ნაწილი, რომელიც ს. დოდაშვილის ჟურნალში დაიბეჭდა. ცენზურამ დაასახიჩრა ნაწარმოები და შემდეგ სულაც აკრძალა მისი ბეჭდვა.

ატმოსფერო დახშული და სულის შემხუთველი იყო. ჟურნალი ვერ ბედავდა სათქმელი პირდაპირ ეთქვა. უმთავრეს საგანს ის გარედან უტრიალებდა.

ცენზურა ქართულ ჟურნალს პერსპექტივას უსპობდა და ამით მის აღსასრულს აახლოებდა. და მაინც, მიუხედავად ზემოთქმულისა, „სალიტერატურონი ნაწილნის...“ დახურვის უშუალო მიზეზი ცენზურა არ ყოფილა. ჟურნალის ბედი ხელის მომწერთა სიმცირემ გადასწყვიტა. იმ ხანად ქართულ ჟურნალსა და გაზეთს მკითხველი თითქმის არ ჰყავდა, რაც თავის მხრივ გარკვეული ობიექტური მიზეზებით აიხსნება და რაზედაც. ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. სავსებით მართალი იყო ს. დოდაშვილი როცა ჟურნალის შეწყვეტის უშუალო მიზეზად ხელის მომწერთა მეტისმეტ სიმცირეს თვლიდა: «Хотя я начал издавать, но увидев, что нет подписчиков, прекратил издание газет. Издавал в 1832 году»⁵²

52 ს. დოდაშვილი, თხზ., 1961, გვ. 348.

შალვა სააკაძე

ლიტერატურული მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი შურნალ „ივერიაში“

ეწოდა რა ბრძოლას კრიტიკული რეალიზმის შემდგომი განვითარებისა და მხატვრული სრულყოფისათვის, „ივერია“ დიდ ყურადღებას უთმობდა წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვასა და შემოქმედებითს ათვისებასაც. „იმედის“ ნილილისტურმა გამოხდომებმა მისცეს ბიძგი შურნალს, თუ იმ ფაქტმა, რომ 1881 წელი შედარებით ნაყოფიერი იყო წასულის მემკვიდრეობის გამოცემებით, „ივერიამ“ სწორედ ამ წელს განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურისადმი, კერძოდ, ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებისადმი.

ქართული ლიტერატურის განვითარების თავისებური გზით, ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის სპეციფიკური ნიშნებით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებ-განვითარებისათვის ბრძოლა ჩვენში რომანტიზმთან სამკედრო-სასიცოცხლო შეტაკებათა ნიშნის ქვეშ არ წარმართულა. რეალიზმი საქართველოში ეროვნული ლიტერატურის ლოგიკური განვითარების შედეგი იყო და არა ჩრდილოეთიდან ან დასავლეთიდან შემოტანილი უცხო ნერგი. ამიტომ რეალიზმმა მემკვიდრეობით მიიღო რომანტიზმისაგან ყველაფერი უკეთესი და განავითარა იგი. ქართულ ლიტერატურაში რეალიზმს რომანტიზმთან ისეთი სპეციფიკური მხარეც აკავშირებდა, რომელიც სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი არ ყოფილა— პატრიოტული მოტივი, გულსტკივილი სამშობლოს უბედური ხვედრის გამო, რაც ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვისა და რუსეთის ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის შედეგი იყო. საგულისხმოა, რომ ქართული კრიტიკული რეალიზმის ამ მემკვიდრეობათს კავშირს რომანტიზმთან თვით ი. ჭავჭავაძეც აღნიშნავდა.

„წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“, იხილაედა რა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას, ილია საგანგებოდ გამოჰყოფდა პოეტის გულისტკი-

ვილს სამშობლოს ბედის გამო, მოჰყავდა სათანადო ადგილები მისი ლექსებიდან და წერდა: „თუ ეს... მაგალითები მოვიყვანეთ მამულის-შვილურ გულის-ტკივილისა, მარტო იმისათვის, რომ ვნახოთ, — მაგისთანა გულის ტკივილს, მერე სამოციან წლებში ეგრე გაძლიერებულს ჩვენს მწერლობაში, სათავე-სადა ჰქონია და მცირე ნაკადულად გამონაწერი მერე როგორ გაზრდილა ან უმატნია“¹. ამ თვალსაზრისით განიხილა ი. ჰავჭავაძემ გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილისა და ვ. ორბელიანის შემოქმედებაც. ასე, მაგალითად, გრ. ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ი. ჰავჭავაძე ხაზს უსვამდა იმ ლექსებს, სადაც წარსულ დროთა გმირობის მოგონებებია მოცემული და პოეტის დამსახურებას იმაში ხედავდა, რომ მან მიგვახედა ჩვენ მიერ დავიწყებული წარსულისაკენ, „თითქო იგრძნოო რომ უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, — თავ-გაუტანელი, ფეხ-მოუკიდებელი“².

თერგდალეულებმა პატრიოტულ მოტივს, რომელიც მემკვიდრეობით მიიღეს ქართველი რომანტიკოსებიდან, შემდგომი, ეპოქისათვის შესაფერი განვითარება მისცეს. სამშობლოს სიყვარული მათ მომავლისათვის ბრძოლის იდეას დაუკავშირეს, მაგრამ არც ქართული რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლის ნ. ბარათაშვილის პოეზიისათვის იყო უცხო უკეთესი, თუმცა ჯერ კიდევ გაურკვეველი მერმისისაკენ სწრაფვა.

გარდა ამისა, რომანტიკული ნაკადი დამახასიათებელი იყო თერგდალეულთა საუკეთესო წარმომადგენლების ი. ჰავჭავაძისა და ა. წერეთლის შემოქმედებისათვისაც. „კაცია ადამიანის?!“ ავტორის კალამს ეკუთვნოდა ისეთი ნაწარმოებიც, როგორიც „მეფე დიმიტრი თავდადებული“, ხოლო ა. წერეთელმა „მუშურისა“ და „იმერული ნანას“ გვერდით „ნათელა“ და „გამზრდელიც“ შექმნა.

რომანტიზმთან ამ მემკვიდრეობითი კავშირის შეგრძნება გამოსჰკვივის ყველა იმ სტატიასა თუ რეცენზიაში, რომელიც „ივერიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების გარშემო: მათში მოცემულია აგრეთვე წარმატებითი ცდა ისტორიული პირობებისათვის დაეკავშირებინათ მწერლის შემოქმედების ამა თუ იმ მხარის განხილვა.

1881 წელს მეშვიდე და მერვე ნომრებში „ივერიამ“ დაბეჭდა რეცენზიები მიხ. თუმანიშვილის, ალ. ჰავჭავაძისა და ვახ. ორბელიანის ლექსებზე, რომელნიც ცალკე წიგნებად გამოიცა ამ დროს. პროფ. სოლ. ხუციშვილს მის მიერ შედგენილი ქრესტომათიის (წ. II) შენიშვნებში

1 ი. ჰავჭავაძე, ნაწ. სრ. კრ., III, 1963, გვ. 208—209.

2 იქვე, გვ. 209.

გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ აღნიშნული რეცენზიების ავტორი ი. ჭავჭავაძე უნდა იყოს³. სოლ. ხუციშვილს თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად მოტანილი აქვს აზრობრივ-სტილისტური დამოხვევები და მსგავსებანი, მაგრამ არსებობს აღნიშნული აზრის საწინააღმდეგო საწმენო ცნობები. პირველი რიგში მხედველობაშია მისაღები გიორგი თუმანიშვილის პირდაპირი მითითება. რომ ავტორი რეცენზიისა მიხ. თუმანიშვილის ლექსებზე იყო ივანე მაჩაბელი. გ. თუმანიშვილი წერდა: „დიდი მადლობელი ვიყავი ვანოსი. რომ მან თითქმის პირველმა მოაგონა ქართულ საზოგადოებას ჩემი მამის (მიხეილ ბერძენელის ძე თუმანიშვილი, „ცისკარის“ პუბლიცისტი, მოლაყბე) ლექსები. იმ დროს მე გამოვეცი რჩეული ლექსები მამაჩემისა და ვანომ „ივერიაში“ დაწერა თანაგრძნობით სავსე რეცენზია აქ წიგნზე“⁴. აღნიშნული ცნობა იმდენად ნათელია, რომ მეორე აზრი შეუძლებელია არსებობდეს.

რაც შეეხება რეცენზიას ვახ. ორბელიანის ლექსებზე, ვფიქრობთ, მისი ავტორიც ივ. მაჩაბელი უნდა იყოს და არა ი. ჭავჭავაძე. რეცენზიაში ვკითხულობთ: „ივერიის“ მეშვიდე წიგნში, როდესაც მიხ. თუმანიშვილის ლექსებზედ ვლაპარაკობდით, მას გვერდში თ. ვახტანგ ორბელიანიც ამოუწყენეთ, და ვამტკიცებთ. რომ ნ. ბარათაშვილი მართლ არ მოღვაწეობდა ჩვენს ლიტერატურაში; მას თანამგრძნობი, თანაზიარიცა ჰყავდა და სხვათა შორის თ. ვახტანგ ორბელიანი და მიხ. თუმანიშვილი. ამ უკანასკნელის თხზულებებზე კადეც მოვილაპარაკეთ...“⁵ აქ პირდაპირაა მითითებული ივ. მაჩაბლის რეცენზია მიხ. თუმანიშვილის ლექსებზე, სადაც წერია: „ჩვენს ლიტერატურაში ბუერს ნიკ. ბარათაშვილი მართლ მართლ ჰგონია: ბუერსა ჰგონია, რომ ეს პოეტი რაღაც უცნაური მოვლენაა და რაც იმის ლექსებში გრძნობა და აზრია გამოთქმული, საქართველოს ნიდაგზედ არ არის აღმოცენებული. ვინც ამას ამბობს, წაიკითხოს გრიგოლ ორბელიანს, მიხეილ თუმანიშვილს, ვახტანგ ორბელიანის ლექსები და ამ ყოველად შემეცდარს აზრს აღარ იტყვის“. მაშასადამე, ავტორი რეცენზიისა ვახტ. ორბელიანის ლექსებზეც, ასავე, ივ. მაჩაბელია.

განოსაჯრევეცია ავტორი მესამე რეცენზიისა — „ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აზრობრივსა და სტილისტურ მსგავსებაზე დაყრდნობით პროფ. ს. ხუციშვილი ამ რეცენზიას ი. ჭავჭავაძის კალამს მიაწერდა. მსგავსებანი მართლაც საგრძნო-

³ ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის. ქრესტომათია, II, ს. ხუციშვილის რედაქციით, თბ., 1956, შენიშვნები, გვ. 552—553.

⁴ ვახ. „თემი“, 1913 წ. № 81. ეს ცნობა მოტანილი აქვს დ. რამიშვილს წიგნში მიხეილ თუმანიშვილი. ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1957, გვ. 59.

⁵ ი ვ ე რ ი ა, 1881, № 8, გვ. 123.

ბ.ა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვაობაც. რეცენზიაში ალ. ჭავჭავაძე აღიარებულია „ვარდ-ბულბულის“ პოეტად, რომელიც მხოლოდ ღვინოს, სიყვარულსა და ლამაზ თვალებს უმღერდა. ი. ჭავჭავაძის „წერილებში“ კი ალ. ჭავჭავაძის ის მამულიშვილური გრძნობებიცაა მოძებნილი, რომელიც შემდგომ სამოციანელებმა განავითარეს. რეცენზიაში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ალ. ჭავჭავაძის ბევრ ლექსს „აკლია ძლიერება“, „შობებქდილებას ვერ ახდენენ მკითხველებზე“, ილია კი ალ. ჭავჭავაძის ნიქს გაცილებით მაღალ შეფასებას აძლევს. ყოველივე ეს საკმაო ეჭვს ბადებს აღნიშნული მოსაზრების მიმართ. ამავე დროს ზოგიერთ მსგავსებას ვამჩნევთ ამ რეცენზიასა და მიხ. თუმანიშვილის ლექსებზე დაწერილ რეცენზიას შორის. ასე, მაგალითად, ის აზრი, რომ ალ. ჭავჭავაძე „ვარდ-ბულბულის“ მგოსანია, გამოთქმულია მიხ. თუმანიშვილის ლექსებზე დაწერილ რეცენზიაშიც; აქაც ნათქვამია, რომ ალ. ჭავჭავაძის ლექსების „საგანი იყო ქალები, ძიყვარული, ვარდი, წითელი კახური ღვინო“, რომ მიხ. თუმანიშვილს „მეორე ხელი ჩაუქიდნია ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის და ამასავით მღერის ფილანზედ, ღვინოზედ, ლამაზ ქალებზედ“. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ, შესაძლებელია რეცენზიაც ალ. ჭავჭავაძის ლექსებზე ივ. მაჩაბლის მიერ იყოს დაწერილი. მით უმეტეს, რომ ერთ ნომერში და „ახალი წიგნების“ ერთ საერთო სათაურს ქვეშ არის განხილული ვახ. ორბელიანისა და ალ. ჭავჭავაძის ლექსები. რაც შეეხება პროფ სოლ. ხუციშვილის ძირითად საბუთს — ალ. ჭავჭავაძის ლექსების რეცენზენტის განცხადებას: ახლა არ ვაპირებთ ალ. ჭავჭავაძის საერთო ღირსების დაფასებას, როდისმე „ივერიის“ ფურცლებზედ ვეცდებით ამ ტვირთის აკიდებასო და ილიას „წერილებში“ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვას, შეიძლება შემდეგი ითქვას: ადვილი მოსალოდნელია, რომ ივ. მაჩაბელიც ფიქრობდა შემდგომში ცალკე განეხილა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედება „ივერიის“ ფურცლებზე, მაგრამ ეს განზრახვა ვერ განახორციელა იმის გამო, რომ ჩამოშორდა რედაქციას.

აზრობრივი მსგავსებანი ი. ჭავჭავაძის „წერილებსა“ და „ივერიაში“ 1881 წელს დაბეჭდილ რეცენზიებს შორის, რომელთა შესახებ სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ს. ხუციშვილი, მართლაც საგრძნობია. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ თერგდალეულებს და განსაკუთრებით „ივერიის“ ჯგუფს გარკვეული მოსაზრება გააჩნდა საერთოდ კლასიკური მემკვიდრეობისა და კერძოდ ქართული რომანტიზმის წარმომადგენელთა შესახებ. ამ შეხედულებებს უსათუოდ ტონს აძლევდა ჟურნალის რედაქტორი ი. ჭავჭავაძე და თანამშრომელიც იზიარებდნენ მას. ამიტომ პრინციპულსხვაობას ილიას „წერილებსა“ და „ივერიის“ რეცენზიებს შორის ვერ ვამჩნევთ, პირიქით, რეცენზიებში უკვე

ჩანს საწყისები იმ მნიშვნელოვანი შეხედულებებისა, რომელნიც შემდეგ ჩამოყალიბებული სახით მოგვცა ი. ჰავკავაძემ თავის „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“.

„წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“ ი. ჰავკავაძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მხოლოდ 30—40-ანი წლებიდან დაიწყო დროებით მიძინებული ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გამოღვიძება, ბოლო მოელო იმ დროს, როდესაც „უსაქმურობამ და უსაგნობამ ცხოვრებისაგან გახიზნა მაშინდელი კაცები და შეუხიზნა ახალ ვითარებას. ვისაც რაიმე ნიშან-წყალი ადამიანობისა ჰქონდა, ყველანი ერთობ გაიწიენენ სამსახურისაკენ და მის ფარგლებში შეიმწყვდიეს თავი, დანარჩენნი კი შინ, თავის ოჯახებში ჩაიკეტნენ, ვნახოთ ხვალე რას მოგვიტანსო... რამდენადაც ხანი მიდიოდა. იმდენად ჩვენობა და უცხოობა თუმცა ერთმანეთს იშენევდნენ, მაგრამ გულში — კი ერთმანეთთან ვერ ჰრიგდებოდნენ“⁶. მხოლოდ 30-იანი წლებიდან დაიწყო, — ილიას მართებული შენიშვნით, — საზოგადოებრივი აზრის გამოღვიძება, პასუხის ძებნა კითხვაზე — „ვინა ვართ და რანი ვართო“. ხოლო ერთადერთი ასპარეზი, სადაც გამოჩნდა ეს აზრი, მწერლობა იყო, მაგრამ ისიც, „პირველ ხანს უფრო შინაური საქმე იყო, ვიდრე საყოველთაო, უფრო შესაქცევარი, ვიდრე გარჯით ბეკლევარი“. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ იგი „შინაურობაში იბადებოდა და ისევ შინაურობის მოკლე წრეში ჰტრიალებდა, იმიტომ, რომ, მაშინ არც ყურნალ-გაზეთობა იყო, არც ჩვეულება ცალკე წიგნად ბეკდვისა. და, სწორედ მოგახსენოთ, არც სათქმელი ჰქონდა საყოველთაო, რადგან საყოველთაო საგანი ახლად ახილებულ მწერლობის თვალისათვის მიუწვდენელი იყო, თუნდ რომ თვით ცხოვრებაში ყოფილიყო მაგისტანა საგანი“⁷, ლიტერატურა მხოლოდ ერთი ქანრით — პოეზიით იყო წარმოდგენილი, ხოლო პოეზია კი — ლირიკით. ეს კი იმით შეიძლება აიხსნას, რომ „რაკი საზოგადო ცხოვრება ჩვენს კაცს ხელოდან გამოეცალა, რაკი კაცს ხელთ შერჩა მართო თავისთავილა, სხვა რა ექმნა, რომ უსაგნო გარემოსაგან ლტოლვილი თვალი — თავის საკუთარს გულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულთათქმისა და კეთა-გონების ხედვისა“⁸.

ასეთ ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა ალ. ჰავკავაძეს და ეს წარმოადგენს ამოსავალ წერტილს ალ. ჰავკავაძის შემოქმედების შე-

6 ი. ჰავკავაძე. ნაწ. სრ. კრ., ტ. III, 1953, გვ. 205.

7 იქვე, გვ. 206.

8 იქვე, გვ. 207.

ფასებისას, როგორც ილიას „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“. ისე რეცენზიაში ალ. ჭავჭავაძის ლექსებზე⁹.

„ივერიის“ რეცენზენტს უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულის გამოცემა 1881 წელს. იგი, მისი აზრით, ის „ძვირფასი და ბრწყინვალე თვალთა“, რომლითაც ამოივსა. „ერთი მეტად თვალსაჩინო ამოდრმავეებული ალაგი ჩვენს ლიტერატურაში“¹⁰. ალ. ჭავჭავაძის პოეზიის თავისებურების გასაგებად, რეცენზიის ავტორის აზრით, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ მისი ლექსების უმეტესობა სასიმღეროდ იყო განკუთვნილი. მათი ძლიერება მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, „როდესაც გამომთქმელად ჰყავთ ტკბილზმოვანი საზანდარი და ბანის მიმცემად ჩონგურის ქღერა“. რით იყო გამოწვეული, რომ ალ. ჭავჭავაძის ლექსების უმეტესობის თემა სიყვარული და ღვინაა? ამის მიზეზი, რეცენზენტის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოება, რომელიც გარს ერტყა პოეტს, მოკლებული იყო საზოგადოებრივ იდეალებზე ზრუნვას, იგი მხოლოდ ამგვარ ლექსებს თანაუგრძნობდა.

რაც შეეხება ალ. ჭავჭავაძის ლექსების მხატვრულ ღირსებას, მათ, რეცენზენტის აზრით, დიდად ავნო დამკვიდრებულმა პოეტურმა ტრადიციამ, იმან, რომ პოეტი შებოჭილი იყო „აკროსტიხებითა და ანბანთქებითო“: „წარმოიდგინეთ პოეტს გულში ჩაუსახავს, რომ ამა და ამდენი ლექსი უნდა ერთისა და იმავე სიტყვით დავაბოლოო, მაგრამ ისე კი, რომ ყოველს მათგანს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდესო, რაღა გრძნობა გამოითქმება თავისუფლად, რაღა სიცოცხლე და ძლიერება მიეცემა ლექსსა? ან მკითხველმა რა დააშავა, რომ თავი ემტვიროს ამგვარ პოეტურ გამოცანებზე?

რა მესშირა შენთა ისართ მალემა,
მეტმან ცრემლმან ლაყვარდის ფერმალემა,
გლახ პყრობილი ამას ვეებს, ვალალეებს,
ვერ გაწერა, ესრედ ვითაც მალემა“.

„ივერიის მიერ მოტანილი ეს მაგალითი თვალსაჩინოა იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ მაართლაც არტახებშია მომწყვდეული პოეტი, როცა ტრადიციული, მაგრამ ქართული პოეზიისათვის არაბუნებრივი კანონებით არის შებოჭილი. უსათუოდ ალ. ჭავჭავაძის ძლიერი პოეტური ნიჭის შედეგი იყო, რომ მან, მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც მოახერხა „თავისი ლექსები ჩამომავლობისათვის გადაეცა და ქართულ ღვინის აუცილებელ სამკაულად გარდაექმნა“. ამ ნიჭის

⁹ „ივერია“, 1881, № 8.

¹⁰ იქვე, გვ. 118.

მაჩვენებელია ისიც, რომ, როცა პოეტი სცილდებოდა ტრადიციულ ჩარჩოებს, მისი ლექსი ბუნებრივად ჟღერდა. მკითხველს აოცებდა ალ. ჭავჭავაძის უნარი „ნამდვილ გრძობათა გამოთქმისა“, „კაცის გულის სხვადასხვაობის გამოზატულების“, „ლექსის ტკბილხმგვანებისა“ თუ „ენის მოქნილობისა და ძლიერებისა“.

რეცენზიაში ამავე დროს აღნიშნული იყო, რომ ალ. ჭავჭავაძის პოეზიის დიდ ნაკლს მისი თემატური ერთფეროვნება წარმოადგენსო, „ყველა თავის ორიგინალურს ლექსებში ერთსა და იმავე საგანზედ მღერისო“. მიუხედავად ამისა, რეცენზიის ავტორი მაინც მაღალ შეფასებას აძლევდა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას, როდესაც წერდა: დიდი ხანია, რაც ალ. ჭავჭავაძეს ჩვენს პოეტებს შორის პირველი ადგილთაგანი უჭირავსო.

აღნიშნულ რეცენზიაში, მიუხედავად პოეტის ასეთი მაღალი შეფასებისა, ერთი დიდი ნაკლი შეიმჩნევა: ალ. ჭავჭავაძის შემოქმედება მასში ცალმხრივადაა განხილული. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ შეუძლებელია „გოგჩის ტბისა“ და „უპ სოფელსა ამა“ ავტორი მხოლოდ ვარდ-ბულბულისა, ლამაზი ქალებისა და კახური ღვინის მომღერლად გამოაცხადოთ. უფრო მეტიც, პოეტის შემოქმედების პათოსი მის სატრფიალო ლირიკაში კი არ მდგომარეობდა, არამედ სინამდვილის არარაობის გამო ამოხდენილ ჰანგებში, იმ მამულიშვილურ გრძნობაში, რომელიც ასე კარგად შენიშნა შემდგომ ი. ჭავჭავაძემ თავის „წერილებში“.

სპეციალური რეცენზიით უპასუხა „ივერია“ ქართული რომანტიზმის მეორე, შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი პოეტის მიხეილ თუმანიშვილის ლექსების გამოსვლასაც. მიუხედავად იმისა, რომ მიხ. თუმანიშვილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში წამყვანი ადგილი არ დაუჭერია, ჟურნალმა მაინც საჭიროდ მიიჩნია თავისი აზრი გამოეთქვა. „ბევრსა ჰგონია, რომ ლიტერატურისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს რა ამისთანა მომცრო პოეტების თხზულებების გამოცემას, როგორც არის მიხ. თუმანიშვილიო, მაგრამ ჩვენის აზრით ეს ისეთი შეცდომაა, რომ ამის თქმა არ მიეტევება არავის, ვინც კი ლიტერატურის ისტორიას დაჰკვირვებია“, — წერდა „ივერია“. ჟურნალი სამართლიანად თვლიდა, რომ ლიტერატურული პროცესის შესწავლის გარეშე შეუძლებელია სათანადოდ ვაეიგოთ ამა თუ იმ გამორჩენილი მწერლის შემოქმედება. ამიტომ ლიტერატურის ისტორიისათვის აუცილებელია მთელი იმ მემკვიდრეობის ცოდნა, რომელიც წინაპრებმა დაგვიტოვეს. აქედან გამომდინარე „ივერია“, როდესაც ამტკიცებდა, რომ ნ. ბარათაშვილის პოეზიის გაგება შეუძ-

ლებელი იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ გრიგოლ ორბელიანის, მიხეილ თუმანიშვილისა და ვახტანგ ორბელიანის ლექსები.

მიხ. თუმანიშვილი რეცენზენტს იმ პოეტად შიარჩნია, „რომელიც ალ. ჭავჭავაძისა და ნიკ. ბარათაშვილის შუა სდგას დროთი და არა ღირსებით“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ეპოქის განწყობილებამ ბევრად განაპირობა პოეტის შემოქმედება. ეპოქა კი იმით ხასიათდებოდა, რომ „ჯერ ზოგს არ ესმოდა, რა მნიშვნელობა აქვს „მერანს“, „მთაწმინდაზე შემოლამებას“ და ბარათაშვილის სხვა საუკეთესო ლექსებს. საზანდრები ერთ-გვარის გრძნობითა მღეროდნენ ალ. ჭავჭავაძის „სძგერს გლახ გულს“-ს და ბარათაშვილის „სულო ბოროტოს“ და მსმენელნიც ვერ არჩევდნენ რა დიდი განსხვავებაა ამ ორი ლექსის ჩამგონებელ გრძნობათა შორის“, — აღნიშნავს რეცენზენტი და დასძენს: მიხ. თუმანიშვილი იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელმაც შეამჩნია ეს სხვაობა და მხარში ამოუდგა ბარათაშვილისო. ეს ფაქტი კი იმაზე ლაპარაკობს, რომ მიხ. თუმანიშვილი ბარათაშვილთან ერთად, თუმცა ნაკლები ოსტატობით, იმის გამომხატველია, რომ „რალაცა აწუხებდა ჩვენს საზოგადოებას, გული რაღაცას ეუბნებოდა“... „ივერია“ შენიშნავს, რომ მიხ. თუმანიშვილის ლექსების ნაწილში „თითქმის იგივე აზრი და გრძნობაა გამოთქმული, რაც ბარათაშვილის ლექსებში“ და ზოგჯერ უფრო ადრეც კი. ეს იმის მაჩვენებელია, რომ იგი არ ბაძავდა ბარათაშვილის, არამედ დამოუკიდებლად გრძნობდა ეპოქის სულისკვეთებას. საილუსტრაციოდ მოყვანილია ნაწყვეტი ლექსიდან „სალამური“.

იყო დრო... მკრამ, ჰე, მაცთურო ამაოებაც,
რად დამილწე, ოქროვანი ხატი ოცნების?
რად დამღე ჭაჭვი დამონებისა? რად მიმიზიდავ
აღელვებაში ამა სოფლის დაუდგრომელის.
სადაც გრილდება მგონისა მზურვალე გული,
სადაც სკენებიან უწმინდესი სულის გრძნობანი,
სად სალამური მექნა ჟღერით დაყრუბული
და უპასუხოდ განიფანტნენ ტბილნი შტეენანი“.

მოყვანილ ლექსს რეცენზენტი აღარებს ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტოს“ და მათ შორის იდეურ მსგავსებას ხედავს. ამავე დროს იმა-საც აღნიშნავს, რომ „სალამური“ დაწერილია 1838 წელს, ხოლო „სულო ბოროტო“ კი 1843 წელსო, თუმცა ბარათაშვილის „მთაწმინდაზე შემოლამება“ და „ფიქრი მტკვრის პიროზე“, რომლებშიაც იგივე სევდაა გამოთქმული, „სალამურზე“ აღრინდელიაო.

მნიშვნელოვანია რეცენზენტის შენიშვნა იმის შესახებაც, რომ ამაოებისა და იმედგაცრუების მოტივები არ წარმოადგენს მიხ. თუ-

მანიშვილის ლექსების ძირითად პათოსს. მას „მხოლოდ ცალი ზელი გაუშვერია ნიკ. ბარათაშვილისაყენ, მეორე ხელი ჩაუჭიდნო ალაქსანდრე ჰავკავაძისათვის და ამასავით მღერის ფიალაზედ, ღვინოზედ, ლამაზ ქალებზედ...“ იგი კიდევ უფრო აზუსტებს თავის შეხედულებას, როცა წერს: „დიდი ხნის ბრძოლისა და წუხილის თავი არა აქვს მცხ. თუმანიშვილის ლექსს. ის მზად არის თავი დაანებოს ამ უგებურ სოფელს და გაჰფრინდეს იქ,

„სად სიტკბობა არს უსყიდველი
და სიყვარული სულს ათბობს მარად“.

არც ამქვეყნიურ სიამოვნებაზე ამბობს პოეტი უარს. ამავე დროს იგი მზადაა წამიერი ნუგეში სცეს „ბედსა კაცობრივ ბნელსა და მწირსა“. მაგრამ არ დააყოვნოს დიდხანს, კვლავ მიაშუროს ედემს.

დამახასიათებელია რეცენზენტის დასკვნა მცხ. თუმანიშვილის პოეზიის შესახებ: „მისი ლექსი ყოველთვის იმისთანა საგნებს დაჰხარის, რომელთამდიც ტრფობა ცენზურისაგან არსად არ ყოფილა აღკრძალული და არც აღკრძალული იქნება და მხოლოდ ხანდინან გაიტაცებს ხოლმე დროთა მღელვარება და ლექსობს იმაზედ, რასაც პეინე ქვეყნის ტკივილს ეძახის“. მხოლოდ ზოგჯერ წამიერად დაფიქრდებოდა ხოლმე იგი ქვეყნის ბედზე, წუთისოფლის ამოებაზე, მაგრამ ისევ მალე განიქარებდა სევდასო. შეუძლებელია რამდენიმე სიტყვით უკეთ გადმოიცეს მ. თუმანიშვილის შემოქმედების არსი.

მ. თუმანიშვილის მემკვიდრეობიდან რეცენზენტის ყურადღებას ძირითადად პოეზია იპყრობს. რაც შეეხება თხზულებათა კრებულში შეტანილ სხვა მასალებს, მხოლოდ მოიხსენიებს „რუსულად დაწერილ სტატიებს ქართული თეატრის დასაწყისზე“ და სალაყოფიერებს: „რომელთაც. მისი აზრით, „მხოლოდ მკრთალი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, როგორც პირველ ფელეტონებს“. მიუხედავად ამისა, მათაც პატივისცემით მოიხსენიებს, რადგან „ყოველსავე „პირველს“ ჩვეულებრივ სათუთად ექცევიან და ხშირად იმისთანა პირმშო შვილსაც კი აძლევენ საუფროსოს, რომელიც საუმცროსოს ღირსიც კი არ არის“.

ამრიგად, „ივერიამ“ უაღრესად მართებული შეფასება მისცა ქართველ რომანტიკოსთა მეორეხარისხოვანი წარმომადგენლს მცხ. თუმანიშვილის შემოქმედებასაც.

ასევე მოიქცა უტრნალი ვახტანგ ორბელიანის მიმართაც. ჯერ კიდევ რეცენზიაში მცხ. თუმანიშვილის ლექსებზე „ივერია“ წერდა: ნ. ბარათაშვილის შემოქმედება მხოლოდ მაშინ იქნება გასაგები, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმის გვერდით იყვნენ სხვა პოეტებიც და

მათ შორის, ვახტანგ ორბელიანიო. სულ მალე ქარნალს საშუალება მიეცა თავისი სიტყვა ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაზედაც ეთქვა. ამის საბაბი პოეტის ლექსთა კრებულის გამოცემა გახდა. იმავე ნომერში, სადაც დაიბეჭდა რეცენზია ალ. ჭავჭავაძის ლექსებზე, „ივერიამ“ ვახტანგ ორბელიანის პოეზიასაც მიუძღვნა რეცენზია. როგორც ზემოთ დასახელებულ რეცენზიებში, აქაც ჩვენს ყურადღებას იქცევს ავტორის უნარი, ღრმად ჩასწვდეს მწერლის შემოქმედების არსს, ძირითად პათოსს და აქედან გამოვიდეს მთელი შემოქმედების განიხილვა-შეფასებისას.

ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების კვასალები, რეცენზენტის აზრით. არის ლექსი „იმედი“, „ხოლო „ძარღვი“ მისი პოეზიისა — ესაა წუხილი დაკარგულს ბედნიერებაზედ და იმედი მომავლისა“. „იმედშია“ წარმოდგენილი კონცენტრირებული სახით ვახ. ორბელიანის შემოქმედება და ამ აზრით წერს რეცენზენტი: „იმედი“ არის ერთად ერთი ლექსი თ. ვ. ორბელიანისო. ფიქრები მამულის ბედის შესახებ თან სდევს პოეტის ყოველ ნაბიჯს. პოეტს წარმოუდგება მოჩვენება, რომელსაც უამბობს სამშობლოს „ბედმავე წარსულს და არასანატრელს აწმყოს“. რეცენზენტს მოჰყავს ვ. ორბელიანის სიტყვები:

„გონება ხელობს, გაშაგებულს აზრი მერევა,
სარწმუნოებას გულის კმუნვის ძალა ერევა,

.....
მაშინ, მოყვასნო, მზა ვარ გკითხოთ, მითხარით ერთი:
ნუ თუ მართლა გწამთ, რომ არსებდეს და იყოს ღმერთი?“

მამულისადმი მეტისმეტმა სიყვარულმა აიძულა ღვთისმორწმუნე პოეტი აღმოხდენოდა „ღვთის მგმობელი აზრი“. თუ ღმერთი ყოვლის შემძლეა, „ასე მწარედ რისთვის დაამხო“ მან საქართველო? იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ძლიერია პოეტში პატრიოტული გრძნობა, რეცენზენტი შემდეგ მსჯელობას ავითარებს: „ჩვენს ისტორიაში ბევრს იმისთანა პირს შეხვდებით, რომელთაც გულ-გრილათ აეტანოთ სხეულის ტანჯვა მამულისათვის, მაგრამ ამისთანა მაგალითები კი ხშირი არ არის, რომ ღვთის მოშიშს კაცს ღმერთი ეგმოს. ერთის სიტყვით, იმავე მამულის სიყვარულის გულისათვის, თავის წარმოდგენით სული წაეწყმიდოს. ასეთი სიყვარულისათვის ჯილდოსაც ხომ სათანადოს ღებულობს პოეტი. მოჩვენება მას იმედს აძლევს, რომ მამა-პაპათ ღვაწლნი „არ გაქრებიან“, ქართველი ერი:

„ქრისტეს ჭვარისთვის წამებული კვლავ გამრავლდება,
თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აყვავდება“.

რეცენზიაში მართებულადაა აღნიშნული, რომ პოეტის დანარჩენი ლექსები „მხოლოდ განმარტავს „იმედში“ წარმოთქმულს აზრებს — წარსულზედ წუხილს და მომავლის იმედს, მაგრამ უფრო მკრთალად და უფერულად, ვიდრე „იმედშია“ და ხშირად იმავე ლექსებისა და ბუნების აღწერის განმეორებით. „იმედშია“ წარსულზედ წუხილი და იმ ლექსებშიაც მეტი არა არის რა („ძველი დმანისი“, „არის ადგილი“), „იმედშია“ მომავლის იმედი გამოხატული და ამ ლექსებშიაც იგივე აზრია („სიზმრები“, „როგორც განაზნევეს ღამე ნისლს“) და ამ ზღუთ ლექსს გარდა ბევრიც აღარა არის რა ვ. თ.-ის ლექსთა კრებაში“.

დასასრულს რეცენზენტი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ევროპაში და რუსეთში პოეტები უფრო პროდუქტიული არიან, ვიდრე, საქართველოში. აქ ისინი ოთხ-ხუთ ტომს წერენ, ხოლო ზოგი ქართველი პოეტი კი, „რაც უნდა ღრმა მოხუცებულობამდე მიაწიოს“, მანც 20—30 ლექსზედ მეტს ვერ აწერენ!“. ამის მიზეზი კი, მისი აზრით, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების უფერულობაში უნდა ვეძიოთ.

„ივერიისათვის“ ვ. ორბელიანი სწორედ იმით იყო ძვირფასი, რომ მთელი შემოქმედებით იგი სამშობლოს სიყვარულის უწმინდესი გრძნობის გაღვიძებას ემსახურებოდა, რომ „მამულსწვეილუო გულსტკივილი“ ვ. ორბელიანის პოეზიის ძირითად პათოსს წარმოადგენდა. ამით იყო გამოწვეული, რომ „ივერია“ სიამოვნებით უთმობდა ადგილს პოეტის ლექსებს და არავის აძლევდა უფლებას აუგად მოეხსენებინა ისინი. ასე მოიქცა ყურნალი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, როცა „იმედის“ კრიტიკოსმა გაილაშქრა ლექსის „არის ადგილის“ წინააღმდეგ.

უსათუოდ ყურადღების ღირსია ის ფაქტიც, რომ ი. ჭავჭავაძემ ისეთი, ყურადღება გამოიჩინა ვ. ორბელიანის შემოქმედებისადმი, როგორც იშვიათად თუ გამოუჩენია სხვა მწერალისადმი (გარდა ბარათაშვილისა), მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული ოსტატობის მხრივ ვ. ორბელიანი ბევრ თანამედროვეზე დაბლა იდგა. ჯერ „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“, ხოლო შემდეგ სპეციალურ წერილში, „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ორბელიანისა“ ილიამ გარკვევით გამოთქვა თავისი დადებითი დამოკიდებულება ვ. ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობისადმი.

ზემოთ, როდესაც ქართული კრიტიკული რეალიზმის რომანტიზმთან ურთიერთობის საკითხზე ვლაპარაკობდით, ხაზგასმით აღნიშნეთ მემკვიდრეობითი კავშირი მათ შორის. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შემდეგი: ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა

და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განხილვისას არც უურნალ „ივერიის“ რეცენზიაში, 80-იან წლების დასაწყისში, და არც ი. ჭავჭავაძის წერილებში. რომელიც 90-იანი წლებით თარიღდება, ტერმინი „რომანტიზმი“ ან „რომანტიკოსი“ ნახმარი არაა. პირველად ამ ტერმინს ილია ვ. ორბელიანის მიმართ ხმარობს და თან აღნიშნავს, რომ ქართულ ლიტერატურაში იგი ერთადერთი იყო, რომელიც რომანტიზმის გზაზე სისწვრივ დადიოდა. ეს ფაქტი ორმხრივ არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი: ჯერ ერთი, როგორც ჩანს, ილიას მიაჩნდა, რომ იყვნენ პოეტები, რომელთა შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იყო რომანტიზმი (თუმცა მათ მიმართ ეს ტერმინი ილიას არ უხმარია), მაგრამ თანმიმდევრულად ამ გზაზე არ უვლიათ. მეორე, ილია განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ იმ პოეტის მიმართ იჩენს, როგელიც, მისი აზრით, რომანტიზმის გზაზე სისწვრივ, ე. ი. გადაუხვევლად იდგა და მალალ შეფასებას აძლევს ვ. ორბელიანის პოეზიას სწორედ იმისათვის, რაც ილიას ქართული რომანტიზმის ძირითად ზაზად მიაჩნია — ესაა პატრიოტული მოტივი, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო ქართულმა კრიტიკულმა რეალიზმმა და თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა იგი. სწორედ აქაა გასაღები რომანტიზმთან დამოკიდებულებისა, ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა შემოქმედების განხილვა-დაფასებისა.

აღნიშნული თვალსაზრისი მკაფიოდ გამოქვეყნდა სილოვან ხუნდაძის სტატიაშიც „ისტორიული კილო თ. გრ. ორბელიანის ლექსებში“, რომელიც „ივერიის“ 1882 წლის მეთორმეტე ნომერში დაიბეჭდა. ავტორი სპეციალურად იხილავს გრ. ორბელიანის იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილი და რომლებშიაც მკაფიოდ მოჩანს ეროვნული გრძნობები. ამავე დროს სტატია იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასში მოცემულია ცდა ქართული ლიტერატურის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გენეზისისა. ავტორი ცდილობს გვიჩვენოს ის საწყისები, რომელიც თერგდალეულთა პატრიოტულ იდეებს გააჩნდა წარსულში. მას მიაჩნია, რომ „ისტორიული ხმა“ — საქართველოს წარსული დიდების, ქართველების გმირობისა და მამაცობის სურათები, საწყისებს ლებულობს გრ. ორბელიანის ლექსში „იარალის“, სადაც ავტორი დანატრის იმ დროს, როდესაც წინაპარნი უჩვეულო გმირობასა და მამაცობას იჩენდნენ, დანატრის იმათ, „ვინც თვის სიცოცხლე, თვისსა მამულსა შესწრაჱა მსხვერპლად“. სილ. ხუნდაძეს „ისტორიული კილოს“ გენეზისი „იარალის“ შემდეგ ასე წარმოუდგება: „აწმყოსადმი... უკმყოფილებაში, წარსულ ცხოვრებისადმი ამ მილტოლვასა და მისწრაფებაში იხატება პირველი ნაბიჯი იმ ისტორიულ კილოისა, რომელიც

პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილმა განახორციელა თავისი „ქართლის ბედით“. ბარათაშვილის შემდეგ თ. გრ. ორბელიანმა მისგანვე დაწყებული კილო დააგვირგვინა თავის მშვენიერი „სადღეგრძელოთი“. მერე ამათ მოჰყვნენ რჩეულოვის „თამარ ბატონიშვილი“. ილ. ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებული“, აკაკის „ბაგრატ დიდი“, თ. რ. ერისთავის „ასპინძის ომი“ და სხვები“. როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირაა მითითებული იმ მემკვიდრეობით კავშირზე რომელიც ქართულ კრიტიკულ რეალიზმსა და რომანტიზმს შორის არსებობდა. ეს იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები, რომელნიც რელიგიურად მეღვინეობდა ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში. ამავე დროს, ჩანს, ავტორს კარგად ესმის, რომ ისტორიულ მასალას სხვაგვარად იყენებდნენ თერგდალეულები, ვიდრე რომანტიკოსები, სხვაგვარად აღიქვამდნენ. ამიტომ ამბობს: „მე აქ იმის გარჩევას არ შეუძლები, თუ პოეტი და საზოგადოთ მწერალი რომლის ცხოვრების წარმომადგენელი უნდა იყოს უფრო აწმყოსი. თუ წარსულისა. მე მხოლოდ ფაქტს ვაღიარებ“.

თერგდალეულთა ეროვნული პროგრამიდან გამომდინარეობდა მათი დამოკიდებულება წარსულისადმი. ისტორიული წარსულის გამოხატვა მათ თავისუფლებისათვის ბრძოლას დაუკავშირეს. აი რას წერდა „ივერიაში“ სილ. ხუნდაძე: „თუ ახლანდელ ცხოვრების შემხედველს მიწყლულდება გული ყოვლისფრის არარაობით და ცრემლმოდენით ვიგონებ გორგასლანს, თამარს, რუსთაველს და სხვებს. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველისფერში ვითომც იმათ დროს შევნატროდე, — არა, მე ამით მსურა, რომ ახლანდელ მომქმედ პირებს ჰქონდეთ იმათ გვარი სული და გული, იმათ გვარი თავგანწირული მამულის სიყვარული...“ ეს იყო ეროვნული საკითხის ახლებური გაგება. წარსული დროის გმირობისა და დიდების მოგონებანი, რომელიც რომანტიკოსთა შემოქმედებაში იყო მოცემული, რეალიზმის ეპოქაშიაც გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი იყო. ამან განაპირობა კერძოდ „ივერიის“ განსაკუთრებული ყურადღება გრ. ორბელიანის შემოქმედებისადმი. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ წამოწია ჟურნალმა პირველ პლანზე „ისტორიული კილო“ პოეტის შემოქმედებაში.

„იარალის“ დაწერას სილ. ხუნდაძე უკავშირებს 1832 წლის შეთქმულებას და ეს გასაგებია, რადგან საზოგადოებრივი მოძრაობით, კერძოდ შეთქმულების იდეებით იყო ნაკარნახევი გრ. ორბელიანის გარკვეული ყურადღება წარსულის გმირობის სურათებისადმი. სტატიაში განსაკუთრებით არის აღნიშნული გრ. ორბელიანის მიერ გმირების ხმოვა:

უნ აღნდეს ვშირი
ბედს აღადგენდეს.

მაგრამ მალე გაცრუებული იმედიც:

მაგრამ ამაო, ჩემო იარალი,
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა.

უიმედობა გამოსკვიოდა პოეტის სიტყვებში: „წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოველი კეთილი თანა წარიღეს“.

სტატიაში აღნიშნულია ის გარემოება, რომ გრ. ორბელიანსაც ესმოდა წარსულის გმირული სურათების დასატვის მნიშვნელობა. ამის დასამტკიცებლად მოტანილია ცნობილი სტრიქონები „სადღეგრძელოდან“.

თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა.
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული ჰბუკი ხმალსა მისწვდება.

საყურადღებოა, რომ სტატიის ავტორი გრ. ორბელიანის კვალდაკვალ აღადგენს გმირთა პორტრეტებსა თუ გმირობის სურათებს, დახატულს „სადღეგრძელოში“ და ამ ხერხით თერგდალეულთა ეროვნული იდეის პროპაგანდას ეწევა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სტატიის დასასრულიც, სადაც აღნიშნულია, რომ არა მარტო „სადღეგრძელოში“, არამედ ლექსშიც „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ გრ. ორბელიანი უიმედობას გამოთქვამს აწმყოსადმი: „დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“, ეკვითაა შეპყრობილი, რომ წარსული დიდება აღარ დაუბრუნდება სამშობლოს:

ვა თუ რაც წახდეს,
ველარა აღსდგეს,
ველარ აღყვავდეს ახლის მშვენებით.

მოაქვს რა სილ. ხუნდაძეს გრ. ორბელიანის პოეზიიდან უიმედობისა და გულგატეხილობის დამადასტურებელი ნიმუშები, მას უპირისპირებს თერგდალეულთა ოპტიმიზმს: „არა, ძვირფასო პოეტო, დაუკვირდი კარგად შენ საყვარელ სამშობლოს, გადახედე შენის ბრწყინვალე თვალებით შენს მშვენიერ წალკოტს და დაინახავ, რომ იმის ვაზი ჯერ კიდევ ნედლია, რომ თანდათან უფრო ნედლდება, კვირტება გამოაქვს...“.

სილ. ხუნდაძის სტატია „ისტორიული კილო თ. გრ. ორბელიანის ლექსებში“ მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ იდეური ანალიზი დაკავშირებულია პოეტის მხატვრული ოსტატობის საკითხების განხილვასთან. ეს განსაკუთრებით ითქმის „სადღეგრძელოს“ შესახებ. კრიტიკოსის ყურადღებას არ გამოპარვია ის ამბავი, რომ „სადღეგრძელო“

არ არის ჩვეულებრივი სიუჟეტური პოემა, რომ „აქ არ არის გამოყვანილი ერთი გმირი, რომელზედაც იყოს დამყარებული მთელის მოთხოვნის შინაარსი, რომ ეს გმირი მხოლოდ ერთი მიიტაცებდეს მკითხველის ყურადღებას“. ის ფორმა, რომელსაც პოეტი იყენებს, „უფრო ფართო და დამტყვევია, ვიდრე ჩვეულებრივი. ეს ფორმა პოეტს ქართული ხალხის სულიერი ცხოვრებიდან აქვს აღებული და თუ პოეზიაში ის ახალია, ხალხის ცხოვრებაში ძველთაგან ძველია. თხრობის ფორმა მშობლიური ხალხის ხასიათზეა, მის ჩვეულებზეა დამყარებული. ამ მოსაზრებას კრიტიკოსი შემდეგ განმარტებას აძლევს: „ქართული ხალხი ძლიერ ხშირად იგონებს სუფრაზე, ჰამასმის დროს თავის მამა-პაპებს. მოჰყვება ამბებს იმათ ცხოვრებიდან და ასე გაიტაცებს სუფრაზე მსხდომ ხალხს, რომ ყველანი სმენად გადაიქცევიან ხოლმე. ბოლოს „აცხონოს ღმერთმაო“ იტყვის, გარდააქაფებს პურზე ღვინოს სავესე ჭიჭილამ და დასცლის კიდევაც“. კრიტიკოსი მართებულად აღნიშნავს, რომ სიუჟეტისა და კომპოზიციის მხრივ „სადღეგრძელო“ არ ჰგავს „არც „ქართლის ბედს“, არც „დიმიტრი თავდადებულს“ და არც სხვებს“.

ნაწარმოების მხატვრული ღირსებებიდან სილ. ხუნდაძე საგანგებოდ აღნიშნავს ავტორის უნარს, დაიცავს ზომიერება იდეალური გმირების აღწერაში და მოძებნოს ლექსის სათანადო ფორმა ყოველი ცალკე ეპიზოდისათვის. როდესაც პოეტი თამარ მეფეზე ლაპარაკობს და აღიარებს მას მოლულუნე მტრედს, ყოველი სიტყვა ისე ტყბილად და წყნარად ამოჩუხჩუხებებს გულიდამ, როგორც მარგალიტისაგან წყარო ამოჩუხჩუხებდეს. იქ კი, სადაც პოეტი გვიხატავს ჩხუბს, შეტაკებას და ზებრძოლ გმირებს — იქ ყოველი მისი სიტყვა მეცხია ზეციაა“.

კრიტიკოსი გრიგოლ ორბელიანში ხედავს ბუნების იშვიათ მხატვარს, რომელმაც არა მარტო ოსტატურად აღეწრა საქართველოს ბუნება, არამედ პატრიოტული იდეების პროპაგანდისათვის გამოიყენა ბუნების სურათებიც კი:

„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“.

სილ. ხუნდაძემ სათანადო ყურადღება მიაქცია გრ. ორბელიანის პოეზიისათვის დამახასიათებელ კეთილშობილურ იდეალებს:

მიეცით ნიქსა გზა ფართო, თაყვანისცემა — ღირსებას:

ნიქს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას.

და სამართლიანად აღნიშნა ჰუმანიზმის გრძნობა:

„ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა“. ამრიგად სილ. ხუნდაძის სტატია — „ისტორიული კილო თ. გრ. ორბელიან-

ნის ლექსებში“ ერთი მნიშვნელოვანთაგანია „ივერიის“ ლიტერატურული კრიტიკიდან. კრიტიკოსის იდეურ-ესთეტიკური შეხედულებანი თეოკრატულადაა, კერძოდ, „ივერიის“ ჯგუფზე მოღვაწეთა საერთო კონცეფციიდან გამომდინარეობდა. ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის პოეზიას სალ. სუნდაძე ისეთსავე მაღალ შეფასებას აძლევდა, როგორც თვით ი. ჯავახიანი.

ქართულ რომანტიზმსა და, კერძოდ, გრ. ორბელიანის შემოქმედებაზე „ივერიის“ აღნიშნული დამოკიდებულების ფონზე ერთგვარ დისონანსად გაისმის ეგ. იოსელიანის სტატია „ქართული ლიტერატურა (წერილი პირველი). გრიგოლ ორბელიანი“, რომელიც 1883 წლის აპრილის ნომერში დაიბეჭდა. განხილული მასალებისგან განსხვავებით, სტატიისათვის დამახასიათებელია კრიტიკული მიდგომა გრ. ორბელიანის მოღვაწეობისა და შემოქმედებისადმი და პოლემიკური ტონი ზოგიერთი თანამედროვის შეხედულებათა მიმართ. როგორც ჩანს, გადაჭარბებულ ხოტბას, რომელიც გაისმა გრ. ორბელიანის გარდაცვალებასა და დასაფლავებასთან დაკავშირებით, ნაწილობრივი უკუთქმობა გამოუწვევია ახალგაზრდა პუბლიცისტში. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თავისი მსოფლმხედველობით ეგ. იოსელიანი თერგდალეულებსა და „ივერიის“ ჯგუფს არ ეკუთვნოდა იგი ხალხოსანი იყო, მაგრამ ესთეტიკასა და ლიტერატურის თეორიული პრობლემების გააზრებაში უკიდურეს უტილიტარიზმამდე არ მიდიოდა. იგივე შეიძლება ითქვას ეროვნული საკითხის შესახებაც. ხალხოსანთა უმეტესობისაგან განსხვავებით, ეგ. იოსელიანი არ უარყოფდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აუცილებლობას, მაგრამ ფეოდალური წარსულის იდეალიზაციის წინააღმდეგ კი გადაჭრით იბრძოდა. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა მისი დამოკიდებულება გრ. ორბელიანის შემოქმედებისა და მოღვაწეობისადმი. პოეტის მემკვიდრეობის მნიშვნელობას ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის ეგ. იოსელიანი არ უარყოფდა, მაგრამ მისდამი კრიტიკული მიდგომა კი აუცილებლად მიაჩნდა.

სტატიის დასაწყისში ავტორი აღნიშნავს: ისტორიულად ქართველი ერი ბევრჯერ გადარჩა დაღუპვას და მას გმირობის, მამაცობისა და გულადობის სახელი ჰქონდა განთქმული, მაგრამ არც ერის დაღატაკის, პირადი სარგებლობის ძებნის, ფლიდობა-აფაზაკობის შემთხვევები იყო მცირე. გრ. ორბელიანი იმ უკუთეს მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც თავგამოდებით იბრძოდნენ ამ უარყოფითი მხარეების წინააღმდეგ და ამ მხრივ მის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევს. ამავე დროს გადაჭარბებულად მიაჩნია ზოგიერთთა მტკიცება, რომ მისი სიკვდილი აუნაზღაურებელი დანაკლისია საქართველოსთვისო.

„ორიათას წლოვან ერის ისტორიის წამოყიდება ცოტა მძიმე ტვირთი უნდა იყოს... არც ერთის პირის საფლავეში ჩასვენება, დარწმუნებით ვამბობთ, — არას დროს არ იქნება საქართველოს დიდების გამოთხოვება... საქართველოს ბედი ისე მტკიცედ სდგას ნაციონალურ შეგნებაზე, რომ მისი შერყევა ერთის პირისაგან შეუსაძლოა. გრიგოლ ორბელიანი რაც უნდა მაღალის ნიჭის კაცი ყოფილიყო, რაც უნდა დიდი ნაღვაწი დაეტოვებინა სამშობლოსათვის, მაინც მისი შრომა შეადგენდა მხოლოდ მცირედ ნაწილს ნაციონალურ სიმდიდრისას“, — წერს ეგ. იოსელიანი. მას ჯერ ნაადრევად შიანია იმაზე ლაპარაკი, რა ადგილს დაიჭერს პოეტის ლექსები ლიტერატურის ისტორიაში, რადგან კიდევ არაა შესწავლილი მის თანამედროვეთა — ალ. ჯაფარიძის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის შემოქმედება, მაგრამ უდავოდ დაფასების ღირსად მიაჩნია პოეტის მოღვაწეობის ის მხარე, რომ. მიუხედავად მაღალი ადგილისა საზოგადოებაში, მან ზოგიერთის მსგავსად ზურგი კი არ შეაქცია მშობლიურ ენასა და მწერლობას, არამედ „თამამად ჩასდგა ლიტერატურულ წრეში“.

ეგ. იოსელიანი აღნიშნავს, რომ გრ. ორბელიანის ლექსებს ყველგან იცნობენ საქართველოში და ამით თითქოს მის პოპულარობასა და მაშასადამე. ღირსებასაც, აღიარებს, მაგრამ ამავე დროს თავს იკავებს პოეტის მხატვრული შემეყიდრეობის კონკრეტული ანალიზისაგან: ესტეტიკური მხრით გ. ორბელიანის ლექსების გარჩევას თავს ვანებებთ, ესტეტიკური თეორია როგორღაც არ უდგება ჩვენს ახალ პოეტებსო. იგი ეკამათება „დროების“ კრიტიკოსს, რომელმაც გრ. ორბელიანი რუსთაველზე მაღლა დააყენა: „რუსთაველმა, — წერს ეგ. იოსელიანი, — დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს თავისა პოემით. შვილის საუკუნის განმავლობაში ათას ნაირ ერის დარბევასა და დატყვევებაში, მან შეინაბა „ვეფხისტყაოსანით“ ლიტერატურული ენა. არც ერთ პირს არ მიუძღვის ჩვენს ისტორიაში ამნაირი ღვაწლი ერის წინაშე“. არა მარტო ენის შენახვაშია რუსთაველის დამსახურება. „ვეფხისტყაოსნის“ მდიდარი რითმი, მეტყველება, სიტყვის სიმდიდრე საკვირველად გამოკვეთილი ლექსი უმჩნევლად სდებს თავის ნიშანს მწერალს“.

გრ. ორბელიანის პოეზიის ნაკლს მის იდეურ შინაარსში ხედავს კრიტიკოსი. „ახალ თაობის პოეტებმა, თუ აშკარად არ გამოარკვევენ ცხოვრების ცვლილება. გულით მაინც იგრძნეს ესა, მაგრამ გ. ორბელიანი მთლად გაება წარსულში“. რუსთაველი იძულებული იყო სასახლეში ეცხოვრა და მასზე ეწერა, რადგან „პოლიტიკური და გონებრივი მოძრა-

ობა მაშინ სასახლეში იშვებოდა“. ახლა კი სულ სხვა დროა. „მწერალი უნდა დაუახლოვდეს ხალხს გაიცნოს მისი ნაღველი... ნუთუ ყარყატ ყელა, „წყვეულს კავების ცელქობა“, „შეე წარბ-წამწამს“ უფრო ღრმად შეუძლიან ააღვლეოს პოეტის გული“. მხოლოდ ხალხის მოთხოვნილებების ცოდნა, მისი ცხოვრების რეალისტური სურათის შექმნა მოუპოვებს პოეტს სახელს: „როდესაც პოეტი განდგომის მაგიერ ლპირდაპირდება ცხოვრებას, ყურს უფლებს ხალხის გულს ფეხქვეს. ჰქედავს მის კმუნვას, კვნესას, სიხარულს, აშფოთებას, ხმარობს ღონისძიებას დააყენოს ჰემმარიტ კვალზე ხალხის სულის მიდრეკილება.. ჰემმარიტი ჰმნილება უხატავს შეუცვლელად საზოგადოებას, ხალხს მისივე მწუხარებას, სიხარულს, მაგრამ ვიდრე პოეტი მიეკარება. ეს გრძობანი უსახელოდ, უფრომოდ მოძრაობენ ადამიანის ტვინში. პოეტი თავის დაკვირვებით, თავის ყურმახვილობით აძლევს მას სახეს, ფორმას, არქმევს სახელს და მისი შინაარსი ყველას თავისი საკუთარება ჰგონია. ასეთი უნდა იყოს, კრიტიკოსის აზრით, ნამდვილი ლიტერატურა. იგი რეალიზმის გზით უნდა ვითარდებოდეს. გრ. ორბელიანის შემოქმედების ნაკლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მის „ლექსებში ჩვენ ვერა ვპოვებთ ამ კაცის გამამხნეველ პოეზიას“. მიუხედავად ამისა, კრიტიკოსი პოეტის მნიშვნელობას საზოგადოებისათვის ხელალებით მაინც არ უარყოფს. „ჩვენ არ ვართ უანგარიშოთ მოყვარულნი ძველის დროებისა, მაგრამ გაუგებლობად ჩათვლება კაცსა, რომ პოეტის ამ წმინდასიყვარულს პატივი არ სცეს“, — წერს ეგ. იოსელიანი.

როგორც ვხედავთ, ეგ. იოსელიანის სტატიაში გამოთქმული მოსაზრებანი ბევრად ეწინააღმდეგება „ივერიის“ ფურცლებზე აღრე განვითარებულ შეხედულებებს. ამის მიზეზი კრიტიკოსის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. მაგრამ როგორ მოხდა. რომ ყურნალმა ადგილი დაუთმო ასეთი წინააღმდეგობების შემცველ მოსაზრებებს? ჯერ ერთი, ეგ. იოსელიანის სტატიაში გრ. ორბელიანის დამსახურების აბსოლუტური უარყოფა არ ყოფილა, ავტორი დადებითად მოიხსენიებდა სამშობლოსადმი წმინდა სიყვარულს, რომელიც გრ. ორბელიანის შემოქმედებისათვის იყო დამახასიათებელი. „ივერია“ აღრეც ხომ პოეტის შემოქმედების ამ მხარეს აქცევდა ყურადღებას. მეორე მიზეზი კი, ვფიქრობთ, ის იყო, რომ ეგ. იოსელიანის სტატიაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ლიტერატურის თეორიულ საკითხებს, რომელნიც სწორი პოზიციებიდან იყო გაშუქებული და მოწოდებას ხალხის ცხოვრებასთან დაახლოებისა და მისი ჰირვარამის გამონატვისაქენ, რაც კრიტიკული რეალიზმის პრინციპის დაცვასა და ლიტერატურის ხალხ-

რობისათვის ბრძოლას ნიშნავდა. ამავე დროს, ლაპარაკობდა რა რეალისტური ლიტერატურის თანამედროვე ამოცანებზე, ეგ. იოსელიანს აქცენტი ძირითადად მაინც ხალხის ეკონომიური ცხოვრების ასახვაზე ჰქონდა გადატანილი.

„ივერიისათვის“ პირველი არ იყო, როცა მწერლობის ყურადღებას ხალხის ეკონომიური მდგომარეობის, მისი ჰირ-ვარამისაკენ მიმართავდა და, ხალხოსნებსაც უთმობდა ზოგჯერ ჟურნალის გვერდებს. საკმარისია მოვიგონოთ, რომ სწორედ „ივერიაში“ დაიბეჭდა ნ. ლომოურისა და ს. მგალობლიშვილის ბევრი მხატვრული ნაწარმოები.

თეიშუაჲ ფირაღნიშვილი

აკაკი წერეთელი და აბარა

შეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი ქართველი ხალხის ისტორიაში გამაერთიანებელი და განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებით აღინიშნა. ქართველი ხალხის შემაკავშირებელი სულიერი ცხოვრების შექმნას დიდი ამაგი დასდო ქართველ სამოციანელთა სახელოვანმა თაობამ. მისი პროგრესული მოღვაწეობა კეთილმყოფელ ზეგავლენას ახდენდა სამშობლოს მოწყვეტილი გარექართველობის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზეც, მშობელი ხალხის გაერთიანებისა და აღორძინების პრობლემა ილია-აკაკის რაზმში მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალურ და პოლიტიკურ ბრძოლასთან. ამიტომ, რაც უფრო მტკიცდებოდა და იზრდებოდა მებრძოლთა რიგები, რაც უფრო მტკიცდებოდა დიდ სოციალურ ძვრათა მიჯნაზე მყოფ სამშობლოში უკეთესი მომავლის რწმენა, მით უფრო იზრდებოდა ზნობრივი ვალდებულებების გრძნობაც ერის იმ ნაწილისადმი, რომელიც მიტაცებული იყო თურქეთის მიერ და მოწყვეტილი პროგრესულ სამყაროს.

XIX საუკუნის 70-იან წლებში უცხო კაპიტალის კაბალაში მოქცეული თურქეთი პირობითად ინარჩუნებდა სახელმწიფო დანაოუკიდებლობას. 1872—1876 წლებში „ოსმალთა იმპერია“ სახალხო მღელვარებამ მოიცვა. სახელმწიფოს სათავეში ზედიზედ იცვლებოდნენ სულთნები (აბდულ-აზიზი, მურად II, აბდულ-ჰამიდ II). სულთანის ხელსუფლება იძულებული იყო დაეთმო ოპოზიციური ბურჟუაზიული პარტაიებისათვის. შოვინისტური განწყობილებებით განმსჭვალული ეროვნული ბურჟუაზიის ზეგავლენით პორტას ხელისუფლებამ გააძლიერა აოათურქული წარმომობის მოსახლეობის პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრა, რაც ოფიციალურად ძირითადი ნაციონალური შემადგენლობის მოსახლეობის გულის მოგებისათვის იყო გაანგარიშებული. ამავე დროს იგი გულისხმობდა ქვეშევრდომთა ოპოზიციური ძალების პოლიტიკურ დეზორიენტაციას, შემტვევი ძალების დასუსტებას.

ახალმა კანონმდებლობამ, გადასახადების გადიღებით, ერთი ათად გააუარესა არათურქი მოსახლეობის მდგომარეობა. ამას თან მოჰყვა რეპრესიების გაძლიერებაც. სულთანის რეჟიმმა 1872 წლიდან, ხოლო შემდეგ კი (1876 წლიდან) — სულთანისტურ-ბურჯუაზიულმა კანონმდებლობამ (ე. წ. „მოთხად-ფაშას კონსტიტუციამ“), თურქეთის იმპერიის ქვეშევრდომები „ნამდილ“ და „ნაფიც“ თურქებად გაჰყო. ბუნებრივია, რომ ამ ფაქტმა ყველაზე მტკივნეულად იმ მაჰმადიან ქართველებზე იმოქმედა, რომლებმაც რამდენადმე მაინც ირწმუნეს რელიგიით შეკრული ერთგულება. ერთობის გათელვამ ასავე სწრაფად აღაზევა გარექართველობაში მიძინებული ეროვნული გრძობები.

ეროვნული ორიენტაცია განსაკუთრებით საგრძნობი იყო მაჰმადიანებული ქართველობის იმ ნაწილში, რომელსაც ადრეც არ შეუწყვეტია დედამამშობლოსთან ურთიერთობა. „ჯიუტი გურჯების“ გასატეხად თურქეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო პროვოკაციების მოწყობით გადაეკიდებინა განაყოფი ძმები ერთმანეთზე; უფრო მეტიც, სასულთნომ ვერ გამოიყენა „ბოლომდე მაინც მოუნათელელები“ ერთ ზედქვეშ მყოფ ბალკანელ სლავებზე იარაღის ასაღებად. სასულთნოს ძვირად დაუჯდა გურჯების გამოღვიძება. 70-იან წლებში, თურქეთის მღელვარებისას, სწორედ აქ გაისმა აჩანყების პირველი ბათქი. ქობულეთლებმა, რომლებიც მებრძოლთა მოწინავე რიგებში იყვნენ, კარგად იცოდნენ განაყოფი ძმების — გურულების ნატვრა-სურვილი და ოსმალთა რაზმებთან შეტაკებისას ასე შემოუთვალეს: „თუ თქვენმა ბედმა ვერ გასჭრა და... ვერ დაეამარცხეთ ოსმალის ჯარები, მაშინ გზა მოგვეციოთ გურიაში გადმოსასვლელათო“¹. ქობულეთელთა 1872 წლის ჯანყს, შემდეგ წელს, ლაზეთის მღელვარება მოჰყვა. მაჰმადიანურ სამყაროში ჩაქარგულთა გაბრძოლებას მთელმა აქარლობამ აღტაცებით აუბა მხარი. გარექართველობა არ ცხრებოდა. — 1874 წელს ლივანელებმა დასცეს ბრძოლის ყიფინა. 1875 წელს ოდნავ მინელებულ ეცეხლს კვლავ ქობულეთლებმა შეუკეთეს, „ქეშმარიტი თურქობის“ ახალ დროშას — „თანზიმათს“ ქართული „ქულხეკაცობა“ დაუპირისპირდა.

იმ დროს, როდესაც ნაციონალისტური ლაშქრობა „ოსმანთა იმპერიის უძლეველობის“ დროშის წამოწევას ლამობდა, თურქეთის უძლეველობას აღმოსავლეთის მხრივ აქარებებმა გაუჩინეს ბზარი, ხოლო შემდეგ, დასავლეთიდან — ბალკანელმა სლავებმა. 1873 წელს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ავარდა აჩანყების ალი. ბალკანელ სლავებს გამოესარჩლა რევოლუციური აღშავლობის გზაზე დამდგარი რუ-

¹ „დროება“, 1873, № 9.

სეთი. ცარიზმი ისწრაფოდა ანტითურქული შოვინიზმის გაღვივებით ომში ჩაება რევოლუციურ მღელვარებაში მოდებული რუსეთის იმპერიის ხალხები.

„ბალკანეთის საკითხში“ რუსეთს დასავლეთის დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ინტერესები დაუპირისპირდა. ამ ვითარებაში გამაჰმადიანებულ ქართველთა საკითხმა რუსეთისათვის მეორე პლანზე გადაინაცვლა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც სლავთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში დასავლეთის დიდი სახელმწიფოები ჩაერივნენ, რუსეთის პროგრესული, რევოლუციური ძალები, ობიექტურად, უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენენ და ააქტივებენ გამაჰმადიანებულ ქართველთა ბრძოლას, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო დასავლეთის და აღმოსავლეთის კონტრარევოლუციის მიერ რეგლამენტირებულ ბალკანეთის მოძრაობაში.

გამაჰმადიანებულ ქართველთა ბრძოლა 70-იან წლებში არანაკლებ ზიანს აყენებდა თურქეთს, ვიდრე ბალკანეთი, სადაც დასავლეთმა სახალხო მოძრაობა რეგლამენტირებულყო, — ცხადია, ბურჟუაზიული კონსტიტუციისათვის დასაშვებ ფარგლებში.

ამ ხანებში გარექართველობის განწყობილებებზე გაცილებით უფრო ეფექტურ ზეგავლენას ახდენს რევოლუციური შინაარსის მქონე დედა-სამშობლოს და რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება, ვიდრე ეს ხორციელდება შორეულ ბალკანელ სლავებზე.

70-იან წლებში თურქეთის საშინაო მღელვარებაში სრულიად აშკარაა გამაჰმადიანებულ ქართველთა ინიციატივა. იმ დროს, როდესაც სასულთნობა ბალკანელთა წინააღმდეგ რამდენადმე მაინც ახერხებდა ყურადღების კონცენტრირებას და დამსჯელი ძალების გეგმაზომიერ მობილიზებას, მის ძალებს სწეწდა პატარა ქართული ტომების ანაზღეული, აქაიქ ავარდნილი აჯანყების ალი. ცნობილია, რომ აღნიშნულ პერიოდში თურქეთის ხელისუფლებას აჭარაში გაცილებით უფრო მეტი მოქნილობის გამოყენება დასჭირდა, ვიდრე ბალკანეთში.

როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნის 70-იან წლებში გარექართველობის განწყობილებებზე ინტენსიურად მოქმედებდა საქართველოს აღმავალი საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი შედარებით მაღალი, სტაბილური ეკონომიური და კულტურული პირობები, დედა-სამშობლოს ავტორიტეტი უფართოეს ასპარეზზე.

1875 წლიდან რუსული პრესა თამამად ამოუდგა მხარში ქართველი ხალხის სურვილს — შემოეერთებინა განაყოფი ძმები. ამის შე-

სახებ საზღვარგაღმელებს სისტემატურად აყენებდნენ კურსში საქართველოდან სპეციალური დავალებებით ჩასული ადამიანები. თუ საუკუნის პირველ ნახევარში გარექართველობის ლტოლვა სტიქიური იყო და იგი არსებითად „თავკაცების“ ინიციატივაში გამოიხატებოდა, საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი 70-იანი წლების დასაწყისიდან — რუსეთის და ოსმალეთის იმპერიებში სოციალურ წინააღმდეგობათა გაძლიერების პერიოდში, — ეს ლტოლვა თანდათან ნათელი ეროვნული ორიენტაციის სახით ყალიბდება და მაჰმადიან ქართველთა ფართო ფენებში იკიდებს ფეხს. ამ პერიოდში პატრიოტულ ბრძოლაში არაერთი უბრალო ადამიანი დაწინაურდა. გარექართველობის გამაერთიანებელი საერთო-სახალხო კრება — „ოლქა“, რომელიც შედარებით მშვიდობიანობის დროს შინამშობრთველობას და ეროვნულ შეუვალობას იცავდა, აჯანყების ხელმძღვანელ ორგანოდ იქცა. რუსეთ-თურქეთის ომის წინა წლებში, ხალხის ნების ამსრულებელმა საერთო-სახალხო კრებამ ნათლად გამოამჟღავნა ეროვნული და პოლიტიკური ორიენტაცია. „ოლქამ“ განდევნა სასულთანოსთან მოსარიგებლად მოსული თავდგირიძე, „ძნელი საქმის გადასაწყვეტად“ დედა-სამშობლოდან მოიწვია გრიგოლ გურიელი, რომელიც აპარელთა შორის დიდი გავლენით სარგებლობდა. აპარელთა ფართო მასების პატრიოტულ სულისკვეთებაზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენდნენ სასულთანოსთან ბრძოლაში გამოცდილი ადამიანები. მათ შორის იყო ცნობილი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, რომელიც სიხარულით შეეგება რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელი ომის ამბავს: „ღმერთმა ჰქნას, რომ მალე დაიწყებოდეს ომი, — უთქვამს ხიმშიაშვილს, — მე მზად ვარ ჩემი ქვეყანა ქართველ შვილებს შევეუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგ ისე გახდესო“². აპარელთა გამოჩენილი მოღვაწე მთელი სიცოცხლე იბრძოდა მამა-პაპათა საქმისათვის, მაგრამ სწორედ ამ პატრიოტულ საქმეში უმუხტლა მას საკუთარმა შვილმა მურადმა. რენეგატი მამამ საკუთარი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს. კიდით-კიდემდე გავარდნილმა ამ ამბავმა დიდი ზნეობრივი ზეგავლენა მოახდინა ორად გაყოფილ საქართველოზე. ეს დრამატული ისტორია პატრიოტულ თემებზე დაწერილ ქართულ კლასიკურ თხზულებებშიც აირეკლა („მამის მკვლელი“, „ღალატი“, „სამშობლო“, „გამზრდელი“).

აღნიშნულ პერიოდში არაერთმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ იმოგზაურა აჭარაში სამშობლოს დავალებით. ასეთები იყვნენ: ივ. კერესელიძე, ისტორიკოსი დიმ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, გრ. ვურთი-

² შ. მეგრელიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, 1963, გვ. 116.

ლი. გ. წერეთელი, მიხ. მეფისაშვილი და, ბოლოს, ქართველი ერის დიდი მანათობელი აკაკი, რომელიც აქტიურად ჩაება აქარელთა საქმეებში...

ბალკანელთა მოძრაობამ ქართველი საზოგადოებრივი ცხოვრების მესუეურებს შესაძლებლობა მისცა ჯერ კიდევ 1873 წელს ქართული პრესა ხმამაღლა აელაპარაკებინა აქარელთა სამართლთან საქმეზე. ამ წელს აქარელთა პრობლემაზე დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის და გ. წერეთლის ვრცელი წერილები³; ხოლო 1875 წელს «Тифлисский вестник»-ში გამოქვეყნდა ნიკო ნიკოლაძის შესანიშნავი წერილი „ქარიშხლის წინ“⁴. ქართველი პუბლიცისტი აღფრთოვანებით მიეგება აღმოსავლეთში დანთებულ რევოლუციის აღს. წერილმა დიდი გამოხმაურება გამოაწვია. ავტორი ბალკანეთში მომხდარი ამბების განვითარების შეფასებისას ახლო დადგა მარქსის და ენგელსის მოსაზრებებთან. ამ სტატიაში ერთაორად გაზარდა ქართველი პუბლიცისტის ავტორიტეტი როგორც საქართველოში, იგი მის გარეთ. ნ. ნიკოლაძეს აღტაცებული ბარათები მოსდიოდა რუსეთიდან და უცხოეთიდანაც. ქართველი პუბლიცისტის სახელი ამ პერიოდში უკვე საკმაოდ ცნობილი იყო იმ „საგაზეთო ომში“ მონაწილეობით, რომელიც თითქმის მთელ რუსულ პრესას მოედო. ეს პოლემიკა დაიწყო 1871 წელს ახალ კანონმდებლობათა გამო, ხოლო ზენიტს მიღწია მაშინ, როდესაც სიტუაცია დასძაბა მცირე ერთა უფლებების გამო მწვავე შეტაკებამ. ახალი კანონმდებლობის ეროვნული დისკრიმინაციის წესით ჩატარებისას ამტყდარ კამათში, პერიფერიების პრესას მხარში ამოუდგა ცენტრალური რევოლუციურ-დემოკრატიული ბეჭდვითა სიტყვა. ბრძოლაში საგანგებოდ გამოიჩინოდნენ პერიფერიების არაოფიციალური ორგანოები. მათ შორის თბილისურა გაზეთა «Тифлисский вестник»-ი, სადაც ზედიზედ იბეჭდებოდა ნ. ნიკოლაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა გაბედული წერილები⁵. პროგრესული საზოგადოება აღტაცებით ეგებებოდა ქართველ პუბლიცისტთა ყოველ ახალ შეტევას რეაქციულ პრესაზე. პატარა თბილისურმა გაზეთმა მალე ცენტრალური პრესის ზომიერი ორგანოებიც აალაპარაკა: «Давно не случалось читать такой

³ „კრებული“, 1873, № 78.

⁴ Н. Николадзе, «Перед Бурей», «Тифлисский вестник», 1875, № 91.

⁵ Н. Николадзе: «Критические очерки» («Т. В.», 1875, № 91), «Капризы пера» («Т. В.» № 93, 103); «Назначение официальной печати» («Т. В.», 1875, № 103, 104); «Слово перед делом» («Т. В.», 1876, № 235).

Акакий Церетели: «В ожидании дня» («Т. В.», 1874, № 16); «Неожиданный мороз» («Т. В.», 1874, № 25); «Ответ Квакенберга» («Т. В.», 1874, № 61).

прекрасной, такой честной, скажу — мужественной статьи, какая появилась в «Тифлисском вестнике»⁶.

ეს სიტყვები ეხება ნ. ნიკოლაძის იმ წერილებს, რომელშიც ქართველი პუბლიცისტი რუსეთის საგარეო საქმეებზეც ამახვილებდა ყურადღებას. ქართველმა ჟურნალისტებმა მარჯვედ დაუკავშირეს თურქეთის მიერ მიტაცებულთა განთავისუფლების მოთხოვნა. 1876 წელს მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც, რამაც კიდევ უფრო გაამკვეთრა და ნათელი გახადა რეაქციის და მის ბანაკში გადასული მოლიბერალო ძალების დამოკიდებულება მცირე ერთა მიმართ. კონსერვატორებმა და მათთან ერთად ზოგიერთმა აშკარა ლალატის გზაზე დამდგარმა ლიბერალური პარტიების ყოფილმა ლიდერმა, გადაწყვიტეს სწავთა ერთიანობის საქმე ეხსნათ „მტრებისაგან“. აქამდე ჟურნალ „დელოდან“ ქართველების წინააღმდეგ მოლაშქრე ისტორიკოსმა ზორდოვცევმა, ჟურნალ „ოტჩეხსტვენნიე ზაპისკი“-ში/მოათავსა პროვოკაციული მიზნით დაწერილი „თეორიული“ სტატია «На всемирную свечу»⁷. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ავადმყოფობის გამო, სალტიკოვ-შჩედრინი დროებით ჩამოშორებული იყო რედაქციას. რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე ორგანოში ასეთი საოცრად ღვარძლიანი სტატიის მოთავსება მოხერხებულად გაანგარიშებული მანევრი იყო. დიდი რუსი სატირიკოსი ალაშფოთა რედაქციის მიერ დაშვებულმა მძიმე შეცდომამ. ორგანომ, რომლის გარშემო ირაზმებოდნენ საუკეთესო მებრძოლი ძალები, სამსახური გაუწია დაქირავებულ მეცნიერს, რომელიც თავს ესხმოდა პატრიოტიზმის საგარეო და შინაურ „მტრებს“. ზორდოვცევის თეორიის პრეტენზიის მქონე წერილს «Тифлисский вестник»-ის ფურცლებიდან საოცრად გონებაბახელი, მამხილებელა წერილებით პასუხი გასცა ნიკო ნიკოლაძემ⁸. ამან კიდევ უფრო დიდად შეუწყო ხელი როგორც ქართველთა პუბლიცისტის პრესტიჟის ამაღლებას, ისე მის თანამებრძოლთა ბრძოლას აჭარელთა საკითხის პოპულარიზაციისათვის. გარექართველობის საკითხში მომდევნო წლებში საქართველოს პრესას უკვე აშკარად უჭერს მხარს რუსეთის მოწინავე საზოგადოება და თვით ლიბერალურ-ბურჟუაზიული გამოცემებიც კი. 1877 წელს „ორაკულად“ წოდებულმა ბურჟუაზიულმა გაზეთმა «Голос»-მა, რომელიც ამ დროს უმაღლესი მმართველი წრის გალიბერალებული ნაწილის თვალსაზრისს გამოხატავს, გამოცემის ავტორიტეტის გასაზრდელად და მისთვის ობიექ-

⁶ «Неделя», 1876, № 45.

⁷ «Отечественные записки», 1876, № 7, стр. 98—106.

⁸ Н. Николадзе, «Капризы пера», «Тифлисский вестник», 1876, №№ 25, 27, 182, 184.

ტურობის სახელის მოსახვეჭად ქართველი პუბლიცისტი გიორგი წერეთელი მიიწვია თანამშრომლად, — სპეციალურად აქარის საქმეების გასაშუქებლად. ომის დაწყებისთანავე გიორგი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე ფრონტზე გაემგზავრნენ სამხედრო კორესპონდენტებად (პირველი «Голос»-ის, ხოლო მეორე — «Тифлисский вестник»-ის დავალებით). ორი დიდი ქართველი ლიტერატორი არც თუ ისე სახარბიელო საქმის შესრულებას არ დაერიდა, — მათ დიდი მიზანი მიუძღოდათ წინ.

„უკადრისი საქმის გამო“ ბევრი საყვედურები შეხვდა ნიკო ნიკოლაძეს და გიორგი წერეთელს „დროებიდან“⁹, რადგან მათი ნამდვილი ზრახვები ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი.

გარექართველობის საქმეში დაწინაურებულ სამეუღლში (ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და აკაკი), როლები წინასწარ იყო განაწილებული: ნიკო ნიკოლაძე იბრძოდა ოფიციალური წრეების და დიპლომატიის გამაჰმადიანებელი მოსახლეობისადმი არაკეთილმყოფელი დამოკიდებულების დასაძლევად და მომხრე ძალების შემოსამტკიცებლად. გიორგი წერეთელი „გოლოსში“ ზედიზედ აქვეყნებდა წერილებს, სადაც იგი მკითხველ საზოგადოებას მოუთხრობდა გამაჰმადიანებულ ქართველთა ისტორიასა და, აგრეთვე, მათი აშკამინდელი ბრძოლის შესახებ.

ომის დასაწყისიდანვე ფრონტზე დიდძალმა ჟურნალისტებმა მოიყარეს თავი. ბევრ მათგანს არ აღმოაჩნდა არც სამხედრო კორესპონდენტისათვის აუცილებელი ცოდნის მინიმუმი, რაც შესაფერისი პოლიტიკური ტაქტი, არც სწრაფად ცვალებად პოლიტიკურ ვითარებაში და საბრძოლო ეპიზოდებში რიგიან-პირიანად გარკვევისა და მათი გაანალიზების უნარი. ნ. ნიკოლაძის ფართო განათლებამ, ძლიერმა პოლიტიკურმა აღნოვამ აქაც გამოიღო ნაყოფი. ქართველი ჟურნალისტი უმალ მოერგო ახალ როლს. მას ფრონტზე დაუხვდა პოლიტიკური ბატალიების ცნობილი ოსტატი გენერალი მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვი. მომავალი საგანგებო უფლებებით აღჭურვილი მინისტრი შორიდან იცნობდა ქართველ პუბლიცისტს. ორი ადამიანი ერთმანეთს დაუახლოვდა. სამხედრო და შემდეგ პოლიტიკური კარიერის საფეხურებზე მსწრაფველმა ლორის-მელიქოვმა კარგად იცოდა, რომ რუსეთის ცხოვრებაში ამ დროს გადამწყვეტ როლს ასრულებდა არა მარტო რუსეთის მხედრიონის მეოპრული ქველობა, არამედ, აგრეთვე, ბეჭდვითი სიტყვის ძალაც. ფრთხილი პოლიტიკოსი სიამოვნებით ადევნებდა თვალს ქართველი პუბლიცისტის მათრახების მოქმედებას კონსერვატორთა ბანაკზე. ლორის-მელიქოვი, სხვათა შორის, თანაუგრძნობდა ქართვე-

⁹ „დროება“, 1878, № 1

ლი პატრიოტის ზრახვებსაც, რასაც თანაბარი სარგებლობა მოჰქონდა მისი მშობელი ხალხისათვისაც. სულ მალე არაერთმა გაუფრთხილებელმა კორესპონდენტმა გენერალ ლორის-მელიქოვს და მთავარსარდლობას საბაბი მისცა მათი ფრონტიდან გასაწვევად. ნ. ნიკოლაძის კომპეტენცია უმოკლეს დროში გაიზარდა. მთავარსარდლობის რეკომენდაციით მას მიენდო დიდი ფრანგული სააგენტოსათვის სამსახურის გაწევა. ამ დროს ქართველ ჟურნალისტს ავსტრიული გაზეთიც იწვევს თანამშრომლად. ნ. ნიკოლაძეს სამხედრო და მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე მიმოხილვებს სთხოვს ძველი მეტოქე—გაზეთი „ნოვოე ვრემიაც“.

გიორგი წერეთელი კავკასიის ფრონტის დასავლეთ მხარეში იყო. „გოლოსის“ კორესპონდენტებს და მათ შორის გ. წერეთელს გაზეთის რედაქციიდან სპეციალური მეთვალყურე ჰყავდათ მიჩენილი, მაგრამ ცნობილ ქართველ პუბლიცისტს არ გაჭირვებია ოფიციალური კომპეტენციის ფარგლების გადალახვა, როცა ამას მოითხოვდა პატრიოტული საქმე. გაბედული კორესპონდენტი ახერხებს მტრის ზურგში მოქცევას. გ. წერეთელი ძლიერ ხშირად წერს ფრონტის იქითა ამბების შესახებ: თურქეთის პრესის აგიტაციის, მოსახლეობის განწყობილებების, მათი ცხოვრების საგანგებო ეპიზოდებისა და სხვ. პეტერბურგი სიამოვნებით იღებს ამ სრულიად განსაკუთრებული ღირსებების მქონე ინფორმაციებს. გიორგი წერეთელი მეტად საეჭვოდ ტრიალებდა გამაჰმადიანებულ ქართველთა ახლო-მახლო, რითაც ერთგვარად მაინც არღვევდა რუსეთის დიპლომატიის კურსს, რომელიც ჯერ კიდევ ბეჭითად მალავდა თავის ტერიტორიულ პრეტენზიებს თურქეთის მიმართ.

რა როლს ასრულებდა საშვილიშვილოდ გადასაწყვეტ საქმეში აკაკი?

აჭარის საკითხზე აკაკი თავდაპირველად ჯერ ქართულ, ხოლო შემდეგ რუსულ პრესაში აგზავნიდა წერილებს. აკაკიმ პირველმა შემოჰკრა თამამად და ხმამაღლა პატრიოტულ სამრეკლოზე ზარი, მაგრამ წინაღმდეგობებმა გზა გადაუღობეს. აჭარიდან მან „დროებას“ და შემდეგ კი (1875 წლის ბოლოს, აჭარაში განმეორებით ჩასვლისას) — «Тифлисский вестник»-ს გამოუგზავნა სტატია. რუსულ პრესაში აჭარის შესახებ წერილის გამოქვეყნებას ცენზურამ გადაუღობა გზა. გაზეთის რედაქტორი კოტე ბებუთოვი, რომელიც ერთი წლით ადრე (1874 წ.) ხელგაშლილი ხვდებოდა დიდ ქართველ პოეტს, ახლა მას უნდობლობას უცხადებდა და ამით საკუთარ მყუდროებას იცავდა. ეს იყო ორთა შორის შემდგომი უკმაყოფილების ჩამოვარდნის ერთ-ერთი მიზეზი, რაც დამთავრდა «Тифлисский вестник»-იდან ქართველ მოღვაწეთა დემონსტრაციული წასვლით.

მას შემდეგ, რაც ცირკულიარის კარნახით, ცენზურამ ქართველ მოღვაწეებს გზა გადაუღობა, მოქმედება დაიწყო დასაიდუმლოებით. ქართველ მოღვაწეთა შორის აკაკი მოწინავეობს — იგი აჯანყების საპეტანო დგას. 1875 წელს გადაღმა საქართველოში მღელვარება დაიწყო. სულთნის ხელისუფლებამ თავისი ჩვეული ჯარა დაატრიალა: ამოძრავდა მოლა-ყადების მთელი კომპანია. სადაც მაჰმადის სახელი არ სჭრიდა, იქ მოსასყიდელით მოქმედებდნენ და, თუ ესეც არა, მოსახლეობას მათრახის ძალით მიერეკებოდნენ თურქეთის შიდა რაიონებისაკენ. დაიწყო გზააბნეულთა დამღუპველი „მოჰაჯირობაც“. თურქეთის ამ დროის ისტორიაში გაიძვერობით ცნობილი დერეფიშ-ფაშა და მიტხაბ-ფაშა აგენტურის, გაზეთის და სხვა საშუალებებით მოსახლეობას აშინებდნენ, რომ ქრისტიანი სახელმწიფო მათ არ დაინდობდა.

აქარელ მოსახლეობას ცუდ მაგალითს აძლევდნენ ალი-ფაშა თავდგირიძის მსგავსი ადამიანები, რომლებიც სასულთნოს ოფიციალური წრეების ინტერესებს ემსახურებოდნენ. მაგრამ პატრიოტები როდი ცხრებოდნენ: აქარელ პატრიოტ მოღვაწეთა შორის აღსანიშნავია აბაშიძეების შესანიშნავი ოჯახი, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, ხულოელი გაბოიძე, ქობულეთელი გულო-ალა კაიკაციშვილი და სხვ. უბრალო ხალხიდან ბევრი იყო აქარის ისტორიაში ცნობილი გლეხი პოეტის ჰუსეინ-ხაბაზის (ქამუარაძის) მსგავსი პატრიოტები.

მოსახლეობა მერყეობდა, საჭირო იყო ენერგიული მოქმედება სწორი ორიენტაციის გაძლიერებისათვის. აქ დიდი როლი შეეძლო შეესრულებინა აკაკის ავტორიტეტს. დიდ პოეტს აჭარაში მისი სანუკვარი ლექსებით იცნობდნენ. აკაკი თავის ზნეობრივ მოვალეობად სთვლის, ჯერ კიდევ უშუალოდ შეხვედრამდე, ვრცელი მოწოდებით მიმართოს თანამემამულეებს. აი, აკაკის ეს მოწოდება აქარლებისადმი:

„ჩვენო ერთტომო და ერთმოგვარე ძმებო!

დიდი ხანი არა არის მას შემდეგ, რაც უკულმართმა ბედმა დაგვიკარგა ჩვენი საუკუნეობითი ერთობა, გაგვაპო შუა, გაგვყო ორად, გაგვასხვავა სარწმუნოებით და გაგვაშორა ერთმანეთს ქვეშეცრდომობით. მაგრამ ჩვენ კი მაინც იმავე ერის, ტომის ხალხი ვართ, რაც აღრე ვიყავით: იმგვარივე სისხლი სდუღს ჩვენში დღესაც, რომელსაც ჩვენ და თქვენ ერთობისათვის თავგანწირულად, შეერთებულად ვანთხვედით, იგივე გული სძგერს ჩვენში, რომელიც მთლად ქვეყნის ერთობისათვის იმსკველებოდა, და იგივე ამაყი და პატიოსანი სული გვაჰხნევებს, რომელითაც ჩვენ მაშინ ერთად, გაუყოფელად ქვეყანაში ქებით ვიხსენიებოდით. ...საქართველოში დეაწლი თქვენ უფრო დიდი წილი გიდებსთ, როგორც მესხებს... ის არ დაივიწყება უკუნისამდე, სანამ კი საქართველო იარსებებს და სანამ ჩვენი დედ-ენა არ გამქრალა, ის

ტკბილი ენა, რომელიც თქვენ აგრე მამაცურად და პატიოსნურად უცხოეთშიც შეგინახაეთ... რაგინდ შორს ვიყოთ ერთმანეთზე, დედათაც რომ განვსხვავდებოდეთ გარეგნობით, ჩვენ შინაც ყოველთვის ერთი უნდა ვიყოთ... ჩვენი ცალკეობა, ჩვენი გაყოფა ორად — ჩვენი ბედის და ძალის განახევრება არის, როგორც ძველად, ისე დღესაც ჩვენი ჰირორკეცდება და ლხინი ნახევრდება... დღეს ისეთი დრო გვადგება და ისეთი ნიშნები სჩანს, რომ ორივეს გვმართებს დაფიქრება ძმურად და საერთოდ. თუ ვინიცობაა, ჩვენ მფლობელებს შუა მოხდეს შულლი და ასტყდა ომი, ჩვენ როგორ უნდა დავიჭიროთ ჩვენი თავი? ადვილად შეიძლება, რომ ჩვენ ჩამოვიდეთ თქვენს მხარეში, მაგრამ იმიტომ კი არა, თქვენ რამე გაწყინოთ, რომ თქვენზე ხელი ავიღოთ, რომ მოგინდომოთ ამოწყვეტ-აოხრება და ძმებზედ ვილაშქრებდეთ, — მაშინ ჩვენი წინაპრები საფლავში შეიჭვრებიან! — არა, ჩვენ თუ ჩამოვალთ, მხოლოდ იმისათვის, რომ აზღენი ხნის განშორებულ მოგვარეებს ძმურად გადავეხვიოთ, სამოყვროდ, სანათესაოდ. თქვენც, თქვენი მხრიდან ასე გქარებთ მოქცევა. ჩვენი ერთმანეთზე გულგასაგრილებლად და საორგულოდ ის მიზეზი საკმარისი არ არის, რომ თქვენ მაჰმადიანები ხართ და ჩვენ ქრისტიანები... ვიმეორებ, რომ ჩვენი ვალია დღეს მოფიქრება... ველოდოთ საერთო კეთილდღეობას, მოვემზადოთ მისთვის და ბელი თვითონ გვიჩვენებს, რა და რა სჯობს ჩვენთვის¹⁰.

თუ როგორ იმოქმედა ამ წერილმა აქარლებზე, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ აკაკი გარექართველობამ სამშობლოს რჩეული კაცის საკადრისი პატივით მიიღო. აქარელთა მიერ არჩეული ვაჟკაცები ფრთხილად იცავენ დიდი პოეტის სიცოცხლეს სამშობლოდან ჩასვლისას და საზღვრის გადაღობისას.

აკაკი ამ წერილს არ დასჯერებია. 1875 წლის მეორე ნახევრიდან იგი ხშირად ჩადის აქარაში და აქ გადამელთა თავკაცებთან და მათი ბედით დაინტერესებულ პირებთან მკიდრო კავშირს ამყარებს. როგორც ვთქვით, დედა-სამშობლოში აკაკი, პირველ ხანებში, თანამოკალმეთა კვალად, საქმის სასარგებლოდ და საზოგადოებრივი აზრის გასააქტრეველად წერილებს აგზავნის ქართულ და რუსულ პრესაში. 1875 წელს „დროებაში“ „ისმაილ თამაზ ოღლის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა აკაკის „ბათონი, 17 სექტემბერს“¹¹. ამის შემდეგ საქმის ფართო რეზონანსის მოსახვეჭად

¹⁰ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კირილე ლორთქიფანიძის არქივი, საქმე № 965, ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრ., ტ. II, გვ. 523—24.

¹¹ „დროება“, 1875, № 109.

რუსულ პრესასაც მიაწოდა წერილი. მისი კორესპონდენტია «Из Кобу-
лета» უნდა დაებეჭდა «Тифлисский вестник»-ს¹².

ნიკოლაძე, რომელიც დაკავშირებულია აკაკისთან, საეხებით სა-
მართლიანად გამოთქვამდა ექვს, რომ ცენზურა რუსულ პრესაში ნე-
ბას არ დატოვებდა კემო პირს დაებეჭდა რაიმე აქარის გამო. ამაზე
ცენზურას სპეციალური მითითება ჰქონდა, რადგან, როგორც ვთქვით,
რუსეთი თავს არიდებდა თურქეთის ტერიტორიებისადმი საკუთარი
ინტერესების რაიმეგვარად გამომქლავებას. ეს კარგად იცოდა ნიკო
ნიკოლაძემ, რომელიც აკაკის სწერდა: „მართალია, შენი დღევანდელი
წერილი „Из Кобулета“ გაგვზავნე სტამბაში, მაგრამ იმედი
არა მაქვს მისი გაშვების. ამას წინეთ „დროებაში“ გამოუშვეს შენი
(პროზა) სტატია პარაზად — მაქანკალ-ოლღზე და თესლი ლუზუნ-
ოლღზე. გუშინ პრიბილმა მოსთხოვა კომიტეტს პასუხი, როგორ გა-
ბედეთო, და საქმე აღუდდა, მაგრამ იქნება ეხლაც ვერ გაიგონ...“¹³

როგორც ნიკოლაძე ფიქრობდა, აკაკის აღნიშნული წერილი რუ-
სულ გაზეთში მართლაც არ დაუბეჭდიათ. მიუხედავად ამისა, ვფიქ-
რობთ, რომ სწორედ აქარის საქმის პოპულარიზაციისათვის რუსულ
პრესაში გადადგმული აკაკის პირველი ნაბიჯი მაგალითი უნდა გამხ-
დარიყო ნიკო ნიკოლაძის და გიორგი წერეთლის შემდეგი ტაქტიკისა
რუსულ პრესაში.

აქარაში ენერგიული მოქმედება დაიწყო: სულთნის ერთგულმა
დერვიშ-ფაშამ, მის თანამეწიფედ ქცეულმა ზოგიერთმა ქართველყო-
ფილმა და მოლა-ყადმა ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილის დე-
ზორიენტირება შეძლო. აკაკის ძლიერ აღელვებდა ორკოფობაში
მყოფ თანამომძმეთა საქმე. აქარელ ქართველთა ბედი ღრმად აფიქრებ-
და, აგრეთვე, აკაკის მრავალ თანამზრახველსა და თაყვანისმცემელს.
ერთი მათგანი ცნობილი სამხედრო მოღვაწე გრიგოლ დავითის ძე გუ-
რიელი იყო, რომელიც თავის მამასთან, დავით გურიელთან ერთად,
თვალსაჩინო როლს ასრულებდა აქარის განთავისუფლების საქმეში.

გრიგოლ გურიელი აკაკისთან ერთად მოქმედებდა. სწორედ მისი და-
ხმარებით მისცემია აკაკის საშუალება დაახლოებოდა აქარელთა გავ-
ლენიან პირებს. ორიენტაცია, ძირითადად, მოსახლეობის დაბალი ფე-
ნების წარმომადგენლებზე იყო აღებული. მათ შორის განსაკუთრებულ
როლს ასრულებდა თავდადებული პატრიოტი პოეტი ხუსეინ-ხაბაზი

12 წიგნი: „თვითმპყრობელობა და ბეჭდვითი სიტყვა“ (რუს., ენაზე), ბერლინი,
1898, გვ. 47.

13 ნიკო ნიკოლაძის წერილები, პროფ. შ. გოზალიშვილის პუბლიკაციით, „მნა-
თობი“, 1965, № 6, გვ. 167.

(ქამქარაძე). ვფიქრობთ, სწორედ ეს იყო შუამავალი აკაკისა და აქარელთა შორის.

აკაკის ჭერ კიდევ 1875 წლის შუახანებში ჰქონდა შეხვედრები აჯანყებულებთან. მგოსანი რამდენჯერმე ჩასულა ბათუმსა და ქობულეთში და მულაჰ აჯანყებულთა საქმიანობის კურსში იყო.

როგორც ნიკო ნიკოლაძისადმი მიწერილ ბარათებიდან ვტყობობ, 1875 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში, აკაკი, ჩანს, რალაც მნიშვნელოვანი საქმის გამო, თავს მოვალედ თვლის ქუთაისში დაწყებული საქმეების მიტოვებას და კვლავ საზღვრის გადალახვას:

„გუშინ ისეთი ამბავი მომივიდა, — ატყობინებს აკაკი ნიკო ნიკოლაძეს, — რომ უთუოდ ქობულეთში უნდა წავსულიყავი და ვერ მოვახერხებ უფულობის გამო...“¹⁴.

როგორც მათი პირადი მიმოწერიდან ირკვევა, აკაკისა და ნიკოლაძეს შორის დაღის თურქეთიდან გაღმოსული ვინმე „ხ“ (ეს ინიციალი რამდენჯერმე იხსენიება წერილებში სხვადასხვა დროს). აკაკის კარგად ესმის, რომ პოლიციის მეთვალყურეობაში მყოფ ნ. ნიკოლაძეს შეიძლება საქმე გაურთულოს ზემოთ მოტანილი წერილის ნამძლავმა ამბავმა, მაგრამ აკაკი მინც არ ლალატობს მისთვის დამახასიათებელ იუმორისტულ ტონს და ნ. ნიკოლაძეს მომავალ პატიმრობაზე ეხუმრება: „ვირის თავი მისათვის, რომ მომატყუე და ფეხებიც მისათვის, რომ წიგნი არ მომწერე, — ხს ბუყუყად გააკეთებინა პატიმრობის დროს...“¹⁵ აქ, როგორც ვხედავთ, ნიკოლაძის დაპატიმრება ვინმე „ხ“-სთან ერთად იგულისხმება.

საპასუხო წერილში ნიკო ნიკოლაძე ბოდიშს იხდის აკაკისთან, რომ არ ძალუძს აქარაში მოგზაურობისათვის ფულით დაეხმაროს. — „ვირის თავი და ხბოს თავიც სწორედ მერგება, მაგრამ ფული ვერ ვიშოვე, ძმობას გეფიცები, ერთი კაპიკი რა არის, ის სჭირდება... როგორც მოვახერხებ, იმ წამს გამოგვგზავნიო“¹⁶. წერილის თავში კი აკაკის ხუმრობის საპასუხოდ ხუმრობითვე მიაწერს: „საპატიმრო, მ ოქტომბერი“. ნიკოლაძე აკაკის აქვე მიანიშნებს მის მიერ „ტიფლისკი ეესტნიკში“ გამოქვეყნებულ სტატიასზე — „ქარიშხლის წინ“. ამ თამამი სტატიის

¹⁴ აკაკი წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტომი XV, თბ., 1963, გვ. 64.

¹⁵ კ. შარქისის სახელობის საქართველოს საქარო ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, ფონდი 111, № 131, 366.

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში აკაკის დასახელებული წერილის ტექსტში ავტორისეული „ხ“ გამოტოვებულია (იხ. ტ. XV, გვ. 64).

¹⁶ ნიკო ნიკოლაძის წერილები, პროფ. შ. გოზალიშვილის პუბლიკაციით, „მნათობი“, 1965, № 6, გვ. 166.

ხენებით ნიკოლაძე აკაკის იგავურად ეუბნება: ბრძოლაში გულხელ-დაკრფილი არც მე ვარო. მართლაც, ნიკოლაძის აღნიშნული წერილი რუსულ პრესაში დიდი მითქმა-მოთქმის მიზეზი გახდა.

მომდევნო წერილებით ნათელი ხდება, ორივე მოღვაწე სულ უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდება აჯანყებულ აქარლებს. ამ ჯერზე ქუთაისში მყოფი აკაკი ნაცნობებთან შეხვედრას თავს არიდებს. იგი სანტუმროშია გამოკეტილი — საიღუმლოდ იღებს და ისტუმრებს საზღვარგარეთიდან მოსულებს, როგორც ჩანს, ჩამოსულნი დაბეჯითებით სთხოვენ აკაკის გაემგზავროს აქარაში. ნ. ნიკოლაძე კი სთხოვს—ჩავიღეს თბილისში, მცირე ხნით მაინც, და კარგად განუმარტოს ვითარება¹⁷. რაზეც აკაკი უარს უთვლის. მაშინ ნ. ნიკოლაძე სწერს აკაკის: „რადგან შენ არ მოდიხარ აქ, ორი კვირის შემდეგ მე ჩამოვალ ქუთაისში და უფრო დამჭდარათ და საფუძვლიანად მოვილაპარაკებთ ამ საგანზედაც“¹⁸.

აკაკი პასუხობს:

„მე ისე გახლართული ვარ საქმეებში, რომ სწორეთ ვერ ჩამოვალ და შენი ჩამოსვლა კი ძალიან მიხარია. რომ იცოდე, ამ ოხერს ქუთაისში ვარ ერთ ნომერში გამოყუყულები არესტანტივით, აღარც არაფერი საქმის გათავებას ეშველა და...“

აქარა-ქობულეთის საქმე, ვგონებ, უნდა იცოდე, თუ რა ეშმაკი უჩინიკინებთ და რათ არიან აჯანყებულები...“ „საქმე რო გვინდა, ისე მიდის,--- განაგრძობს აკაკი და დასძენს: — წუხელი ჩამოვიდა აქ საიღუმლოდ ხუსეინა-ქობულეთელი (გიორგაძე), რომელიც ვილგელმოზას ჩემულობს იქ. ხუმრობა გაშვებით და თავი კაცია და ძალიანაც უჯერებენ. ხვალ ან დღეს საღამოს, ისევ გავისტუმრებ გ. გ., ხ. ს. და ვაი, იმათი ბრალი, თუ ახლაც არა ეშველათ რა... გ. გურ. საყვედურებითა მხეთქავს: რატომ არ მოდიხარ? მამა ჩამოვიყვანე, მაგრამ ვერ გამომადგაო¹⁹, და ამისთანა რამეებიც, მაგრამ პირადად გეტყვი, გაგაკვირვებ... პროგრესი... პროგრესი... გეთაყვანე, ნიკო, ზაქარიას უბრძანე სკივრი გატეხოს, გააღოს როგორმე და ტანისამოსი გამომიგზავნე ვისმეს ხელით და ან შენ... კაპანაძეს გადაეცი, რომ თბილი პალტო გამომიგზავნოს, არა მძაქვს. ზაქარიამ ქალაღლები კი არ გაჩხრიკოს...“²⁰.

17 „მნათობი“, 1965, № 6, გვ. 167, (ნიკოლაძის წერილი დათარიღებულია 1875 წლის 4 ნოემბრით).

18 იქვე, გვ. 169.

19 აქ გ. გურიელის მამა — დავით გურიელი იგულისხმება (გენერალი დავით გურიელი ამ დროს საფრანგეთში იმყოფებოდა).

20 ა. წერეთელი, თხზ., ტ. XV, გვ. 47.

ამ წერილში ნათლად ჩანს, რომ აჭარაში რაღაც გადაწყვეტი ამბები ხდება და საქმე „პროგრესისაკენ“ მიდის. გრ. გურიელი და ამ საქმეში ჩაბმული სხვა პირები — „ხუსეინი“, ვინმე „გ. გ.“ და სხვ. ქუთაისში ჩამოდიან აკაკისთან შესახვედრად. პოეტი ამ დროს თავისი პირადი საქმეებით იყო დაკავებული, მაგრამ მასთან დაკავშირებული პირები ფიქრობენ, რომ გადაწყვეტ დროს აკაკის ქუთაისში დარჩენა შეუძლებელია. როგორც ჩანს, განსაკუთრებული ვითარების გამო გრ. გურიელი იძულებული ყოფილა თავისი მამა — დავით შორეულ უცხოეთიდან გამოეწვია. ამავე დროს გრ. გურიელი ქართველი ერის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელს — აკაკის შიშართავს, რომლის ლექსები ზეპირად იციან აჭარლებმა, — სთხოვს მას არ დაახანოს და საშვილიშვილოდ გადასაწყვეტ საქმის თაობაზე საბოლოო მოლაპარაკება იქონიოს აჭარლებთან.

მოტანილ წერილში მოჩანს ვინმე „ხუსეინი“ და იქვე „გ. გ.“ მათ, უთუოდ, რაღაც განსაკუთრებული მისია უნდა შეესრულებინათ (რის შესახებაც ნ. ნიკოლაძემ იცოდა), მაგრამ ამ ჯერზე ვერ შეძლეს. ახლა საქმე აკაკის სხვაგვარად წარუშარტავს. ჩანს, სწორედ ამის გამო წერს აკაკი — „ვაი, იმათი ბრალი, თუ ახლაც არა ეშველათ რაო“. წერილის ფარული ამბის ბუნდოვანი კონტურები თანდათან მკვეთრდებიან, მაგრამ წერილის შინაარსი სავსებით გასაგები მაინც არ არის: აკაკი ჩვენთვის ბევრ საინტერესოს მრავალწერტილებით ფარავს...

ვინ არიან ამ წერილში მოხსენიებულნი: „ხუსეინი“, „გ. გ.“ და მომდევნო წერილში გამოჩენილი „ხასანა“? შეუძლებელია აკაკი ერთმანეთში ურევდეს ორ სახელს — „ხუსეინს“ და „ხასანს“. მით უფრო, რომ ჰუსეინი (ნიკოლაძისადმი მინაწერი წერილების მიხედვით — „ხუსეინი“) მათი უფრო ძველი ნაცნობია. ზემოთ ციტირებული წერილიდან ისიც მოჩანს, რომ ეს ადამიანი ნიკოლაძეს ამ დროზე უფრო ადრეც ხვდებოდა თბილისში. სწორედ ამ ნაცნობი ადამიანის საქმეების გამო ეხუმრებოდა აკაკი ნიკოლაძეს პატიმრობის თაობაზე.

აკაკის წერილში ნახსენები „გ. გ.“ გრიგოლ გურიელი არ უნდა იყოს. ამ უკანასკნელს ხომ აკაკი იქვე, სავსებით თავისუფლად ასახელებს. „გ. გ.“, როგორც ჩანს, „ზ“-ს თან ახლავს ქუთაისში ნოემბრის დასაწყისში, აკაკისთან საიდუმლოდ შეხვედრისას „ნომერში“. ეს ორნი „საიდუმლოდ ჩამოდიან ქუთაისში“ და ასევე საიდუმლოდ ბრუნდებიან აჭარაში. გრიგოლ გურიელისათვის ასეთი განსაკუთრებული კონსპირაცია საჭირო არ იყო. „გ. გ.“-ს უკან ხომ არ დგას გ-იორ-გ-ი (წერეთელი), ის, ვინც ამ ხანებში თავისი მოვალეობის ასრულებისას, სამხედრო ადმინისტრაციის თვალს არ უნდა მოშორებოდა. ასეთი თავისუფალი გადასვლა-გადმოსვლა საზღვარზე და თურქეთის ქვეშევრ-

დამეპთან შეხვედრები არა მარტო სამხედრო-სამსახურებრივ ეთიკას არღვევდა, არამედ კვლავ აღძრავდა პოლიციის ეჭვებს²¹. ინიციალების ხმარება აკაკის საქმეს უაღვილებდა, რადგან ნიკოლაძე მიხედვებოდა ვიზე იყო ლაპარაკი. მით უფრო, რომ საქმის ვითარება მისთვის კარგად არის ცნობილი.

ამგვარად, ნ. ნიკოლაძის გარდა, წერილებში მოჩანან აკაკისთან დაკავშირებული შემდეგი პირები: ჰუსეინ-ქობულეთელი (გიორგაძე), ხასანა, გრ. გურიელი და გიორგი წერეთელი. ჰუსეინი საგანგებო საქმეების აღმსრულებელია და მას ხალხთან მოლაპარაკება ევალება. წერილებში განმეორებით ნახსენები „ხასანი“ მოსალოდნელია იყოს ამ ხანებში თავის პატრიოტული საქმეებით კარგად ცნობილი მერისელი ჰასან-ეფენდი ხალიფაშვილი. რაც შეეხება „ხუსეინს“, იგი აკაკის დიდი თაყვანისმცემელი, მელექსე და თავდადებული მებრძოლი ჰუსეინ ქაშყარაძე-ხაბაზი უნდა იყოს. ამ პიროვნებების ვინაობის უფრო ზუსტად დადგენა ჩერჩერობით ძნელია.

აკაკის მომდევნო წერილი კიდევ უფრო ნათელყოფს საქმის ვითარებას და აკაკის თანამოაზრეთა საქმიანობას. აკაკის წერილი გვატყობინებს, რომ ჰასანი პოეტს ხლებია ქუთაისში და, აგრეთვე, საზღვარგარეთ, და რომ მათ (აკაკის და „ხასანას“) საზღვარს გადალმა მიელიან „ხ“ და „გ. გ.“ აკაკის პირადი წერილებიდან ისიც ჩანს, რომ როგორც აქარელ შუამავლებთან შეხვედრა, ასევე საზღვრის გადალახვა სულ უფრო რთული და სახიფათო ხდება.

როგორც ცნობილია, ომის წინ, როგორც რუსეთის სამხედრო ხელისუფლებამ, ასევე თურქეთმა სასაზღვრო „კორდონი“ დააყენა. აქარელთა საქმეში ჩარევა ამ დროს პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის დიპლომატიის კურსს. ეს შეიძლებოდა გამხდარიყო საერთაშორისო სკანდალის მიზეზი, რადგან თურქეთის ხელისუფლებისათვის,

²¹ საქართველოში ბალკანეთის ამბებისა და თურქეთის მღელვარებისადმი ინტერესების გაძლიერების პერიოდში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ ისინი, ვინც პრესაში ამხვილებდა ამაზე ყურადღებას, — განსაკუთრებით ის: პირნი, ვინც უცხოეთში ამ დროს ხშირად მოგზაურობდნენ. სწორედ აკაკი, ნ. ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი იყვნენ ქართული პრესის ის წარმომადგენლები, რომლებიც ასე ხშირად წერდნენ თურქეთის მღელვარებაზე და გარეპარტველობაზე. ისინი უცხოეთშიაც არ იშლიდნენ ამ დროს მოგზაურობას. 1873—1874 წლებში აკაკიმ, გ. წერეთელმა და ნ. ნიკოლაძემ ევროპაში იმოგზაურეს. დასავლეთიდან გიორგი წერეთელი თურქეთის ტერიტორიაზე გამოვლით დაბრუნდა სამშობლოში. ამ პერიოდის მის ნაწერებში ირკვევა, რომ ქართველი ბელეტრისტი კარგად იცნობდა სლავთა ამბებს, ბალკანეთის აჯანყების მოთავეთა იმეამად კიდევ ნაკლებად ცნობილ სახელებს. 1874 წელს პოლიციამ არ დააყოვნა და აკაკი დაიბარა. სავანგებო დაკითხვა თვით პოლიციის მაღალი თანამდებობის პირმა ჩაატარა (იხ. ნ. ვ. ივ. ივ. დ. ე. აკაკი წერეთელი, მასალები, „საისტორიო მოამბე“, 1953 წელი, № 7, გვ. 323).

მსგავსი რამ საქმაო იყო რუსეთის ტერიტორიული ზრახვების საქვეყნოდ მოსაღებად. აკაკის საქმიანობის გამოაშკარავების შემთხვევაში, ცხადია, სულთანის ხელისუფლება დააცხრებოდა მას, რომლის ეროვნული ავტორიტეტი, ამ შემთხვევაში, საწინააღმდეგო რეაქციას გამოიწვევდა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, აკაკი ამას არ დარიდებია.

აკაკის, ამ ძნელი, მაგრამ უაღრესად საპატიო ეროვნული მისიის წესრულებებისას, მხარში უდგას გრიგოლ გურიელი, რომელსაც, აკაკისთვის ხელისშეწყობის დიდი შესაძლებლობები ჰქონდა. რუსეთის ხელისუფლებამ, გაითვალისწინა რა გ. გურიელის ოჯახისა და პირადად მისი დიდი ზეგავლენა აქარულ მოსახლეობაზე, იგი კორდონის უფროსად დაინიშნა. გრიგოლ გურიელი ჯერ კიდევ ომაჰდე დაესწრო აქარელთა „ოლქობას“, რომელმაც თავიდან მოიშორა ამ დროის რენეგატი თავდგირიძე. „ოლქობა“ გრ. გურიელს სთვლიდა დედა-სამშობლოს სანდო „თავკაცად“ და საწადელი საქმის აღმსრულებლად. აკაკის სწორედ გრიგოლ გურიელის მიერ შერჩეული აქარლები იცავდნენ ხოლმე საზღვრის გადალახვისას.

„აქარის საქმეების“ შესახებ ნ. ნიკოლაძეს, როგორც ჩანს, გამუდმებით მოსდის აკაკისაგან წერილები. აი, ერთი მათგანიც:

„ნიკო!

შენი წერილი რომ მივიღე, ჰასანა აქ იყო ჩემთან. იქ არეულობა არის და ოფიციალურად გასვლა არ შეიძლება. ისე კი, ჩუმათ საქირაოა. მე მინდა წავიდე კორდონზედ, სადაც გ. გ და ხ(...) ყოველ საათში (...) და ყოველივე მეცოდინება. ხანდახან ჩუმადაც გავალ ხოლმე, თუ საქირობა მოითხოვს, მაგრამ წაუსვლელობა კი არ შეიძლება. მე მზადა ვარ ყოველივე ჩემი საქმე დავაგდო და წავიდე.

შენი აკაკი²².

ამ წერილიდან ნათელი ხდება ის, რომ აქარელთაგან აკაკისთან არიან დაკავშირებულები ჰუსეინი და ჰასანი. ერთი მათგანი ქუთაისში ხედება პოეტს, ხოლო მეორეს იგი აქვე, ქუთაისში, „გ. გ.“-სთან ერთად მოეცლის.

თავისი თამამი, გმირულ-პატრიოტული ნაბიჯებით, აკაკი გადამწყვეტ როლს თამაშობდა აქარელთა პატრიოტული მოძრაობის წარმართვაში. „არეულობისას“ იგი საკმაოდ არ თვლიდა მას, რომ აღრე იგი ფსიქოლოგიური გზით სწევდა საქმეს წინ. აკაკი აჯანყებულ, „არეულ“. აქარლებს შორის ტრიალებს; იგი კარგად ერკვევა მათ საქმეში და მარჯვედაც წარმართავს წინასწარი გეგმით განზრახულს: „საქმე რომ

²² აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XV, გვ. 70, (პუბლიკაციაში გამოტოვებულია აკაკის ტექსტისეული „ხ“).

გინდა, ისე მიდისო“, სწერდა აკაკი ნ. ნიკოლაძეს. მაგრამ აკაკი, როგორც ჩანს, მთლად ვერ ენდობოდა გადაღმელთა მოხერხებას, აუცილებლად მიაჩნდა გამუდმებით ჰქონოდა აჯანყებულებთან უშუალო კონტაქტი, და, უკანასკნელ დროს, თავის დაუზოგავად — როგორც ჩანს. გაპცილებლების გარეშეც, — ხშირად გადაღ-გადმოდიოდა საიდუმლო გზებით სახელმწიფო საზღვარზე. შეუძლებელიც იყო, რომ ისეთ დიდბუნებოვან ადამიანს, როგორც აკაკი იყო, სხვაგვარად ემოქმედა, როცა ეროვნული საქმე მის შემწეობასა და ხელმძღვანელობას მოითხოვდა ...საერთო საქმემ შედეგიც გამოიღო: აჭარლებმა და ამსხვრიეს მონობის სამარცხვინო უღელი...

1877 წ. 13 აპრილს, კიშინიოვში, იმპერატორმა ალექსანდრე II ხელი მოაწერა ომის მანიფესტს. ნაუცბათევი გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრისათვის, რადგან ომის თადარიგი რიგიან-პირიანად დამთავრებული არ იყო. კიშინიოვის დეპეშის შინაარსი, რა თქმა უნდა, უცნობი იყო გურული მოსახლეობისათვის, მაგრამ ხდება უცნაური რამ: იმ დროს, როდესაც სამხედრო ნაწილებისათვის შეტევა არ უბრძანებიათ, გურულმა ირეგულარულმა ნაწილმა საზღვარი დაარღვია და მუხა-ესტატეს მალლობზე შეიჭრა, ეს იყო სრულიად მოულოდნელი როგორც თურქეთის, ისე რუსი მხედრიონისათვის. ეს უცნაური აქტი, რომლისთვისაც სხვა დროს უთუოდ ბევრი ადამიანი დაისჯებოდა, გახდა იმ შეტევების პირველ საწყისად, რომელსაც ყარსის, არდაგანის, ბაიაზეთის და სხვათა ალება მოჰყვა...

პირველ რაზმებთან ჩნდებიან გიორგი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე. რუს მხედრიონს მხარდამხარ მისდევდნენ ქართველი პატრიოტები. ძმებს ძმურად შეხვდნენ „გადაღმა საქართველოში“. აქ, აქარელთა შორის იყო აკაკის საქმითა და პოეზიით მოხიბლული, უებარი ვაჟკაცი ხუსეინ-ხაბაზი (ქამყარაძე).

სამშობლოში დაბრუნებულთა შორის აჭარლებს პირველად გიორგი წერეთელმა მიმართა ქართული საზოგადოების სახელით. დედაქალაქში, თბილისში, ჩამოსულებს დაუხვდათ ილია ქავკავაძე. ქართული საზოგადოებრივი მოძრაობის ბელადს კარგად ესმოდა, რომ მარტოდენ ახალი ქვეშევრდომობა ბედნიერებას ვერ მისცემდა აჭარლებს. მათ ომის განმავლობაში ყველაფერი დაკარგეს; „მოღალატეებს“ არ ინდობდნენ არც თურქები და არც ის რუსი მოხელეები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ მათი მეთვალყურეობა. დატანჯულ ხალხს შემწეობა უნდოდა და სწორედ ეს მიუთითა ქართველობას დიდმა ილიამ:

„ომმა იმდენი ხნის დაშორებული ძმები ისევე შეგვყარა. ახლა

ჩვენ ერთი და უდიდესი მოვალეობა გვაწევს... იმათთვის ვიზრუნოთ, როგორც ჩვენთვის... ეს ისმინეთ და გაიგეთ ქართველებო“...²³.

არც აკაკის ჩაუგია თავისი მახვილი. კვლავ და კვლავ დასტრიალებდა იგი მათ საქმეს, ვისთვისაც ამდენი ამაგი გასწია, ვისთანაც შეკრა მან მამა-პაპური ქუდზეკაცობის ძმობა, რომელსაც თავისუფლებისათვის მებრძოლნი ქართველობა ყოველთვის ყოველგვარ რელიგიაზე მაღლა აყენებდა.

„...და თუ ჩვენი წინაპრები თვალყურს აღევნებენ და არ ისვენებენ ჩვენი ქვეყნის კირ-ვარამისათვის, დაე, ჩვენც ნუ დავხუჭავთ თვალს“²⁴, წერდა პოეტი, რომლის მაღლიანმა ხელმა დასკიმა „ჩონგურის“ ერთი მოდუნებული სიმი ქართული ცხოვრების სამარადისოდ ასაღორძინებლად.

²³ ილია ქაეკავაძე, შინაური მიმოხილვა, „ივერია“, 1879 წ. იანვარი.

²⁴ აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, გვ. 67.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შალვა გოზალიშვილი. „ივერიის“ დაარსების ისტორიიდან (1877—1885)	3
2. შოთა ვაშაყმაძე. ალექსანდრე ცაგარელი (1884—1929)	24
3. მანანა კაკაბაძე. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია და ვერობული რომანტიზმი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში	47
4. გრიგოლ კაკიაშვილი. ალექსანდრე ჰავკავაძის „მოკლე ისტორიული ნარკვევის“ შესახებ	67
5. აკაკი კენჭოშვილი. „საქართველოს მოამბის“ იდეური მრწამსი	73
6. შალვა რატიანი. ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (ნარკვევი)	96
7. შალვა სააკაძე. ლიტერატურული მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი ჟურნალ „ივერიაში“	125
8. თეიმურაზ ფირალიშვილი. აკაკი წერეთელი და აქარა	144

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბუროს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ე. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ბ რ ე ვ ი ა
კორექტორი ნ. კ ა კ ი ნ ა შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 21.7.1971; ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.6.1972;
ქალაქის ზომა 60 X 90¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 10.25; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 8.61; უე 01006; ტირაჟი 1000; შეკვეთა 1789
ფასი 80 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 38006, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба» АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი. 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19